

ცავით ეალაზონია სოფიკ ლოპარიძის  
ემორის ეალლაკალიცია ციხი ჭიათურიშვილი  
ნათია ნაცვლიშვილი

# მოქალაქეობრივი განათლება

მოქალაქეობრივი განათლება



ილიას  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტის  
გამომცემლობა  
ILIA STATE  
UNIVERSITY  
PRESS



დავით გალაზონია      სოფიკო ლოჭანიძე  
შორენა მალლაპელიძე      ნინო ჭავჭავაძე  
ნათია ნაცვლიშვილი

## მოქალაქეობრივი განათლება

სახელმძღვანელო



იურის სახელმძღვანელო უნივერსიტეტი

2021

# მოქალაქეობრივი განათლება

## CITIZENSHIP EDUCATION



სახელმძღვანელო მომზადდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში („დემოკრატიული მოქალაქეობა საქართველოს სკოლებში: გამოწვევები და განვითარების გზები“ №FR-18-1887)

რედაქტორი - ნათია ნაცვლიშვილი

რეცენზიტი - თამარ ტალიაშვილი

კომპიუტერული

უზრუნველყოფა - თამარ სტეფნაძე

© ავტორთა ჯგუფი, 2021

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ქაქუცა ჩოლობიაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS  
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

ISBN 978-9941-18-367-6

## რეცეზია

ინფორმირებული მოქალაქეების აღზრდა დემოკრატიული საზოგადოების განვითარების გზაზე აუცილებელი, თუმცა, არასაკმარისი პირობაა იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს ყოველდღიური დემოკრატიის პრაქტიკის განვითარება და არა მხოლოდ მასზე საუბარი, საჭიროა მოსწავლეთა სამოქალაქო კომპეტენციებით აღჭურვა, რაც დღესდღეობით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აქტუალურ და უალტერნატივობის მიზანს წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით, წინამდებარე სახელმძღვანელო სერიოზულ დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ მოქმედ პედაგოგებს, არამედ მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტებს და, ზოგადად, განათლების საკითხებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

სახელმძღვანელოში განხილულია მოქალაქეობრივი განათლების თანამედროვე კონცეფციები და მოდელები, ამასთანავე პედაგოგიური მიდგომები და პრაქტიკაში მათი დანერგვის ინოვაციური სტრატეგიები, რეკომენდაციები და ალტერნატივები.

სარმოდგენილი თემებიდან განსაკუთრებით აქტუალურია აქტიური მოქალაქეობისათვის აუცილებელი კომპეტენციების მაფორმირებელი ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების განხილვა, როგორებიცაა: უნივერსალური სწავლების დიზაინი და სკოლის დემოკრატიული კულტურა; სოციო-ემოციური სწავლის სტრატეგიები და მათი გავლენა მოსწავლეთა მოქალაქეობრივ კომპეტენციებზე; პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის ინოვაციური მიდგომები; ინტერკულტურული განათლების და ადამიანის უფლებების სწავლის აქტივობები; საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის ინსტრუმენტები და რესურსები და სხვ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი  
თამარ ტალიაშვილი



## შინაარსი

<b>შესავალი .....</b>	<b>7</b>
<b>ANNOTATION .....</b>	<b>8</b>
<b>1. მოქალაქეობრივი განათლების ნორმატიული საფუძვლები .....</b>	<b>9</b>
1.1. დემოკრატიული მოქალაქეობის საერთაშორისო ნორმატიული საფუძვლები .....	9
1.2. განათლების პოლიტიკის ეროვნული დოკუმენტები.....	13
<b>2. მოქალაქეობრივი განათლების არსი, მიზანი და პერსპექტივები .....</b>	<b>23</b>
2.1. მოქალაქეობრივი განათლების მისა, მიზანი და განზომილებები....	23
2.2. მოქალაქეობის ტიპები და ტრანსფორმაციის პერსპექტივები ....	28
2.3. მოქალაქეობრივი განათლების კურიკულუმი და სკოლის დემოკრა- ტიული კულტურა .....	34
2.4. მოქალაქეობრივი განათლების კონტექსტი.....	42
<b>3. სოციო-ემოციური სწავლა მოქალაქეობრივი განათლებისთვის.....</b>	<b>51</b>
3.1. სოციო-ემოციური სწავლა .....	51
3.2. სოციო-ემოციური სწავლის კონცეპტუალური მოდელი.....	52
3.3. სოციო-ემოციური სწავლა და მოქალაქეობრივი განათლება .....	58
3.4. სოციო-ემოციური სწავლის დანერგვა .....	58
3.5. პრაქტიკული სტრატეგიები სოციო-ემოციური სწავლის ხელშე- საწყობად.....	62
<b>4. პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრა მოქალაქეობრივი განათლები-     სთვის .....</b>	<b>77</b>
4.1. პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრა .....	77
4.2. „პისოციაცია“ - ორჯერ ასოციაცია.....	78
4.3. მომავლის სახელოსნო .....	82
4.4. იდეების სახელოსნო.....	86
4.5. მორფოლოგიური ყუთი .....	89
4.6. შემთხვევის ანალიზით და დილემებით სწავლება .....	93
<b>5. მოქალაქეობრივ განათლებასთან დაკავშირებული ძირითადი საგან-     მანათლებლო კონცეფციები .....</b>	<b>103</b>
5.1. გლობალური/მსოფლიო მოქალაქეობა.....	103
5.2. ადამიანის უფლებები.....	118
5.3. ინტერკულტურული განათლება .....	139

<b>6. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლა .....</b>	<b>151</b>
6.1. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის მიზანი და მნიშვნელობა მოქალაქეობრივი განათლებისთვის.....	151
6.2. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის პროექტის გეგმა და შე- ფასების ინსტრუმენტები.....	166
6.3. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის სტანდარტი.....	182
<b>პიბლიოგრაფია.....</b>	<b>187</b>

## შესავალი

მოქალაქეობრივი განათლების სახელმძღვანელო განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებისა და ად-მინისტრაციული პერსონალისთვის, მასწავლებლის მომზადების პრო-გრამების სტუდენტების, მოქალაქეობრივი განათლების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საკითხით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის.

სახელმძღვანელო შედგება ხუთი თავისგან, რომელშიც განხილულია მოქალაქეობრივი განათლების საკანონმდებლო საფუძვლები, მიზანი, შესაძლებლობები, მისი ეფექტურად დანერგვის პედაგოგიური მიდგომები და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები.

უფრო კონკრეტულად, სახელმძღვანელოში წარმოდგენილია:

- ❖ კანონები და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომელიც საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს მოსწავლეებში დე-მოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწობას; ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების გაცნობიერებასა და რეალიზაციას; დემოკრატიისა და აქტიური მოქალაქეობისათვის აუცილებელი კომპეტენციების ფორმირებას; მდგრადი განვითარების კონცეფციის გაცნობიერებასა და დაცვას და სხვ.
- ❖ მოქალაქეობრივი განათლების კონცეფციები, მეცნიერული თვალ-საზრისები, მიზნები, მოდელები და ჩვენს პრაქტიკაში მათი დანერგვის შესაძლებლობები;
- ❖ სოციო-ემოციური სწავლის ძირითადი პრინციპები, სოციო-ემოციური სწავლის სტრატეგიები და მათი გავლენა მოსწავლეთა მოქალაქეობრივ კომპეტენციებზე;
- ❖ პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარების გასავითარებელი რამდენიმე უნივერსალური სტრატეგია, რომელიც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში წარმოადგენს ინოვაციას და რომელთა გამოყენება შეუძლია ნებისმიერი საგნისა და საფეხურის მასწავლებელს მოსწავლეებში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებითა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარების მიზნით;
- ❖ მოსწავლეებში მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიები, მოქალაქეობრივ და ინტერკულტურულ განათლებასთან და ადამიანის უფლებების სწავლასთან დაკავშირებული აქტივობები და მათი განხორციელების ინსტრუქციები;
- ❖ საზოგადოებრივი საქმიანობის სახეები, მათი განხორციელების ეტაპები, ინსტრუმენტები და რესურსები, რაც დაგვეხმარება შინაარსიანი და სასარგებლო პროექტების განხორციელებაში.

## **ANNOTATION**

The Civic Education Guide is intended for teachers and administrative staff of general education institutions, students in teacher training programs, governmental and non-governmental organizations working on civic education issues, and the general public interested in the subject.

The Guide consists of five chapters, which discuss the legislative foundations, purpose, opportunities, pedagogical approaches to its effective implementation, and examples of best practices.

More specifically, the Guide presents:

- ❖ Laws and other legal documents that promote the development of democracy and civil society in students at the legislative level; Understanding and realization of human rights and mechanisms for their protection; Formation of competencies necessary for democracy and active citizenship; Understanding and observing the concept of sustainable development, etc.
- ❖ Concepts of civic education, scientific views, goals, models and opportunities for their implementation in our practice;
- ❖ Basic principles of socio-emotional learning, socio-emotional learning strategies and their impact on students' civic competencies;
- ❖ Several universal strategies for developing problem-solving creative skills, which represent an innovation in the Georgian educational space and which can be used by teachers of any subject and level to develop civic competencies in students, defined by the national goals of general education and the national curriculum;
- ❖ Strategies supporting the development of civic competencies in students, activities related to civic and intercultural education and learning human rights and instructions for their implementation;
- ❖ Types of public activities, stages of their implementation, tools and resources that will help us in the implementation of meaningful and useful projects.

## **1. მოქალაქეობრივი განათლების ნორმატიული საფუძვლები**

### **1.1. დემოკრატიული მოქალაქეობის საერთაშორისო ნორმატიული საფუძვლები**

თანამედროვე სამყაროს გლობალური გამოწვევა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაა. დემოკრატიული საზოგადოება მოითხოვს დემოკრატიული მოქალაქეობის განვითარებას. თავის მხრივ, განათლებაში დემოკრატიული მოქალაქეობის არსი ეფუძნება ევროსაბჭოს მიერ შემუშავებულ ქარტიას „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებების სწავლება“ (2010) (<https://rm.coe.int/1680487880>). ქარტიას განმარტებით, „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის“ ნიშნავს განათლებას, წვრთნას, ცნობიერების ამაღლებას, ინფორმაციას, პრაქტიკასა და საქმიანობებს, რომელთა მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემის, უნარების, დამოკიდებულებებისა და ქცევის წესების ჩამოყალიბების გზით, მათთვის იმ რესურსების მიწოდებას, რომელიც საშუალებას მისცემთ, გამოიყენონ და დაიცვან მათდამი მინიჭებული დემოკრატიული უფლებები და პასუხისმგებლობები, დააფასონ მრავალფეროვნება და აქტიური როლი ითამაშონ დემოკრატიული ცხოვრების წესში, დემოკრატიის პრინციპებისა და კანონის უზენაესობის დანერგვით. და დაცვის საშუალებით.

ქარტიას ძირითადი მიზანებია: (ა) ნებისმიერი პირისათვის დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; (ბ) მოსწავლეთა და სტუდენტების მომზადება საზოგადოებაში მოქმედებისათვის, რაც გამოიხატება ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვისა და ხელშეწყობისათვის მზადყოფნაში.

მიზნების შესაბამისად, ეფექტური სწავლა-სწავლება მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს, მათ შორის, პოლიტიკურ პირებს, საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს, მოსწავლეებსა და სტუდენტებს, მშობლებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, განათლების სფეროს ხელმძღვანელებს, სახელმწიფო მოსამსახურეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებსა და საზოგადოებას. ქარტიის მიხედვით, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების არსებით ელემენტს წარმოადგენს სოციალური ერთობისა და კულტურათმორისი დიალოგის ხელშეწყობა, აგრეთვე, მრავალფეროვნებისა და თანასწორუფლებიანობის დაფასება.

ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია ცოდნის შეძენა, პიროვნული და სო-ციალური უნარების გამომუშავება და ნათელი წარმოდგენების შექმნა, რომლებიც ამცირებს კონფლიქტების წარმოქმნის შესაძლებლობებს და ზრდის სხვადასხვა რელიგიურ თუ ეთნიკურ ჯგუფს შორის განსხვავებათა ჯეროვნად შეფასებისა და გაგების შესაძლებლობებს, ქმნის ადამიანური ღირსებებისადმი ურთიერთპატივისცემის გარემოს და საერთო ლირებულებებს, ხელს უწყობს დიალოგის წარმოებას და პრობლემებისა და საკამათო საკითხების ძალადობის გარეშე მოგვარებას.

დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე მიუთითებს მთელი რიგი დეკლარაციები, დადგენილებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც ქმნიან დემოკრატიული საზოგადოების არსებობისა და განვითარების საკანონმდებლო ბაზას. XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა „**ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**“. დეკლარაციაში საუბარია განათლების მნიშვნელობაზე დემოკრატიული მოქალაქეობის განვითარების პროცესში. კერძოდ, ყველასათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხარისხიანი განათლება; განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისაკენ და ადამიანის უფლებების პატივისცემისა და ძირითადი თავისუფლებების გაძლიერებისაკენ. მან ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას ერებს, რასობრივ და რელიგიურ ჯგუფებს შორის (Art. 26.2, Universal Declaration of Human Rights, 1948).

საერთაშორისო კონვენცია „**კულტურული თვითგამოხატვის, მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ**“ (იუნესკო, 2005) აღიარებს ღირებულებებისა და კულტურული თვითგამოხატვის აუცილებლობას, როგორც დემოკრატიის აუცილებელ პირობას. კონვენცია ქმნის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სფეროებში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მექანიზმებს. ამასთან, იგი ადასტურებს სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებას, შეიმუშაოს ეროვნული პოლიტიკა „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის“ მიზნით, რათა შექმნან, აწარმოონ, გაავრცელონ, გაანაზილონ და ხელმისაწვდომი გახადონ კულტურული თვითგამოხატვის საკუთარი მოდელები. მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში დგას ეროვნული უმცირესობების საკითხი. აღნიშნულის დადასტურებაა 1995 წელს ევროსაბჭოს მიერ მიღებული „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენცია. (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 13 ოქტომბრის N 1938 დადგენილებით). კონვენციაში აქცენტი კეთდება ეროვნული უმცირესო-

ბეჭის წარმომადგენელთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე. კონვენციის ხელმომწერი მხარეები ვალდებულებას იღებენ: (ა) მიიღონ ეფექტური ზომები მათ ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა პირს შორის ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მხარდასაჭერად, კერძოდ, განათლების, კულტურისა და მასმედიის სფეროში, მიუხედავად ამ პირების ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილებისა; (ბ) აღიარონ, რომ თითოეულ პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება, გამოამჟღავნოს მისი რელიგია ან რწმენა და შექმნას რელიგიური დაწესებულებები, ორგანიზაციები და ასოციაციები; (გ) ხელი არ შეუშალონ იმ პირების მიერ ბეჭვდითი მასმედიის საშუალებების შექმნასა და გამოყენებას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს; (დ) მიიღონ ზომები განათლებისა და კვლევის სფეროში თავიანთი ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობის კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის ცოდნის გასაღრმავებლად; (ე) უზრუნველყონ მოსწავლეთა/სტუდენტთა სასკოლო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა და ხელი შეუწყონ სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის მოსწავლეებს/ სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის კავშირების გაღრმავებას და ა.შ.

**თსლოს რეკომენდაციებში (1998)** დაკონკრეტებულია ეროვნული უმცირესობების მხრიდან მშობლიური ენის გამოყენების სფეროები და დაშვებები. იგი, ძირითადად, ეხება ეროვნული უმცირესობების უფლებას, საგანმანათლებლო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ, სამართალწარმოების, მედიისა და სხვა ასპარეზზე საქმიანობისას, გამოიყენონ მშობლიური ენა და ამ ენაზევე მიიღონ სათანადო ინფორმაცია.

ჰავაგის „რეკომენდაციები „ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით“ (1996), ასევე ეხმიანება უმცირესობათა განათლების საკითხებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ უმცირესობათა უფლებები განათლების სფეროში ეუთოს მონაწილე რიგი ქვეყნებისათვის ძალზე ფაქტიზი საკითხია. ამასთანავე, საგანმანათლებლო პროცესი პოტენციურად იმის შემძლეცაა, რომ ქმედითად შეუწყოს ხელი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას.

დემოკრატიული მოქალაქეობის კონცეფცია დროთა განმავლობაში ვითარდება და განათლების სფეროს მარეგულირებელ დოკუმენტებში სხვადასხვა ფორმით აისახება. ამის დასტურია ევროპის მასშტაბით ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური დოკუმენტი „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო“ (2018).

„დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ახალი მოდელის“ მნიშვნელობა, როგორც საგანმანათლებლო, ასევე, პოლიტიკური თვალ-საზრისით, 2016 წელს პრიუსელში გამართულ მინისტერიალზე მიღებული დეკლარაციითაც დადასტურდა (<https://rm.coe.int/16806b9405>). ეს მოდელი მოიცავს კულტურის სამივე განზომილებას – მატერიალურ, სოციალურ და სუბიექტურ კომპონენტებს და, ასევე, დემოკრატიული კულტურისა და ინტერკულტურული ურთიერთობის დღემდე არსებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ 101 სქემას. კომპეტენციების ახალი მოდელი აერთიანებს 20 კომპეტენციას და მათ 447 აღმნერს, ე.ნ. დესკრიპტორს. დოკუმენტში კომპეტენციები დაჯგუფებულია 4 პრიორიტეტულ მიმართულებად / ჯგუფად:

**პირველი ჯგუფი - ლირებულებები. მოიცავს შემდეგ კომპეტენციებს:**

- სხვა ადამიანების, ადამიანის ლირსებისა და უფლებების დაფასება
- კულტურული მრავალფეროვნებისა და კულტურული განსხვავებულობის დაფასება
- დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება

**მეორე ჯგუფი - დამოკიდებულებები. მოიცავს შემდეგ კომპეტენციებს:**

- კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენისადმი, მსოფლმხედველობის, შეხედულებებისა თუ პრაქტიკისადმი ტოლერანტული დამოკიდებულებისათვის მზაობა
- პატივისცემა და ტოლერანტული დამოკიდებულება სხვა ადამიანებისადმი, განსხვავებული რწმენის, მსოფლმხედველობისა და პრაქტიკისადმი
- მოქალაქეობრივი აზროვნება
- პასუხისმგებლობა
- თავდაჯერებულობა
- გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება

**მესამე ჯგუფი - უნარები. მოიცავს შემდეგ კომპეტენციებს:**

- დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები
- მოსმენის და დაკვირვების უნარ-ჩვევები
- ემპათია
- მოქნილობა და შეგუების უნარი
- ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენობრივი უნარები

- თანამშრომლობის უნარ-ჩვევები
- კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები

**მეოთხე ჯგუფი - ცოდნა და კრიტიკული გააზრება. მოიცავს შემდეგ კომპეტენციებს:**

- საკუთარი თავის შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული აღქმა
- ენისა და კომუნიკაციის შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული აღქმა
- მსოფლიოს (პოლიტიკის, კანონის, ადამიანის უფლებების, კულტურის, კულტურათა, რელიგიების, ისტორიის, მედიის, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების) შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული აღქმა

დოკუმენტის შემუშავების პროცესში, სხვა ქვეყნებთან ერთად, აქტიურად იყო ჩართული საქართველო. „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო“ განათლების სისტემის ყველა საფეხურის, ყველა მიმართულების შინაარსს ზედმიწევნით მიესადაგება, რადგან სწორედ განათლება ქმნის საფუძველს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის. მოდელის დანერგვა დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლის, სწავლებისა და შეფასების საშუალებას გვაძლევს.

გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დემოკრატიულ მოქალაქეობასთან დაკავშრებული პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების შემუშავება, რაშიც უმნიშვნელოვანეს როლს სწორედ განათლება ასრულებს. განათლებას შეუძლია სოციალური ერთიანობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის გაძლიერება იმ სასწავლო პროგრამების საშუალებით, რომლებიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა კულტურის, რწმენისა და რელიგიის მოსწავლეებს/სტუდენტებს შორის დიალოგის განვითარებას. არსებული ვითარების გაუმჯობესება აუცილებლად მოითხოვს მოქალაქეობრივი განათლების საკითხებზე აქცენტირებას, რამდენადაც ასეთ განათლებას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მდგრადი და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებაში (UNESCO's Guidelines on intercultural education).

## 1.2. განათლების პოლიტიკის ეროვნული დოკუმენტები

საქართველოსთვის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მხრივ, ერთ-ერთი ფუნდამენტური დოკუმენტი **საქართველოს კონსტიტუციაა** (1995). კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულია ადამიანის თავისუფლებისა და თანას-

წორობის პრინციპები. თავისუფლება და თანასწორობა არ შეიძლება შეიზღუდოს რაიმე განმასხვავებელი ნიშნით: რასით, კანის ფერით, ენით, სქესით, რელიგიით, პოლიტიკური და სხვა შეხედულებით, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებით, წარმოშობით, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობით, საცხოვრებელი ადგილით და სხვა.

კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ ადასტურებს განათლების „თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის“ (მუხლი 3.2.ა). კანონის ამავე მუხლში განმარტებულია ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები, რომელთაგან შეიძლება აღინიშნოს: მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; მოსწავლის გონიერივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ღირებულებათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

კანონის მეორე თავი ეხება მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. მე-13 მუხლით - „ნეიტრალურობა და არადისკრიმინაციულობა“ - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში იკრძალება სასწავლო პროცესის პოლიტიზება; სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. ამასთან, კანონი არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე, ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

საყურადღებოდ მიგვაჩია კანონის ის ნაწილი, სადაც ზოგადსა-განმანათლებლო დაწესებულების ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებად გაცხადებულია: ა) მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრების ხელშეწყობა, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა; ბ) უმცირესობების წევრების ინდივიდუალური და კოლექტიური უფლების განუხრელი დაცვა. ეს კი ნიშნავს მათი ფუნდამენტური უფლების - თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება - ხელშეუხებლობას (მუხლი 13).

კანონის მე-18 მუხლი არეგულირებს „რწმენის თავისუფლების“

საკითხებს - დაუშვებელია მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ენინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს. რელიგიური სიმბოლიკის განთავსება საჯარო სკოლის ტერიტორიაზე შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის ემსახურება გარკვეულ აკადემიურ მიზნებს. ამასთან, საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ, სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას.

**ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში (2004)** მითითებულია, რომ საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები „ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის“. ამ მიზნის მიღწევა უკავშირდება საგანმანათლებლო პროცესის ისეთი შინაარსით ორგანიზებას, რომელიც მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ მოქალაქეობრივ ცნობიერებას და დაეხმარება მათ, გააცნობიერონ თავიანთი უფლება-მოვალეობები ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები მოიცავს რამდენიმე, ერთმანეთთან დაკავშირებულ პრიორიტეტულ მიმართულებას. რაც შეეხება უშუალოდ მოქალაქეობრივი განათლებისა და სამოქალაქო აქტიურობის გამომხატველ პუნქტებს, მათში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ლირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება; სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა“.

ზოგადი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად, ასევე, განსაზღვრულია კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქის აღზრდა, რომლის რეალიზაციის აუცილებლობის დასაბუთებაში ვკითხულობთ: „დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი,

რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება“.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელშიც დეკლარირებულია მოსწავლეებში მოქალაქეობრივი კომპეტენციების ამაღლების აუცილებლობა, **ეროვნული სასწავლო გეგმა**. ახალი, 2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის პირველ თავში „ეროვნული სასწავლო გეგმის სტრუქტურა და ზოგადი განათლების საფეხურები“ (მუხლი 7) ზოგადი განათლების მიზნებად განსაზღვრულია, მოსწავლეს განუვითარდეს/ჩამოუყალიბდეს: კულტურული მემკვიდრეობის დაფასებისა და მასზე ზრუნვის უნარი; ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების გააზრებისა და დაფასების უნარი; საკუთარი და განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან/ჯგუფებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი; ჯანსაღი ცხოვრების უნარ-ჩვევები; ენის, როგორც შემეცნების, აზროვნების, თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალების გამოყენების უნარი; კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით მართვის უნარი.

ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს განათლების ენებისა და ენობრივი განათლების საკითხი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ხელშესაწყობად, აუცილებელია არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებში შემეცნებითი და ენობრივი უნარების სახელმწიფო ენაზე განვითარება, რაც ორენოვანი განათლებით მიიღწევა. ორენოვანი განათლება საფუძველს უნდა უქმნიდეს ორენოვან წიგნიერებას.

ყურადღება ეთმობა სკოლის საერთო კულტურის ჩამოყალიბების/ განვითარების ხელშემწყობლობის დონისძიებებს (სასკოლო პროექტები, სპორტული, სახელოვნებო და საკულტო აქტივობები), რამაც ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა - „სკოლის საერთო კულტურამ ხელი უნდა შეუწყოს მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი წარმოადგენს გარკვეული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელ ინდივიდს, რომელსაც თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში. ეს სტიმულს მისცემს მოზარდის სრულფასოვან განვითარებას და დაეხმარება მას კულტურათშორისი დიალოგის წარმართვაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ”.

ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის საგნობრივ სტანდარტებში იკვეთება მოქალაქეობრივი განათლების ხელშემწყობი რიგი მოთხოვნები.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკდან (თავი XV) დაწყებით საფეხურზე ინერგება ახალი საგანი „მე და საზოგადოება“. საგნის სწავლების მიზანია: მოსწავლეს ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობა და მზრუნველი დამოკიდებულება საკუთარი თავის, ოჯახის, თემის, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. საგანი მოიცავს რამდენიმე მიმართულებას, რომელთა შორის მოქალაქეობრივი განათლების კონტექსტს ესადაგება „სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფრთხოება“. აღნიშნული მიმართულება ჰუმანური ლირებულებების (არაძალადობრივი გზებით მოქმედება, შემწყნარებლობა, თანასწორობა) ჩამოყალიბებასა და აქტიური მოქალაქის აღზრდას უწყობს ხელს.

მოქალაქეობრივი განათლების თვალსაზრისით, საყურადღებოა „მე და საზოგადოების“ მესამე კლასისთვის განკუთვნილი რამდენიმე თემა/პრობლემა:

- რატომ და როგორ უნდა ვცეთ პატივი თანაკლასელებს, მასწავლებლებსა და სკოლის სხვა პერსონალს?
- როგორ ავირიდოთ ან გადავჭრათ თანატოლებთან კონფლიქტი მშვიდობიანად?
- რისი გაკეთება შემიძლია სასკოლო გარემოს გასაუმჯობესებლად ჩემს თანატოლებთან ერთად?
- რა გვაერთიანებს და რა საერთო საზრუნავი გვაქვს ჩვენი უბნის მცხოვრებლებს?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ერთმანეთის პატივისცემა თემში მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის?

V-VI კლასებში ისწავლება საგანი „ჩვენი საქართველო“. საგნის სწავლება მიზნად ისახავს, მოსწავლეს: დაეხმაროს საკუთარი ქვეყნის მრავალმხრივად დანახვასა და შეცნობაში; გააცნობიერებინოს, რომ საქართველოს ეთნოგრაფიული, ბუნებრივი, ეთნიკური, რელიგიურ-კულტურული მრავალფეროვნება ქვეყნის სიმდიდრეა; განუვითაროს სამოქალაქო საზოგადოებაში ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

ჩვენთვის საყურადღებოა საგნის სწავლების ერთ-ერთი მიმართულება - „სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფრთხოება“. აღნიშნული მიმართულება წარმოდგენილია ისეთი თემებითა და აქტივობებით, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება საქართველოს ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნების

გააზრებასა და მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება-გამოვლენაში.

ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტში (მუხლი 59) მითითებულია, რომ საგნის სწავლება ითვალისწინებს ისეთი კონკრეტული ამოცანების გადაჭრას, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება:

- აითვისოს როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაცია;
- შეიძინოს უცხო კულტურის გაგების უნარი;
- ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულება (პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა; ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა; ენების სწავლის სურვილი და სხვა).

დაწყებით საფეხურზე საგნის სწავლების მიზნად განსაზღვრულია მოსწავლის ენობრივ-კულტურული გამოცდილების გამდიდრება. ამავე საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგებიდან აღსანიშნავია თემის: „სოციოკულტურა და კულტურა“ შინაარსი, რამაც უნდა უზრუნველყოს მოსწავლეების ცოდნა დღესასწაულებისა და ტრადიციების (ფესტივალები, კარნავალები, შესაბამისი აქსესუარები, რიტუალები) და წეს-ჩვეულებების (ყოფით სიტუაციებში ქვევები და ურთიერთობები) შესახებ.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ასევე, მნიშვნელოვანია უცხოური ენების სწავლება სკოლაში, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას და გამოყოფს სამ კატეგორიას:

1. სხვადასხვა ტიპის ცოდნის შეძენა (უცხოენოვანი ქვეყნების სოციოკულტურისა და კულტურის გაცნობა);
2. სხვადასხვა სახის უნარ-ჩვევების განვითარება (სამოქალაქო უნარ-ჩვევები);
3. დამოკიდებულებების ჩამოყალიბება: მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა; ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა; კულტურული გარემოს თვითმყოფადობის, მისი განუმეორებლობის დაფასება და პატივისცემა; პოზიტიური დამოკიდებულება, როგორც კულტურული, ისე ინდივიდუალური მრავალფეროვნების მიმართ და მისი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინების აღქმა; ინტერესი უცხო სამყაროს მიმართ.

მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარებას ემსახურება ესთეტიკური აღზრდის მიზნები და ამოცანები (თავი XVIII). ესთეტიკური აღზრდის მიზნებს წარმოადგენს მოსწავლისთვის სამყაროს ერთიანობის განცდის ჩამოყალიბება; ეროვნული, სხვა ერისა და

ზოგადსაკაცობრიო კულტურის დაფასების, განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობის, ადამიანის შრომის მიმართ პატივისცემის გრძნობის გამომუშავება. რაც შეეხება ესთეტიკური აღზრდის სწავლების ამოცანებს, მოქალაქეობრივ განათლებასთან კავშირში უნდა აღინიშნოს შემდეგი: მოსწავლის ზიარება ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ღირებულებებთან.

შედარებით სუსტადაა გათვალისწინებული მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარება ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტში. დაწყებით საფეხურზე საგნის სწავლები ერთ-ერთი მიმართულება: მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა გულისხმობს ისეთი თემატიკის საკითხების გაშუქებას, რაც შესაძლოა ხელს უწყობდეს მრავალფეროვნების აღქმასა და მის მიმართ ღიაობის დამოკიდებულების ფორმირებას. კერძოდ, საგნის თემატიკაში გათვალისწინებულია მოთხრობები ბავშვთა ოცნებებსა და ფანტაზიებზე, მათ ცხოვრებაზე, ზნეობრივ პრობლემებზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე; პატრიოტული და სამოქალაქო ულერადობის, ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები.

მოქალაქეობრივი განათლება და კომპეტენციები გარკვეულწილად ასახულია ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო მიზნებშიც. კერძოდ, მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო კულტურას, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედ პროცესს. მას უნდა შეეძლოს:

- ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახული პრობლემატიკის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბება და მისი არგუმენტირება;
- ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული ღირებულებების აღქმა-გააზრება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთყავშირის გააზრება.

საბაზო საფეხურზე (VII-IX კლასებში) ისტორიის სწავლების მიზნად განსაზღვრულია მოსწავლისათვის ისტორიული პროცესის სხვადასხვა კუთხით (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური) წარმოდგენა. საგანი - სამოქალაქო განათლება მოსწავლეს უნდა დაეხმაროს საკუთარი იდენტობის განვითარებაში, თვითგამორკვევაში. მოზარდმა უნდა შესძლოს საკუთარი თავისა თუ სხვების აღქმა სხვადასხვა კონტექსტის წევრებად და მათი პიროვნებებად გაც-

ნობიერება; მან უნდა გაიაზროს თავისუფლება, როგორც უფლება და, ამავე დროს, პასუხისმგებლობა და შეძლოს საზოგადოების, როგორც განსხვავებული ინტერესების, ღირებულებების, მოთხოვნილებების მქონე სუბიექტების ურთიერთდაკავშირებული კომპლექსური მთლიანობის გააზრება.

საშუალო საფეხურზე (X-XII კლასებში) ისტორიის სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის პატრიოტ და პოლიტიკურად განათლებულ მოქალაქედ ჩამოყალიბებას. გეოგრაფიის შესწავლით, მოსწავლე გაეცნობა მსოფლიო ქვეყნების ძირითად მახასიათებლებს, მათში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებსა და მოვლენებს; სამოქალაქო განათლება დაეხმარება მოსწავლეს, დაეუფლოს ინტერკულტურულ წიგნიერებასა და ურთიერთობებს, განივითაროს თანამშრომლობის კულტურა.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკი შემავალი საგნების შინაარსისა და დიდაქტიკური ამოცანების მიმართებები მოქალაქეობრივი განათლების ძირითად საკითხებთან წარმოდგენილია საგნების სწავლების ცალკეული მიმართულებების მიხედვითაც. ჩვენ აქ საგანგებოდ შევჩერდებით მხოლოდ იმ მიმართულებებზე, რომლებიც შინაარსობრივად დაკავშირებულია მოსწავლეთა მოქალაქეობრივ განათლებასა და სხვადასხვა იდენტობისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების საკითხებთან. ეს მიმართულებებია:

1. კულტურა და რელიგია - მიმართულების მიზანია, მოსწავლეს დაანახოს დედამიწაზე ადამიანის მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება და დაეხმაროს მის კლასიფიცირებაში.

2. ადამიანი და საზოგადოება - მიმართულების მიზანია, მოსწავლე იცოდეს, თუ როგორი იყო სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანების უფლებრივი მდგრამარეობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის ხარისხი.

3. გარემო და სოციალური სისტემები - მიმართულების შედეგები მოსწავლეებს ამყარებინებს კავშირს გარემოსა და საზოგადოებას შორის.

**მასწავლებლის ეთიკის კოდექსი** განსაზღვრავს პედაგოგთა ძირითად უფლება-მოვალეობებს, დისციპლინური გადაცდომების სახეებს და, შესაბამისად, მათი დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულ სახდელებს.

მასწავლებელთა ეთიკის კოდექსში ზოგადსაგანმანათლებლობანესებულების თანამშრომელთა (მასწავლებელთა) ერთ-ერთ ძირი-

თად მოვალეობად მიჩნეულია ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური მრწამსის, სქესის, აკადემიური მოსწრების, სოციალური წარმომავლობის ან პირადი შეხედულების მიხედვით მოსწავლეთა დისკრიმინაციის დაუშვებლობა; კოდექსი ადგენს დისკიპლინურ გადაცდომათა ჩამონათვალს. ასეთად ითვლება მოსწავლეთათვის საკუთარი ღირებულებებისა და შეხედულებების თავს მოხვევა (პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური, ეთნიკური, გენდერული შეხედულებების).

**საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტით (2020)** დირექტორის ერთ-ერთ კომპეტენციად მიჩნეულია მისი ვალდებულება, გამოიჩინოს თანაბარი ყურადღება მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის ან სკოლაში დასაქმებული სხვა პირის მიმართ, განურჩევლად მათი სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური და სხვა კუთვნილებისა. სკოლის დირექტორმა უნდა უზრუნველყოს სასკოლო დისკიპლინის დაცვა ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას.

სტანდარტი დირექტორის ვალდებულებად განსაზღვრავს, ხელი შეუწყოს მოსწავლეს დემოკრატიული, სამოქალაქო და პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებაში. დირექტორი პატივს უნდა სცემდეს მოსწავლეთა აზრებს, უქმნიდეს მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად.

**მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის (2008)** მოთხოვნის შესაბამისად, მასწავლებელმა ისე უნდა დაგევმოს და წარმართოს სასწავლო პროცესი, სააღმზრდელო აქტივობები, რომ მოსწავლეებს გაუღვივდეთ ინტერესი კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნებისადმი, განუვითარდეთ ტოლერანტული დამოკიდებულება განსხვავებულობის მიმართ.

თუ განხილულ კანონებს, კონვენციებს, რეკომენდაციებსა და სხვა დოკუმენტაციას, ასევე, არსებულ ვითარებას და დეკლარირებულ პოლიტიკას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ საქართველოში მოქალაქეობრივი განათლების ასპექტები ასახულია განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან დოკუმენტში. საქართველოს მთავრობა, გარდა პიროვნების საბაზისო უნარების განვითარებისა, განათლების სოციალურ ფუნქციებად/ვალდებულებებად აღიარებს საზოგადოებაში არსებობისათვის ისეთი მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევების განვითარებას

მოზარდებში, როგორებიცაა: დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგა-დოების განვითარების ხელშეწყობა; ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების გაცნობიერება და რეალიზაცია; დემოკრატიისა და აქტიური მოქალაქეობისათვის აუცილებელი კომპეტენციების ფორმირება; სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება; მდგრადი განვითა-რების კონცეფციის გაცნობიერება და დაცვა და სხვა.

## **2. მოქალაქეობრივი განათლების არსი, მიზანი და პერსპექტივები**

ამ თავში განხილულია მოქალაქეობრივი განათლების კონცეფციები, მეცნიერული თვალსაზრისები და წარმატებული პრაქტიკის მაგალითები. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მკითხველთათვის მოქალაქეობრივი განათლების მიზნებისა და ამოცანების, მოდელების, განზომილებებისა და დანერგვის შესაძლებლობების შესახებ არსებული მეცნიერული პოზიციების გაზიარება.

### **2.1. მოქალაქეობრივი განათლების მისია, მიზანი და განზომილებები**

#### **2.1.1. მოქალაქეობრივი განათლების მისია**

სკოლების მოქალაქეობრივი მისიის შესახებ ანგარიშში კარნეგის კორპორაციამ (ნიუ იორკი) და სამოქალაქო განათლებისა და ჩართულობის საინფორმაციო-კვლევითმა ცენტრმა (CIRCLE) განსაზღვრეს კომპეტენტენტური და პასუხისმგებელი მოქალაქის მახასიათებლები, რომლებიც ყალიბდება ეფექტური სამოქალაქო განათლების შედეგად. კონცეპტუალურ დონეზე „კარგი მოქალაქეები“ ინფორმირებულნი არიან სოციალური პრობლემების შესახებ და შეუძლიათ ბალანსირება საზოგადოების კეთილდღეობასა და საკუთარ ინტერესებს შორის. მათ აქტიური წვლილი შეაქვთ საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში (Civic Education in the 21st Century, 2018).

მოქალაქეობრივმა განათლებამ მოსწავლეებს უნდა მიაწოდოს პრაქტიკული და აქტუალური ინფორმაცია საზოგადოების პოლიტიკურ რეალიებზე. თუმცა, იდეალური მოქალაქეობრივი განათლება არ შემოიფარგლება მხოლოდ ცოდნის გადაცემით. მოქალაქის აღზრდა, ასევე, გულისხმობს აქტიური მოქმედებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებას: კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, მოსაზრებების არგუმენტირება, მრავალმხრივი ინტერპრეტირება და ა.შ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, მოსწავლეს განუვითარდეს პროცესებში ქმედითი მონაწილეობის უნარი, რაც გულისხმობს სხვადასხვა ჯგუფებთან პრობლემური საკითხების განხილვას, გარკვეული შეთანხმებების მიღწევას.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, თვით საუკეთესო კონსტიტუციებსა და კანონებსაც არ შეუძლიათ, თავისთავად უზრუნველყონ დემოკრატიის მდგრადი განვითარება. ამისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება კი სკოლიდან იწყება, რასაც განაპირობებს სკოლის დემოკრატიული გარემო, მოსწავლეთა მონაწილეობისა და ინიციატივების

წახალისება, განათლების შინაარსი და სწავლა-სწავლების სტილი, რომელიც მიმართულია მოსწავლეებში მოქალაქეობრივი ღირებულებების, უნარებისა და ცოდნის გენეზისზე. საერთაშორისო ორგანიზაციის „სამოქალაქო სწავლებისა და ჩართულობის საინფორმაციო ცენტრის“ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „მოქალაქეების აღზრდის პროცესში სკოლის როლი აღემატება სხვა ნებისმიერი საჯარო თუ კერძო ორგანიზაციის შესაძლებლობას. მეტიც, მაღალია სკოლის წარმატებული პრაქტიკის გავლენის ხარისხი საზოგადოებაზეც, რადგან საკლასო თუ სასკოლო მაგალითების გაზიარება ხდება მილიონობით ახალგაზრდის მიერ“ (Flanagan, Syvertsen, and Stout, 2007).

### 2.1.2. მოძალაქობრივი განათლების მოდელები

საგანმანათლებლო სფეროს ხანგრძლივი და მრავალფეროვანი კვლევების საფუძველზე, გამოიკვეთა მოქალაქეობრივი განათლების წარმატებული პრაქტიკის ექვსი მოდელი:

1. მოსწავლეებში მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარების თვალსაზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართალს, ისტორიას, ეკონომიკასა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბლოკის სხვა საგნებს. მათი შინაარსი ძლიერ ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა სამოქალაქო პოზიციებისა და დამოკიდებულებების ფორმირებაზე. მკვლევრები თანხმდებიან, რომ ცალკეული დისკიპლინის შინაარსზე მეტად, მოქალაქეობრივი განათლებისთვის მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე გამოყენებული პედაგოგიკური მიდგომები. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ინფორმაციული, თუმცა, მეთოდურად ერთფეროვანი კურიკულური ფოკუსირებულია ძირითადი ფაქტების დასწავლაზე, და არა სასიცოცხლო უნარების განვითარებაზე. დეკლარატიულ ცოდნაზე ორიენტირებული გაკვეთილები სწავლის პროცესს ხდის ერთფეროვანსა და მოსაწყებს, ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურობას და არ ახალისებს მათ ინიციატივებს.

2. მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე დადებით გავლენას ახდენს მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა და სადაცო საკითხების განხილვა. საინტერესო თემებზე მუშაობის პროცესში, საკლასო დისკუსიების ფრთხილი და სწორი მოდერაციისას, მასწავლებელს შეუძლია, გამოიწვიოს მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა და დაეხმაროს მათ განსხვავებული შეხედულებებისა და რჩმენების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების მზაობას, მონაწილეობა მიღლონ საზოგადოებრივ დებატებსა და სამოქალაქო აქტოვობებში (Avery, 2010).

3. მოქალაქეობრივი განათლების მიზანია, ახალგაზრდების უზრუნველყოფა იმ ცოდნით, უნარებითა და დამოკიდებულებებით, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებაში მათი ეფექტური ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი სტრატეგიაა „საზოგადოებრივი საქამიანობით სწავლება“, რომელიც ითვალისწინებს საკულასო და სასკოლო პროექტების შინაარსის/ფორმის დაკავშირებას საზოგადოებრივ საჭიროებებთან (Billig, Root, and Jesse, 2005). „საზოგადოებრივი საქამიანობით სწავლება“ გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და მიმართულია საზოგადოებისთვის/თემისთვის მწვავე პრობლემების გადაჭრისკენ, რაც ამდიდრებს მოსწავლეთა სოციალურ გამოცდილებას, ზრდის მათ თავდაჯერებულობას და, რეფლექსიურობასთან ერთად, ავითარებს ქმედებასთან დაკავშირებულ უნარებს (კომუნიკაცია, გუნდურობა, გადაწყვეტილიერის მიღება, პასუხისმგებლობა) და დამოკიდებულებებს (თანაზიარობის განცდა, მგრძნობელობა, დახმარების სურვილი და სხვ.).

4. მოქალაქეობრივი განათლების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს არაფორმალური განათლების აქტივობები, რომელთა საშუალებით მოსწავლეები იყენებენ, ივითარებენ და იღრმავებენ ფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში მიღებულ ცოდნას. არაფორმალური განათლების აქტივობებით მოსწავლეები ერთვებიან ნაირგვარ სოციალურ აქციებში, უკავშირდებიან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რაც ხელს უწყობს მათ სამოქალაქო ჩართულობას (Thomas, and McFarland, 2010).

5. სკოლის/კლასის მართვაში მოსწავლეთა მონაწილეობა არის სამოქალაქო აქტივობებში მათი პირდაპირი მონაწილეობის სწავლების ეფექტური გზა. ამ გზით ისინი აფიქსირებენ და იცავენ თავიანთ პოზიციებს და ახორციელებენ ინიციატივებს. თვითმმართველობაში მონაწილეობით, მოსწავლეები ითავისებენ სკოლის პრობლემებს და ხდებიან სასკოლო საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. ასეთი გამოცდილება ზრდის მათში დემოკრატიული სისტემების მიმართ ნდობას და აჩვეეს სამოქალაქო ჩართულობას.

6. დემოკრატიული პროცესების სიმულაციები არის ეფექტური გზა ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდისა და მათგან სამოქალაქო აქციების ინსპირირებისთვის. სიმულაციური აქტივობებით მოსწავლეები განასახიერებენ საზოგადოების განსხვავებულ წევრებს, ირგებენ მრავალფეროვან როლებს, რითაც უკითარდებათ ადაპტირების, წარმოსახვის, პრობლემის დანახვისა და მასზე რეაგირების შესაძლებლობები. ამასთან, სიმულაციების გამოყენება ხელს უწყობს ცოდნის გაფართოებას და მოქალაქეობრივი უნარების პრაქტიკაში გამოყენებას (Bagley, and Shaffer, 2011).

### 2.1.3. მოქალაქეობრივი განათლებას მიზანი

მოქალაქეობრივი განათლება აძლიერებს დემოკრატიულ კულტურას, საზოგადოების წინაშე საკუთარი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების გაზიარებას, ურთიერთგაგებას, ტოლერანტობასა და მშვიდობას, ამცირებს ან/და აგვარებს უთანხმეობებს. მის ძირითად ამოცანებს შეადგენს ლირებულებების (პლურალიზმი, ადამიანის უფლებები, თანამშრომლობა, მონაწილეობა, ტოლერანტობა, პატივისცემა და ა.შ.) გადაცემა, დიალოგის უნარის ფორმირება, ცვლილებების ინიცირება, ისეთი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება, როგორიცაა: საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა და პერსონალური ვალდებულებების გათავისება, სოლიდარობა და ნდობა გასხვავებულთა მიმართ, მოქნილობა, კულტურების პატივისცემა, უთანხმოებების დროს მშვიდობიანი გადაწყვეტილებების მიღება და ა.შ. ამდენად, მოქალაქეობრივი განათლების მიზანია, მოსწავლეებს გამოუმუშავდეთ:

1. დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნორმების ცოდნა და განსხვავებულ გარემოებებში მათი გამოყენების უნარი.
2. ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე მათი გავლენის ცოდნა.
3. შემოქმედებითი აზროვნება, რის საფუძველზეც ისინი შეძლებენ პრობლემების გადაჭრის საკუთარი სტრატეგიის გამოყენებას, შეფასებასა და გაუმჯობესებას.
4. ვითარების შესატყვისი მოქმედებისა და გადაწყვეტილებების მიღების სტრატეგიების ცოდნა.
5. კრიტიკული მსჯელობისა და არგუმენტაციის ტექნიკების ცოდნა და სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში მათი გამოყენების უნარი.
6. ვერბალური, არავერბალური კომუნიკაციისა და კომუნიკაციის პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები.
7. კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით მიღებული ინფორმაციის აღქმისა და რაციონალურად გამოყენების, განსხვავებული ტიპისა და შინაარსის ინფორმაციების ურთიერთშეპირისპირების უნარი.
8. საკუთარ და სხვების იდეებსა და ქცევაზე სოციალური და კულტურული გარემოს (ოჯახი, ტრადიციები, წესები და ნორმები, ისტორიული მემკვიდრეობა) გავლენის გზებისა და დიაპაზონის ცოდნა (Albulessua, 2015).

## 2.1.4. მოქალაქეობრივი განათლების განზომილებები

ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში, დემოკრატიული მოქალაქეობის განზომილებების შესახებ დისკუსიების საწყის ეტაპზე, გამოიკვეთა აპსოლუტურად ადეკვატური და დღეისთვის გაზიარებული ხედვა, რომელის მიხედვით, მოქალაქეობრივი განათლების იდეალად ცხადდებოდა თავისუფლების პატივისცემა, მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრების ხელშეწყობა, ურთიერთგაგების, ტოლერანტობის, ნებისმიერი ადამიანის ღირსების დაცვისა და სხვა ღირებულებების დამკვიდრება საზოგადოებასა და, კონკრეტულად, ახალგაზრდებში (Engle & Ochoa, 1988).

XXI საუკუნეში დემოკრატიული მოქალაქეობის განზომილებები კიდევ უფრო გაფართოვდა. თანამედროვე გაგებით, მოქალაქეობრივი განათლება შეიძლება განხორციელდეს განსხვავებული ფორმებითა და გზებით, რადგან წარმოადგენს უწყვეტ ქმედებას და ადამიანში დემოკრატიული მოქალაქეობის საფუძველს აყალიბებს სასკოლო განათლების ყველა ეტაპზე. სწავლება, რომლითაც მოსწავლეები უნდა გახდნენ აქტიური და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები, მოიცავს სასკოლო განათლების ყველა ფაქტორსა და ასპექტს, იმის მიუხედავად, რომ ყოველი მათგანი შესაძლოა შინაარსობრივად პირდაპირ და მკაფიოდ არ უკავშირდებოდეს მოქალაქეობრივ განათლებას.

მოქალაქეობრივი განათლების მიზნები შესაძლოა მიღწეულ იქნეს მოსწავლეთა კოგნიტური და ეთიკური განვითარების შემთხვევაში. ქვემოთ მოცემულია მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების სამი ძირითადი ასპექტი:

1. გაკვეთილები, სადაც ცალკეული საგნების შინაარსი და მათი სწავლების მეთოდოლოგია დაკავშირდებულია დემოკრატიული მოქალაქეობის თემებთან და მოქალაქეობრივი ღირებულებების, დამოკიდებულებებისა და უნარების განმავითარებელ სტრატეგიებთან.

2. სასწავლო პროცესის ცალკეული, ზოგჯერ გაუცნობიერებელად და ბუნებრივად შექმნილი სიტუაციები, როდესაც იქმნება მოსწავლეთაგან მოქალაქეობრივი აზროვნებისა და ქმედების გამოვლენის/განვითარების მამოტივირებელი გარემო.

3. სკოლის ყოველდღიური ცხოვრება და, კერძოდ, ნებისმიერი სასკოლო აქტივობა, რადგან ის განხორციელებულია სკოლის, როგორც სოციალური ინსტიტუტის (რეგულაციები, წესები; საზოგადოება: თანამშრომლები, მშობლები, მოსწავლეები) მიერ.

ამავე დროს, სკოლა უნდა განვიხილოთ, როგორც საზოგადოება, სადაც მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად გეგმავენ და მონაწილეობენ ორმხრივად საინტერესო, სასარგებლო, მიმზიდველ და

რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ აქტივობებში. ეს მახასიათებლები შეიძლება გამოვიყენოთ სკოლის კულტურის ხარისხის შეფასების მოდელადაც: სასკოლო ცხოვრების ხარისხი დაკავშირებულია განხორციელებული აქტივობებით მიღებულ კრაფტილებასთან, წინასწარი მოლოდინების დაქმაყოფილებასთან და ინიციატივების წამოყენებასთან. ამ გარემოებებზე დიდწილადაა დამოკიდებული სასწავლო პროცესის წარმატება.

დემოკრატიული მოქალაქეობის გასავითარებლად საჭიროა არა-ფორმალური აქტივობების ხშირი განხორციელება, სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, კლუბების, გაერთიანებების ჩართვა სასკოლო პროექტებში და, მეორე მხრივ, თვით სკოლის ჩართულობა თემის საქმიანობასა და ცხოვრებაში (მოხალისეობრივი აქტივობები, ეკოლოგიურ, კულტურულ, რელიგიურ, საგანმანათლებლო და სხვ. პროგრამებში მონაწილეობა), ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრები, მათთან დიალოგი, მოგზაურობების, ლაშქრობების, სასწავლო ექსკურსიების განხორციელება და სხვ. ახალგაზრდები დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლისას იყენებენ მოგზაურობებს, რაც მათ ეხმარება აღიქვან საკუთარი თავი, როგორც წარმატებულმა, მობილურმა, მსოფლიო მოქალაქეებმა (Allan, Charles, 2015).

## 2.2. მოქალაქეობის ტიპები და ტრანსფორმაციის პერსპექტივები

### 2.2.1. მოქალაქეობის სამი ტიპი

მკვლევრები (Weinberg, J., Flinders, M. 2018) გამოყოფენ მოქალაქეობის სამ ძირითად ტიპს და წარმოგვიდგენენ მათთვის დამახასიათებელ ნიშნებს:

1. ინდივიდუალურ ქმედებაზე ორიენტირებული მოქალაქე დამახასიათებელი ნიშნები: საკუთარი თემის/საზოგადოების ფარგლებში მოქმედება; კეთილსინდისიერი მუშაობა/საქმიანობა და გადასახადების გადახდა; კანონმორჩილება; მოხალისეობრივ საქმიანობებში მონაწილეობა;

მოქმედება/ქცევა: ეკონომიკური მხარდაჭერის საჭიროების მქონე ადამიანების დახმარება საკვებით და პირველადი მოხმარების საგნებით;

დაშვებები: სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად და საზოგადოების განვითარებისთვის მოქალაქეებს აქვთ ღირსებები, ისინი არიან საზოგადოების პატიოსანი, პასუხისმგებელი და კანონის დამცველი წევრები.

## 2. მონაწილეობაზე ორიენტირებული მოქალაქე:

დამახასიათებელი ნიშნები: სათემო ორგანიზაციების აქტიური წევრობა და/ან მნიშვნელოვანი ძალისხმევის გამოჩენა სათემო ორგანიზაციების წარმატებისთვის. თემის ძალისხმევის ორგანიზება სოციალურად დაუცველთა დასახმარებლად, მათზე ზრუნვა; ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და გარემოზე ზრუნვა; სამთავრობო ინსტიტუტების მუშაობის სტილის ცოდნა; საზოგადოებრივი ამოცანების შესრულების სტრატეგიების ცოდნა;

მოქმედება/ქცევა: მონაწილეობა ეკონომიკური მხარდაჭერის საჭიროების მქონე ადამიანების სურსათითა და პირველადი მოხმარების საგნებით მომარაგების ორგანიზებაში;

დაშვებები: სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად და საზოგადოების გასაუმჯობესებლად მოქალაქეები აქტიურად მონაწილეობენ და ირგებენ ლიდერის პოზიციას დამკვიდრებული საზოგადოებრივი სტრუქტურების ფარგლებში.

## 3. სამართლიანობაზე ორიენტირებული მოქალაქე

დამახასიათებელი ნიშნები: სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების კრიტიკულად შეფასება და პრობლემების სიღრმისეული წვდომა; უსამართლობის არეალის გამოვლენა; იმის გაცნობიერება, რომ დემოკრატიული მოძრაობების გავლენით იცვლება და უმჯობესდება არსებული სოციალური სისტემები;

მოქმედება/ქცევა: მოსახლეობის ეკონომიკური მხარდაჭერის საჭიროების გამომწვევი მიზეზების კვლევა და ამ პრობლემის გადასაჭრელად მოქმედება;

დაშვებები: სოციალური პრობლემების გადასაჭრელად და საზოგადოების გასაუმჯობესებლად მოქალაქეები დებატების გზით აგნებენ დამკვიდრებული უსამართლო სისტემებისა და სტრუქტურების შეცვლის ეფექტურ გზებს.

ქვემოთ, სქემის სახით, წარმოდგენილია მოქალაქეობრივი განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის ურთიერთკვეთა, სადაც განსაზღვრულია მოქალაქეობის დეკლარატიული და პროცედურული დონეები.

**სქემა:** მოქალაქეობის დეკლარატიული და პროცედურული პარა-  
დიგმა



## 2.2.2. შვიდი მოსაზრება მოქალაქეობრივი განათლების შესახებ

ქვემოთ გთავაზობთ მკვლევრების, შუგურენსკისა და მაიერსის მო-  
საზრებებს მოქალაქეობრივი განათლების გზით საზოგადოების ტრანს-  
ფორმაციის პერსპექტივების შესახებ (Schugurensky D., Myers J.P. (2003)):

### 1. პასიურიდან აქტიურ მოქალაქეობაზე გადასვლა

მოქალაქეობრივმა განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს აქტიურ მოქა-  
ლაქეობას<sup>1</sup> - საზოგადოების დემოკრატიულ ცხოვრებაში, მათ შორის,  
სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობას. ინფორმირებული მოქალაქეების  
აღზრდა დემოკრატიული საზოგადოების განვითარების აუცილებელი,  
თუმცა არასაკმარისი პირობაა. მოქალაქეობრივმა განათლებამ უნდა  
აღზარდოს კარგად ინფორმირებული მოქალაქეები, რომლებიც, იმავ-  
დროულად, მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და

<sup>1</sup> პასიურ მოქალაქეობაში იგულისხმება ისტორიული, სამართლებრივი და ინ-  
სტიტუციური ფაქტების კრიტიკის გარეშე მიღება

ექნებათ კრიტიკული აზროვნების უნარები. აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა, ასევე, მოითხოვს სათემო მომსახურების (community service) არსებული პროგრამების გაფართოებასაც, რომ მან მოიცვას არა მხოლოდ საქველმოქმედო აქტივობები და მოხალისეობრივი შრომა, არა ამედ აქტიური ჩართულობაც დემოკრატიული ინსტიტუტების საქმიანობაში, პოლიტიკური წინადადებების განხილვასა და მიმდინარე საზოგადო დიალოგებში.

## 2. ეროვნული მოქალაქეობიდან პლანეტის/ეკოლოგიურ მოქალაქეობაზე გადასვლა

მოქალაქეობრივმა განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს მსოფლიო მოქალაქეობას, როგორც ერთი მთლიანი, გლობალური საზოგადოების წევრობას. ეს არ ნიშნავს ეროვნული იდენტობისა და სუვერენობის უგულებელყოფას, არამედ, გულისხმობს მნიშვნელოვანი საკითხების (მშვიდობა, ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა) გლობალურ ფოკუსში განხილვასა და, კოლექტიური თანამშრომლობის საფუძველზე, მათ გადაჭრას.

გლობალური მოქალაქეობისთვის განათლება ხაზს უსვამს ადამიანის უნივერსალური უფლებების, როგორც მოქალაქეობის განუყოფელი ნაწილის მნიშვნელობას, ავითარებს დემოკრატიულ სულს, რომელიც სცდება ცალკეული ერი–სახელმწიფოების საზღვრებს და აძლიერებს საერთაშორისო ინსტიტუციებს.

## 3. კულტურული მრავალფეროვნების აღიარებიდან ინტერკულტურული საზოგადოებების ხელშეწყობამდე

მოქალაქეობრივმა განათლებამ უნდა გააფართოოს არსებული მულტიკულტურული მიდგომები და ხელი შეუწყოს ინტერკულტურული საზოგადოებების ჩამოყალიბებას. მულტიკულტურალიზმი წინ გადადგმული ნაბიჯია, იმიგრანტების ასიმილაციისა და აკულტურიზაციისაკენ მიმართული განათლების პოლიტიკასთან შედარებით, თუმცა, მას სრულად ჯერ კიდევ არ გამოუვლენია თავისი პოტენციალი. პრაქტიკის დონეზე, ხშირ შემთხვევაში, მულტიკულტურული განათლება ტოკენიზმად<sup>2</sup> გადაიქცა და ზედაპირული ფორმა მიიღო - გადაჭარბებული ყურადღება საკვებზე, ფოლკლორსა და დღესასწაულებზე. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ სკოლაში მოქალაქეობრივი განათლება არა მხოლოდ ექსპლიციტური ფორმით ხორციელდება (ფორმალური განათლების კურიკულუმი, არაფორმალური განათლების აქტივობები და სკოლის

<sup>2</sup> ტოკენიზმი (Tokenism) — უმცირესობების ცრუ ჩართულობა და ფორმალური წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

მართვა), არამედ ფარული კურიკულუმის საშუალებითაც (რიტუალები, რეგულაციები და არაფორმალური ინტერაქცია). ეს იმას ნიშნავს, რომ განათლების სხვა პრაქტიკის მსგავსად, პროგრესული მულტიკულტურული კურიკულუმი ენინააღმდეგება არაინკლუზიურ ან დისკრიმინაციულ არაფორმალურ ურთიერთობებს.

მოქალაქეობრივი განათლება არ უნდა უკავშირდებოდეს მხოლოდ ტოლერანტობასა და ერთმანეთის დღესასწაულების გაზიარებას, მან ხელი უნდა შეუწყოს ინტერაქციაზე აგებულ დინამიკურ ურთიერთობაცვლას, ლიაობასა და ქმედით სოლიდარობას. მოქალაქეობრივმა განათლებამ უნდა გააერთიანოს ინტერკულტურული განათლების საუკეთესო ტრადიციები, რომ შექმნას პოლიტიკური და იდეოლოგიური სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს დისკრიმინაციის, რასიზმისა და ეთნოცეტრიზმის დაძლევას და ნამდვილ, ინკლუზიურ დიალოგს კულტურულ ჯგუფებს შორის.

#### 4. საჯარო სფეროსთვის მომზადებიდან ინკლუზიურობამდე

მოქალაქეობრივმა განათლებამ უნდა დაძლიოს კერძოსა და საჯაროს შორის არსებული დიქოტომია, ხელი შეუწყოს დემოკრატიასა და ინკლუზიურობას, როგორც საჯარო სივრცეებში, ისე ოჯახში, სამუშაო ადგილზე, სხვადასხვა გაერთიანებასა თუ ინსტიტუტში, რომელიც კერძო სფეროდ არის მიჩნეული. მოქალაქეობის კონცეფციამ ხელი უნდა შეუწყოს ახალ და ინკლუზიურ ურთიერთობებსა და გამოცდილებას ყველგან, სადაც აღიარებენ გენდერულ განსხვავებებს, მაგრამ, იმავდროულად, უზრუნველყოფენ ინკლუზიურობასა და თანასწორობას.

#### 5. ფუნდამენტალიზმიდან მშვიდობის მშენებლობამდე

მოქალაქეობრივი განათლება უნდა გასცდეს ფუნდამენტალისტურ იდეოლოგიებს და ხელი შეუწყოს მშვიდობის კულტურის განვითარებას. მზარდი მილიტარიზაციის, ოკუპაციის, ტერორიზმისა და სამოქალაქო ომების პირობებში, მნიშვნელოვანია, მოქალაქეობრივმა განათლებამ გამოიყენოს ისეთი პედაგოგიკური სტრატეგიები, რომლებიც ხელს შეუწყობს სამართლიანობაზე დაფუძნებულ თანამშრომლობას, დიალოგსა და მდგრად მშვიდობას. ცხადია, თვით მოქალაქეობრივი განათლება ვერ მოიტანს მშვიდობას, თუმცა მას შეუძლია ფასდაუდებელი წვლილი შეიტანოს უფრო მშვიდობიანი გარემოსთვის სუბიექტური პირობების შექმნაში. ეს მოიცავს მშვიდობის მშენებლობის, კონფლიქტის გადაჭრის, შერიგებისა და რეკონსტრუქციის კომპეტენციების განვითარებას. ასევე, მოიცავს არაძალადობრივი, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ფილოსოფიის, სტრატეგიებისა და უნარების გაგებას.

## 6. სკოლის სივრცეში მოქალაქეობიდან მსწავლელთა საზოგადოებებამდე

მოქალაქეობრივმა განათლებამ უნდა გააფართოოს პორიზონტი, როგორც კურიკულუმის შინაარსის, ისე საგანმანათლებლო სივრცის თვალსაზრისით – სკოლისადმი თითქმის ექსკლუზიური ფოკუსი უნდა შეიცვალოს ინკლუზიური, მსწავლელი საზოგადოებების შექმნით, რომ-ლებიც ჩართულნი იქნებიან „ცხოვრების“ კურიკულუმში. ეს გულისხ-მობს დემოკრატიის ხელშეწყობას სკოლაში ისე, რომ მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა შეძლონ ყოველდღიური დემოკრატიის პრაქტიკის განვითარება და არა მხოლოდ მასზე საუბარი.

ამ პროცესის ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად შესაძლოა განვიხილოთ სკოლის დაკავშირება ისეთ ინსტიტუტებთან, როგორებიცაა მუზეუმი, ბიბლიოთეკა, რაიონული ასოციაცია, სოციალური კლუბი, საზოგადოე-ბრივი სკვერი, უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი ცენტრი, პოლიტიკური წარმომადგენელი, ადგილობრივი მედია, ხელოვნებისა და ხელოვნო-ბის კლუბი და ა.შ. მსწავლელთა საზოგადოება იმუშავებს ორმხრივი ქსელების, და არა იერარქიული, ბიუროკრატიული ინსტიტუციების სა-შუალებით, და სკოლას ექნება განსაკუთრებით დინამიკური როლი ამ ურთიერთობების წამოწყებასა და შენარჩუნებაში. ეს სტრატეგია ხელს შეუწყობს სკოლების არასასკოლო განათლებასთან, პირისპირ ურთ-იერთობების ელექტრონულ ფორუმებთან, ბავშვების ახალგაზრდებთან და ზრდასრულებთან და, ასევე, თაობათა შორის პროექტების ინტე-გრაციას. მსწავლელთა საზოგადოებას შეუძლია ამ მიზნის მიღწევაში მონაწილეობა სკოლისთვის ახალი საგანმანათლებლო და დემოკრატი-ული სივრცეების შექმნით, სხვა ინსტიტუციებთან და გარემომცველ საზოგადოებასთან ერთობით, ცოდნის გაზიარებით, ერთობლივი სწავ-ლითა და დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობით.

## 7. ფორმალურიდან არსებით (ქმედით) დემოკრატიულ მოქალაქეო-ბამდე

ეს პროცესი მოითხოვს კურიკულუმის შინაარსის გაფართოებას, რომელმაც უნდა მოიცვას არა მხოლოდ ფორმალური მოქალაქეობა, არ-ამედ ფორმალურ და ქმედით დემოკრატიებს შორის არსებული წყვეტის კრიტიკული ანალიზი. ეს მოითხოვს აქცენტის ცვლილებას „კონსტი-ტუციური მოქალაქეობიდან“ კრიტიკული პედაგოგიკისკენ. ცხადია, მო-ქალაქეობისა და დემოკრატიის შესწავლა კარგი დასაწყისია მოქალაქეო-ბრივი განათლებისთვის, თუმცა, ეს უნდა იყოს განათლების პროცესის დასაწყისი, და არა დაბოლოება, რადგან, ფორმალურ დემოკრატიაზე

ორიენტირებული კურიკულუმის საშუალებით, რთულია, მოსწავლეებს ავუხსნათ სტრუქტურული უთანასწორობისა და დისკრიმინაციული პრაქტიკის არსებობა. ადამიანის საყოველთაო უფლებათა დეკლარაციის მუხლების ნახევარს მაინც რომ ვასრულებდეთ, სამყარო ბევრად სამართლიანი და მშვიდობიანი იქნებოდა. იგივე შეიძლება ითქვას ბევრი ქვეყნის კონსტიტუციაზეც. მნიშვნელოვანია, ვისწავლოთ დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირების პრინციპები, ისევე, როგორც სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უფლებები. მნიშვნელოვანია, გავიგოთ, რა განაპირობებს მათსა და ყოველდღიური ცხოვრების რეალობებს შორის სხვაობას. ამ სხვაობათა ინტერპრეტირებისას, კურიკულუმში უნდა იყოს განხილული ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური სტრუქტურები, რომლებიც ხელს უშლის დემოკრატიული იდეალების რეალიზებას. ფორმალურსა და ქმედით დემოკრატიებს, მოქალაქეობის თეორიულ უფლებებსა და პრაქტიკაში მათ გამოყენებას შორის ხიდის გასადებად კურიკულუმში განხილული უნდა იყოს ისეთი საკამათო საკითხები, როგორებიცაა სიმდიდრის არათანაბარი განაწილება, ძალაუფლების გავლენა მედიაზე და პოლიტიკური სისტემა. მოსწავლეები უნდა ჩაერთონ კონკრეტულ ქმედებებში (იხ. 1-ლი მოსაზრება), რომ შეძლონ იდეალურსა და რეალურ სამყაროს შორის მანძილის შემცირება.

### 2.3. მოქალაქეობრივი განათლების კურიკულუმი და სკოლის დემოკრატიული კულტურა

#### 2.3.1. მოქალაქეობრივი განათლების კურიკულუმი

განათლების სისტემა ორიენტირებულია ავტონომიური, აქტიური და შემოქმედებითი პიროვნების ჩამოყალიბებაზე. ამ პროცესში სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს სწრაფადცვალებად სოციალურ გარემოსთან მოსწავლეთა ეფექტიან ინტეგრაციას, რაც შესაფერისი და ხარისხიანი განათლებით მიიღწევა.

სოციალური ინტეგრაცია არის ინდივიდებისთვის დამახასიათებელი კომუნიკაციისა და ქცევის მოდელების შერწყმის შედეგი (Canivez, 1990). სხვადასხვა საგნის შესწავლით, მოსწავლეები ივითარებენ მოქალაქეობრივ უნარებს: კომუნიკაცია, თანამშრომლობა, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობა, რაც ერთგვარი წინაპირობაა, რომ მათ შეძლონ საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კურიკულუმის გამართულობა და მისი ორიენტირები, კერძოდ, კურიკულუმმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლის სოციალური უნარების განვითარება. ეს ამოცანა სულ უფრო

მწვავედ დგას განათლების პოლიტიკის შემქმნელთა წინაშე, რადგან მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებმა განათლების სფეროს ახალი პრიორიტეტული ამოცანები დაუსახა: კომუნიკაცია, მონაწილეობა, პასუხისმგებლობა, მორალი, დემოკრატია, ტოლერანტობა, თანამშრომლობა და ა.შ.

კურიკულუმში აღნიშნული ამოცანების გადაჭრისკენ მიმართული კითხვებია:

1. რა გავლენას ახდენს მოქალაქეობის იდეასთან დაკავშირებული ლირებულებები, მნიშვნელობები და პრინციპები ზოგად განათლებაზე? და როგორ აისახება ეს კურიკულუმზე?

2. როგორ ხდება ზემოაღნიშნული ლირებულებების, მნიშვნელობებისა და პრინციპების განხორციელება სასწავლო პრაქტიკაში?

3. როგორ და რამდენად უკავშირდება მოქალაქეობრივი განათლების მიზნებს კურიკულუმის შინაარსი და სწავლის მეთოდები?

4. რა შემეცნებითი და პრაქტიკული შესაძლებლობები აქვს ფორმალური განათლების აქტივობებს?

5. რამდენად უზრუნველყოფს სკოლის მართვის მოდელი მასწავლებელთა, მშობელთა და თემის მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში? და სხვ.

მოქალაქეობრივი განათლების მისიაა, ჩამოაყალიბოს და განავითროს საჯარო ცხოვრებაში პიროვნების აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობები, რაც გამოიხატება საარჩევნო უფლებამოსილების (ხმის მიცემის) განხორციელებასა და ისეთ აქტივობებში ჩართულობაში, რომლებიც გავლენას ახდენენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვაზე, საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობის გაცნობიერებასა და შესაბამის ქცევაზე (Velea, 2004). მოქალაქეობრივი განათლების მისიას უკავშირდება პიროვნული განვითარების რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი: ტოლერანტობა, წიგნიერება, დემოკრატიული ღირებულები, საზოგადოების აქტიური წევრობა და მის მიმართ მიკუთვნებულობა (Olssen, 2002).

დემოკრატიული მოქალაქეობის სულისკვეთებით ინდივიდების აღზრდაში, რაც შესაბამისი ღირებულებებისა და აზროვნების სტილის დამკვიდრებასაც გულისხმობს, გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სკოლამ. იმისთვის, რომ გამართლდეს მოლოდინები და გადაიქრას კომპლექსური გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას თანამედროვე საზოგადოება, განათლების პოლიტიკამ:

1. უნდა განავითაროს ფორმალური კურიკულუმი დემოკრატიული მოქალაქეობის პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად, იმგვარად, რომ მასში ჩართოს შესაბამისი თემები, ინტერდისციპლინური საკითხები და

ინტეგრირებული პროგრამები.

2. უნდა უზრუნველყოს სწავლის პროცესის ორიენტირებულობა დემოკრატიულ ღირებულებებზე (ადამიანის უფლებები, პოლიტიკური პლურალიზმი, მონაწილეობითი პროცესები და გადაწყვეტილებები, კანონები და წესები).

3. უნდა განავითაროს ახალგაზრდების სოციალური და პიროვნული შესაძლებელობები: უფლებები და პასუხისმგებლობები, სოციალური და კომუნიკაციური უნარები, საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობა და სხვ.

5. სკოლები უნდა ჩამოაყალიბოს, როგორც ძალადობის, ქსენოფონის, რასიზმის, აგრესიული ნაციონალიზმისა და შეუწინარებლობის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ინსტიტუტები (Bîrzea, 2000).

მოქალაქეობრივი განათლება არ წარმოადგენს ცალკე აღებულ სასკოლო საგანს, ფორმალური განათლების აქტივობას, ცოდნის სფეროს, სოციალური ქმედების ფორმას, პოლიტიკურ ან ღირებულებით განათლებას, არამედ, არის საგანმანათლებლო პოლიტიკის ზოგადი და ძირითადი მიზანი, რომელიც იქმნება სწავლის პროცესში და აერთიანებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ განზომილებას. მისი მიზანია დემოკრატიული ქმედების პრაქტიკის განვითარება მრავალფეროვანი გამოცდილებისა და სოციალური აქტივობების გზით. მოქალაქეობრივი განათლება, როგორც სწავლისა და განვითარების უწყვეტი პროცესი, გულისხმობს ინდივიდებისა და ჯგუფების მომზადებას საზოგადოების ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად (Almond & Verba, 1996).

### 2.3.2. სკოლის დემოკრატიული კულტურა

სკოლის მართვა მოიცავს ყველა იმ პროცესის ანალიზს, რომელიც დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებასთან და გულისხმობს საგანმანათლებლო საზოგადოების სხვადასხვა აგენტს შორის ურთიერთობების შესწავლას, როგორც პიროვნებათშორისი განზომილების, ასევე, საერთო ანუ კოლექტიური ინტერესების კუთხით (Feu, Serra, Canimas, La'zaro, Simo'-Gi, 2017). ამგვარად, სკოლის მართვის ანალიზი მოითხოვს სკოლის ადმინისტრაციის მიერ შექმნილი ფუნქციური ორგანოებისა და მეტ-ნაკლებად არაფორმალური და სპონტანური პრაქტიკის შესწავლას, რომელიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლეთა ხმის შეფასება რთული ამოცანაა. იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსწავლეთა ხმა გაიგონ, აუცილებელია მოსწავლეების ფართო მონაწილეობა სასკოლო გადაწყვეტილებების ყველა სფეროში (როგორც ორგანიზაციისა და კურიკულუმის, ისე საგანმანათლებლო მისიის განსაზღვრაში). სხვა სიტყვებით რომ

ვთქვათ, სკოლაში მოსწავლის ხმა და მონაწილეობა თანამშრომლობის ეთოსის ნაზილი უნდა იყოს, რომელიც სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს მოიცავს (Sutherland, 2006).

სკოლის კონტექსტში კეთილდღეობაზე საუბრისას, ვგულისხმობთ ქმედებათა ნაკრებს, რომელიც საგანმანათლებლო საზოგადოებას და, განსაკუთრებით, მოსწავლეებს შეაძლებინებს მათი მთავარი ამოცანის შესრულებას: იყვნენ ავტონომიურად მოაზროვნე, ბედნიერი მოქალაქეები, რომლებსაც შეეძლებათ სხვებთან ჯანსაღი ურთიერთობა და განათლების სისტემის სხვადასხვა საფეხურზე წარმატების მიღწევა. ეს ფართო და მრავალფეროვანი პრინციპია, რომელიც სამი საკითხის ირგვლივ კონცენტრირდება:

- ქმედება, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების (განსაკუთრებით, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და ოჯახების) წევრობას;
- სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობს ყველას აკადემიურ წარმატებას;
- საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა და ადამიანური, ეკონომიკური და პედაგოგიური რესურსები.

ზოგიერთი ავტორი (Guarro, 2005) ერთმანეთს უკავშირებს დემოკრატიას, თანასწორობასა და აკადემიურ წარმატებას. მათი აზრით, დემოკრატიული სკოლა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, საზოგადოებაში ჰარმონიულად იცხოვრონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ. ზოგი ავტორი (Levinson, 2012, Reay, 2011) იცავს ინკლუზიურ განათლებას და მაქსიმალურ თანასწორობას. ისინი „საერთო სკოლის“ მომხრეები არიან, რომელიც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ერთგვაროვან შესაძლებლობებს, რაც არსებითია ჩვენს სამყაროში ნავიგაციისათვის, მისი გაგებისა და გააზრებული ცხოვრებისთვის.

განათლების სფეროში მოსწავლეთა განსხვავებულობა ჩანს პრაქტიკაში, დისკურსში, ინიციატივებში, პოლიტიკასა და პროექტებში, რომლებიც იმისთვის იქმნება, რომ ვალიაროთ (პატივი ვცეთ, მივესალმოთ) და პოზიტიურად შევაფასოთ „სხვა“ (ის, ვინც უმცირესობაა, არაატრადიციულია, არაჰეგემონურია და ა.შ.). ამ თვალსაზრისით, დემოკრატიული პრაქტიკა გულისხმობს სხვების მრავალმხრივ გაგებას და მათი შეხედულებათა სისტემის, კულტურისა და სიმბოლოთა სამყაროს გათვალისწინებას.

მრავალი ავტორი მიიჩნევს, რომ მოქალაქეობრივი განათლება ღირებულებითი განათლებაა და მას ეთიკის ელემენტად თვლის. ავტორთა

არსებითად განსხვავებული შეხედულებები მხოლოდ ამ ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გადაცემის გზებს ეხება. მაგალითად, ბარბოზა (Barbosa 2000) განსაზღვრავს სამ საპაზისო მოდელს:

- ცოდნისა და ღირებულებების გადაცემის მოდელი, რომლის მიხედვითაც შინაარსი გადაეცემა ერთ ან რამდენიმე საგანში ინტეგრირებული ექსპლიციტური კურიკულუმით;
- დემოკრატიული ჩვევების წვრთნის მოდელი, რომელიც ისწრაფვის, დემოკრატიული რუტინა და დამოკიდებულებები გამოცდილებითა და სკოლაში დემოკრატიული პრაქტიკის დანერგვით განავითაროს;
- სოციო-პოლიტიკურ რეალობასთან პირდაპირი კონფრონტაციის მოდელი, რომლის მიზანია დემოკრატიული ღირებულებებისა და დამოკიდებულებების განვითარება მოსწავლეთა მიერ რეალური სოციალური პრობლემების გამოვლენითა და მათ მოგვარებაში ჩართულობით.

მოქალაქეობა, როგორც კონცეფცია, შეგვიძლია განვიხილოთ ორი პერსპექტივიდან: როგორც მიღწევა და პრაქტიკა (Lawy & Biesta, 2006, 2009). პირველ შემთხვევაში, სკოლაში ის უნარები და შესაძლებლობები ვითარდება, რომლებიც მოსწავლეს სკოლის დამთავრების შემდეგ სჭირდება, ხოლო მეორე კონცეფცია მოსწავლეს განიხილავს, როგორც მოქალაქეს, რომელიც ჩართულია არსებულ სოციო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ წესრიგში. ამრიგად, სკოლის, როგორც ინსტიტუციის გამოცდილება და იქ ჩამოყალიბებული ინტერპერსონალური ურთიერთობები აყალიბებს მოსწავლის აზროვნებასა და ცხოვრების სტილს. მოქალაქეობა არ არის მხოლოდ ზრდასრულის გამოცდილება, ის განიცდება და ყალიბდება, როგორც ყველა ასაკობრივი ჯგუფის სოციალური ურთიერთობების ფართო ცვლილება. ის რეფლექსიურია, რადგან საკუთარ თავს კვებავს და შეფარდებითა, რადგან განსხვავებული ფაქტორების გავლენას განიცდის, რომელთა შორისაა სოციალური და სტრუქტურული პირობები. შესაბამისად, არ შეიძლება მისი უბრალოდ სწავლა სკოლაში ან ნებისმიერ სხვა ინსტიტუციაში, თუმცა საერთოა ყველა სიტუაციისათვის (Lawy & Biesta, 2006).

### 2.3.3. დემოკრატიული საკლასო რთახი

თანამშრომლობითი სწავლა მოსწავლეებს ეხმარება სოციალური პრობლემების თავიდან აცილებაში, ძალადობის შემცირებასა და კონფლიქტის მართვაში. ისინი ივითარებენ მაღალ სააზროვნო უნარებს, სვამენ კითხვებს, რისი მეშვეობითაც ერთმანეთს განსხვავებული პერ-

სპექტივის ალმოჩენაში ეხმარებიან (Ferguson-Patric K., 2012).

მასწავლებლის გავლენა მოსწავლის აკადემიურ წინსვლაზე კიდევ უფრო ქმედითია, თუკი ის ზრუნავს მტკიცე ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. ზრუნვა, ნდობა და პატივისცემა აუცილებელია მოსწავლეებს შორის და მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობებში (Hattie, 2003; Rowe, 2003). ამის მიღწევას ხელს უწყობს თანამშრომლობითი სწავლა, რომელიც სხვებისადმი პატივისცემას ეფუძნება. თანამშრომლობითი მიდგომა განაპირობებს დემოკრატიული საკლასო/სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას და დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა წარმატებაზე.

დემოკრატიული საკლასო ოთახის ინდიკატორებია:

1. დემოკრატიული სასკოლო კულტურა;
2. შემსწავლელთა საზოგადოება;
3. ინკუზიური პრაქტიკა;
4. სოციალური სწავლა.

1. დემოკრატიულ საკლასო ოთახში ინტერაქცია მოიცავს „მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას საკუთარი სწავლის პროცესში, თანამშრომლობას, პატივისცემას, თანასწორობის აღიარებას“ (Fearnley-Sander, Moss & Harbon, 2001). ამასთან, დემოკრატიული სასკოლო კულტურის პირობებში, როცა უბრალოდ კი არ ვასწავლით სამოქალაქო განათლებასა და მოქალაქეობას, არამედ მოსწავლეებს შესაბამის გარემოსაც ვთავაზობთ, იზრდება მათი მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობა (Fearnley-Sander, Moss, & Harbon, 2001). დემოკრატიის კონცეფციის დიუისეული განმარტება ასეთია – „ეს (დემოკრატია) არის ცხოვრების წესი“. მისივე მტკიცებით, პიროვნული თავისებურებების განვითარება ხდება ინტერპერსონალური ურთიერთობების საშუალებით, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევაზე. ის მასწავლებელს ცვლილების აგენტად მიიჩნევდა, რომელსაც შეეძლო დემოკრატიულ ღირებულებებზე აგებული საზოგადოების სრულყოფა. ამრიგად, საკლასო ოთახი შეგვიძლია ჩვენი ფართო საზოგადოების მიკრომოდელად განვიხილოთ (Schul, 2011). დემოკრატიული მიდგომა არსებითია დემოკრატიული საკლასო კულტურის შესაქმნელად, რადგან ის ზემოქმედებს საკლასო ოთახში ყოველდღიურობაზე, ურთიერთობებზე, დემოკრატიის შესახებ სწავლებასა და დემოკრატიული ღირებულებების განვითარებაზე (Vinterek, 2010).

2. დემოკრატიულ საკლასო ოთახში მოსწავლეები ზრუნავენ ერთმანეთზე. ისინი ერთმანეთთან დასაკავშირებელ ხიდებს აგებენ და ერთგვარ საზოგადოებას ქმნიან. ვენგერი (Wenger, 1998) დემოკრატიული

საკლასო ოთახის ინდიკატორად გვთავზობს შემდეგ მოცემულობას - „მდგრადი ჰარმონიული ურთიერთობები, ერთობლივი საქმიანობის წარმართვის ერთიანი მიღები და სამყაროს კონკრეტული პერსპექტივის ასახვის გაზიარებული/საერთო დისკურსი“.

3. ინკლუზიური პრაქტიკის ცნება მოიცავს ინკლუზიურ განათლებას, რომელიც ფოკუსირებულია არა სპეციალური საჭიროების მოსწავლებზე, არამედ ყველა მოსწავლის საჭიროებებზე. ინკლუზიურ საკლასო ოთახს სჭირდება მასწავლებელი, რომელსაც ყველა მოსწავლის შესაძლებლობისა და წარმატების მიღწევის სჯერა. ინკლუზიურ საკლასო ოთახში მასწავლებელს დაჯგუფების სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება უნდა შეეძლოს და არ უნდა დასჯერდეს „ძლიერებად“ და „სუსტებად“ მარტივ დაყოფას. ასეთი მასწავლებელი ისწრაფვის, დასძლიოს პროფესიული სირთულე, რომელიც ზოგიერთი მოსწავლის სწავლებას უკავშირდება. ის ცდილობს, შექმნას გარემო, სადაც ყველა ზრდასრული პატივს სცემს მოსწავლეებს, როგორც მსწავლელთა საზოგადოებას და მუდმივად ვითარდება პროფესიულად ინკლუზიური პრაქტიკის მიმართულებით (Florian & Black-Hawkins, 2011). ინკლუზიურ საკლასო ოთახში მასწავლებელს სჯერა, რომ შეძლებს „ექსკლუზის“ (გამორჩეულობის/გამონაკლიისის) დაძლევას, ინკლუზიური პრაქტიკის წყალობით. „ინკლუზია განიხილება, როგორც ყველა მოსწავლის მრავალფეროვან საჭიროებებზე რეაგირების პროცესი სწავლებაში, კულტურებსა და საზოგადოებებში მონაწილეობის გაფართოების გზით“ (UNESCO, 2003).

4. სოციალური სწავლის მნიშვნელობას მრავალი კვლევა ადასტურებს. როცა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის პატივისცემა და მეგობრულ-თანამშრომლობითი ურთიერთობა არსებობს, მოსწავლის გონიერივ განვითარებასა და სწავლას ხელსაყრელი გარემო ექმნება (Kusche & Greenberg, 2006). მასწავლებელთან და თანატოლებთან ემოციური კავშირები, რომელიც ღირებულია აკადემიური წარმატება და სწავლა, ხელს უწყობს მოქალაქეობრივ ღირებულებათა შემდგომ განვითარებას და მოსწავლის მიერ წარმატების მიღწევას (Catalano, Berglund, Ryan, Lonczak & Hawkins, 2002).

კვლევის შედეგებმა (Ferguson-Patric, K., 2012) აჩვენა, რომ მოსწავლეებში დემოკრატიის ზემოხსენებული ნიშნები/ინდიკატორები განმტკიცდა თანამშრომლობითი სწავლის გამოყენების საფუძველზე. საკლასო აქტივობები იმგვარად იყო დაგეგმილი, რომ მოსწავლეები-სგან მოითხოვდა დიალოგში მონაწილეობას, განსხვავებული პერსპექტივების განხილვას, ტოლერანტობას, პატივისცემასა და ინტერპერსონალური ურთიერთობების დამყარებას. მოსწავლეებში განვითარდა გადაწყვეტილების მიღების უნარი, ამაღლდა თვითშეფასება, საკუთარი

შესაძლებლობებისადმი ნდობა. თანამშრომლობითი სწავლისა და დემოკრატიული მიდგომის შედეგად, მოსწავლეებში უმჯობესდება: დადებითი ურთიერთდამოკიდებულება და გუნდურობის განცდა; თანასწორობის ალიარება; ინფივიდუალური პასუხისმგებლობა; პატივისცემა და ტოლერანტობა; დემოკრატიული განწყობები – თავისუფალი აზროვნება, სხვებთან ერთად გადაწყვეტილების მიღება, სხვების პერსპექტივის გათვალისწინება; ურთიერთობის კულტურა; მოსმენისა და აზრის გამოხატვისთვის მზადყოფნა; ინტერპერსონალური უნარები; პროსოციალური ქცევა; ინკლუზიური პრაქტიკა; ნდობა, რომ მოსწავლეები მიღებენ სწავლის შესახებ სწორ გადაწყვეტილებებს; სოციალური უნარები; სოციალური სწავლა; მიკუთვნების გრძნობა.

როცა მოსწავლეებს შეუძლიათ თავისუფალი აზროვნება და სხვათა მოსაზრებების მოსმენა, სხვათა გრძნობების გათვალისწინება, იზრდება ალბათობა, რომ დადებითი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდებათ განსხვავებულობისა და მრავალფეროვნებისადმი და ხელი შეეწყობა სამოქალაქო და სოციალურ ჩართულობას. მათ დადებითი ურთიერთდამოკიდებულება და გუნდურობის განცდა უყალიბდებათ. თანამშრომლობით სწავლაში მონაწილე მოსწავლეები ერთვებიან მოლაპარაკებაში, სწავლობენ კონფლიქტის მოგვარებას სხვადასხვა კონტექსტში. თანამშრომლობით საკლასო ოთახში მასწავლებელი ცდილობს, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში არა მხოლოდ საკუთარი შეხედულებების განვითარებას, არამედ განსხვავებული შეხედულებების ალიარებასაც. ასეთ გარემოში საუბარი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მოსმენა. აქ წაახალისებენ რისკს და ერთმანეთის შესაძლებლობების რწმენას. კომუნიკაციის კულტურა ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიული პრინციპების ამოქმედებას. საუბრისა და მოსმენის ჯანსაღი გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეები პასუხს აგებენ საკუთარ ქმედებაზე, იმ მასწავლებელს შეუძლია, რომელსაც სჯერა თანასწორობის, თავისუფლებისა და სამართლიანობის დემოკრატიული პრინციპების.

შემსწავლელთა საზოგადოებას აძლიერებს მოსწავლეების ერთმანეთზე ზრუნვა, რაც ხელს უწყობს ტოლერანტობასა და პატივისცემას, სოციალური უნარების განვითარებას, ფიქრს საერთო დავალების შესრულების დროს და მისი დასრულების შემდეგ. საერთო ხედვა და დისკურსი ვითარდება პირისპირი ურთიერთობების საფუძველზე, რომლის დროსაც მოსწავლეები საერთო მიზნის მიღწევას ცდილობენ და დადებითი ურთიერთდამოკიდებულების საშუალებით იზრდება გუნდური სულისკვეთება.

სოციალურ სწავლას ხელს უწყობს დადებითი კომუნიკაცია და ურთიერთპატივისცემა. მოსწავლეები ცდილობენ ყველას მოსაზრების

გათვალისწინებას კონკრეტული ამოცანის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. პატივისცემა ხდება მასწავლებელი–მოსწავლისა და მოსწავლე–მოსწავლის ურთიერთობების საფუძველი. დადებით ურთიერთდამოკიდებულებაზე ზრუნვა განამტკიცებს სოციალურ სწავლასა და კლასში მიყუთვნებულობის გრძნობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიულ საკლასო ოთახსა და მასწავლებელს, რომელიც თანამშრომლობით სწავლას იყენებს, ერთგვარი სინერგიის ეფექტი აქვს. თუკი საზოგადოება ისწრაფვის, ააშენოს დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანობასა და პატივისცემას, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ არამარტო მოსწავლეთა სწავლის აკადემიური, არამედ, მათი სოციალური განვითარების შედეგებიც. თანამშრომლობითმა სწავლამ, როგორც სტრატეგიამ, დაადასტურა მოსწავლეთა აკადემიური და სოციალური სწავლის ხელშემწყობი ფუნქცია. თანამშრომლობითი სწავლის პროცესში მოსწავლეები ერთმანეთთან კოგნიტურ, სოციალურ და ემოციურ კავშირებს ამყარებენ და ვითარდებიან. ეს ინკლუზიური პედაგოგიკა, რომელიც წაახალისებს დემოკრატიულ საკლასო გარემოს.

## 2.4. მოქალაქეობრივი განათლების კონტექსტი

### 2.4.1. ჩართულობა მოქალაქეობრივი განათლების კონტექსტში

მოქალაქეობრივი განათლება მიმართულია იქით, რომ საზოგადოების წევრები ფლობდნენ საკმარის ცოდნას, უნარებს, განწყობებსა და დამოკიდებულებებს, რათა მათ, პირდაპირი მონაწილეობის გზით, ხელი შეუწყონ მოქალაქეობრივი შეგნების გაძლიერებას საზოგადოების წარმომადგენლებში (Dewey, 1916; Gutmann, 1987; Apple & Beane, 2007a). კვლევები ადასტურებს, რომ დემოკრატიული პრინციპების გასაძლიერებლად საკმარისი არ არის მხოლოდ დემოკრატიის საკითხებისა და მისი ფუნქციონირების მექანიზმების ცოდნა, არამედ, აუცილებელია „დემოკრატიული განათლების“ მიზნებსა და მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ისეთი კომპლექსური და მულტიპერსპექტიული საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც, მოქალაქეთა ჩართულობით განაპირობებს საზოგადოების უკეთესობისკენ ტრანსფორმაციას (Banks, 2002; Giroux, 2004).

სოციალური სამართლიანობისკენ მისწრაფებით და მისი მხარდაჭერით, მოქალაქეობრივი განათლება გვთავაზობს შესაძლებლობას, პირველ რიგში, დავიცვათ ყველა მოსწავლე უსამართლო მოპყრობისგან და უზრუნველვყოთ მათი თანაბარუფლებიან მოქალაქეებად ჩამოყალიბება (Young, 2006). მეორე მხრივ, მოქალაქეობრივი განათლება, ფორმალური

და არაფორმალური განათლების აქტივობებში მოსწავლეთა ჩართვით, გვაძლევს ყველა მოსწავლის პერსონალური განვითარების შესაძლებლობას (Abdi & Richardson, 2008; Gutmann, 1987).

მოქალაქეობრივი განათლების მიზნების მისაღწევად, მისი ეფექტიანობის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანია მასწავლებელთა მაღალი მზაობა, რაშიც იგულისხმება როგორც კვალიფიკაცია, ისე სურვილი, სასწავლო პროცესი დაუკავშირონ მოსწავლეებში დემოკრატიული უნარების და დამოკიდებულებების განვითარებას (Democratic Inclusive Educators, 2013). ამ მხრივ წარმატებული მასწავლებლები ხშირად ახდენენ საკუთარი პრაქტიკის შეფასებას, ითვალისწინებენ კოლეგების გამოცდილებას და მუდამ ცდილობენ სიახლეების გათვალისწინებას. პრაქტიკის შესაფასებლად და ინოვაციური მიდგომების დასანერგად საჭიროა, მასწავლებლებმა გამოიყენონ კვლევის სწორად შერჩეული ინსტრუმენტები. თვითშეფასება უნდა ითვალისწინებდეს შემდეგი გარემოებების/ასპექტების კვლევას:

1. როგორ მესმის მოქალაქეობრივი ჩართულობა და რა მნიშვნელობას ვანიჭებ მას ჩემს პედაგოგიკურ პრაქტიკაში?
2. რამდენად უწყობს ხელს სწავლა-სწავლებისა და კლასის მართვის ჩემული სტილი მოსწავლეთა მოქალაქეობრივ ჩართულობას?
3. მოქალაქეობრივი ჩართულობის გამოცდილების ზრდასთან ერთად, როგორ იცვლება მოსწავლეთა მონაწილეობის ხარისხობრივი მაჩვენებლები სხვადასხვა საკითხზე/თემაზე მუშაობისას?
4. როგორ და რამდენად ფლობენ მასწავლებლები მოქალაქეობრივი განათლების პრინციპებს?
5. რა გზით შეიძლება მასწავლებლებმა გაიფართოონ მოქალაქეობრივი წარმოდგენები და გაიუმჯობესონ პრაქტიკა?

არაერთ თეორეტიკოსს აქვს შესწავლილი მოქალაქეობისა და დემოკრატიული ჩართულობის ასპექტები. მათი თვალსაზრისით, დემოკრატიული ჩართულობა ხორციელდება იმ შესაძლებლობების ფარგლებში, რასაც იძლევა ამა თუ იმ საზოგადოების პრაქტიკული დემოკრატიული გამოცდილება. საზოგადოებას შეუძლია, შეცვალოს საკუთარი ასპარეზის საზღვრები და ინტენსივობა დემოკრატიული პრაქტიკის გაძლიერებით. ინდივიდები, რომლებიც მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, უნდა ფლობდნენ დემოკრატიისთვის ბრძოლის ხერხებს, რაც მოქალაქეებისგან, დემოკრატიის წესების ცოდნასთან ერთად, მათი გამოყენების უნარის ფლობასაც გულისხმობს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება პოლიტიკურ პროცესებზე კონტროლის მოპ-

ოვების მცდელობებს. ამასთან, მოქალაქეები მზად უნდა იყვნენ, საკუთარი ცოდნა და დემოკრატიის ფარგლებში მოქმედების თავისუფლება გაავრცელონ საზოგადოებაში. ამრიგად, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა დამოკიდებულია დემოკრატიის ცოდნასა და საზოგადოებრივი ვალდებულებების გათავისებაზე. საბოლოო ჯამში, მონაწილეობითი დემოკრატია შეგვიძლია წარმოვიდგინოთ პროცესად, სადაც ინდივიდები აქტიურად მონაწილეობენ პრობლემური საკითხების გარშემო დებატებსა და გადაწყვეტილებების მიღებაში.

#### 2.4.2. დემოკრატიული გამოცდილება, მონაცილეობა და ნდობა

ბავშვის განვითარების შესახებ ახალი სოციოლოგიური შეხედულების შესაბამისად, ერთი მხრივ, სისტემა ზღუდავს ბავშვებს, მაგრამ, იმავდროულად, ბავშვები აქტიურად ზემოქმედებენ სისტემაზე (Thornberg, Elvstrand, 2012). ისინი უბრალოდ კი არ სწავლობენ სოციალურ სამყაროს, არამედ, ცდილობენ, გაიაზრონ საკუთარი კულტურა და მონაწილეობა მიიღონ მასში (Corsaro, 2005). „ბავშვები ქმნიან და მონაწილეობენ თანატოლთა უნიკალურ კულტურაში, შემოქმედებითად იღებენ და უსადაგებენ ზრდასრულთა სამყაროდან მიღებულ ინფორმაციას საკუთარი პრობლემების გადაჭრას“ (Corsaro, 2005). განვითარების სფერობის თეორიის მიხედვით (Nucci, 2001; Smetana, 2006; Turiel, 2006), კონიტური სტრუქტურები ვითარდება და ყალიბდება ფუნდამენტური კატეგორიების, ე.წ. დომენების საზღვრებში ბავშვებისა და სოციალური გარემოს ურთიერთექმედების შედეგად. თეორიის მიხედვით, ბავშვები საკუთარ სოციალურ ცოდნას აგებენ სამ განსხვავებულ სფეროში:

1. ზნეობრივი სფერო - გულისხმობს ადამიანის კეთილდღეობას, სამართლიანობასა და უფლებებს. სოციალური - „თვითნებურ“ ნორმებს (ეტიკეტი და მანერები), რომლებიც აწესრიგებენ ინდივიდების ურთიერთექმედებას სოციალურ სისტემებში;

2. სოციალური სფერო - სოციალური შეთანხმებები ეფუძნება ავტორიტეტს, ტრადიციებსა და ჩვეულებებს;

3. პერსონალური სფერო - მიანიშნებს ქმედებათა იმ ნაკრებზე, რომელსაც ინდივიდი, პირველ რიგში, მიაწერს საკუთარ თავს და, რომელიც, გამართლებული სოციალური რეგულაციის ფარგლებს მიღმაა (Nucci, 2001, Helwig, 2006).

ეს ქმედებები განიხილება არა „სწორი“ და „არასწორის“ კატეგორიების, არამედ იმის მიხედვით, თუ რას ანიჭებს ინდივიდი უპირატე-

სობას და როგორ არჩევანს აკეთებს. დასავლურ კულტურაში ამგვარ ქმედებათა მაგალითებია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, მეგობრების, პარტნიორებისა და გასართობი აქტივობების თავისუფალ არჩევანზე ფოკუსირებული ქმედებები. კვლევები ადასტურებს, რომ მორალური, საზოგადო და პერსონალური საკითხები ადრეულ ასაკში ვლინდება, როგორც განსხვავებული კონცეპტუალური ჩარჩოები (ე.ნ. დომენები) სხვადასხვა კულტურებში (Nucci, 2001; Turiel, 2006). შედეგად, ბავშვებში ადრეული ასაკიდანვე შეინიშნება ტენდენცია, კრიტიკულად განსაჯოს საკუთარ გარემოში (მაგ. ოჯახსა ან სკოლაში) ზოგიერთი სოციალური შეთანხმება (სოციალური ნორმებისა და წესების ფორმით არსებული), როგორც ზნეობრივად მცდარი (მაგ. უსამართლო) ან დაპირისპირებული იმასთან, რაც, მათი აზრით, მათივე გადასაწყვეტია (მაგ. პერსონალური სფერო).

ამრიგად, განვითარების თეორიების მიხედვით, ბავშვები (ისევე, როგორც ზრდასრულები) საკუთარი გამოცდილების ინტერპრეტაციასა და მასზე რეფლექსიის ახდენენ, ზოგიერთ სოციალურ ნორმას იღებენ, ზოგს კი ეჭვქვეშ აყენებენ ან უარყოფენ (Neff & Helwig, 2002; Wainryb, 2006). სოციალურ სამყაროში ინდივიდის აქტიური პოზიცია გულისხმობს კულტურის გაზიარებულ და არაგაზიარებულ ასპექტებს, როგორც ინდივიდის ფარგლებში, ისე საზოგადოების წევრებს შორის (Neff & Helwig, 2002). ბავშვების დამოკიდებულება სოციალური გამოცდილების მნიშვნელობასთან და ამ გამოცდილების მარეგულირებელ ღირებულებებთან და ნორმებთან განსხვავებულია. მათ, შესაძლოა, კრიტიკული დამოკიდებულებაც კი განუვითარდეთ სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის მიმართ, დაუპირისპირდნენ მას ან მისი შეცვლაც კი სცადონ (Wainryb, 2006).

ამავდროულად, ბავშვებისაგან მოელიან მშობლებისა და მასწავლებლებისადმი მეტ-ნაკლები ხარისხის მორჩილებასა და ერთგულებას. ისინი დამოკიდებულნი არიან მშობლებზე და ემორჩილებიან ზრდასრულთა კონტროლს (Alderson, 1999). ირლანდიაში დაწყებით საფეხურზე ჩატარებული კვლევის მონაცემებით, მოსწავლეებს არ შეუძლიათ ხმის ამოღება ან სხვაგვარი მონაწილეობა საკუთარი სასკოლო ცხოვრების წესებსა და სხვა ასპექტებთან დაკავშირებით (Devine, 2000, 2002). დიდ ბრიტანეთში (Davies, 2000; Thomas & O’Kane, 1999), კანადასა (Raby, 2008) და სკანდინავიაში (Aspán, 2009) ჩატარებულმა კვლევებმაც მსგავსი შედეგები აჩვენა – მოსწავლეებში გავრცელებულია შეხედულება, რომ გადაწყვეტილებები და წესები მასწავლებლების ან სკოლის ადმინისტრატორების მიერ მიიღება და მოსწავლეებს არ აქვთ ხმის უფლება. კვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ შვედ მოსწავლეთა შესაძლე-

ბლობა - სკოლაში გამოთქვან საკუთარი მოსაზრება და მონაწილეობა მიიღონ, როგორც დემოკრატიულმა აგენტებმა, მკაცრად შეზღუდულია. მაგალითად, კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მასწავლებლები ბავშვებისთვის მიმართულების მიცემაზე, მათ მორალურ და სოციალურ აღზრდაზე ზრუნავდნენ და არ ქმნიდნენ ისეთ სასწავლო გარემოს, რომელიც ხელს შეუწყობდა მოსწავლეთა კრიტიკულ აზროვნებას, ან ურთიერთობას, რომელშიც ისინი თავიანთი პერსპექტივებითა და ინტერესებით ჩაერთვებოდნენ (Aspán, 2009).

ამრიგად, სკოლის სტრუქტურასა და პრაქტიკაში არსებობს კონფლიქტი ავტორიტარულ/ტრადიციულ და დემოკრატიულ/პროგრესულ იდეალებს შორის. საკლასო ოთახში დისციპლინა არის „სკოლის ტექნოლოგია, რომლის საშუალებით ხდება სოციალური აღზრდა და მოსწავლეთა პოპულაციის რეგულირება“ (Millei & Raby, 2010) და სწორედ ამიტომა ის ძალაუფლებით გამსჭვალული. როგორც ბერნშტეინი აღნიშნავს, ეს მარეგულირებელი დისკურსი მორალური დისკურსია, რადგან ქმნის კრიტიკულებს ხასიათისთვის, ქცევისთვის, მანერებისთვის და ა.შ. (Bernstein, 2000). ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში წესები, რეგულაციები, პროცესები და ღირებულებათა კონფლიქტები შესაძლებელია გავიგოთ და შევისწავლოთ ფარული კურიკულუმის თვალისაზრისით. ფარული კურიკულუმი შესაძლოა განვსაზღვროთ, როგორც „ყველაფერი, რასაც მოსწავლეები სწავლობენ ოფიციალური კურიკულუმის მიღმა“. ეს არის „ცოდნასთან, ღირებულებებთან, ქცევის ნორმებთან და დამოკიდებულებებთან დაკავშირებული იმპლიციტური შეტყობინებების ნაკრები, რომელსაც მოსწავლეები აწყდებიან საგანმანათლებლო პროცესში“ (Skelton, 1997) და მას მუდამ ახლავს ნორმატიული და ზნეობრივი კომპონენტი (Portelli, 1993). ფარული კურიკულუმის ფუნქცია სოციალური კონტროლია და განისაზღვრება სხვადასხვაგვარად, როგორც პოლიტიკური სოციალიზაცია, ღირებულებათა გადაცემა, კლასის სტრუქტურის შენარჩუნება, მორჩილების სწავლება, დომინანტური ნორმატიული დისკურსის შენარჩუნება და ა.შ.

როგორც კვლევებმა ცხადჰყო, ურთიერთობის ფორმა, როდესაც მასწავლებელს ძალაუფლება აქვს, ხოლო მოსწავლე უნდა დაემორჩილოს, საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. ავტორიტეტისადმი მორჩილება, და არა დემოკრატიული მონაწილეობა, კვლავაც არის ფარული კურიკულუმის განუყოფელი ნაწილი. სკოლის წესების, რუტინისა და სუბორდინაციის გაცნობ „სწავლების“ ნაწილია, სადაც ავტორიტეტისადმი, წესებისადმი, დროის გრაფიკისადმი, რუტინისადმი და ა.შ. მორჩილება აუცილებელია მოსწავლის სასკოლო, ხოლო მოგვიანებით, შრომით ცხოვრებაში ჩართვისთვის. ავტორიტეტისადმი მორჩილების

ნორმა სოციალური ცხოვრების სტრუქტურის საბაზისო ელემენტია. სახლშიც და სკოლაშიც ბავშვებისაგან ელოდებიან, რომ დაემორჩილონ ზრდასრულს. ადამიანებში ეს დასწავლილი ნორმა პრობლემურია, რასაც შედეგად ბრმა მორჩილება მოსდევს და ხშირად გადაწყვიტების სხვა ნორმებსა და ღირებულებებს. ამ შემთხვევაში, ზნეობა კი არ ქრება, არამედ რადიკალურად განსხვავებულ ფოკუსზე გადაერთვება: ადამიანი გრძნობს პასუხისმგებლობას ავტორიტეტის წინაშე, თუმცა არანაირ პასუხისმგებლობას არ გრძნობს იმ ქმედებების მიმართ, რომლის შესრულებაც ავტორიტეტმა დაავალა. კვლევამ დაადასტურა, რომ მასწავლებლისადმი მოსწავლეთა დაქვემდებარებული მდგომარეობა ეწინააღმდეგება დემოკრატიას სკოლაში და, შესაბამისად, მოსწავლეთა მონაწილეობის პოლიტიკურ განზრახვას და დემოკრატიულ განათლებასაც (Dewey, 1916; Englund, 2006).

განათლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიზნად უნდა იქცეს სასკოლო გადაწყვეტილებებში მოსწავლეების მონაწილეობის უზრუნველყოფა და სკოლის დემოკრატიულ პროცედურებში ჩართვა (Utbildningsdepartementet, 1998; Saha & Print, 2010; Thornberg, Elvstrand, 2012). ლია საკლასო გარემოში მოსწავლეებს თავისუფლად შეუძლიათ, არ გაიზიარონ მასწავლებლის პოლიტიკური და სოციალური შეხედულებები, ხოლო მასწავლებელი პატივს სცემს მოსწავლეთა მოსაზრებებს და წაახალისებს მათ თვითგამოხატვას, პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე მსჯელობას. მოსწავლეთა მიერ საკლასო გარემოს ღიაობის ხარისხის განცდა პოზიტიურ კორელაციაშია მათივე სამოქალაქო ცოდნასთან და ხელისუფლებისადმი ნდობასთან, ასევე, მათ პოლიტიკურ ინტერესთან, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება მოსწავლეთა დემოკრატიულ ღირებულებებს და სოციალურ ჩართულობას. კვლევების საფუძველზე, გამოვლენილია ის წინააღმდეგობები, რომელთა გადაჭრა აუცილებელია ლია სასკოლო და საკლასო გარემოს შესაქმნელად, რაც ხელს შეუნიობს მოსწავლეთა ჩართვას დემოკრატიულ გამოცდილებაში და მოამზადებს სკოლის ფარგლებს მიღმა დემოკრატიაში აქტიური მონაწილეობისთვის. სანამ წინააღმდეგობები და შეზღუდვები იმპლიციტურად მოქმედებს, როგორც სკოლის ფარული კურიკულუმის შემადგენელი ნაწილი, მოსწავლეთა მონაწილეობა ვერ იქნება წარმატებული, როგორი სრულყოფილიც უნდა იყოს განათლების ეროვნული კანონები და სასკოლო დემოკრატიის პოლიტიკა.

სკოლის კულტურის განვითარებაში მოსწავლეთა მონაწილეობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, აუცილებელია: (1) მასწავლებლებმა აიმაღლონ ცოდნა თითქოსდა თავისთავად ნაგულისხმევი ძალაუფლებისა და ყოველდღიურ სასკოლო კულტურაში ურთიერთობის მოდელის,

სასკოლო ცხოვრების შესახებ, რადგან ამის გარეშე ფუჭი იქნება სასკოლო დემოკრატიისთვის სივრცის შექმნის ნებისმიერი ძალისხმევა. (2) ადგილობრივმა პოლიტიკოსებმა და სკოლის ადმინისტრატორებმა ხელი უნდა შეუწყონ სკოლის დემოკრატიული კულტურის განვითარებას. (3) მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლის მომზადების პროგრამებში გათვალისწინებულია ბავშვთა უფლებების, სკოლის კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტების სწავლება (სადაც ხაზგასმულია სასკოლო დემოკრატიის მიზანი და მოსწავლეთა მონაწილეობა), სამწუხაროდ, არ ასწავლიან, როგორი უნდა იყოს მონაწილეობითი დემოკრატიის პრაქტიკა, როგორ უნდა მართონ დემოკრატია სკოლაში და როგორ გაუმჯობესდნენ სკოლის კულტურაში არსებულ წინააღმდეგობებს. შესაბამისად, მომავალ მასწავლებლებს ზედაპირული წარმოდგენა აქვთ მონაწილეობითი დემოკრატიის შესახებ, არ აქვთ შესაბამისი დამოკიდებულება თავისთავად არსებული ნორმებისა და ძალაუფლების შესახებ, რაც მათ ხელს უშლის სასკოლო დემოკრატიის დანერგვაში. ეს საკითხები გათვალისწინებული უნდა იყოს მასწავლებლის მომზადების კურიკულუმსა და სასკოლო პრაქტიკაში. სასარგებლო იქნება წარმატებული სასკოლო დემოკრატიის გაცნობაც და მისი ადაპტირება ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

#### **2.4.3. მოსწავლეები – სასკოლო გადაწყვეტილებების ძირითადი აგენტები**

დემოკრატიული კულტურის მქონე სკოლების მოსწავლეები ჩართულნი არიან სკოლის სტრატეგიულ განვითარებაში, რამდენადაც ისინი აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში. დემოკრატიულ სასკოლო/საკლასო გარემოში მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეების ჩართვას გაკვეთილის გეგმის შემუშავებაში, შეფასების სისტემის განსაზღვრაში, სწავლების მეთოდების, გაკვეთილზე გამოყენებული მიდგომებისა და აქტივობების შერჩევაში (Young, 2006). კურიკულუმის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში მოსწავლეების ჩართულობის აპრობირებული საშუალებაა მათი ინტერესების და მოლოდინების გათვალისწინება მოკლე და გრძელვა-დიანი საგანმანათლებლო მიზნების ჩამოყალიბებისას (Garrison, 2008; Greer, Greer, & Hawkins, 2003; Gross, 2006; Metzger, 2004). „ბავშვებს აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც შეეხება მათ მომავალ განათლებას. მათ, ასევე, უფლება აქვთ, უარი თქვან განსხვავებულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და არა-ფორმალური განათლების აქტივობებში მონაწილეობაზე“ (Osler, 2010).

იმისთვის, რომ მოსწავლეთა ხმა სასკოლო ცვლილებებში უფრო მნიშვნელოვანი გახდეს, საჭიროა, მათ შეძლონ თავიანთი არჩევანის დაფიქსირება ლეგიტიმური და ურთიერთშეთანხმებული ფორმით. მაგალითად, კურიკულუმის საკამათო საკითხების განხილვა შეიძლება მოეწყოს მოსწავლეთა კონფერენციებზე, სასკოლო საზოგადოების კრებებზე ან მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ.

საკლასო გადაწყვეტილებების მიღებაში მოსწავლეების მონაწილეობა ეფუძნება და აძლიერებს იმ კავშირებს, რომლებიც წარმოიშვება რეალური ცხოვრებისეული გამოცდილებისა და სწავლის ურთიერთკავშირის შედეგად. ასეთი პრაქტიკა მოსწავლეებს სამუალებას აძლევს, განიხილონ პრობლემები და მათი გადაჭრის შესაძლებლობები. მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ ინიცირებული საკლასო გადაწყვეტილებები მოსწავლეებს აძლევს მოქმედებისა და აზროვნების დამატებით იმპულსებს, როდესაც ისინი იყენებენ დემოკრატიულ უნარებს და ხდებიან მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროცესებისა და სიტუაციების მონაწილეობი (Osler, 2010; Parker, 2008). მეტიც, გადაწყვეტილების მიღებაში მოსწავლეების მონაწილეობა განაპირობებს დამდგარი შედეგებისადმი მათ პოზიტიურ, მიმღებლურ დამოკიდებულებას. ამასთან, მოსწავლეთა ჩართულობა სასკოლო და საკლასო გადაწყვეტილებების მიღებაში, თავისითავად წარმოადგენს დემოკრატიულ პროცესს და მასში მონაწილეობა მოქალაქეობრივი განათლების ეფექტური და უაღტერნატივო გზაა. პროცესებში მონაწილეობით მოსწავლეები იძენენ ახალ და ივითარებენ უკვე არსებულ დემოკრატიულ გამოცდილებას, ეცნობიან, აფასებენ და ითვალისწინებენ განსხვავებულ თვალსაზრისებს, სწავლობენ სხვადასხვა ჯგუფთან კომუნიკაციას, გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმებს, უძლიერდებათ პირადი პასუხისმგებლობა თანატოლებისა თუ უფროსების მიმართ.

როგორც სხვადასხვა კვლევაში მონაწილე მასწავლებლები მიუთითებენ, მოსწავლეთა ჩართულობა განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, თუ ის არ შემოიფარგლება მხოლოდ საკლასო და სასკოლო დონეებზე მონაწილეობით და გარკვეული პროექტების ფარგლებში ხერხდება არაფორმალური გარემოს, სათემო და საზოგადოებრივი საკითხების განხილვა, მათი გადაჭრის პერსპექტივების ძიებითა და ახალი იდეების გენერირებით.

ინკლუზიური საკლასო საზოგადოების ფორმირებით იქმნება გარემო, სადაც მოსწავლეები ერთმანეთზე ზრუნავენ, უზიარებენ მოსაზრებებს და აღნიშნავენ ერთმანეთის წარმატებებს. მაგალითად, მოსწავლეები ქმნიან ელექტრონულ პორტალს, სადაც ისინი საუბრობენ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ მოვლენებზე, ერთმანეთს აცნობენ სა-

კუთარ შთაბეჭდილებებსა და რჩევებს; იკრიბებიან და აწყობენ დისკუსიებს კლასგარეშე ღონისძიებების ჩასატარებლად - ირჩევენ მარშრუტს, აქტივობის ფორმას, განსაზღვრავენ მიზნებს, საჭიროებებს, მათი მოგვარების გზებს და ა.შ. ასე რომ, მოსწავლეების საზოგადოებრივი აქტიურობა განაპირობებს დემოკრატიული ინკლუზიური სასკოლო/საკლასო გარემოს შექმნას, რაც, უპირველესად, სწავლების შინაარსის, სტილისა და შეფასების მექანიზმების (რუბრიკების) შერჩევის პროცესში მათ მონაწილებაში ვლინდება.

### **3. სოციო-ეკონომიკური სწავლა მოქალაქეობრივი განათლებისთვის**

მოცემულ თავში განხილულია სოციო-ემოციური სწავლის ძირითადი პრინციპები, სოციო-ემოციური სწავლისა და სწავლების სტრატეგიები და მათი გავლენა მოსწავლეთა კომპეტენციებზე მოქალაქეობრივი განათლების კუთხით.

#### **3.1. სოციო-ეკონომიკური სწავლა**

ბოლო რამდენიმე ათწლეულია, თანამედროვე სკოლის წინაშე მდგარ პრიორიტეტულ ამოცანებს შორის განსაკუთრებით მზარდი მნიშვნელობით გამოიჩინევა მოსწავლის სოციალური და ემოციური განვითარება, როგორც საზოგადოების კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი. მოსწავლის სოციო-ემოციური განვითარების ასპექტების, გავლენებისა და მნიშვნელობის, მასზე მოქმედი ფაქტორების ირგვლივ არსებული საკითხები უფრო და უფრო ინტენსიურად ექცევა განათლების სისტემების თეორიის, პრაქტიკისა თუ კვლევების ინტერესის ქვეშ. არაერთი კვლევა ადასტურებს მოსწავლის სოციო-ემოციული განვითარების გადამწყვეტი მნიშვნელობის ეფექტს მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე (OECD), ანუ იმაზე, რაც, ტრადიციულად, ყოველთვის წარმოადგენდა სასკოლო განათლების მთავარ მიზანს.

ვინაიდან ჯანსაღი, სოციალურად ჰარმონიული და უსაფრთხო საზოგადოების ფორმირებაზე დაკვეთა, უპირველესად, მიმართულია სკოლისაკენ, ხოლო, თავის მხრივ, თანამედროვე სამყაროს კომპლექსურობა, განვითარების უპრეცედენტოდ მზარდი დინამიკა და ტექნოლოგიური პროგრესი სკოლის მხრიდან უფრო და უფრო მეტ ძალისხმევას ითხოვს მოსწავლის სოციალური და ემოციური განვითარებისთვის, სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მიმართულებით არა სპონტანურ და ერთჯერად, არამედ ორგანიზებულ და მეთოდოლოგიურად გამართულ, სტაბილურ, ხანგრძლივ საქმიანობას.

ტერმინ „სოციალური და ემოციური სწავლის“, როგორც კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბება უკავშირდება 1994 წელს განათლების სპეციალისტების, მკვლევრების, განათლების პოლიტიკოსების, ბავშვის განვითარების ექსპერტების შეხვედრას, რომელსაც ფეტცერის ინსტიტუტმა უმასპინძლა. მოსწავლის სოციო-ემოციური კომპეტენციის განვითარების, აკადემიური მიღწევების, ჯანმრთელობისა და მოქალაქეობის, ასევე, ქცევითი პრობლემების პრევენციის საკითხებზე სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების კოორდინირებული მუშაობისათვის ფეტ-

ცერის ჯგუფის მიერ წარდგენილ იქნა, ერთი მხრივ, სოციო-ემოციური სწავლის (SEL) კონცეპტუალური ჩარჩო, მეორე მხრივ, აღნიშულ შეხვედრაზე საფუძველი ჩაეყარა ორგანიზაციას „თანამშრომლობა აკადემიური, სოციალური და ემოციური სწავლისთვის“ (CASEL), რომლის მისიასა და აქტიურ საქმიანობას დღემდე სოციო-ემოციური სწავლის, როგორც მეცნიერული შესწავლა წარმოადგენს, ასევე, ქმნის წარმატებულ პრაქტიკას და ხელს უწყობს სოციო-ემოციური სწავლის პროგრამების გავრცელებას.

### 3.2. სოციო-ემოციური სტავლის კონცეპტუალური მოდელი

დღეს სოციო-ემოციური სწავლა მოსწავლეთა წარმატების საკვანძო ინდიკატორად მიიჩნევა. კვლევები აჩვენებს მის მაღალ კორელაციას როგორც აკადემიურ შედეგებთან, ასევე, სამუშაო ბაზარზე არსებულ მზარდ და ცვალებად მოთხოვნებთან (Blad, 2017, Hanover Research, 2017).

იმისათვის, რომ სოციო-ემოციური სწავლის შედეგები ყოველდღიურ ცვლილებებად გარდაიქმნას, აუცილებელია სისტემური მიდგომები. სწორედ ამ სისტემურობის განმაპირობებლად იქმნება სპეციალური პროგრამები, რომლებიც აერთიანებს სხვადასხვა მეთოდს, აქტივობას, სტრატეგიას. სოციო-ემოციური სწავლის პროგრამებიც, სხვა მსგავსი მიდგომების მსგავსად, ეფუძნება ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს და მოიცავს ინტრაპერსონალურ, ინტერპერსონალურ და კოგნიტურ კომპეტენციებს (National Research Council, 2012), ხოლო სოციო-ემოციური სწავლა, როგორც კონცეპტუალური ჩარჩო, წარმოდგენილია შემდეგი ხუთი კომპონენტის/სფეროს სახით:

**თვითშემეცნება** - მოიცავს საკუთარი ემოციების, პირადი მიზნებისა და ღირებულებების გაცნობიერებას, საკუთარი ძლიერი მხარეებისა და სისუსტეების გააზრებას, პოზიტიურ აზროვნებას, თავდაჯერებულობასა და იპტიმიზმს. თვითშემეცნების მაღალ საფეხურებზე ასევე იგულისხმება იმის გაცნობიერების უნარიც, თუ როგორ არის ურთიერთდაკავშირიებული ერთმანეთთან ფიქრები, გრძნობები და ქცევები;

**თვითმართვა** - მოიცავს უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია ემოციებისა და ქცევების რეგულირება. ასევე, აერთიანებს სტრესისა და კმაყოფილების მართვას, კონტროლს საკუთარ იმპულსებზე და ნებისყოფას, განახორციელო ცვლილებები პირადი თუ საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად;

**სოციალური ცნობიერება** - მოიცავს განსხვავებული გამოცდილები-

სა თუ კულტურის მქონე ადამიანების შეხედულებების მიღებას, ემპა-  
თიასა და თანაგრძნობის განცდას, სოციალური ნორმებისა და ქცევების  
გააზრებასა და ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების შეცნობასა და მხ-  
არდაჭერას;

ურთიერთობის უნარები - მოიაზრებს მოსწავლეთა შესაძლებლო-  
ბებს, დამყარონ ჯანსაღი ურთიერთობები. მოიცავს მკაფიო კომუნი-  
კაციის, აქტიური მოსმენის, თანამშრომლობის, შეუსაბამო სოციალური  
წესების არიდების, კონფლიქტის კონსტრუქციულად გადაჭრისა და,  
საჭიროების შემთხვევაში, დახმარების თხოვნის პრინციპებს;

პასუხისმგებლობაზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღება -  
გულისხმობს სხვადასხვა სიტუაციაში პირად ქცევასა და სოციალურ  
ინტერაქციასთან დაკავშირებული კონსტრუქციული არჩევანისათვის  
საჭირო ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს. მოიცავს ეთიკური  
სტანდარტების, საკუთარი და სხვების უსაფრთხოების, ჯანმრთელო-  
ბისა და კეთილდღეობის გათვალისწინებას.

CASEL თითოეული კომპონენტის/კომპეტენციის შესაბამის აღწერ-  
ასთან ერთად, ე.წ. მათთან დაკავშირებულ უნარებსაც წარმოგვიდგენს:

კომპონენტი / კომპე- ტენცია	აღწერა	დაკავშირებული უნარები
თვითშემეცნება	მოიცავს საკუთარი ემოციების, პირადი მიზნებისა და ღრძ- ბულებების გაცნობიერებას, საკუთარი ძლიერი მხარეებისა და სისუსტეების გააზრებას, პოზიტიურ აზროვნებას, თავდა- ჯერებულობასა და ოპტიმიზმს. თვითშემეცნების მაღალ საფეხ- ურებზე ასევე იგულისხმება იმის გაცნობიერების უნარიც, თუ როგორ არის ურთიერთდა- კავშირიებული ერთმანეთთან ფიქრები, გრძნობები და ქცევები	<ul style="list-style-type: none"> <li>• ემოციების იდენტი- ფიცირება</li> <li>• თვითაღემა</li> <li>• ძლიერი მხარეების გაცნობიერება</li> <li>• დავდაჯერებულობა</li> <li>• თვითეფექტურობა</li> </ul>

თვითმართვა	<p>მოიცავს უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია ემოციებისა და ქცევების რეგულირება. ასევე, აერთიანებს სტრესისა და კმაყოფილების მართვას, კონტროლს საკუთარი იმპულსებზე და ნებისყოფას, განახორციელო ცვლილებები პირადი თუ საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იმპუსების კონტროლი</li> <li>• სტრესის მართვა</li> <li>• თვითდისციპლინა</li> <li>• თვითმოტივირება</li> <li>• მიზანდასახულობა</li> <li>• ონგანზებულობა</li> </ul>
სოციალური ცნობიერება	<p>მოიცავს განსხვავებული გამოცდილებისა თუ კულტურის მქონე ადამიანების შეხედულებების მიღებას, ემპათიასა და თანაგრძნობის განცდას, სოციალური ნორმებისა და ქცევების გააზრებასა და ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების შეცნობასა და მხარდაჭერას</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მრავალპერსპექტიული ხედვა / პერსპექტივის განსაზღვრა</li> <li>• ემპათია</li> <li>• მრავალფეროვნების დაფასება</li> <li>• სხვების პატივისცემა</li> </ul>
ურთიერთობის უნარები	<p>მოიაზრებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, დაამყარონ ჩანსაღი ურთიერთობები. მოიცავს მკაფიო კომუნიკაციის, აქტიური მოსმენის, თანამშრომლობის, შეუსაბამო სოციალური წერხის არიდების, კონფლიქტის კონსტრუქციულად გადაჭრისა და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარების თხოვნის პრიციპებს</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კომუნიკაცია</li> <li>• სოციალური ჩართულობა</li> <li>• ურთიერთობების აგება</li> <li>• გუნდურობა</li> </ul>
პასუხისმგებლობაზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღება	<p>გულისხმობს სხვადასხვა სიტუაციაში პირად ქცევასა და სოციალურ ინტერაქციასთან დაკავშირებული კონსტრუქციული არჩევანისათვის საჭირო ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს. მოიცავს ეთიკური სტანდარტების, საკუთარი და სხვების უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გათვალისწინებას</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პრობლემების იდენტიფიცირება</li> <li>• სიტუაციების ანალიზი</li> <li>• პროცედურა</li> <li>• შეფასება</li> <li>• რეფლექსია</li> <li>• ეთიკური პასუხისმგებლობა</li> </ul>

წყარო: CASEL

ჰარვარდის განათლების სკოლის მიერ სოციო-ემოციური სწავლის საყრდენად 12 განსხვავებული უნარი განისაზღვრა, რომელთაგან 10 სამ კატეგორიად - კოგნიტურ, ემოციურ და ქცევით უნარებად განაწილდა, ხოლო დანარჩენი ორი - ცალკე გამოიყო. თორმეტივე უნარი, ჰარვარდის განათლების სკოლის მკვლევრების მიერ, მოსწავლის კონკრეტულ შედეგებში აღინიშნულია (Ibid).

უნარები	აღწერა
<b>კოგნიტური უნარები</b>	
ყურადღების კონტროლი	რელევანტურ ინფორმაციასა და სამიზნე ამოცანებზე ორიენტირება მაშინაც, როცა ხელის შემშლელ ფაქტორებთან უწევს გამკლავება
ინპიბიციური კონტროლი	გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად, ქცევის შეკავება ან ტრანსფორმირება
მეხსიერების გაუმჯობესება და დაგეგმვის უნარები	ინფორმაციის შენახვა; მიზნის მისაღწევად საჭირო ნაბიჯების იდენტიფიცირება და ორგანიზება
კოგნიტური მოქნილობა	განსხვავებულ ხედვებზე გადართვა, საკითხვის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვა
<b>ემოციური უნარები</b>	
ემოციები და ექსპრესია	როგორც საკუთარი, ისე სხვების ემოციების ამოცნობა, აღქმა და სახელის დარქმევა; გრძნობების გამოხატვა კონტექსტის შესაბამისი ფორმებითა და გზებით
ემოცია და ქცევის რეგულირება	ემოციური აღგზნების ინტენსივობისა თუ ხანგრძლივობის მოდიფიცირება ეფექტური სტრატეგიებით; სოციალურად შესაბამისი ქცევის მოლოდინებს მორგება
ემპათია და პერსპექტივის განსაზღვრა / მრავალპერსპექტიული ხედვა	სხვების ემოციური მდგომარეობისა და შეხედულებების გაგება
<b>ინტერპერისონალური უნარები</b>	
სოციალური ნიშნების აღქმა	სოციალურ გარემოში არსებული ნიშნების ინტერპრეტირება და მათი გამოყენება სხვების ქცევის გასაგებად
კონფლიქტების მოგვარება და პრო-ლენის გადაჭრა	გამოსავალის ძებნა და ეფექტურად მოქმედება კონფლიქტებისა თუ რთული სიტუაციების დროს
პროსოციალური უნარები	სოციალური ურთიერთობების მორგება და სწორი ნავიგაცია

დამატებითი უნარები	
ხასიათი	კულტურული ნიშნით განსაზღვრული უნარები და ჩვევები, ძირითადი ეთიკური ღირებულებების შესაბამისი აღქმის, დამოკიდებულებისა და ქცევისათვის; საჯუთარი პოტენციალის სრულად გამოვლენა მიზნის მიღწევისა თუ სამუშაო კონტექსტის შესაბამისად
აზროვნება	დამოკიდებულებები და შეხედულებები საკუთარი თავისა თუ სხვების შესახებ, ასევე, იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს მის ყოველდღიურობასა და იმაზე, თუ როგორ პასუხობს თავად მოვლენებს

### წყარო: ჰარვარდის განათლების სკოლა

ტერმინი „სოციალური და ემოციური სწავლა“ მიზნობრივად მოიცავს სიტყვა „სწავლას“ და ასახავს იდეას, რომ კომპეტენციათა ზემოაღნიშულ 5 კომპონენტში/სფეროში მოაზრებული უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარება არის პროცესი და, უპირველესად, სწორედ სკოლა ის ადგილი, სადაც მოსწავლე ამას სწავლობს. სოციო-ემოციური სწავლის ნარმატებული მიდგომები, სისტემური, მდგრადი და სტრატეგული საქმიანობის აქცენტირებისათვის, ხშირად აერთიანებს ოთხ ელემენტს, რომელსაც გამოსახავენ აკრონიმით SAFE (ქართ. უსაფრთხო):

**Sequenced** - თანმიმდევრული - იგულისხმება აქტივობათა ურთიერთდაკავშირებული, კომუნიკაციური ჯაჭვი უნარების განვითარების მხარდასაჭერად;

**Active** - აქტიური - იგულისხმება სწავლის აქტიური ფორმები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს უნარების გავარჯიშებაში;

**Focused** - ფოკუსირებული - იგულისხმება პიროვნული თუ სოციალური უნარების მიზანმიმართულად განვითარება;

**Explicit** - ექსპლიციტური - იგულისხმება მიმართება სპეციფიკურ სოციალურ და ემოციურ უნარებთან (Durlak et al., 2010, 2011)

მოგვიანებით, მოცემულ ოთხ ელემენტებს დაემატა მეხუთე - R (Reflection) და ფორმულირდა, როგორც S.A.F.E.R (Blyth, Olson and Walker, 2017). **Reflection** - რეფლექსია, როგორც ხაზგასმა, ერთი მხრივ, მოსწავლეთა მიღწევების, ასევე, განხორცილებული საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ დაფიქრების მნიშვნელობაზე.

ზემოაღნიშნული ელემენტები, ისევე, როგორც თავად კონცეპტუა-

ლური ჩარჩო, ხაზს უსვამს მოსწავლის სოციალურ, ემოციურ თუ აკადემიურ განვითარებაში საკლასო, სასკოლო, ოჯახისა და საზოგადოების თანმიმდევრულ, კოორდინირებულ საქმიანობას. ამ საქმიანობაში თავისი გადამწყვეტი როლი აქვს საერთო სასკოლო მიდგომას, სკოლის მიღმა საქმიანობას, ოჯახისა და საზოგადოებას, მაგრამ, გარკვეულწილად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ხდება გაკვეთილზე/საკლასო ოთახში. სწორედ საკლასო-საგაკვეთილო პროცესები, გარემო, ამ გარემოს შემადგენელი პირები განსაზღვრავენ მოსწავლის როგორც სოციო-ემოციურ განვითარებას, ასევე, განვითარების შესაძლებლობასაც. ხოლო საკლასო-საგაკვეთილო სივრცეები მიმდინარე პროცესები კი, თავის მხრივ, საერთო სასკოლო ხედვის, საერთო სასკოლო სოციო-ემოციური პროგრამის ნაწილი უნდა იყოს.

სოციო-ემოციური სწავლის შესაძლებლობის მიცემა მოსწავლისთვის შესაძლებელია ნებისმიერ საფეხურზე, ნებისმიერ კლასსა და საგანში. მაგალითად:

- თუ ბავშვს სკოლამდელი განათლების საფეხურზე, საბავშო ბალში, ვუქმნით შესაძლებლობას შესაბამისად უპასუხოს სხვა ბავშვების საჭიროებებსა და ქცევას,
- თუ 1-ლ - მე-2 კლასებში მოსწავლეებს ხმამაღლა ვაკითხებთ სოციალური პრობლემების შესახებ და ვაძლევთ საშუალებას, იმსჯელონ მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე,
- თუ მე-3 - მე-5 კლასებში მოსწავლეებს ვუქმნით განსხვავებული სწავლის სტილის მქონე მოსწავლეების პატივისცემის მოდელს,
- თუ მე-6 - მე-8 კლასებში ვეხმარებით მოსწავლეებს აღწერონ, როგორ შეიძლება გრძნობდეს თავს ადამიანი, რომლის შესახებაც უსიამოვნო ჭორები ვრცელდება სოციალური მედიით,
- თუ მე-9 - მე-12 კლასებში მოსწავლეებს ვაძლევთ საშუალებას, მიიღონ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები სოციალური პრობლემების შესახებ და ვუქმნით გარემოს, რომ შეხედონ თავიანთ გადაწყვეტილებებს სხვადასხვა პერსპექტივიდან, - ეს ნიშნავს, რომ თანმიმდევრულად და მუდმივად ვაძლევთ მათ სოციო-ემოციური სწავლის საშუალებას (Rogers, 2019).

სოციო-ემოციური სწავლის შედეგების კომპლექსურობა განაპირობებს იმას, რომ იგი უფრო და უფრო ხშირად გამოიყენება სპეციალური განათლების მიმართულებითაც (Walker, 2019), როგორც თითოეული მოსწავლის წარმატების საყრდენი, მიუხედავად მოსწავლის საჭიროების სპეციფიკისა.

საბოლოოდ, ტერმინი სოციო-ემოციური სწავლა მოიცავს იმ უნარებსა და პრაქტიკულ ცოდნას, რომლებიც მოსწავლეს ეფექტური კომუნიკაციისთვის, თანატოლებთან ინტერაქციისთვის, კონფლიქტების გადაჭრისა და სტრუსულ სიტუაციებში საკუთარი ემოციების მართვისთვის სჭირდება (American Institutes for Research; Hanover Research 2017).

### 3.3. სოციო-ემოციური სტაცია და მოქალაქეობრივი განათლები

ვინაიდან მოქალაქეობრივი განათლების ძირითად მიზანს დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის ჩამოყალიბება წარმოადგენს, ხოლო მოქალაქეობრივ კომპეტენციებად განსაზღვრულია კულტურული მემკვიდრეობის დაფასება და მასზე ზრუნვა, ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების გააზრება და დაფასება, საკუთარი და განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან/ჯგუფებთან წარმატებული კომუნიკაცია, კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით მართვა და სხვ., ხოლო სოციო-ემოციური სწავლის კონცეპტუალური ჩარჩო, თავის მხრივ, სოციალური ცნობიერების, აქტიური, ჯანსაღი სოციალური ურთიერთობების, ემპათიის, თანამშრომლობის, კონფლიქტების კონსტრუქციულად გადაჭრის, პასუხისმგებლობის და ა.შ. კომპეტენციებს ეფუძნება, უფრო და უფრო იზრდება ინტერესი ამ ორი მიმართულების ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირების თვალსაზრისით (Andolina, Conklin, 2018, 2019). ტარდება კვლევები, რომლებიც საგანმანათლებლო პროექტებში, ერთსა და იმავე დროს, ზომავს როგორც მოქალაქეობრივ, ასევე, სოციო-ემოციურ კომპეტენციებს.

### 3.4. სოციო-ემოციური სტაცია დანირგვა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციო-ემოციური სწავლის ეფექტიანობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თანმიმდევრულ, ორგანიზებულ საქმიანობას. ამგვარი საქმიანობის განმაპირობებლად, „თანამშრომლობა აკადემიური, სოციალური და ემოციური სწავლისთვის“ (CASEL) გვიზიარებს სწორ და თანმიმდევრულ დაგეგმვას, როგორც საბაზისო რეკომენდაციას, ეფექტური სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის.

დაგეგმვა, სკოლის საჭიროებების შესაბამისად, უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად ნაბიჯებს:

**1. მომზადება:**

- სოციო-ემოციური სწავლის სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე პასუხ-ისმგებელი ჯგუფის განსაზღვრა;
- დროის განსაზღვრა;
- სოციო-ემოციური სწავლის მიზნებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებისთვის შესაბამისი გზების განსაზღვრა.

**2. სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის მომზადება:**

- რესურსებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება;
- სოციო-ემოციური სწავლის შესახებ თეორიული, კულევითი და პრაქტიკული ინფორმაციის მოძიება და გამოყენება;
- ეფექტური პროცესიული პროგრამების შემუშავება;
- სხვადასხვა პარტნიორთან დაკავშირება და თანამშრომლობა;
- სასწავლო გეგმასთან და სტანდარტებთან სოციო-ემოციური სწავლის შესაბამისობის დადგენა;
- წარმატებული პრაქტიკის მოძიება და დანერგვა;
- აკადემიურ თუ სხვა მიმდინარე პრიორიტეტებში სოციო-ემოციური სწავლის ეფექტურად ინტეგრირება;
- სოციო-ემოციური სწავლის სასკოლო პროგრამის გაუმჯობესების სისტემის შემუშავება.

**3. უკუკავშირის მიღება და გეგმის გადამუშავება:**

- სხვა დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღება;
- გეგმის გადამუშავება და დამტკიცება.

**4. დასრულებული გეგმის გამოქვეყნება:**

- გეგმის წარდგენა იმ დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც არ იყვნენ ჩართული შემუშავების პროცესში;
- გეგმის გამოქვეყნება ვებგვერდსა და სხვა შესაბამის სივრცეებში;
- გეგმის შესრულების რეგულარული მონიტორინგი და პროგრესის გასაჯაროება.

**5. გეგმის გადახედვა და განახლება:**

- პერიოდული შეფასებებისა და პრიორიტეტების ცვლის შესაბამისად, გეგმის გადამუშავება და განახლება.

ეფექტური სამოქმედო გეგმა, ბუნებრივია, უნდა მოიცავდეს სოციო-ემოციური სწავლის წარმატებულ სტრატეგიებს, პრაქტიკას და კონკრეტულ საქმიანობას.

ჰარვარდის განათლების სკოლის მკვლევრებმა სწავლების სხ-

ვადასხვა წარმატებული სტრატეგია გააანალიზეს სწორედ იმის განსაზღვრისთვის, თუ რამდენად უწყობს ხელს ესა თუ ის სტრატეგია სოციო-ემოციური სწავლის კომპეტენციების განვითარებას. ქვემოთ მოცემული ცხრილი სწორედ ამ სტრატეგიებს/საქმიანობის ტიპებს წარმოადგენს, შესაბამისი აღნიშვნით, თუ როგორ უკავშირდება ესა თუ ის სტრატეგია/ საქმიანობა სოციო-ემოციურ სწავლას.

საქმიანობის ტიპი	აღნიშვნა
ზოგადი დიდაქტიკა	სპეციფიკური, კონკრეტული აქტივობებისა და მოდელების მიზნდება სოციო-ემოციური უნარების განვითარებისთვის
დისკუსია	წყვილებში, პატარა ჯგუფებსა თუ კლასში გამართული დისკუსიის პროცესი, სოციო-ემოციურ საკითხებთან დაკავშირებული თემის შესახებ, თავად თემის შინაარსის გააზრებასთან ერთად, ძალიან სასარგებლოა სოციო-ემოციური კომპეტენციების განვითარებისთვის
წიგნები / ამბები	სოციო-ემოციურ საკითხებთან დაკავშირებული თემის შესახებ მასწავლებლის მიერ ხმამაღლა, ან მოსწავლის მიერ დამოუკიდებლად / თანატოლებთან ერთად კითხვა
ლექსიკაზე მუშაობა	სოციო-ემოციურ საკითხებთან დაკავშირებული ცნებების გარშემო, სხვადასხვა საგანში, კონკრეტულ სიტყვებსა და ტერმინებზე მუშაობა, ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე მიმართული აქტივობების გამოყენებით
სამუშაო ფურცლები / კონკრეტული სასწავლო ინსტრუმენტები	სამუშაო ფურცლები, სპეციალური რეპრიკები, სასწავლო ინსტრუმენტები კონრეტულ სახეს აძლევს სოციო-ემოციური სწავლის სტრატეგიებს
წერა	დავალებები, რომლებიც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, დაწერონ/აღწერონ საკუთარი ან სხვების გამოცდილება სოციო-ემოციურ საკითხებთან დაკავშირებით
ხელოვნება / შემოქმედებითი პროექტები	მოსწავლები ქმნიან აპლიკაციებს, ხელოვნების სხვადასხვა ფორმას, შემოქმედებით პროექტებს, სოციო-ემოციურ საკითხებთან დაკავშირებით
ვიზუალური რესურსები	სქემები, პოსტერები, სხვა ვიზუალური მასალა სოციო-ემოციურ საკითხებთან დაკავშირებით
ვიდეორესურსები	ვიდეო მყაფიოდ წარმაჩენს სოციო-ემოციურ საკითხებთან დაკავშირებულ რთულ სიტუაციებს და იძლევა მყისიერი რეაგირების, დეტალებზე მიმართული დასკუსიის საშუალებას
მუსიკა	მუსიკა აძლიერებს აქცენტს სოციო-ემოციურ საკითხებზე, მოიცავს ცეკვას, ხელების მოძრაობას
უნარების გავარჯიშება	კონკრეტულ, სოციო-ემოციური სწავლის საკითხებთან დაკავშირებული აქტივობები

როლური თამაშები	ადრეულ ასაკში სასარგებლოა მასწავლებლის მხრიდან როლის მორგება და მოდელირება, შემდეგ შესაძლოა მივმართოთ როლური თამაშის ტექნიკას როგორც მთელი კლასისთვის, ასევე, მოსწავლეთა გარკვეულ ჯგუფისთვის, რომლებიც დანარჩენი კლასის წინაშე წარდგებიან როლებით
თამაშები	თამაშები აძლიერებს აქცენტს სოციო-ემოციურ საკითხებზე და კრავს მოსწავლებს ერთ გუნდად
კინესთეტიკური აქტივობები	აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა მოძრაობას და ფიზიკურ აქტივობას, აკავშირებს სოციო-ემოციურ სწავლას მოტორულ ფუნქციებთან
სხვა	აქტივობები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობებში ვერ მოხვდა, მოიცავს პოეზიას, ვიზუალიზაციის სავარჯიშოებს, მედიტაციას და ა.შ.

წყარო: ჰარვარდის განათლების სკოლა

სოციო-ემოციური სწავლის დანერგვა, ბუნებრივია, გარკვეულ გამოწვევებსაც უკავშირდება. ძირითად გამოწვევებს შორის, Wallace Foundation-ის მიერ გამოკვეთილია შემდეგი ფაქტორები:

- **მაქსიმალური შედეგისთვის საკმარისი ძალისხმევისა და ინტენსიურობის მიღწევა** - დროის ნაკლებობისა და მასწავლებელთა გადატვირთული გრაფიკის გამო, სოციო-ემოციური სწავლის ხელშემწყობლის სტრატეგიებს სათანადო ყურადღება ვერ ეთმობა. მოკლე, სახელდახელო აქტივობები კი არ არის საკმარისი მაქსიმალური შედეგის მისაღებად;
- **პრიორიტეტების განსაზღვრა და სოციო-ემოციური სწავლის ინტეგრირება ყოველდღიურ საქმიანობაში** - ხშირად სოციო-ემოციური სწავლა არ მიიჩნევა ძირითადი საგანმანათლებლო მისიის, საქმიანობის ნაწილად და მოიაზრება, როგორც დამატებითი, მეორეხარისხოვანი, ყოველდღიურ ცხოვრებაზე ნაკლები ეფექტის მქონე რამ;
- **სოციო-ემოციური სწავლის აქტივობების გატანა საკლასო ოთახს მიღმა** - ხშირად სოციო-ემოციური სწავლის სამიზნედ მიიჩნევა ის, რაც ხდება გაკვეთილზე და ყურადღების მიღმა რჩება არაფორმალური განათლება, გაკვეთილებს შორის შესვენებები, ეზო, სათამაშო მოედნები და, ზოგადად, სკოლის მიღმა სივრცეები;
- **ტრენინგები და თანამშრომელთა მხრიდან საკმარისი მხარდაჭერის მიღება** - მასწავლებლები, სკოლის პერსონალი და სასკოლო საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც სკოლის მიღმა აქვს კავშირი.

რი ბავშვთან, მნიშვნელოვანია, შეთანხმებულად მოქმედებდნენ და იღებდნენ პროფესიული განვითარების სათანადო სერვისებს, თუ როგორ უნდა იზრუნონ მოსწავლეთა სოციო-ემოციური განვითარების მიმართულებით;

- **წარმატებული პრაქტიკის კავშირი სკოლის საჭიროებებთან** - ხშირად სკოლის ხელმძღვანელობა და მასწავლებლები ეცნობიან წარმატებული პრაქტიკის მაგალითებს და ვერ ახერხებენ სხვების გამოცდილების დაკავშირებას თავიანთ საჭიროებებთან;
- **კვლევა და მონაცემების გამოყენება გადაწყვეტილების მიღებისას** - ძალიან ცოტა სკოლა თუ ახერხებს კვლევის წარმოებას და შემდეგ ამ კვლევების შედეგებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღებას, თუ რა სტრატეგიებსა და პროგრამებს უნდა მიმართონ სოციო-ემოციური სწავლის როგორც დანერგვის, ასევე, შეფასების თვალსაზრისით;
- **გამოყენებითი და ტრანსფერული უნარები** - ხშირად მასწავლებლები, სასკოლო თუ სკოლის მიღმა საზოგადოებს ვერ ახერხებს საჭირო დროს გამოიყენოს სოციო-ემოციური სწავლის სტრატეგიები და „სასწავლო სიტუაციები“.

### 3.5. პრაქტიკული სტრატეგიები სოციო-ემოციური სწავლის ხელშესაწყობად

ქვემოთ წარმოგიდგენთ სოციო-ემოციური სწავლის წარმატებული პრაქტიკის მაგალითებს (თამაშებს, პროგრამებს, მიდგომებს), რომლებიც, სოციალური და ემოციური განვითარების გზით, ეხმარება მოსწავლეს აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებაში.

#### 3.5.1. „პრაზის თერმომეტრი“

„პრაზის თერმომეტრი“ სოციო-ემოციური სწავლის ხელშემწყობი სახალისო აქტივობაა. განსაკუთრებით სასარგებლოა მისი გამოყენება დაწყებით საფეხურზე. ვინაიდან სოციო-ემოციური სწავლის ერთ-ერთ მიზანს სწორედ ემოციების ამოცნობის, გააზრებისა და მართვის უნარის განვითარება წარმოადგენს, „პრაზის თერმომეტრი“ სწორედ ამ მიმართულებით მუშაობისას გამოიყენება.

ამ აქტივობის შედეგად:

- მოსწავლეები სწავლობენ, რომ გაბრაზება ბუნებრივი მოვლენაა, რომ ყველა შეიძლება გაბრაზდეს სხვადასხვა მიზეზის გამო;

- აცნობიერებენ, რომ ზოგჯერ გაპრაზებას განსაკუთრებით ჭარბი ემოციები ახასიათებს და ამ დროს შეიძლება ადამიანმა წონასწორობა დაკარგოს;
- აცნობიერებენ, რომ სხვადასხვა სიტუაციაში პრაზის ტემპერატურამ შეიძლება ისე მოიმატოს, როგორც წყლის ტემპერატურა იმატებს ნელ-ნელა, სანამ ადუღდება.

პრაქტიკული ოჩევები/ნაბიჯები „პრაზის თერმომეტრის“ გამოყენებისთვის:

- მოამზადეთ სამუშაო ფურცელი, რომელიც თამაშის ძირითად მასალას წარმოადგენს - სამუშაო ფურცლები შეგიძლიათ მოამზადოთ თქვენ თვითონ, ან მოამზადებინოთ მოსწავლეებს;
- სამუშაო ფურცელზე გამოსახული უნდა იყოს თერმომეტრი, ხოლო თერმომეტრზე დატანილი უნდა იყოს ნიშნულები, რომლებიც მას 5 ნაწილად ჰყოფს;
- შეგიძლიათ თითოეული ნიშნული სხვადასხვა ფერით მონიშნოთ ისე, რომ ფერის გრადაციამ ქვევიდან ზევით ტემპერატურის მატებაზე მიანიშნოს;
- დანომრეთ ნიშნულები ქვემოდან ზემოთ: 1-დან 5-ის ჩათვლით;
- ნუმერაციის მიხედვით დაიტანეთ მინიშნებები:
  1. მშვიდი
  2. გალიზიანებული
  3. ნაწყენი
  4. გაპრაზებული
  5. განრისხებული
- სამუშაო ფურცლები შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც დამოუკიდებელი, თავისუფალი დისკუსიისას რაიმე თემაზე, ასევე, კონკრეტული ტექსტის, ვიდეომასალის, მოვლენის, ამბის ანალიზისას;
- მოსწავლეები (ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებში) ავსებენ „პრაზის თერმომეტრის“ სამუშაო ფურცელს - კონკრეტული ნიშნულის (შინაარსის, ემოციის) შესაბამისად ასახელებენ მაგალითებს;
- ფურცლების შევსების შემდეგ მოსწავლეებს მიეცით მსჯელობის, დისკუსიის საშუალება - ისაუბრონ თავიანთ ნაშრომებზე, ახსნან, რამდენად შეესაბამება მათ მიერ დასახელებული მაგალითები თერმომეტრზე ემოციური „ტემპერატურის მატებას“;
- მნიშვნელოვანია, რომ ყველას მიეცეს საშუალება, საკუთარ ნაშრომზე ისაუბროს;
- მსჯელობა უნდა მოიცავდეს ემოციების, განცდების აღწერას ემოციის განვითარების თითოეულ ეტაპზე;

- გარდა ემოციების აღწერისა, მოსწავლეებს სთხოვეთ, თითოეული ემოციის შესაბამისად, მათი მართვის სტრატეგიებზეც ისაუბრონ - იმსჯელონ, კონკრეტულ სიტუაციაში რა გამოსავალი შეიძლება არ-სებობდეს ამა თუ იმ ემოციის მართვისთვის;
- დისკუსიის დროს მასწავლებელმა იმგვარად უნდა წარმართოს ფასილიტაციის პროცესი, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ერთმანეთის მოსმენა და განსხვავებული მოსაზრებების მიღება;
- შესაძლოა, მოსწავლეებს ურჩიოთ „ბრაზის თერმომეტრის“ სამუშაო ფურცლის გამოყენება სახლშიც, დამოუკიდებლად ან ოჯახის წევრებთან ერთად.

### 3.5.2. „მადლიერების ფულაბა“

სოციო-ემოციური სწავლის ხელშემწყობ აქტივობებს, ტექნიკებსა და თამაშებს შორის ძალზე გავრცელებულია „მადლიერების ყულაბა“. მისი გამოყენება არ მოითხოვს განსაკუთრებულ რესურსებსა და დიდ ძალისხმევას. ხელს უწყობს მოსწავლეებში ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორებიცაა:

- თვითშემეცნება
- საკუთარი და სხვების ემოციების ანალიზი
- პატივისცემა
- ემპათია
- მადლიერება
- კომუნიკაცია
- პროსოციალური კომპეტენცია
- ყურადღება და დაკვირვება
- კრიტიკული აზროვნება

პრაქტიკული რჩევები/ნაბიჯები „მადლიერების ყულაბის“ გამოყენებისთვის:

- თავდაპირველად, მოსწავლეებს ესაუბრეთ მადლიერების შესახებ. სთხოვეთ, გაიხსენონ ერთი შემთხვევა მაინც, როდესაც სხვისი დახმარებით და სხვისი საქციელის/ნათქვამის გამო თავი ბედნიერად იგრძნეს;
- დაუთმეთ რამდენიმე დღე/გაკვეთილი მადლიერებაზე საუბარს, რათა მოამზადოთ მოსწავლეები, რომ მადლიერებაზე ფიქრი მათი ყოველდღიური რუტინის ნაწილად იქცეს;
- როდესაც მიხვდებით, რომ მოსწავლეებმა სათანადოდ გააცნობიერეს მადლიერების არსი, სთხოვეთ, შეარჩიონ საშუალო ზომის, მათთვის

საინტერესო ფორმისა და დიზაინის ქილა;

- სთხოვეთ, რომ თავიანთი ინტერესისა და გემოვნების მიხედვით გააფორმონ ქილა და დახუფონ - გააკეთონ ყულაბა; მნიშვნელოვანია, რომ ყულაბა ლამაზად, საინტერესოდ, მიმზიდველად იყოს გაფორმებული. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეების მხრიდან მის მიმართ ინტერესის შენარჩუნებას;
- შესაძლებელია ყულაბის შენახვა საკლასო ოთახში (თუ გარემო გინებოთ ხელს), სურვილის შემთხვევაში კი, ბავშვებს შეუძლიათ მისი წალება სახლში;
- სთხოვეთ მოსწავლეებს, გააანალიზონ ყოველი დღე. დაფიქრდნენ, რა მოხდა, ვისთან ჰქონდათ ურთიერთობა, გაიაზრონ კონკრეტული მოვლენები და თავიანთი დამოკიდებულებები ამ მოვლენებისა და გარემოს, ადამიანების მიმართ;
- შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, დაფიქრდნენ, ვისგან იგრძნეს მხარდაჭერა, დადებითი დამოკიდებულება, ვისგან მიიღეს დახმარება და პატარა ფურცელზე მცირე კომენტარის სახით დაწერონ, ვის მიმართ გრძნობენ მადლიერებას და რატომ;
- მოსწავლეებმა ეს ფურცლები უნდა დაკეცონ და მოათავსონ თავიანთ ყულაბაში;
- ამ აქტივობის შესრულება შეიძლება მოსწავლეებს სთხოვოთ ყოველ დღე ან თუნდაც კვირაში ერთხელ;
- გარკვეული დროის შემდეგ - სემესტრის ან წლის ბოლოს - სთხოვეთ მოსწავლეებს, გახსნან თავიანთი ყულაბა, წაიკითხონ პატარა ფურცლებზე მიწერილი მადლიერების კომენტარები და გაიხსენონ, რამდენი სასიამოვნო და დადებითი გამოცდილება მიიღეს ამ დროის განმავლობაში.

### 3.5.3. სოციო-ემოციური სწავლის სამი ხელშერა

სოციო-ემოციური სწავლის (სეს) სამი ხელშერის მიდგომა გულისხმობს სპეციალური აქტივობების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სოციო-ემოციურ განვითარებაზე ფოკუსირებას დღის განმავლობაში სამჯერ: დღის დაწყებას და დასრულებას სპეციალურად განსაზღვრული აქტივობებით და შუაში პატარ-პატარა თამაშების და აქტივობების ჩართვას.

#### 1. მისალმების რიტუალი (2-10 წუთი)

პირველ ხელშერას წარმოადგენს მისალმების რიტუალი და მოიცავს მოსწავლეთა ჩართულობაზე ორიენტირებულ აქტივობებს. მოსწავლე-

თათვის ქმნის უსაფრთხო და პროგნოზირებად გარემოს, ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ინტერესის გათვალისწინებას, უვითარებს პატივის-ცემისა და მოსმენის კომპეტენციებს, აძლევს მოსწავლეებს ერთმანეთ-თან ხალისიანი ურთიერთობის საშუალებას და უჩენს მიკუთვნებულობის განცდას. იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიოთ, აქტივობები უნდა შეარჩიოთ ძალიან ფრთხილად და სცადოთ მათი დაკავშირება დღის განმავლობაში მისაღწევ სასწავლო ამოცანებთან.

**რჩევები მისაღმების რიტუალისთვის:**

- პოზიტიური განწყობით და სახელით მიმართვა - არ უნდა გამოგვრჩეს არც ერთი მოსწავლე;
- შესაძლოა, ინდივიდუალურად, მოსწავლესთან ერთად შეარჩიოთ თითოეული მათგანისთვის საინტერესო ინდივიდუალური უესტი, ნიშანი, რომლითაც მხოლოდ მას მიესალმებით;
- მისაღმების რიტუალი უნდა იყოს მიზნობრივი სოციალური ინტერაქცია, და არა მხოლოდ სავალდებულო ელემენტი;
- მისაღმების რიტუალმა ხელი უნდა შეუწყოს, რამდენიმე წამით მაინც, მთელი კლასის გაერთიანებასა და საერთო პოზიტიური განწყობის შექმნას.

## 2. პრაქტიკული ჩართულობა (1-15 წუთი)

მეორე ხელწერას, მიდგომის მეორე კომპონენტს წარმოადგენს დღის/ საქმიანობის განმავლობაში სპეციალურად გამოყოფილი დრო ყველა მოსწავლის აკადემიური ინტეგრაციისთვის, მნიშვნელობის ხაზგასმისთვის, „გონების განიავებისთვის“, განწყობის შექმნისთვის. ამ ეტაპისთვის გამოგვადგება ისეთი აქტივობები, სავარჯიშოები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების დახსლოებას, ურთიერთობას, მიმღებლობას, პატივისცემას, რომლებიც მიმართული იქნება სოციო-ემოციური უნარების განვითარებაზე და, ამავე დროს, საშუალებას მოგვცემს, ავთენტურ სიტუაციებში, პრაქტიკულად გამოავლინონ ეს უნარები, ერთმანეთთან ინტერაქციისას, ან დამოუკიდებლად - მშვიდად შეძლონ დაფიქრება, საკუთარ თავში ჩაღრმავება, ემოციებისა თუ მიღებული ინფორმაციის გაანალიზება.

**რჩევები პრაქტიკული ჩართულობის მისაღწევად:**

- მიეცით მოსწავლეებს სოციალური ინტერაქციის შესაძლებლობები: იმუშაონ წყვილებში, ტრიადებში, პატარა ჯგუფებში ან მთელმა კლასმა ერთად;
- მიმართეთ სოციო-ემოციური სწავლების ექსპლიციტურ სტრატე-

- გიებს, გამოიყენეთ მტკიცებულებები მეტი მკაფიოობისთვის;
- შეუქმენით მოსწავლეებს სიტუაციები, სადაც ურთიერთგაზიარებისა და მოსმენის საშუალებით, მოემატებათ თავდაჯერება, გაუჩინდებათ მნიშვნელოვნების განცდა;
  - მათ საჭიროებებსა და სწავლის სტილზე დაყრდნობით, მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავეთ ე.წ. „სამუშაო შეთანხმებები“ და რეგულარულად ადევნეთ თვალი მათ შესრულებას;
  - მათი ემოციური მობილიზებისთვის, ხანმოკლე შესვენებისთვის, ე.წ. „გონების განიავებისთვის“ ან ძალების მობილიზებისთვის შეიძლება შესთავზოთ ფიზიკური აქტივობა, ვარჯიში, ცეკვა ან მუსიკის მოსწენა ანდა გარიზდება და მშვიდად ფიქრი.

### 3. ოპტიმისტური დასარული (3-5 ნუთი)

მესამე, ოპტიმისტური დასასრულის ხელწერა ეხმარება მოსწავლეებს, ოპტიმისტურ ნოტაზე დასარულონ დღე/საქმიანობა, შეაფასონ მიღწეული შედეგები, დადგებითად შეხედონ გაღებულ ძალისხმევას, მოინიშნონ იდეები მომავალი საქმიანობისთვის, გაუჩინდეთ დავდაჯერებულობის, მიკუთვნებულობის, მნიშვნელოვნების განცდა.

რჩევები ოპტიმისტური დასასრულისთვის:

- სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოყონ, რა ისწავლეს დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი;
- სთხოვეთ, გაიხსენონ, რაში შეძლეს, დახმარება გაეწიათ სხვისთვის;
- სთხოვეთ, მოიფიქრონ, რას გაუზიარებენ დღევანდელი საქმიანობიდან ოჯახის წევრებს;
- სთხოვეთ, მოიფიქრონ, რისი გაკეთება უნდათ ხვალ;
- სთხოვეთ, გამოყონ, რა იყო დღეს ყველაზე სასიამოვნო;
- სთხოვეთ, გაიხსენონ, ვინ გაუწიათ დახმარება დღის განმავლობაში ყველაზე მეტად, ვისგან იგრძნეს მხარდაჭერა.

#### 3.5.4. პროგრამა 4 R

2013 წელს CASEL-ის მიერ პროგრამა 4R (Reading, Writing, Respect and Resolution – კითხვა, წერა, პატივისცემა და გადაწყვეტილება) მიჩნეულ იქნა სოციო-ემოციური სწავლის ხელშემწყობ ერთ-ერთ ეფექტურ მიდგომად, განსაკუთრებით, სკოლამდელი და დაწყებითი განათლების საფეხურებისთვის. ლიტერატურის სწავლებისა თუ სხვადასხვა შემოქმედებითი აქტივობის საშუალებით, პროგრამა სოციო-ემოციური სწავლის უნარების განვითარება-გავარჯიშების საშუალებას იძლევა როგორც გაკვეთილზე და სკოლაში, ასევე, სახლშიც. რეალურად, ეს არის

წიგნიერებაზე დაფუძნებული მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს კონფლიქტების გადაჭრის, კულტურული მრავალფეროვნებისა და თანამშრომლობის შესახებ გაკვეთილებს (Jones, Brown, Aber, 2008).

პროგრამა 4R ისეთი თემების შესწავლა-დამუშავებისთვის, როგორებიცაა კონფლიქტი, გრძნობები, ურთიერთობები და საზოგადოება, ძირითად საშუალებად იყენებს საბავშვო ლიტერატურას. მოსწავლეები კითხულობენ, წერენ, მსჯელობენ და ივარჯიშებენ სხვადასხვა უნარს, რაც, თავის მხრივ, ამრავალფეროვნებს მათ სოციო-ემოციურ ქცევებს, როგორიცაა, მაგალითად, თავდაჯერებულობა და თანამშრომლობა.

პროგრამა მოიცავს თითოეული კლასის შესაბამის კურიკულუმს, მოსწავლეთა ასაკის შესაბამის აქტივობებს, საკითხავ რესურსებს, წიგნებს და მასწავლებელთა დამხმარე გზამკვლევს. უფრო კონკრეტულად, თითოეული კლასის მიხედვით, 4R კურიკულუმი შედგება 7 კომპონენტისგან და, დაახლოებით, 35 ერთსაათიანი გაკვეთილისგან. გაკვეთილები, თავის მხრივ, წარმოადგენს ლიტერატურისა და სოციო-ემოციური სწავლის ტანდემს, სადაც მკაფიოდ კეთდება აქცენტი უნარების შესწავლა-გავარჯიშებაზე. საკლასო აქტივობებში ჩართულია უფრო ხანგრძლივი და სამომავლო საქმიანობაზე გათვლილი სავარჯიშოები. პროგრამა ითვალისწინებს ოჯახის წევრების ჩართულობასაც (მაგალითად, გამოიყენება აქტივობის ბარათები, რომელთა შევსებაც ბავშვებს შეუძლიათ სახლშიც, მშობლებთან და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად).

4R პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია მოსწავლეთა ქცევის გაუმჯობესებაზე შემდეგი მიმართულებებით:

- ერთ გუნდად შეკვრა
- ემოციებისა და გრძნობების აღქმა-გააზრება
- მოსმენა
- თავდაჯერებულობა
- პრობლემის გადაჭრა
- მრავალფეროვნების დაფასება
- თანამშრომლობა

არაერთმა კვლევამ დაადასტურა 4R პროგრამის მაღალი ეფექტიანობა სოციო-ემოციური კომპეტეციების განვითარებაზე (Hanover Research, 2019). 2003-2006 წლებში ნიუ იორკის საჯარო სკოლებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 4R პროგრამაში ჩართული ბავშვები, სხვა ბავშვებთან შედარებით:

- ავლენდნენ ნაკლებ აგრესიას;
- ავლენდნენ ნაკლებ ტენდენციას, გამოეხატათ მტრული დამოკიდებულება სხვების მიმართ სხვადასხვა ბუნდოვან სიტუაციაში;

- უფრო იშვიათად ავლენდნენ დეპრესიის სიმპტომებს;
- უფრო იშვიათად ავლენდნენ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სიმპტომებს;
- გამოირჩეოდნენ მაღალი სოციალური კომპეტენციით.

პრაქტიკული ნაბიჯები 4R პროგრამის შედგენისთვის:

- უპირველეს ყოვლისა, შეარჩიეთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად, მხატვრული ლიტერატურა - საბავშვო წიგნები;
- შეადგინეთ თითოეული კლასისათვის ერთ სასწავლო წელზე გათვალისწილი 35 გაკვეთილის გეგმა;
- თითოეული გაკვეთილის გეგმა უნდა მოიცავდეს წიგნის წაკითხვას (მასწავლებლის მიერ ან დამოუკიდებლად, ან მოსწავლეების მიერ ერთმანეთისთვის) და კითხვის შემდგომ აქტივობებს;
- საკითხავი მასალა უნდა მოიცავდეს სოციო-ემოციურ შინაარსს, კონფლიქტურ სიტუაციებს, დილემებს და ა.შ.
- წაკითხვის შემდგომი თითოეული აქტივობა (წიგნიერების აქტივობები) - წერითი, არალინგვისტურ-ვიზუალური თუ ზეპირმეტყველების - უნდა ეფუძნებოდეს პატივისცემისა და პრობლემის გადაჭრის იდეებს;
- წაკითხვის შემდგომი აქტივობების დაგეგმვა-შერჩევისას, იხელმძღვანელეთ დიფერენცირებული სწავლების მიღებით, რათა ყველა მოსწავლეს მისცემ პროცესში ჩართვის საშუალება;
- წაახალისეთ მოსწავლეები, მოსმენილ/წაკითხულ შინაარსზე ფიქრი, მსჯელობა და მუშაობა გააგრძელონ სახლშიც, ოჯახის წევრებთან;
- შეეცადეთ, მოიძიოთ დამატებითი მრავალფეროვანი მასალა, რათა მოსწავლეებს არ დარჩეთ ბუნდოვანი წარმოდგენა წაკითხულ/მოსმენილ შინაარსთან თუ დასმულ პრობლემასთნ დაკავშირებით;
- მიეცით მოსწავლეებს საშუალება, ავტორის პოზიციიდან შეხედონ ლიტერატურულ ტექსტებს და შექმნან უკვე ნაცნობი ტექსტების ალტერნატიული ვერსიები;
- შეეცადეთ, წლის განმავლობაში დაგეგმილი 35 გაკვეთილი იდეურად და შინაარსობრივად დაკავშირებული იყოს, ერთი მხრივ, ერთმანეთთან და არ წარმოადგენდეს 35 დამოუკიდებელ ერთეულს და, მეორე მხრივ, შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

### 3.5.5. პილიკები (PATHS)

2013 წელს CASEL-ის მიერ კიდევ ერთ წარმატებულ პროგრამად დასახელებულ იქნა PATHS - ბილიკები, რომელიც დედაში წარმოადგენს აკრონიმს: Promoting Alternative Thinking Strategies - ალტერნატიული ფიქრის სტრატეგიების ხელშეწყობა. PATHS კურიკულუმი გათვლილია სკოლამდელი და დაწყებითი განათლების საფეხურის მოსწავლეებისთვის და მოიცავს როგორც საგაკვეთოლო, ასევე, საერთო სასკოლო და ოჯახურ კონტექსტში საქმიანობას. სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს ბავშვებში „ემოციური წიგნიერების, თვითკონტროლის, სოციალური კომპეტენციის, თანატოლებთან პოზიტიური ურთიერთობის და ინტერპერსონალური პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას (CASEL, 2013); ამცირებს აგრესიასა და სხვა ქცევით პრობლემებს, ხელს უწყობს ძალადობის პრევენციას, აუმჯობესებს კრიტიკულ აზროვნებას და ქმნის დადებით საკლასო გარემოს (Greenberg, Kishe, Mihalic, 1998).

PATHS პროგრამების შესწავლამ (Psychology of the Schools, 2015) აჩვენა, რომ პროგრამაში ჩართულ მოსწავლეებში თვალსწინო გახდა ემოციური აღქმისა და პროსოციალური ქცევების გამოვლინების დინამიკის ზრდა. გარდა ამისა, პროგრამაში ჩართულ სკოლამდელი ასაკის ბავშვებს, თანატოლებთან შედარებით, მშობლები და აღმზრდელები ახასიათებდნენ, როგორც უმაღლესი ემოციური ცოდნისა და უნარების, ასევე, თვალსაჩინო სოციალური კომპეტენციის მქონედ (The Journal of Primary Prevention, 2007). ასევე, PATHS პროგრამა მიჩნეულია საუკეთესო საშუალებად:

- პრობლემის გაჭრისა და დაგეგმვის უნარების განვითარებისთვის;
- ფრუსტრაციასთან გამკლავების უნარის განვითარებისთვის;
- მეხსიერების გავარჯიშებისთვის;
- იმპულსების კონტროლის უნარის განვითარებისთვის.

პრაქტიკული ნაბიჯები PATHS პროგრამის შედგენისთვის:

- შეადგინეთ გრაფიკი მოსწავლეებთან კვირაში 2-3-ჯერ შეხვედრისათვის;
- თითოეული შეხვედრა უნდა მოიცავდეს, მინიმუმ, 20-30 წუთს;
- თითოეული გაკვეთილისთვის - შეხვედრისთვის, კლასის მიზნების შესაბამისად, განერეთ დეტალური ინსტრუქცია - მიზნები, გაკვეთილის წინაპირობები, აქტივობები და სოციო-ემოციური სწავლის სამიზნე ცნებები თუ უნარები;
- ყოველი გაკვეთილი დაასრულეთ პრაქტიკული რეკომენდაციებით, თუ როგორ შეიძლება ახალნასწავლი ცნებისა თუ უნარების გამოყენება საკლასო ოთახს მიღმა;

- მოამზადეთ მოსწავლეებისთვის რესურსები, სამუშაო ფურცლები, რუპრიკები, რომელთა გამოყენებასაც შეძლებენ სახლშიც, და-მოუკიდებლად თუ ოჯახის წევრების ჩართულობით;
- გაითვალისწინეთ, რომ თითოეულ შეხვედრაზე მოსწავლეებისთვის შეთავაზებული აქტივობები უნდა შეესაბამებოდეს მთავარ ამოცა-ნას - მოსწავლეებმა აღტერნატიული გზებით, სხვადასხვა პერსპექ-ტივიდან შეძლონ შეთავაზებული შინაარსის/თემების გააზრება;
- სამიზნე აქტივობები შესაძლოა მოიცავდეს კითხვას, წერას, ავტო-რის/პერსონაჟის და ა.შ. პოზიციიდან დასაბუთებას, დილემების განხილვას, დისკუსიას, ამბების მოყოლას, როლურ თუ სხვა ტიპის თამაშებს, სოციალურ ინტერაქციას და სხვ.

### 3.5.6. „ლია წრე“

„ლია წრე“ წარმოადგენს სოციო-ემოციური სწავლის ხელშემწყობ წარმატებულ პროგრამას, რომელიც ეფუძნება საერთო სასკოლო მიდ-გომას. მის განხორციელებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი (მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ტექნიკური პერსონალი, მოსწავლეების ოჯახის წევრები, თემის წარმო-მადგენლები და ა.შ.). მათი თანამონაწილეობით მუშავდება გეგმა, თუ როგორ უნდა იზრუნონ მოსწავლეებში პროსოციალური უნარების გან-ვითარებისთვის სკოლასა თუ სკოლის გარეთ. „ლია წრის“ წარმატებული პროგრამები აერთიანებს პროფესიული განვითარების თეორიულ, კვ-ლევით და პრაქტიკულ რეკომენდაციებს და ეყრდნობა ინტერაქტიულ, გამოცდილებით სწავლის პრინციპებს.

„ლია წრე“ მოიცავს ყველა საგნობრივ დისციპლინას და მიზნად ისახავს ბულინგის პრევენციას, გამჭოლი კომპეტენციების განვითარე-ბასა და მოსწავლის მსოფლიო მოქალაქედ ჩამოყალიბებას. ფოკუსირე-ბული კვლევების საფუძველზე (<https://www.open-circle.org/our-approach/programming>) გამოიყო ის რამდენიმე მთავარი „სარგებელი“, რომელიც „ლია წრის“ პროგრამების შედეგად მიიღწევა:

- ეხმარება სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს საერთო ენის გამონახვაში;
- აუმჯობესებს სასკოლო კლიმატს;
- ეხმარება მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნებისა და პროსოციალ-ური უნარების გამოყენებაში;
- ამცირებს ნეგატიურ ქცევას, აგრესიას, ძალადობას;
- აუმჯობესებს როგორც მოსწავლეთა, ასევე, მასწავლებელთა და სასკოლო საზოგადოების სხვა ზრდასრულ წევრთა სოციო-ემოციურ

უნარებს;

- ქცევის მართვის პროაქტიული მიდგომის საფუძველზე, უზოგავს დროს მასწავლებლებს მოსწავლეთა აკადემიური მიზნების მიღწევისთვის.

„ლია წრის“ პროგრამები მუშავდება კლასების მიხედვით და მოიცავს კვირაში ორჯერ 15 წუთიან შეხვედრას. მოსწავლეები სხდებიან წრეზე და ერთ სკამს ყოველთვის ტროვების თავისუფალს, როგორც სიმბოლოს, რომ მათ შორის ყოველთვის არის ადგილი სხვა ადამიანის, შეხედულებისა თუ მოსაზრებისთვის.

„ლია წრის“ შეხვედრებზე იქმნება შინაურული და უსაფრთხო ატ-მოსფერო მოსწავლებისთვის, რათა ლიად ისაუბრონ ინდივიდუალურად მათთვის, კლასისთვის, სკოლისთვის, ადგილობრივი თემისთვის თუ, ზოგადად, მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებზე. როგორც წესი, „ლია წრის“ შეხვედრებს აქვს ძალიან ინტერაქტიული ხასიათი, შეიძლება მოიცვას დისკუსია, როლური თამაშები, წიგნის კითხვა, ახალი ამბების გაცნობა და სხვა აქტივობები. „ლია წრის“ შეხვედრები შეიძლება გამოვიყენოთ აკადემიური მიზნებისთვის, სასწავლო ამოცანების გადასაჭრელადაც.

„ლია წრის“ პროგრამების დანერგვით დაინტერესებული სკოლებისთვის არსებობს მზა მასალები (პროგრამები, კურიკულუმი, სატრენინგო მასალა, პრაქტიკული გზამკვლევები და ა.შ.) (<https://www.open-circle.org>), მაგრამ ყოველთვის უფრო მეტი სარგებლის მომტანია მოქნილი მიდგომები, როცა სკოლა, საკუთარ საჭიროებზე დაყრდნობით, თავად შეიმუშავებს პროგრამას/სამოქმედო გეგმას.

კვლევების შედეგად გამოიკვეთა (Open Circle Curriculum, 2015) ის ძირითადი სამუშაო საკითხები, თემები, ფაქტორები, აქცენტები, პრაქტიკული ელემენტები, რომელთა გათვალისწინებაც „ლია წრის“ პროგრამების ეფექტიანობას განსაზღვრავს და რომლებიც შეგვიძლია თითო შეხვედრის თემად/მიზნად მოვიაზროთ:

- ერთმანეთის უკეთ გაცნობა, როგორც ურთიერთობის მუდმივად თანმდევი კომპონენტი;
- განსხვავებულობის დაფასება;
- საერთო წესები, რომლებიც გადახედვას ან შეცვლას არ ექვემდებარება;
- არავერბალური სიგნალები და ნიშნები;
- სიმშვიდე
- მოსმენა
- გრძნობებისა და ემოციების გაცნობიერება და ამოცნობა
- სხეულის ენა

- სიმშვიდის შენარჩუნება იმედგაცრუების დროსაც
  - პოზიტიური თვითგამოხატვა
  - კომპლიმენტების გაცემა და მიღება
  - ერთმანეთზე ზრუნვა, რომ ყველა იყოს ჩართული
  - თანამშრომლობა
  - ხმამაღლა მიმართვა
  - ბრაზის გამოხატვის სტრატეგიები
  - სახიფათო და დესტრუქციული ქცევების იდენტიფიცირება და ანალიზი
  - შემაწუხებელი ქცევების იდენტიფიცირება
  - სიცელქე
  - ბულინგი
  - მიმბაძველობა
  - დისკრიმინაციის ამოცნობა
  - პრობლემების იდენტიფიცირება
  - პრობლემის დადებითად გადაჭრის გზების ძიება
  - გონებრივი იერიში
  - გეგმის შემუშავება
  - დაბრკოლებების გადალახვა
  - ხელმძღვანელობა, პოზიტიური ლიდერობა
- ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებული „ლია წრის“ შეხვედრები, მრავალფეროვან აქტივობებთან ერთად, მნიშვნელოვანია, ყოველთვის ითვალისწინებდეს ერთ უცვლელ დეტალს - საუბრის, დისკუსიის, აქტივობის ბოლოს ბავშვებმა ითიქრონ იმაზეც, ხომ არ არსებობს განსხვავებული ადამიანი, შეხედულება, მოსაზრება (ანუ რის სიმბოლოსაც წარმოადგენს მათ წრეში მდგარი ცარიელი სკამი), რომელზე ყურადღებაც მათ არ გაუმახვილებიათ, მაგრამ აქვს არსებობის უფლება და იმსახურებს პატივისცემას.

### 3.5.7. ექსპედიტორული სწავლა

ექსპედიტორული სწავლა მიმართულია მოსწავლეთა მიღწევებზე სამი მიმართულებით: 1. ცოდნისა და უნარების გავარჯიშება; 2. ხასიათის ფორმირება; 3. მაღალი ხარისხის სამუშაო შედეგებზე ორიენტირება. სამივე მიმართულება ხელს უწყობს სოციო-ემოციურ სწავლას და ეხმარება მოსწავლეებს ნებისყოფის, ემპათიის, პასუხისმგებლობისა და თანამშრომლობის კომპეტენციის განვითარებაში. ექსპედიტორული სწავლა ეყრდნობა 10 ფუნდამენტურ პრინციპს (წყარო: El Education):

1. თვითშემეცნებაზე მუშაობის აუცილებლობა

2. არაჩვეულებრივი იდეების მოფიქრება
3. სწავლის პასუხისმგებლობა
4. ემპათია და ზრუნვა
5. წარმატებისა და მარცხის მიღება
6. თანამშრომლობა და კონკურენტუნარიანობა
7. მრავალფეროვნება და ჩართულობა
8. ბუნებრივი სამყარო
9. განმარტოება და ფიქრი, რეფლექსია
10. მომსახურება და დახმარება

CASEL-ის 2015 წლის გზამკვლევში, სადაც განხილულია სოციო-ემოციური სწავლის ეფექტური სტრატეგიები და პროგრამები, ექსპედიტორული სწავლა განსაკუთრებით რეკომენდებულია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან სამუშაოდ. ექსპედიტორული სწავლის განსაკუთრებით სასარგებლო მხარედ მიიჩნევა ის, რომ ფარავს საკლასო, სასკოლო, ოჯახსა და თემში საქმიანობას და, ერთსა და იმავე დროს, ეხმარება მოსწავლეებს როგორც აკადემიურ, ისე მის მიღმა მოაზრებული კომპეტენციების განვითარებაში. რეკომენდებულია ექსპედიტორული სწავლის გამოყენება ლიტერატურის, საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკისა და ესთეტიკური მეცნიერებების საგნების სწავლებისას (El Education).

ექსპედიტორული სწავლის მოდელი, მოსწავლეთა ხასიათსა და მოტივაციაზე ყურადღების გამახვილების გზით, ხელს უწყობს ჩართულობაზე, ნებისყოფის გავარჯიშებაზე, საზოგადოებრივ აქტიურობაზე, მოსწავლეთა სამომავლო წარმატებასა და სკოლასთან მიკუთვნებულობაზე ორიენტირებული ატმოსფეროს ჩამოყალიბებას (Beeslay, 2010).

პრაქტიკული რჩევა ექსპედიტორული სწავლისთვის:

ექსპედიტორული სწავლისთვის გამოგადგებათ ყველა აქტივობა და სოციალური პროექტი, რომელიც მოსწავლეთა მხრიდან საველე საქმიანობას ითვალისწინებს.

### 3.5.8. „საპნის ჟუთი“

პროექტი „საპნის ყუთი“ წარმოადგენს Mikva Challenge-ის (აშშ) მიერ დაარსებულ საჯარო მეტყველების კონკურსს ახალგაზრდებისთვის, რომელთაც უნდა ისაუბრონ მათთან ან მათ თემთან დაკავშირებულ პრობლემებსა და აქტუალურ საკითხებზე. დღეს უკვე ძალიან პოპულარული პროექტის მრავალნლიანმა ანალიზმა თვალსაჩინო გახადა, რამდენად გრძელვადიანი, ტრანსფორმაციული ეფექტი აქვს მოსწავლეების მძღავრ ხმას მათ საკლასო ოთახებზე, სკოლებსა თუ თემზე.

პროექტი საკმაოდ პოპულარულია და მასში ერთვება არაერთი სკოლა თემის, ქალაქის, რაიონის თუ შტატის მასშტაბით.

### პროექტის ეტაპები:

1. თავდაპირველად, მოსწავლეები აანალიზებენ მათთვის და მათი თემისთვის აქტუალურ პრობლემებსა და საკითხებს, რათა შეარჩიონ თემა, რომელზეც შეძლებენ ორნუთიანი გამოსვლის/მიმართვის მომზადებას. მათმა ორნუთიანმა მიმართვამ უნდა მოიცვას, ერთი მხრივ, მათ მიერ მოძიებული მტკიცებულებები საკითხთან დაკავშირებით, ხოლო, მეორე მხრივ, მოუწოდოს მსმენელებს აქტიური ქმედებებისკენ. ამ ეტაპზე მოსწავლეები სწავლობენ ინფორმაციის მოძიების, მონაცემების დამუშავების ტექნიკებს. ეცნობიან წარმატებულ გამოსვლებს და თავადაც სწავლობენ სტრატეგიებს წარმატებული გამოსვლებისთვის;
2. მოსწავლეები გამოიდიან ორნუთიანი მიმართვებით. ამ გამოსვლებით აცნობენ თავიანთ თანატოლებს და თავადაც ეცნობიან თემსა თუ მათზე გავლენის მქონე აქტუალურ საკითხებს. მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერი კლასისა და საფუძურის მოსწავლეს. ბუნებრივია, ამ პროცესში ყველა ეტაპზე აქტიურ ფასილიტაციას ეწევა მასწავლებელი. რაც შეეხება მოსწავლეთა გამოსვლების შეფასებასა და შერჩევას, სასკოლო საზოგადოების გარდა, მასში ჩართულები არიან თემის წარმომადგენლებიც;
3. ზოგიერთ სკოლაში (ამ ფორმას სკოლა თავისი სურვილის მიხედვით ირჩევს) სხვადასხვა კლასის წარმომადგენლების გამოსვლები იმართება უფრო გაფართოებულ ფორმატში და მოსწავლეები მიმართავენ მთელ სკოლას;
4. პროექტის შემდეგ საფუძურზე სკოლის მასშტაბით შერჩეული მოსწავლეები ხვდებიან და თავიანთ გამოსვლებში მიმართავენ უკვე ქალაქის/შესაბამისი დასახლების სხვა სკოლების წარმომადგენელ თანატოლებს და ასე ნელ-ნელა ფართოვდება მათი მსმენელების აუდიტორია.

აღსანიშნავია, რომ იმ მასწავლებლებს/სკოლებს, რომლებიც გადაწყვეტენ პროექტში მონაწილეობას, წინასწარი მიმართვის საფუძველზე, შეუძლიათ კონსულტაციის, დამატებითი მხარდაჭერისა და რესურსების მიღება პროექტის ორგანიზატორების მხრიდან. შემუშავებულია სპეციალური კურიკულუმი პროექტისათვის, სადაც განერილია დეტალური ინსტრუქციები ყოველი ეტაპისთვის, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ყოველთვის განსხვავებულია მოსწავლეების, სკოლებისა თუ თემის სპეციფიკა და საჭიროებები, მასწავლებლებს შეუძლიათ, დამოუკიდებლად განსაზღვრონ მიმართულებები, დაამატონ ან ცვალონ

პროექტის აქტივობები.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და სოციო-ემოციური სწავლის შედეგების ანალიზისათვის, პროექტ „საპნის ყუთის“ ირგვლივ წარმოებულმა კვლევამ (Andolina, Conklin, 2019) გამოავლინა, რომ:

- პროექტი ერთგვარ პლატფორმას წარმოადგენს წლის დასაწყისში საკლასო საზოგადოების ფორმირებისთვის, რომლის დახმარებითაც მასწავლებლებს უადვილდებათ მთელი წლის განმავლობაში აქტიურად და მიზნობრივად მუშაობა სოციალურ და ემოციურ სწავლას-თან დაკავშირებულ საკითხებზე;
- მოსწავლეები სწავლობენ გააზრებას, არგუმენტირებულ მსჯელობას/წერას, კვლევას, საჯარო მეტყველებას, მოსმენას;
- მოსწავლეებს უვითარდებათ თავდაჯერებულობის კომპეტენცია;
- მოსწავლეები სწავლობენ თემისთვის აქტუალური საკითხების აღვოენას;
- უვითარდებათ აქტიურ მოქალაქეობასა და სამოქალაქო ჩართულობაზე ორიენტირებული უნარები და დამოკიდებულებები;
- მოსწავლეები სწავლობენ საზოგადოებაში არსებული პრობლემების/აქტუალური საკითხების გააზრებას და მათზე პასუხისმგებლობის აღებას.

## **4. პროგლემის შემოქმედებითად გადაჭრა მოქალაქეობრივი განათლებისთვის**

სახელმძღვანელოს ამ თავში შემოგთავაზებთ პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების, მათ შორის, პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარების გასავითარებელ რამდენიმე უნივერსალურ სტრატეგიას, რომელიც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში წარმოადგენს ინოვაციას და რომელთა გამოყენება შეუძლია ნებისმიერი საგნისა და საფეხურის მასწავლებელს, მოსწავლეებში ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებითა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარების მიზნით.

### **4.1. პროგლემის შემოქმედებითად გადაჭრა**

**შემოქმედებითი აზროვნება** არის მოვლენათა ახლებურად ხედვისა და პრობლემათა გადაჭრის ორიგინალური, მანამადე არარსებული გზის პოვნის უნარი. შემოქმედებითი აზროვნების განმასხვავებელ ნიშნად ითვლება იდეათა ახლებური კავშირებისა და შეხამებების პოვნა. კრეატიულობა შეაძლონური აზროვნების საპირისპირო ფორმაა. მისთვის მიუღებელია ბანალური იდეები და მოვლენებზე არსებული საყოველთაოდ მიღებული შეხედულებები.

მაშასადამე, შემოქმედებითი აზროვნება შეიძლება დავახასიათოთ, როგორც დივერგენტული აზროვნება, რომელიც პრობლემის გადაჭრისას არასტანდარტული პასუხების მიგნების შესაძლებლობას იძლევა. ეს არის რაიმეს ახალი გზით კეთება ან დანახვა, რომელიც ხასიათდება იდეების სიმრავლით, მრავალფეროვნებით (მოქნილობა, საკითხის სხვადასხვა კუთხით დანახვა), სიახლით (ორიგინალობით) და გარდაქმნის უნარით (ძველი იდეების საფუძველზე ახლის შექმნა).

შემოქმედებითი აზროვნების პროცესის აღსაწერად ხშირად იყენებენ ტერმინს – **გენერირება**, რადგან ამ დროს ხდება განსხვავებული, ორიგინალური და არასტანდარტული შესაძლებლობების ძიება ან არსებული შესაძლებლობების კორექტირება და სრულყოფა.

**კრიტიკული აზროვნება** კი არის მრავალმხრივი მიზნებით განპირობებული აზროვნება, რომლის დახმარებითაც ხდება არსებული ფაქტების, მსჯელობათა და წარმოდგენების ხელახალი გააზრება.

მაშასადამე, კრიტიკული აზროვნება არის კონვერგენტული აზროვნება, რომლის დროსაც არსებითია არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების მოძიება, მთლიანი სიტუაციის გაანალიზება და, შესაბამისად, არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, დასკვნის გაკეთება. კრი-

ტიკული აზროვნების პროცესის აღსაწერად იყენებენ ტერმინს **ფოკუსირება**.

მართალია, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება არის ერთ-მანეთისგან განსხვავებული აზროვნება, თუმცა ურთიერთთავსებადი და, მეტიც, აუცილებელი სრულყოფილი აზროვნების პროცესისთვის. პრობლემების წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია აზროვნების ამ ორი ტიპის მონაცვლეობითა და ჰარმონიული კომბინაციით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც კრიტიკული, ასევე, შემოქმედებითი აზროვნება მნიშვნელოვანია პრობლემური სიტუაციების გადაჭრისათვის. პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრისათვის მნიშვნელოვანია როგორც შესაძლებლობების გენერირება, ანუ შემოქმედებითი აზროვნება, ასევე, იდეაზე/იდეებზე ფოკუსირება, ანუ კრიტიკული აზროვნება. მხოლოდ ერთ-ერთზე დაყრდნობა ეფექტური ვერ იქნება - პრობლემის გადასაჭრელად მრავალფეროვანი იდეების გენერირება არ არის საკმარისი. მეორე მხრივ, მხოლოდ აზროვნების ფოკუსირება არ იძლევა მრავალრიცხოვანი შესაძლებლობებიდან საუკეთესოს შერჩევის საშუალებას.

#### 4.2. „ბისოციაცია“ – რჩჯერ ასოციაცია

პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარების განვითარების ხელშემწყობი მეთოდების კლასიფიკაციისას, გამოყოფენ - **ანალოგიებსა და სურათზე დაფუძნებულ ტექნიკებს/მეთოდებს**, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება, იპოვონ მსგავსება ისეთ საგნებს, მოვლენებს, თემებსა და პრობლემებს შორის, რაც თავიდან დაფარულია და რასაც, ერთი შეხედვით, არაფერი აქვს საერთო ერთმანეთთან.

ამ ტიპის ტექნიკებიდან გაგაცნობთ „**ბისოციაციის**“ მეთოდს, რომელსაც ხშირად „ორჯერ ასოციაციას“ უწოდებენ.

ცნება „**ბისოციაციას**“ პირველად ვხვდებით 1970-იან წლებში, ფილოსოფოსისა და მწერლის არტურ კოეზლერის *The Act of Creation (1964)*. მოგვიანებით, ბისოციაცია ყალიბდება როგორც შემოქმედებითი უნარების განვითარების მეთოდი, რომლის ძირითადი იდეაა ლოგიკური კავშირების პოვნა კონცეპტუალურად განსახვავებულ ცნებებს, წარმოდგენებს, მოვლენებს, სურათებსა და სხვ. შორის.

მეთოდის ძირითადი მიზანია:

- მენტალური რეტინის მსხვრევა;
- სხვადასხვა პერსპექტივის ძიებით, ახალი იდეების პოვნა;

- აბსოლუტურად განსხვავებული და ორიგინალური გადაწყვეტილებების მიგნება.

ბისოციაციის მეთოდი წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ მოსწავლეებში რიგი მოქალაქეობრივი კომპეტენციების (სტერეოტიპების დაძლევა, კრიტიკული აზროვნება, სიახლის მიმღებლობა, განსხვავებული შეხედულების პატივისცემა და სხვ.) გასავითარებლად.

### **რა ძირითადი განსხვავებაა ასოციაციასა და ბისოციაციას შორის?**

ასოციაციის დროს ცენტრში დგას ამოსავალი კითხვა, პრობლემა, რომლის ირგვლივ მოსწავლეები აყალიბებენ მრავალ იდეას და რომელიც კონტექსტშია ძირითად პრობლემასთან. ბისოციაციის დროს კი მოსწავლეები ახდენენ ორჯერ ასოციაციას: პირველ წრეზე მოსწავლეები აყალიბებენ თემის შესახებ აზრებსა და იდეებს, რომლებიც ამოსავალ საკითხს/პრობლემას ნაკლებად ან, ერთი შეხედვით, საერთოდ არ უკავშირდება. მეორე წრეზე კი მოსწავლეები ცდილობენ, ძირითადი საკითხი/პრობლემა უკვე მოპოვებულ ასოციაციებთან დააკავშირონ და ამ მიღებობით გადაჭრან პრობლემა. ამას შეგვიძლია ვუწოდოთ „ორმაგი აზროვნების“ პროცესი, რომლის დროსაც ხდება ორი კონტექსტის ერთმანეთთან დაკავშირება, მისადაგება, შერწყმა, რომელთაც თითქოს არაფერი აქვს ერთმანეთთან საერთო.

მაშასადამე, ასოციაცია, როგორც წესი, რჩება აზროვნების იმავე ჩარჩოში და ახასიათებს გარკვეული სწორებაზოვნება, ხოლო ბისოციაციის დროს მოსწავლე იძულებულია, დაამყაროს კავშირები და იპოვნოს ანალოგიები ორ სრულიად განსხვავებულ „გონებრივ განზომილებას“, მოვლენას, ფაქტს, საგანს, პრობლემას შორის. განსხვავებული ელემენტების ერთმანეთთან შეხვედრას კი მოსწავლეები მიჰყავს ურთიერთკავშირების ღრმა, გააზრებულ გაგებამდე.

მეთოდის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ „გონებრივი განზომილებების“ სწორად შერჩევაზე, რომელთა შორის კავშირები უნდა დამყარდეს. ბისოციაციის გამოყენება ნაკლებად ეფექტურია, თუ ჩვენ არ ვიცით, დაახლოებით, სად უნდა ვეძებოთ გამოსავალი/გადაწყვეტილება. ამ ტექნიკის გამოყენება მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს.

### **მეთოდის მიმდინარეობა**

კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით, წარმოგიდგენთ ბისოციაციით მუშაობის თანმიმდევრულ ნაბიჯებს.

**საგანი** - სამოქალაქო განათლება

## **სამიზნე ცნება - ინიციატივა და მეწარმეობა მკვიდრი წარმოდგენები:**

- პირადი/საზოგადოებრივი საჭიროებების განსაზღვრა ნებისმიერი ინიციატივის საფუძველია;
- მეწარმე არის ადამიანი, რომელსაც აქვს საზოგადოებისთვის სა-სარგებლო იდეა და მზად არის, რისკი გასწიოს საკუთარი იდეის განვითარებისთვის;
- მკაფიო მიზნების დასახვა, რესურსებისა და მოქმედებების დაგეგ-მვა და დროში განაწილება წარმატებული საქმიანობის აუცილებელი პირობაა;
- მოქმედებებისგან მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განსაზღვრა გვეხმარება გაუთვალისწინებელი რისკების შემცირებაში;
- გადაწყვეტილების მიღებისას, აუცილებელია ზნეობრივი და საკანონ-მდებლო ნორმების გათვალისწინება; შედეგის მისაღებად, პროცესზე დაკვირვებაა საჭირო.

მასწავლებელმა, თემატური მატრიცით გათვალისწინებული სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოსაყა-ლიბებლად, ერთ-ერთ მიდგომად შეარჩია ბისოციაციის მეთოდი.

## **პირველი ნაბიჯი - პრობლემის დასმა**

მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნო ქეისი (შემთხვევა), რომელშიც პრობლემა ჩამოყალიბებულია ნათლად და გასაგებად:

„სამოქალაქო განათლების კლუბის ფარგლებში, თქვენ გახსენით საქველმოქმედო კაფე, რომლის ძირითადი შემოსავალი მიმართული გქონდათ თქვენი ქალაქის სიახლოეს მდებარე ბავშვთა სახლის დასახ-მარებლად. კაფეს დიდი დატვირთვით ამუშავებდით და თქვენი საქველ-მოქმედო საქმიანობაც, შესაბამისად, წარმატებით მიმდინარეობდა მა-ნამ, სანამ თქვენს პატარა ქალაქში არ გაიხსნა კაფეთა ქსელი, რომელიც სერიოზულ კონკურენციას უწევს თქვენს კაფეს და კლიენტთა უმრავ-ლესობა დაკარგეთ.“

მოსწავლეებმა, ბისოციაციის ტექნიკის გამოყენებით, უნდა წარ-მოადგინონ კაფეს გადარჩინის იდეა.

## **მეორე ნაბიჯი - სურათების შერჩევა**

შემთხვევითობის პრინციპით, მასწავლებელმა უნდა აირჩიოს სუ-რათები, კატალოგები, საფოსტო ბარათები, გაზეთებიდან ამონაჭრები და მოათავსოს ყუთში. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სურათები პირდაპირ არ უნდა უკავშირდებოდეს ამოსავალ, ძირითად

საკითხს. რაც უფრო დიდია განსხვავება ძირითად საკითხსა და შეთავაზებულ ნახატებს, გამოსახულებებს შორის, მით უფრო არატიპური, საინტერესო და ორიგინალური კომბინაციები ყალიბდება. სწორედ ეს წარმოადგენს ამ მეთოდის ხილს.

ჯგუფი ირჩევს ერთ ფოტოს.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსწავლეებმა შეარჩიეს სურათი - ქრელი საჰაერო ბუშტები მთის პანორამის, ლაჟვარდოვანი ცისა და მზის სხივების ფონზე.

### **მესამე ნაბიჯი - თავისუფალი ასოციაციები**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, კარგად დააკვირდნენ მათ მიერ არჩეულ სურათს და დაფიქრდნენ - რა ასოციაციები, აზრები და მოგონებები მოსდით თავში.

მოსწავლეებმა ბარათებზე ჩამონერეს ყველა ის ასოციაცია, რომელიც სურათზე დაკვირვებამ გამოიწვია: ფერები, თავისუფლება, სიმაღლე, ზაფხული, თავგადასავალი, ბედნიერება, ტრადიცია და სხვ.

### **მეოთხე ნაბიჯი - ანალოგიების შექმნა**

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მათ მიერ დასახელებული ასოციაციები დაუკავშირონ ქეისში დასახელებულ ძირითად პრობლემას.

მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეები, რათა არ შეშინდნენ, თუ აბსურდულად მოეჩვენებათ მათ მიერ ნაპოვნი ანალოგიები. რაც უფრო არასტანდარტულია გადაწყვეტილება, მით მეტი პოტენციალია მასში ჩადებული.

გთავაზობთ მოსწავლეების მიერ შემჩნეულ რამდენიმე ანალოგიას.

- ფერები - მრავალფეროვნება, ყავის დიდი არჩევანი, ყველა ტიპის მომხმარებლის გემოვნების გათვალისწინება...
- თავისუფლება - ყავის მომზადების ახალი რეცეპტების შექმნა, გადახდის არჩევანის შესაძლებლობა (ნაღდი ფულით, ბარათით და სხვ.)...
- ზაფხული - შესაძლებლობა, გარეთ მოეწყოს მაგიდები, სეზონური შეთავაზებები...
- თავგადასავალი - ეგზოტიკური პროდუქტები, თემატური დღეების მოწყობა, მომხმარებლებისთვის ხშირად სიურპრიზების შეთავაზება...

### **მესუთე ნაბიჯი - შეფასება და ტრანსფერი**

ბოლოს, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეაფასონ თავიანთი

მიგნებები და დაფიქრდნენ, შესაძლებელია თუ არა მათი რეალიზება და როგორ?

მოსწავლეები მსჯელობენ და აფასებენ, რომელი ღონისძიება იქნება უფრო ეფექტიანი და განხორციელებადი, მაგ. პროდუქციის დიფერენცირება, როგორც სეზონურად, ასევე, ინდივიდუალურად, მომხმარებლის გემოვნების გათვალისწინებით;

ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ახალგაზრდებს ურთიერთობის ხალისს შესძენს და სხვ.

მეთოდის გამოყენების საშუალებით, მოსწავლეებს უვითარდებათ: გადაწყვეტილების მიღების, თანამშრომლობის, პრობლემის გააზრების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, იდეების ურთიერთგაცვლისა და ერთმანეთის მოსაზრებების პატივისცემის უნარების, რაც, საბოლოოდ, იდეების საქმედ ქცევის უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

მაშასადამე, ბისოციაცია არის მეთოდი, რომელიც გაცნობიერებულად აკავშირებს ისეთ ცნებებსა და საგნებს ერთმანეთთან, რომლებსაც ჩვეული რუტინული აზროვნებით არაფერი აქვთ საერთო, ეს კი კრეატიულობის განვითარების საუკეთესო საშუალებაა. მეთოდის გამოყენება, გარდა საგნობრივი კომპეტენციისა, მოსწავლეებს უვითარებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შემდეგ გამჭოლ უნარებსა და კომპეტენციებს: კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება; მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა, საქმედ ქცევა და პასუხისმგებლობა.

#### 4.3. მომავლის სახელოსნო

მომავლის სახელოსნო არის თანამშრომლობითი სწავლების მეთოდი. სასწავლო პროცესში მისი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეებს, განთავისუფლდნენ შებოჭილი აზროვნებისგან, მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი, მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენებით, შეძლონ, იპოვონ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გაზა და აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ გადაწყვეტილებაზე, რაც 21-ე საუკუნის მოქალაქის მნიშვნელოვან კომპეტენციას წარმოადგენს.

მომავლის სახელოსნოს პრაქტიკაში დანერგვა და განვითარება პირველად სცადა ამერიკელმა პუბლიცისტმა და მომავლის მკვლევარმა, რობერტ იუნგკმა 1960-იან წლებში. მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება ეკოლოგიურ და სოციალურ სფეროში. ამის მიღწევა კი, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობით და დემოკრატიის განვითარებით სურდა, რის

საშუალებასაც მეთოდი - მომავლის სახელოსნო იძლეოდა, რადგან აქ ყველა აქტორი თანაბრად მონაწილეობს პრობლემის გადაწყვეტის პროცესში და წვლილი შეაქვს შედეგის მიღწევაში. აქ არ არის იერარქია და შეზღუდვები, ვისაც რა დავალების შესრულება შეუძლია, იმას ასრულებს. მომავლის სახელოსნოში ყველა თანასწორია, მასწავლებელი იქნება ის, თუ მოსწავლე „ყოველ ადამიანში ჩადებულია ბევრად მეტი, ვიდრე მან იცის“ - ასე აღნერს იუნგი „მომავლის სახელოსნოს“ მიზანს.

იუნგი დაეყრდნო ასპორნის მიერ შექმნილი მეთოდის - გონებრივი იერიშის ძირითად პრინციპს. მეთოდი დაყოფილია კრიტიკის, ფანტაზისა და ფოკუსირების ფაზებად.

### **მეთოდის მიმდინარეობა**

მეთოდის მიმდინარეობას წარმოგიდგენთ პრაქტიკულ მაგალითზე, კერძოდ, როგორ იმუშავა ამ მეთოდით მეექვსე კლასის დამრიგებელმა სადამრიგებლო საათის ფარგლებში.

**მიზანი:** მოსწავლეების მიერ კლასში არსებული გენდერული კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება.

**პრობლემა:** კლასში სიტუაციის გაუმჯობესების სურვილი გააჩნდა კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარეს, როგორც გოგონებს, ასევე, ბიჭებს, მაგრამ მოსწავლეთა სურვილი, სამწუხაროდ, ვერ გადავიდა ქმედებაში და სიტუაცია გოგონებსა და ბიჭებს შორის სულ უფრო და უფრო იძაბებოდა.

დამრიგებლის ინიციატივით, მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, ყველა ერთად დაფიქრებულიყო კლასში არსებულ მდგომარეობაზე, გაეანალიზებინათ იგი და ჩამოეყალიბებინათ კონფლიქტის მოგვარებისა და საკლასო გარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობები.

დამრიგებელმა მოსწავლეებს შესთავაზა, სიტუაცია დაელაგებინათ „მომავლის სახელოსნოს“ მეთოდის გამოყენებით.

### **პირველი ნაბიჯი - მოსამზადებელი ფაზა**

დამრიგებელმა თავის თავზე აიღო მოდერატორის ფუნქცია, მოსწავლეებს კიდევ ერთხელ შეახსენა შეკრების მიზანი, აუხსნა მეთოდის მიმდინარეობა. შემდეგ მან მოსწავლეთა რელაქსაციისთვის გამოიყენა აქტივობა: მოგზაურობა ფანტაზიაში. მოსწავლეები ოცნებაში უბრუნდებიან გასულ წელს, იხსენებენ კლასში მომხდარ ფაქტს, რომელიც მარტო სასიამოვნო მოგონებად დარჩა მათ მეხსიერებაში. მოსწავლეებმა განცდილი გადმოსცეს ჩანახატების სახით და წარუდგინეს გვერდზე მჯდომებს.

### **მეორე ნაბიჯი - კრიტიკის ფაზა**

კრიტიკის ფაზა მასწავლებელმა დაიწყო ბარათებზე მუშაობის მეთოდით. მან აუხსნა მოსწავლეებს ბარათებზე მუშაობის წესები - თითო ბარათზე დააფიქსირონ მხოლოდ ერთი იდეა, კერძოდ, ყველაზე უფრო რა არის მათთვის მიუღებელი კლასში არსებული სიტუაციიდან და რის განმეორებას არ ისურვებდნენ მომავალში. თითოეულმა მოსწავლემ დააფიქსირა ინდივიდუალური ნააზრევი და გააკრა დაფაზე. შემდეგი აქტივობაა, მასწავლებლისა და მოსწავლეების თანამშრომლობით, ბარათების კლასიფიცირება კრიტიკულ პუნქტებად. ამის შემდგომ მასწავლებელმა მოსწავლეებს დაურიგა სტიკერები და სთხოვა - დაფიქრებულიყვნენ და გაეკეთებინათ არჩევანი, თუ რომელი კრიტიკული პუნქტი მიაჩნდათ ყველაზე პრობლემურად და გადაუდებლად გამოსასწორებლად. მოსწავლეებმა შეძლეს პრობლემების რანჟირება.

ასე გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

- ბიჭების უხეში დამოკიდებულება გოგონებისადმი
- გოგოების მხრიდან ბიჭებზე ჭორაობა
- ბიჭებისა და გოგოების აბსოლუტურად განსხვავებული ინტერესები და ერთმანეთის ინტერესების უპატივცემულობა
- შეუძლებელია გოგონების პრობლემებისა და ინტერესების შესახებ ბიჭებთან საუბარი, და პირიქით
- ბიჭებს თავი გოგოებზე ნიჭიერები ჰგონიათ და დაგვცინიან სიბეჯითის გამო
- მასწავლებლების მხრიდან კლასში დაძაბულ ურთიერთობებზე არასწორი რეაგირება და კონფლიქტურ სიტუაციებში ნაკლები ჩარევა

### **მესამე ნაბიჯი - პოზიტიური ხედვა**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მათ მიერ დასახელებული კრიტიკული პუნქტები ჩამოაყალიბონ პოზიტიურად. მოსწავლეებმა რანჟირებული პრობლემები წარმოადგინეს პოზიტიური კონოტაციით:

- ჩვენ ვისურვებით, ბიჭების დამოკიდებულება გოგონებისადმი ყოფილიყო თავაზიანი
- ჩვენ ვისურვებდით, გოგონები იყვნენ უფრო თავშეკავებულები
- განსხვავებული ინტერესების მიუხედავად, ჩვენ ვისურვებდით, მოვუსმინოთ ერთმანეთს და პატივი ვცეთ ერთმანეთის შეხედულებებს
- ჩვენ ვისურვებდით, კლასში არსებულ გაუგებრობებზე და კონფლიქტებზე ყველას ერთად გვესაუბრა და საერთო ძალით შეგვაძლებოდა გადაწყვეტილების მიღება

- ჩვენ ვისურვებდით, რომ ბიჭებისთვის სიბეჯითე მისაბაძი იყოს
- ჩვენ ვისურვებდით, რომ მასწავლებელი მეტად დაინტერესდეს კლასში არსებული რეალური პრობლემებით და სწორად ჩაერიოს ჩვენს კონფლიქტები

### **მეოთხე ნაბიჯი - წარმოსახვის ფაზა**

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, პრობლემის მოგვარებისთვის მოუხმონ მრავალფეროვან, ფანტაზიით საგვარეულო იდეებს და არ იფიქრონ იმაზე, რამდენად განხორციელებადი და რეალურია ეს იდეა. მოსწავლეებმა ძალიან ბევრი იდეა დაასახელეს, მათ შორის, უტოპიური და არაგანხორციელებადიც. მაგალითად, დავასახელებთ რამდენიმეს:

- ჩვენ არასდროს არაფერზე ვიკამათებთ, რადგან ყველანი ყოველთვის ერთ აზრზე ვიქნებით
- ხშირად ვითამაშებთ ისეთ თამაშებს, რომლებიც ბიჭებისთვისაც და გოგონებისთვისაც ერთნაირად მისაღები იქნება და უფრო მეტ დროს გავატარებთ ერთად
- საკლასო გადაწყვეტილებების მიღებაში შეთანხმებულად და უფრო აქტიურად ჩავერთვებით ყველანი
- კარგი იქნება ჯადოსნური ჯოხი, რომელიც ყოველგვარ კონფლიქტს მყისიერად მოაგვარებს
- კლასის დამრიგებლის გარეშე, ჩვენ თვითონ გავუნევთ ერთმანეთს დამრიგებლობას და სხვ.

### **მეხუთე ნაბიჯი - განხორციელების, ანუ რეალიზების ფაზა**

რეალისტური თუ უტოპიური იდეების ჩამოყალიბების შემდეგ, მასწავლებლის მოდერაციით, ჯგუფმა იმსჯელა თითოეულ იდეაზე, იმაზე, თუ რომელს აქვს განხორციელების შანსი. მსჯელობა წარიმართა შემდეგი სავარაუდო კითხვებით:

რომელი იდეაა რეალური, განხორციელებადი? რა ღონისძიებებია გასატარებელი, ჩვენი იდეა რეალობად რომ იქცეს? კონკრეტულად სად არის დეფიციტი ამ პრობლემის გადასაჭრელად? როგორ არის შესაძლებელი ამ დეფიციტის შევსება? იქნებ არსებობს ამ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული და უფრო რეალისტური გზა? რამდენი დრო გვაქვს ცალკეული ნაბიჯების მოსაგვარებლად? და სხვ.

შემდეგ ეტაპზე მოსწავლეებმა ცალკე გამოყვეს განხორციელებადი იდეები, უფრო დააკონკრეტეს, დააზუსტეს ისინი და დიდი ფორმატის ქაღალდზე დაიტანეს.

გთავაზობთ მოსწავლეთა გადაწყვეტილების შეჯერებულ ვარიანტს:

- კლასში წარმოქმნილი ყველა ძირითადი პრობლემა გულწრფელად განიხილონ ერთმანეთთან და დამრიგებელმა შეითავსოს მხოლოდ მოდერატორის ფუნქცია;
- წინადადებით შევიდნენ სკოლის ხელმძღვანელობასთან, ჩამოაყალიბონ მედიაციის კლუბი, სადაც ისინი განევრიანდებიან და ისწავლიან მედიაციისა და კონფლიქტების მოგვარების ხელოვნებას;
- ხშირად მოაწყონ ექსკურსიები;
- შექმნან სასწავლო ჯგუფები, სადაც თანაკლასელები ერთმანეთს დაეხმარებიან სუსტი მხარეების დაძლევაში;
- მასწავლებლებს სთხოვონ, რომ ჯგუფური სამუშაოების დროს ჯგუფები დააკომპლექტონ შერეულად;
- მასწავლებლების წინაშე დასვან საკითხი, რომ საკლასო გადაწყვეტილებების მიღებისას, მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს ყველა მოსწავლის აზრი.

მეთოდის წარმატებით განხორციელებისთვის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:

- მოდერაციის, ჯგუფთან ურთიერთობის, კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების, უკუკავშირის მიღებისა და გაცემის გამოცდილება;
- ღია ურთიერთობა მოსწავლეებთან, ეპყრობოდეს მათ პატივისცემით;
- პროცესის შემოქმედებითად წარმართვის უნარი. უნდა ფლობდეს ისეთ შემოქმედებით ტექნიკებს, რომლებიც აღვიძებს ფანტაზიას.

დასკვნის სახეთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეთოდის გამოყენება: უზრუნველყოფს თანამონაწილეობით და თანასწორუფლებიან სწავლას; მოსწავლეებს ეხმარება მოვლენების სწორად შეფასებაში და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში; უზრუნველყოფს მოსწავლეებზე პასუხისმგებლობის დელეგირებას, ისინი თავს გრძნობენ მასწავლებლების პარტნიორებად და სასკოლო საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად.

#### 4.4. იდეატის სახელოსნო

იდეების სახელოსნო შეიძლება განვიხილოთ, როგორც მომავალის სახელოსნოს მოდიფიკაცია, რომელიც ეფუძნება წარმოსახვის გააქტიურებას პრობლემის გადაჭრის პროცესში. ეს მოსწავლეებს ეხმარება,

განთავისუფლდენენ წინასწარ შექმნილი სტერეოტიპული შეხედულებებისგან და იაზროვნონ სხვადასხვა კონტექსტისა და პერსპექტივის გათვალისწინებით.

### **მეთოდის მიმდინარეობა**

მეთოდის მიმდინარეობას გთავაზობთ კონკრეტული მაგალითის დემონსტრირებით.

მასწავლებელი მოსწავლეებს აყენებს პრობლემის წინაშე - თქვენ ცხოვრობთ მულტიკულტურულ თემში. თემის წარმომადგენლებმა გთხოვეს, შექმნათ მოქალაქეთა მშვიდობიანი თანაცხოვრების იდეალური და ორიგინალური მოდელი - თემი, როგორც მეორე ოჯახი.

მოსწავლეებს მასწავლებელმა შესთავაზა, მოდელის შესაქმნელად გამოეყენებინათ მეთოდი - იდეების სახელოსნო.

### **პირველი ნაბიჯი: გამოწვევა**

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს სამ კითხვას:

ა) როგორ თანაცხოვრობენ მგლები საკუთარ ოჯახში?  
ბ) როგორ თანაარსებობენ სხვადასხვა სახეობის მცენარეები ერთ გარემოში?

გ) როგორ თანაცხოვრობენ ადამიანები საკუთარ კულტურულ გარემოში? (ერთი კონკრეტული მონოკულტურული საზოგადოების მაგალითები)

დ) როგორ თანაცხოვრობენ განსხვავებული კულტურის ადამიანები ერთ გარემოში? (ერთი კონკრეტული მულტიკულტურული საზოგადოების მაგალითები)

პასუხის გასაცემად, მოსწავლეებმა დამოუკიდებლად უნდა მოიპოვონ ინფორმაცია დასმული კითხვების ირგვლივ, რისთვისაც მასწავლებელი აძლევს გარკვეულ დროს.

### **მეორე ნაბიჯი: იდეების გენერირება**

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაიღრმავებენ ცოდნას, მასწავლებელი უბრუნდება საკითხს, მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს და უზიარებენ ერთმანეთს მოპოვებულ ინფორმაციასა და საკუთარ იდეებს. მასწავლებელი ფლიპჩარტზე/დაფაზე ჩამოწერს მოსწავლეთა პასუხები-დან საკვანძო სიტყვებს.

ა) იერარქიის დაცვით, ერთგულებით, მტკიცე იჯახით, ლეკვებზე ზრუნვით, ერთობლივი ნადირობით, ნანადირევის განაწილებით, ერთ-მანეთის დაცვით და სხვ.

ბ) ერთმანეთს უქმნიან ხელსაყრელ პირობებს, სხვადასხვა ყვავილი ერთმანეთს უხამებს ფერებს, ქმნიან მრავალფეროვან და ლამაზ გარე-მოს, წმენდენ ჰაერს, ისინი ერთად იცავენ გარემოს სტიქიისგან და სხვ.

გ) საუბრობენ ერთ ენაზე, აქვთ საერთო ჩვევები და ტრადიციები, უფრო მეტი იციან ერთმანეთის შესახებ, აღნიშნავენ საერთო დღესას-ნაულებს, ერთმანეთთან კომფორტულად გრძნობენ თავს და სხვ.

დ) ცდილობენ, ისწავლონ ერთმანეთის ენა, ინტერესდებიან და ით-ვალისწინებენ ერთმანეთის ტრადიციებსა და ადათებს, ეცნობიან ერთ-მანეთის დღესასწაულებს და სამზარეულოს, განსხვავებულობის გამო ხანდახან წარმოიშვება გაუგებრობა, ზოგჯერ ცხოვრობენ ჩაკეტილად და ნაკლებად აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობა და სხვ.

### **მესამე ნაბიჯი: საწყისი მოდელის შექმნა**

მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს მცირე ჯგუფებად. ცალკეული ჯგუფი, წინა აქტივობისას დასახელებულ საკვანძო სიტყვებზე დაყრდ-ნობით და მათეული ორიგინალური იდეების კომბინირებით, ქმნის მშვი-დობიანი მულტიულტურული თემის მოდელს.

მოსწავლეებმა უნდა განავითარონ ორიგინალური და აზრიანი იდეები, მაგრამ მიზანშეწონილობა, განხორციელებადობა და ფინანსური ხელმისაწვდომობა ამ ეტაპზე არ უნდა იყოს გათვალისწინებული.

გთავაზობთ ერთ-ერთი ჯგუფის მიერ შექმნილ იდეალური მულტი-კულტურული თემის მოდელს:

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მულტიკულტურულ თემში სხ-ვადასხვა ენაზე მოლაპარაკები, სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები და განსხვავებული ტრადიციების ოჯახები ვცხოვრობთ, თემში ურთიერ-თობა წარმოუდგენლად კეთილმეზობლური და იდეალურია: ჩვენი თე-მის ყველა მცხოვრები სრულყოფილად საუბრობს ერთმანეთის ენაზე, ყველა ოჯახი აღნიშნავს არა მარტო საკუთარ, არამედ ერთმანეთის დღესასწაულებს. სოფელში აშენებულია ერთი დიდი, ლამაზი სახლი, რომელშიც ყველა ეთნიკურ და რელიგიურ თემს აქვს თავისი კუთხე. ამ სახლში იმართება დღესასწაულები, სადაც თემის ყველა წარმომად-გენელი იკრიბება. ოჯახები არასდროს ენინააღმდეგებიან განსახავე-ბული რელიგიური და ეთნიკური წყვილების ქორწინებას. გვაქვს ერთი დიდი სკოლა, სადაც ჩვენ, სასწავლო საგნებთან ერთად, ერთმანეთის ენებსა და ტრადიციებს ვსწავლობთ. არასდროს მოგვდის უსიამოვნება, ჩხუბი, უბრალო კამათიც კი. ყოველთვის ერთად ვართ ჭირში და ლხინში.

## **მეოთხე ნაბიჯი: რეფლექსის ფაზა - გადაწყვეტილებების გაანალიზება**

ჯგუფები კლასის წინაშე წარადგენენ იდეალური თემის საკუთარ კონცეფციას. კლასი განიხილავს თითოეული ჯგუფის თვალსაზრისებს, განხორციელებადობისა და მიზანშეწონილობის კუთხით.

წარმოდგენილი კონცეფციების სინთეზით, კლასი ქმნის იდეალური მულტიკულტურული თემის რეალურ მოდელს.

გთავაზობთ კლასის მიერ შექმნილ ასეთ მოდელს:

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მულტიკულტურულ თემში სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკები, სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები და განსხვავებული ტრადიციების ოჯახები ვცხოვრობთ, თემში ურთიერთობა კეთილმეზობლურია - ჩვენ პატივს ვცემთ ერთმანეთის რწმენასა და ტრადიციებს. სოფელში აშენებულია კულტურის სახლი, რომელშიც ყველა ეთნიკურ და რელიგიურ თემს აქვს თავისი კუთხი. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავეცნოთ ერთმანეთის კულტურასა და ტრადიციას. კულტურის სახლში ყველა მსურველს შეუძლია, უსასყიდლოდ შეისწავლოს სახელმწიფო ენა. ჩვენს სკოლაში ყველა ეთნიკურ ჯგუფს შეუძლია ისწავლოს თავის მშობლიურ ენაზე.

### **4.5. მორცოლობიური ფუნქციები**

შვეიცარიელმა ასტროფიზიკოსმა, ფრიც ცვიკისმა (Fritz Zwicky – 1898-1974) განავითარა მეთოდი - მორცოლობიური ყუთი, რომელიც პრობლემის გადაჭრის პროცესში ჩართულ ადამიანებს ეხმარება, პრობლემების გადაჭრის გზები ეძიონ თავად ამ პრობლემის შიგნით. მაშასადამე, მეთოდით მუშაობისას, გადაწყვეტილების მიგნება ხდება არა ახალი, ინოვაციური და ორიგინალური იდეებით, არამედ უკვე ნაცნობი ელემენტების სხვადასხვა კომბინაციით.


აქედან გამომდინარე, მეთოდის მიზანია, შემსწავლელებმა ცალკეული ელემენტების სისტემური კომბინაციებით დაამუშაონ პრობლემების გადაჭრის ფართო სპექტრი და აქედან აირჩიონ ყველაზე უფრო შესაბამისი და ხელსაყრელი.

მეთოდით მუშაობის ძირითად პრინციპს წარმოადგენს პრობლემის ცალკეულ კომპონენტებად, ე.წ. ქვეპრობლემებად დანაწევრება და თითოეული კომპონენტის თვის რაც შეიძლება მეტი ლოგიკურად შესაძლო გადაჭრის გზის მონახვა. ბოლოს კი, ცალკეული გადაწყვეტილებების მრავალნაირი კომბინაციებით, მთლიანი პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ალტერნატიული შესაძლებლობის მიღება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ნათლად დაგვანახებს მორფოლოგიური აუთით მუშაობის ძირითად პრინციპებს.

### მორფოლოგიური კუთის აგების ძირითადი პრინციპი

#### პრობლემის აღწერა:



#### მეთოდის მიმდინარეობა

- პრობლემის განსაზღვრა:

მასწავლებელი ახდენს პრობლემის ფორმულირებას, რომელიც გაკვეთილზე უნდა გადაიჭრას და აცნობს მას მოსწავლეებს / წერს და-ფაზე. მის ქვემოთ იგი ხატავს ცხრილს/მატრიცას რამდენიმე რიგითა და სვეტით.

- პრობლემის დანაწევრება ერთმანეთისგან დამოუკიდებელ პარამეტრებად:
 

მასწავლებელი, მოსწავლეებთან ერთად, აანალიზებს პრობლემას და მას აანაწევრებს ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ქვეპრობლემებად. ეს ცალკეული ასპექტები უნდა ვარირებდეს, რათა შესაძლებლობების საერთო სპექტრი, რომელიც დაფარულია, ხილული გახდეს. მოძიებულ პარამეტრებს მოსწავლეები დაიტანენ მატრიცის მარცხენა ვერტიკალურ სვეტში. ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ პარამეტრებმა თავიანთი მნიშვნელობებით არ გადაფარონ ერთმანეთი.
- ცალკეული ქვეპრობლემების გადაჭრის ვარიანტების განსაზღვრა:
 

ჩამოყალიბდება ცალკეული ქვეპრობლემის გადაჭრის რაც შეიძლება ბევრი ალტერნატიული გზა და, შესაბამისი პარამეტრების გასწვრივ, ცხრილის ჰორიზონტალურ სვეტებში ჩაიწერება.
- ახალი კომბინაციების პოვნა:
 

ერთმანეთისგან დამოუკიდებელი პარამეტრები პრობლემის გადაჭრის ვარიანტებს დაუკავშირდება, შეიქმნება პრობლემის გადაჭრის საერთო სურათი. ცხრილში ისრებით ერთმანეთს დაუკავშირდება ყველა შესაძლო კომბინაცია. ეს არის მეთოდის ყველაზე უფრო შემოქმედებითი ფაზა, რადგან იქმნება ახალი სტრუქტურული ერთეულები.
- ალტერნატიული კომბინაციების შეფასება და გადაწყვეტულების მიღება:
 

შერჩეული ალტერნატივები შეფასდება - გადამოწმდება შესაბამისობის, ხელსაყრელობის, ტექნიკური განხორციელებადობისა და ეკონომიურობის გათვალისწინებით.

იმისათვის, რომ მეთოდი ადვილად აღსაქმელი იყოს, გთავაზობთ ერთ კონკრეტილ მაგალითს, თუ როგორ გამოიყენა მასწავლებლმა მორფოლოგიური ყუთი მოსწავლეებში ქვეყანათმცოდნეობისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლების მიზნით.

**ნაბიჯი პირველი - პრობლემის განსაზღვრა და დავალების ნარდვენა**  
 მასწავლებელმა მოსწავლეები დააყენა პრობლემის წინაშე და წარუდგინა შემდეგი დავალება.  
 დავალების ინსტრუქცია: ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან სამოგზაუროდ უნდა აირჩიოთ ერთ-ერთი: თურქეთი, იაპონია, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები.

თქვენს სამუშაო ფურცელში მოცემულია ცხრილი იმ ძირითადი პარამეტრებით, რომლებიც აუცილებლად უნდა გათვალისწინოთ მოგზაურობის დროს. ცალკეული პარამეტრი მიუსადაგეთ ცხრილში მოცემულ ალტერნატიულ ვარიანტს.

დავალების წარდგენის დროს დააკონკრეტეთ თქვენი არჩევანი (მაგ. თუ გადაწყვეტით მუზეუმის მონახულებას, უნდა იმსჯელოთ, რომლის და რატომ) და არგუმენტირებულად დაასაბუთეთ, კონკრეტულ ქვეყანასთან და თითოეულ პარამეტრთან დაკავშირებით, რატომ შეარჩიეთ ესა თუ ის ვარიანტი.

თქვენ გეძლევთ არჩევანის საშუალება - იმუშაოთ ინდივიდუალურად ან წყვილებში და გაქვთ ერთ კვირა პრეზენტაციის მოსამზადებლად.

პარამეტრები	ვარიანტი 1	ვარიანტი 2	ვარიანტი 3	ვარიანტი 4
მოგზაურობის მიზანი	ტურისტად	სასწავლებლად	მუსიკალურ ფესტივალზე დასასწრებად	სპორტულ ღონისძიებაზე დასასწრებად
რას წავილებდი ჩასაცმელად	სმოკინგი ან კოქტეილის კაბა	ჯინსის შარვალი და პერანგი	შორტი და მაისური	თავსაფარი და ლაბადა ან ქურთუკი და ქუდი
სუვენირი, რომელსაც წავიღებდი	ქართული ღვინო	ყანწი და ფიალა	ძველი თბილისის მინიატურა	ქართული ხალხური სიმღერების ჩანაწერი
სუვენირი, რომელსაც წამოვილებდი	კიმონო	კოვბოის ქუდი	ცნობილი ნახატის ილუსტრაცია ან ალბომი	ხალიჩა
საკვები (რას დავაგემოვნებდი)	ყველის ასორტი	ბურგერი	თევზეული	ქაბაბი
რა ღირშესანიშნავობას ვნახავდი	ბალებს	მუზეუმებს	ატრაქციონებს	სასახლეებსა და ძეგლებს
ვის შევხვდებოდი	იქ მცხოვრებ ქართველებს	ჩემს თანატოლებს	ცნობილ სპორტსმენებს	ცნობილ მსახობებს
რა დღესასწაულს დავესწრებოდი	თეატ-რალიზებულ სახალხო მსვლელობას	ეროვნულ დღესასწაულს	რელიგიურ დღესასწაულს	სასკოლო ან საუნივერსიტეტო ღონისძიებას

მორფოლოგიური ყუთი არის უნივერსალური მეთოდი, რომლის გამყენება შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ საფეხურსა და ნებისმიერ საგანში. მეთოდით მუშაობა მოსწავლეებს უვითარებს როგორც შემოქმედებით, ასევე, ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას და ემარება მათ პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრაში.

#### 4.6. შემთხვევის/ქეისის ანალიზითა და დილემებით სწავლება

შემთხვევის ანალიზითა და დილემებით სწავლება მიეკუთვნება სწავლების იმ ინტერაქციულ მეთოდთა რიცხვს, რომლებიც მოსწავლეებს რეფლექსური და გადაწყვეტილების მიღებისკენ ორიენტირებული ქცევისთვის განაწყობს. მისი მიზანია, განუვითაროს მოსწავლეებს ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ისინი მიეკუთვნებიან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდთა რიცხვს. ასეთი ტიპის სწავლების დროს მოსწავლეები, რეალური ცხოვრებისეული პრობლემების კვლევის გზით, იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც მათ მთელი სიცოცხლე გამოადგებათ წარმატების მისაღწევად.

პრაქტიკაში შემთხვევის ანალიზისა და დილემებით სწავლების სხვადასხვა ვარიანტი ჩამოყალიბდა, რომელთა ძირითადი მიზნები ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ მათ აქვთ ერთი მთავარი და მახასიათებელი ნიშანი – შემთხვევები და დილემები მოსწავლეთა რეალური, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან არის აღებული და მათზე მუშაობა საშუალებას აძლევთ, მოახდინონ მიღებული თეორიული ცოდნის ინტეგრირება რეალურ ცხოვრებასთან. ამ დროს მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა, რომელსაც თავად უხდება წამოქრილ პრობლემასთან გამკლავება – იგი არკვევს, რა უნდა იცოდეს პრობლემის უკეთ გასაგებად, საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებლად ეძებს საჭირო ინფორმაციას (წიგნებს, გამოკვლევებს, ანგარიშებს, ელექტრონულ ინფორმაციას) და ა.შ. ამის შემდეგ იგი, აღჭურვილი ახალი ცოდნით, კვლავ უპრუნდება პრობლემას, ეძებს და პოულობს გადაჭრის საუკეთესო გზას. ბოლოს მოსწავლე აფასებს საკუთარ და ჯგუფის სხვა წევრთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და მათ ქეისსა თუ დილემაში მიღებულ გადაწყვეტილებას ადარებს. ყოველივე ეს მას ეფექტიან, დამოუკიდებელ სწავლაში ემარება. შემთხვევის/ქეისის ანალიზითა და დილემებით სწავლა მოსწავლისთვის უფრო საინტერესო და სახალისოა, რაც ზრდის მის შინაგან მოტივაციას და შესასწავლი საგნისადმი ინტერესს.

## **შემთხვევის ანალიზის ინტერპრეტირეტაციები**

- სიტუაციის/შემთხვევის ანალიზი (Case-Study) – ამ ვარიანტში პრობლემა საკმაოდ ვრცლად და დაწვრილებით არის აღწერილი, ასევე, მოცემულია გზა, თუ როგორ გადაიჭრა პრობლემა. თუმცა, კონკრეტულად რა პრობლემასთან გვაქვს საქმე, პირდაპირ არ ჩანს. ის შეფარვით არის ნაჩვენები სიტუაციაში. ასეთი ტიპის შემთხვევაზე მუშაობის ძირითადი მიზანია, მოსწავლემ შეძლოს შეფარულად მოცემული პრობლემების აღმოჩენა, გაანალიზება, პრობლემის გადაჭრის განსხვავებული გზის პოვნა და მისი მართებულობის დასაბუთება.
- პრობლემური სიტუაციის/შემთხვევის ანალიზი (Case-Problem) – ამ ვარიანტში პრობლემა უკვე მკაფიოდ არის წარმოჩენილი. მუშაობის ძირითადი მიზანია, სიტუაციაში აღწერილ პრობლემაზე დაყრდნობით, მისი გადაჭრის ალტერნატიული გზების პოვნა, მათი მართებულობის დასაბუთება და გადაწყვეტილების მიღება.
- პრობლემის გადაჭრის გზის ანალიზი (Stated-Problem) – ეს ვარიანტი იმით გამოირჩევა, რომ სიტუაციაშივე მოცემული პრობლემის გადაჭრის გზები. მასზე მუშაობისას, მასწავლებელი ძირითად მიზნად ისახავს მოსწავლეთა მხრიდან სიტუაციაში მოცემული პრობლემის გადაჭრის თითოეული გზის კრიტიკას, პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის პოვნასა და მისი მართებულობის დასაბუთებას.
- არასარულყოფილი ინფორმაციის შემცველი სიტუაციის/შემთხვევის ანალიზი (Case-Incident) – განსხვავებით წინა სამი ვარიანტისგან, სადაც შემთხვევა სრულყოფილად არის წარმოდგენილი და მოსწავლე ანალიზის დროს ეყრდნობა მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც სიტუაციაშია აღწერილი, აյ მოსწავლეთა საქმიანობა, უმთავრესად, ინფორმაციის მოძიებისკენ არის მიმართული, რადგან ამ ვარიანტში შემთხვევა არ შეიცავს პრობლემის ამოსაცნობად, გასაანალიზებლად და გადაჭრის გზების საძიებლად საჭირო სრულყოფილ ინფორმაციას. ამ ვარიანტზე მუშაობისას, მოსწავლეებმა თავად უნდა ამოიცნონ, რა დამატებითი ინფორმაციის მოძიება დაეხმარება მათ ამოცანის გადაჭრაში. ასეთი ტიპის შემთხვევაზე მუშაობა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, თუმცა იგი პრაქტიკასთან, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ყველაზე ახლოს მდგომად განიხილება, რადგან მოსწავლეებს დამატებითი ინფორმაციის მოძიების პროცესში რეალურად უხდებათ შეხება აღნიშნულ შემთხვევასთან/პრობლემასთან და, ამავდროულად, მასზე მუშაობა მოსწავლეებს აყალიბებს დამოუკიდებელ შემსწავლელებად.

**გამოყოფენ შემთხვევის ანალიზით მუშაობის შემდეგ თანმიმდევრულ  
ნაბიჯებს:**

**პირველი ნაბიჯი - მოსწავლეებისთვის შემთხვევის გაცნობა**  
ამ ნაბიჯის მიზანია, მოსწავლეები ჩასწოდნენ აღწერილ სიტუაციას  
და მასში მიღებულ გადაწყვეტილებას.

#### **მეორე ნაბიჯი - მუშაობა ინფორმაციაზე**

ამ ეტაპზე მოსწავლეები აანალიზებენ სიტუაციას და/ან მოიპოვებენ  
დამატებით ინფორმაციას, პრობლემის უკეთ გადაჭრის მიზნით.

#### **მესამე ნაბიჯი - დისკუსია ჯგუფში**

მოსწავლეები შეიმუშავებენ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ  
გზებს, მსჯელობენ თითოეული გზის ძლიერ, სუსტ მხარეებზე და იმ  
შედეგებზე, რაც შეიძლება დადგეს ამა თუ იმ გადაწყვეტილებისას. ამ  
დროს მოსწავლეებს უვითარდებათ დივერგენტული აზროვნება.

#### **მეოთხე ნაბიჯი - შეთანხმება ჯგუფის შიგნით**

ჯგუფში დისკუსიის შედეგად, მოსწავლეები შემოთავაზებული ალ-  
ტერნატივებიდან აფასებენ თითოეულს, თანხმდებიან და ირჩევენ არსე-  
ბული სიტუაციისთვის ყველაზე უფრო შესაფერისს.

#### **მეხუთე ნაბიჯი - დისკუსია მთელი კლასის მონაწილეობით**

თითოეული ჯგუფის წარმომადგენელი მთელ კლასს აცნობს  
ჯგუფებში მიღებულ გადაწყვეტილებას. ასაბუთებს ამ გადაწყვეტილების  
მართებულობას. შემდეგ კი იმართება დისკუსია მთელი კლასის მონაწ-  
ილეობით. ამ დროს ჯგუფების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს  
ადარებენ შემთხვევაში მოცემულ გადაწყვეტილებას და შეიმუშავებენ  
რეკომენდაციებს.

ამ ეტაპზე მოსწავლეებს უვითარდებათ რეფლექსიისა და შეფასების,  
არგუმენტირებულად მსჯელობის უნარები.

გთავაზობთ შემთხვევის ანალიზით წარმართულ აქტივობას საგანში  
„მოქალაქეობა“.

1	სასწავლო თემა	სასკოლო გარემო / სასკოლო საზოგადოება
	კლასი	VII კლასი
2	ცნება	სოციალიზაცია

3	<b>მკვიდრი წარმოუგენები</b>	<p>ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადამიანს გააჩინია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას;</li> <li>• სხვა ადამიანებთან/სოციალურ ჯგუფებთან/ ინსტიტუციებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს;</li> <li>• ასერტულობა (ადამიანის უნარი, თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვის შეურაცხვოფს გარეშე) ხელს უწყობს პიროვნებისა და სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას.</li> </ul>
4	<b>მიმართულება</b>	პიროვნული განვითარება და სოციალიზაცია
	<b>შეფასების ინდიკატორები</b>	<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <p>სკოლაში არსებული სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების (ჩაგვრა (ბულონგი), განათლების უფლების რეალიზაცია, უსაფრთხო სკოლა) იდენტიფიცირება; საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვა (მოქსაბ.2,4,5,7,8,9,10,11,12,13);</p>
	<b>ქეისებით სწავლა - ჩასე-შტადყ</b>	<p><b>ძირითადი მიზანი:</b> ლატენტურად/შეფარულად მოცემული პრობლემების აღმოჩენა და გაანალიზება</p> <p>ქვემოთ მოცემული სიტუაცია გაანალიზონ შემდეგი ინსტრუქციის მიხედვით:</p> <p>აღმოაჩინეთ, რა პრობლემასთან გვაქვს საქმე გააანალიზეთ სიტუაციაში მიღებული გადაწყვეტილებები დასახეთ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზა და დასაბუთეთ თქვენი გადაწყვეტილების მართებულობა შეადარეთ თქვენი გადაწყვეტილება სიტუაციაში მიღებულ გადაწყვეტილებასთან/ გადაწყვეტილებებთან</p>

### **შემთხვევის აღწერა:**

ქალაქის განაპირა სკოლაში სწავლობენ გიორგი და ნიკოლოზი. ორივე შესანიშნავი მოსწავლეა და, ამავე დროს, სკოლაში საკმაო ავტორიტეტითაც სარგებლობენ. გიორგის დიდი სურვილია, გახდეს კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტი, ნიკოლოზის კი - იურისტი. მეგობრები ამ მიზნის მისაღწევად ძალ-ლონეს არ იშურებენ.

ორი დღის წინ გიორგი შეესწრო ჩხუბს სკოლის სხვენის ასასვლელთან -უფროსკლასელები მის პარალელურ კლასელს სცემდნენ. თავიდან დააპირა ჩხუბში ჩარევა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცნობდა ჩხუბში ჩართულ ორივე მხარეს. ჩათვალა, რომ ეს მისი საქმე არ იყო და უმაღლ გაერიდა იქაურობას. ეს ამბავი

გიორგიმ ნიკოლოზს უამბო, რომელმაც მეგობარი ამ საქციელისთვის არ გაამტყუნა, რადგან მასაც მიაჩნია, რომ ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს და სხვის საქმეში ჩარევა არასწორი საქციელია.

ორი დღის შემდეგ მეგობრებმა სკოლის ეზოში ჩოჩქოლი შენიშნეს. მათ პარალელურ კლასელს უფროსკლასელებთან საქმის გასარჩევად უბნის ბიჭები მოუყვანია. საქმის გარჩევა სერიოზულ ჩხუბში გადაიზარდა. სასტიკად ნაცემი რამდენიმე უფროსკლასელი რეანომობილით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ამ არასასიამოვნო ფაქტს სკოლის საკმაოდ ბევრი მოსწავლე შეესწრო. სკოლის ადმინისტრაცია და თვითმხილველი მოსწავლეები ჩვენების მისაცემად პოლიციაში დაიბარეს, მათ შორის - გიორგი და ნიკოლოზი. ნიკოლოზმა დეტალურად მოუყვა სამართალდამცავებს, რაც იცოდა ამ კონფლიქტის შესახებ, გიორგიმ კი კვლავ დუმილი ამჯობინა.

**VaKE (Values and Knowledge Education, ლირებულებებისა და ცოდნის განათლება)** არის სწავლა-სწავლების მეთოდი, რომელიც, საგნობრივი ცოდნის შეძენასთან ერთად, ორიენტირებულია მოსწავლეებში ლირებულებების განვითარებაზე.

#### **VaKE-ის მიზნები:**

- **ლირებულებების გააზრება და ქცევაში ასახვა** - დილემის განხილვისას, მოსწავლეები აფასებენ განსხვავებულ მოსაზრებებს ლირებულებებზე, რაც ხელს უწყობს მათ მიერ ლირებულებების სიღრმისეულ გააზრებას, მათთვის წარმმართველ ლირებულებაზე დაყრდნობით, გადაწყვეტილების მიღებას და საკითხზე ცოდნის გაღრმავების შემდეგ ლირებულებების გადაფასებას.
- **მიღებული ცოდნის გამოყენება** - მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გაიაზრონ, რას სწავლობენ და როგორ შეუძლიათ ნასწავლის გამოყენება. სასწავლო პროცესის მიზანი, ამ შემთხვევაში, არ არის მხოლოდ ფაქტების დამახსოვრება, არამედ სასწავლო მასალის ინტენსიური განხილვა და საგანთაშორისი ცოდნის აგება.
- **პრობლების გადაჭრის უნარისა და, შესაბამისად, კრიტიკული აზროვნების განვითარება** - მოსწავლეები პრობლემას სხვადასხვა კუთხით განიხილავენ, სწავლობენ პრობლემას სხვადასხვა პერსპექტივიდან, იხილავენ და იაზრებენ პრობლემასთან დაკავშირებულ განსხვავებულ მოსაზრებებს, ახდენენ საკუთარი და სხვათა გადაწყვეტილებების შეფასებას და მსჯელობენ არგუმენტირებულად.
- **დამოუკიდებელი სწავლის უნარის განვითარება და მოსწავლეთა**

**თვითორეგულირებად შემსწავლებად ჩამოყალიბება -** მოსწავლეებს საშუალება აქვთ, დამოუკიდებლად მოიძიონ და მოამზადონ მათ-თვის საჭირო ინფორმაცია (მაგალითად, აღმოაჩინონ და ჩაინიშნონ მნიშვნელოვანი ფაქტები); სწორად დაგეგმონ საკუთარი სასწავლო პროცესი (მაგალითად, შეაჯამონ და დასკვნები გამოიტანონ) და შესწავლილი თეორიული კონცეფციები დააკავშირონ პრაქტიკასთან (მაგალითად, თეორიული ცოდნა კონკრეტულ მაგალითებში გამოიყენონ).

- თანამშრომლობის უნარის განვითარება -** უსაფრთხო და სასიამოვნო სამუშაო გარემო მოსწავლეებს უვითარებს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას და მათ გუნდის სრულფასოვან წევრებად აგრძნობინებს თავს. მოსწავლეებს უყალიბდებათ ახალი იდეებისა და საკუთარი ცოდნის გუნდში წარდგენის უნარი, სწავლობენ სხვის მოსმენას, განსხვავებულ მოსაზრებებზე შეთანხმებას, კონფლიქტებზე მსჯელობას, სხვებზე ზრუნვას და მიღებული შედეგების სხვებისთვის გაზიარებას.

### VaKE-ით მუშაობის ნაბიჯები

#### **პირველი ნაბიჯი - დილემის მომზადება და წარდგენა**

მასწავლებელი ამზადებს სასწავლო მიზნის შესაბამის დილემას და წარუდგენს კლასს. დილემის მომზადება არის მეთოდით მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო პროცესი, რადგან, ერთი მხრივ, ის უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო მიზანს და, მეორე მხრივ, დილემაში უნდა იყოს, მინიმუმ, ორი შეპირისპირებული ღირებულება, ან ღირებულების, სულ მცირე, ორი პერსპექტივა, რომელიც დაკავშირებულია ორ განსხვავებულ ქმედებასთან. ასევე, მასწავლებლის მიერ შემუშავებულ დილემაში ინფორმაცია სრულად არ უნდა იყოს მოცემული, მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ დამატებითი ცოდნა და გამოცდდილება საკითხის შესახებ, რათა, შეძენილ ცოდნზე დაფუძნებით, შეძლონ ძლიერი და დასაბუთებული არგუმენტების შემუშავება და მორალურ ღირებულებებზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღება.

#### **მეორე ნაბიჯი - ვალიდური ღირებულებების განსაზღვრა**

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს დილემას, კლასს უსვამს კითხვას: დილემაში რომელი ღირებულებები დგას დისკუსიის ცენტრში? რომელი ღირებულებები მოდიან ერთმანეთთან კონფლიქტში?

მოსწავლეები იდენტიფიცირებას უკეთებენ დილემაში მოცემულ

წამყვან ლირებულებებს, რომლებიც მასწავლებელს ყოველგვარი რევიზისა და დისკუსიის გარეშე გადააქვს დაფაზე/ფლიპჩარტზე.

### **მესამე ნაბიჯი - პირველი გადაწყვეტილების მიღება/ინდივიდუალური რეფლექსია**

მასწავლებელი მოსწავლეებს აყენებს არჩევანის წინაშე - ვეთანხმები დილემაში მიღებულ გადაწყვეტილებას, არ ვეთანხმები, ან ვერ მივიღე გადაწყვეტილება. ამ ეტაპზე მოსწავლეები გადაწყვეტილებას იღებენ მათთვის წამყვან ლირებულებებზე დაფუძნებით.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ ნაბიჯზე მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ ინდივიდუალური არჩევანი.

### **მეოთხე ნაბიჯი - პოზიციის არგუმენტირება**

ინდივიდუალური გადაწყვეტილების შემდეგ მასწავლებელი კლასს ჰყოფს სამ ჯგუფად, მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით. თითოეული ჯგუფი არგუმენტირებულად ასაბუთებს მიღებული გადაწყვეტილების მართებულობას.

### **მეხუთე ნაბიჯი - გამოცდილების გაზიარება/ჯგუფური პოზიციის პრეზენტაცია**

თითოეული ჯგუფი წარმოადგენს საკუთარი პოზიციების/არჩევანის არგუმენტებს.

### **მეექვსე ნაბიჯი - საჭირო დამატებითი ინფორმაციის განსაზღვრა**

თითოეული ჯგუფის მიერ ლირებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების არგუმენტაციისა და დასაბუთების წარდგენის შემდეგ, მასწავლებლის ფასილიტაციით, მოსწავლეები იმ კითხვების/საკითხების იდენტიფიცირებას ახდენენ, რომლებიც პასუხებაუცემელი დარჩა. მსჯელობენ იმ დამატებითი ინფორმაციის შესახებ, რომელიც მათ დასჭირდებათ მიღებული გადაწყვეტილების განმტკიცებისთვის ან შეცვლისთვის.

### **მეშვიდე ნაბიჯი - დამატებითი ინფორმაციის მოძიება**

ამ ეტაპზე მოსწავლეები დამოუკიდებლად აწარმოებენ უკვე იდენტიფიცირებული დეფიციტური ინფორმაციის მოძიებას, საკითხის შესახებ ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავებას, საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად ან პოზიციის შესაცვლელად.

### **მერვე ნაბიჯი - ინფორმაციის გაცვლა ერთმანეთს შორის**

მოპოვებული ინფორმაციის წარდგენის შემდეგ, მოსწავლეები აკეთებენ თვითრეფლექსიას, საკმარისია თუ არა მოძიებული ინფორმაცია საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად? გაეცა თუ არა ყველა პასუხისმგებელ კითხვას პასუხი?

### **მეცხრე ნაბიჯი - მეორადი გადაწყვეტილების მიღება/ინდივიდუალური რეფლექსია**

დამატებით მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მასწავლებელი მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, გადააფასონ პირველადი გადაწყვეტილება/არჩევანი.

მოსწავლეები თვითრეფლექსიით იღებენ ინდივიდუალურ მეორად გადაწყვეტილებას.

### **მეათე ნაბიჯი - პოზიციის მეორადი არგუმენტირება**

კლასი ჯგუფდება მეორადად მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით. არგუმენტირებულად ასაბუთებენ ახალი გადაწყვეტილების მართებულობას და მსჯელობენ, თუ როგორ დაეხმარა მიღებული ცოდნა ამ გადაწყვეტილების მიღებაში.

### **მეთერთმეტე ნაბიჯი - გამოცდილების გაზიარება და ინფორმაციის სინთეზი**

პრეზენტაციისას, ჯგუფები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ იმაზე, თუ რომელი არგუმენტები ეფუძნება მიღებულ ახალ ცოდნას.

### **მეთორმეტე ნაბიჯი - გენერალიზაცია და ტრანსფერი**

ამ ნაბიჯის მიზანია, მოსწავლეებმა განაზოგადონ საკითხი ფართო კონტექსტში. მასწავლებელმა, მსგავს თემებზე დისკუსიის პროვოკირებით, ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებს, რათა მათ შეძლონ კონკრეტული სიტუაციიდან მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ტრანსფერი.

**შენიშვნა:** თუ დილემასთან დაკავშირებული კითხვები პასუხისმგებელი დარჩება, მაშინ შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეები კვლავ დააპრუნოს დამატებითი ინფორმაციის მოძიების ფაზაზე, შემდეგ მოსწავლეებმა ხელახლა გაუზიარონ ერთმანეთს მოპოვებული ინფორმაცია და მიუპრუნდნენ მეორადი გადაწყვეტილების მიღების ფაზას.

### **სასწავლო პროცესში დილემის გამოყენების მაგალითი:**

საგანი: მოქალაქეობა

სამიზნე ცნება: მდგრადი განვითარება

მკვიდრი წარმოდგენები:

- რესურსების მოხმარებისას, მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;
- ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს.

## დილემა 1

ერთ-ერთ მთიან სოფელში, რომელიც საკმაოდ დაცილებულია რაიონულ ცენტრს, ინფრასტრუქტურა ყოველმხრივ მოუწესრიგებელია, სოფელს უკვე რამდენიმე წელია, არ აქვს ელექტროენერგია. უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე, სადაც არის მაღაზია, აფთიაქი, ამბულატორია და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი ობიექტები, მინიმუმ, ერთი საათის სავალია მანქანით, ისიც მხოლოდ მაღალი გამავლობის ტრანსპორტით. მოუწესრიგებელი გზის გამო, ზამთრობით სოფელი სრულიად იზოლირებულია. სოფლის მეურნეობასაც ვერ მოეკიდება კაცი, რადგან საკმაოდ მკაცრი ბუნებრივი პირობებია და ოჯახებს თითო სული საქონელი თუ ჰყავთ, შიმშილს რომ დაალწიონ თავი. მიუხედავად გაუსაძლისი პირობებისა, ხალხი მაინც არ ტოვებს საცხოვრებელ ადგილს.

სოფელში მოედინება მთის სწრაფი მდინარე და სწორედ ამის გამო მთავრობამ გადაწყვიტა, საკმაოდ მძლავრი ელექტროსადგურის აშენება, რომელიც მთელს რეგიონს მოამარაგებდა ელექტროენერგიით. ელექტროსადგური ბევრ პრობლემას მოუგვარებს სოფელს - გაიყვანდნენ გზას, ექნებათ მუდმივი დენი საკმაოდ შეღავათიან ფასად, ელექტროსადგურის მშენებლობაზე დასაქმდებიან ადგილობრივები, გაიხსნება ყველა სასიცოცხლოდ აუცილებელი ობიექტი. მაგრამ ელექტროსადგურის ასაშენებლად უნდა ააფეთქონ ორი მთა, რომელიც ეკვრის სოფელს, მდინარე უნდა გაუშვან მილებში და უნდა გაჩეხონ ტყის გარკვეული მასივი. სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილი დიდი სიხარულით შეხვდა მთავრობის გადაწყვეტილებას, „ახლა იქნებ ცოტათი ამოვისუნთქოთო“, ხოლო მეორე ნაწილი კატეგორიულად წინააღმდეგია ამ მშენებლობის.

## სადიკუსიო კითხვები:

1. უნდა აშენდეს თუ არა ელექტროსადგური?
2. როგორ მოიქცეოდით თქვენ მოსახლეობის ადგილას?
3. შეუშლიდით თუ არა მთავრობას მშენებლობაში ხელს?
4. რას მოუტანს მთიან რეგიონს ელექტროსადგური? დაასაბუთეთ არგუმენტირებულად.
5. ბუნების დაზიანების რა რისკები არსებობს? დაასაბუთეთ არგუმენტირებულად.

## **დილემა 2**

სადამრიგებლო საათზე მასწავლებელმა მიმართა დილემებით სწავლებას, VaKE-ზე დაფუძნებით. სადამრიგებლო საათის მიზანი იყო მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლება, თუ რატომ არის სხვისი გონიერივი ნაშრომის მითვისება (პლაგიატი) მიუღებელი. ამისთვის მასწავლებელმა გადაწყვიტა, მოსწავლეებთან შეეტანა შემდეგი დილემა:

„გიორგიმ, დედის ავადმყოფობის გამო, დავალება ვერ მოამზადა. სკოლაში მისულმა დაინახა მერხზე ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლის, ნინოს რვეული. აიღო დაუკითხავად და დავალება მისგან გადაწერა. გიორგის ძალიან უნდოდა, მასწავლებლის დადებითი შეფასებით, ავადმყოფი დედა გაეხარებინა. დავალების წარდგენისას, მასწავლებელმა მოიწონა გიორგის წამუშევარი და შეაქო. ნინო ყველაფერს მიხვდა, მაგრამ გაჩუმება არჩია. სახლში მისულმა გიორგიმ დედა საკუთარი წარმატებით გაახარა“.

დილემის წარდგენის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შემდეგ კითხვებს:

1. რა გზით დაიმსახურა შექება გიორგიმ?
2. როგორ ფიქრობთ, რატომ მოიქცა გიორგი ასე?
3. რითი ახსნიდით ნინოს საქციელს?

## **5. მოქალაქეობრივ განათლებასთან დაკავშირებული ძირითადი საგანმანათლებლო კონცეფციები**

წინამდებარე თავში შემოთავაზებულია მოსწავლეებში მოქალაქეობრივ განათლებასთან დაკავშირებული ძირითადი თანამედროვე საგანმანათლებლო კონცეფციები, რომლებიც, შესაბამისი კონცეპტუალური ჩარჩოებითა და მათი დანერგვის ხელშემწყობი სასწავლო-პედაგოგიკური სტრატეგიებით, სხვადასხვა პერსპექტივით უკავშირდება/კვეთს მოქალაქეობრივი განათლების შინაარსს და, საბოლოოდ, მიზნად ისახავს მოსწავლეებში მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარებას. მოცემულია კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობი პედაგოგიკური სტრატეგიები, რომლებიც წარმატებით გამოიყენება როგორც საგაკვეთოლო, ისე არაფორმალური განათლების პროცესში.

### **5.1. გლობალური/მსოფლიო მოქალაქეობა<sup>3</sup>**

#### **5.1.1. აქტიური გლობალური მოქალაქეები**

გლობალური მოქალაქეობრივი განათლების არსი არის მოსწავლეთა დარწმუნება და წახალისება, რომ მათ შეუძლიათ დადებითი ცვლილებების განხორციელება. ეს მოითხოვს:

- ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას;
- ცვლილების განხორციელების სურვილს;
- ცვლილების განხორციელების უნარს.

განათლება გლობალური მოქალაქეობისთვის არ გულისხმობს მოსწავლეებისთვის იმის თქმას, თუ რა და როგორ უნდა გააკეთონ. მისი მიზანია, წახალისოს მოსწავლეები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ცვლილებების პროცესში და შეძლონ ინფორმირებული არჩევანის გაკეთება.

მოსწავლეების მიერ ინფორმირებული ცვლილების განხორციელების შესაძლებლობის საფუძველს წარმოადგენს უკვე ნაცნობი მოსაზრებების კრიტიკულად შეფასება, თავდაჯერებულობა და აქტიური კომუნიკაციური უნარები. აღნიშნული შესაძლებლობის გამომუშავებისთვის რეკომენდებულია:

- მოსწავლეებმა განიხილონ სოციალურ თანასწორობასა და პუნქტობრივ და/ან საცხოვრებელ გარემოსთან დაკავშირებული საკითხები და იმსჯელონ მათი უკეთესობისაკენ შეცვლის პერსპექტივებზე, ცვლი-

<sup>3</sup> Global Citizenship in the Classroom – A guide for teachers. oxfam.org.uk/education. 2015

ლების პროცესში მათ შესაძლო როლზე;

- განიხილონ ადამიანის უფლებები და პასუხისმგებლობები ისე, რომ გააცნობიერონ თავიანთი უფლებები და ერთმანეთისა და სხვების წინაშე პასუხისმგებლობები.

### 5.1.2. გლობალური საკლასო რთახი

ჩვენი სამყარო გლობალურია, რასაც განაპირობებს მისი ურთიერთ-დაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ბუნება. გლობალური მოქალაქეობისთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

- საკუთარი თავის მსოფლიო მოქალაქედ აღქმა;
- მრავალფეროვნების დაფასება და მისდამი პატივისცემა;
- სოციალური სამართლიანობის იდეის ერთგულება;
- ლოკალური და გლობალური საზოგადოების წევრობა;
- სხვებთან ერთად მუშაობა უფრო სამართლიანი და მდგრადი მსოფლიოსთვის;
- საკუთარ მოქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება.

გლობალური მოქალაქეობის სწავლის პროცესში მასწავლებლის თვითრეფლექსიისთვის მნიშვნელოვანი კითხვებია:

- რას ვთვლი განათლების ძირითად მიზნად?
- გლობალური მოქალაქეობის განსხვავებული განმარტებების ფონზე, როგორ მესმის აღნიშნული ტერმინი?
- ჩემი აზრით, რა მნიშვნელოვან ღირებულებებს, დამოკიდებულებებს, ცოდნასა და უნარებს უნდა ფლობდნენ მოსწავლეები დღეს?
- როგორ და რამდენად შეიძლება შეიცვალონ მოსწავლეებმა ღირებულებები, დამოკიდებულებები, ცოდნა და უნარები 20 წლის შემდეგ?

გლობალური მოქალაქეობისთვის განათლება არ ნიშნავს, ვუკარნახოთ მოსწავლეებს, თუ რა უნდა აკეთონ. ის ეხმარება მათ, ისწავლონ ფიქრი და განვითარონ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. ამისთვის, საჭიროა, წავახალისოთ მოსწავლეები:

- აღმოაჩინონ/განსაზღვრონ კონკრეტული ქმედების შედეგები ლოკალურ და უფრო მასშტაბურ დონეებზე და დაფიქრდნენ თავიანთი ქმედების ყველა შესაძლო შედეგზე;
- გააცნობიერონ, თუ რა ისწავლეს და როგორი გამოცდილება შეიძინეს კონკრეტული მოქმედებით/აქტივობით.

აქტიური გლობალური მოქალაქეობა, თავისი არსით, არის პოლი-ტიკური პროცესი და, ამდენად, ის მოიცავს გადაწყვეტილების მიღებას

იმის შესახებ, თუ რა და როგორ უნდა შეიცვალოს. თუმცა, ეს პროცესი არ გულისხმობს უშუალოდ რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის/პარტიის მიმდევრობას, რადგან ამან შესაძლოა შეასუსტოს კრიტიკული აზროვნება - გახადოს რა მოქმედება უფრო კომპრომისული კონკრეტული პოლიტიკური ძალის პროგრამისა თუ განხორციელებული აქტივობების მიმართ.

აუცილებელია, ვიცნობდეთ გლობალური მოქალაქეობისთვის განათლების საკვანძო ელემენტებს:

Reflect

ცოდნა და გაგება	უნარები	ღირებულებები და დამოკიდებულებები
სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა	კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება	თვითშემოფადობის შეგრძნება და თვითშეფასება
იდენტობა და მრავალ-ფეროვნება	თანაგრძნობა	სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის ერთგულება
გლობალიზაცია და ურთიერთკავშირი	თვითშემეცნება და რეფლექსია	ადამიანისა და მისი უფლებების პატივისცემა
მდგრადი განვითარება	კომუნიკაცია	მრავალფეროვნების დაფასება
მშვიდობა და კონფლიქტი	თანამშრომლობა და კონფლიქტის მოგვარება	გარემოსა და მდგრად განვითარებაზე ზრუნვა
ადამიანის უფლებები	სირთულეებთან და გაურკვევლობასთან გამკლავება	მონაწილეობის ვალდებულება და ინკლუზია
ძალაუფლება და მმართველობა	ცოდნაზე დაფუძებული, გააზრებული ქმედება	რწმენა, რომ ადამიანს შეუძლია ცვლილების მოხდენა

გლობალური მოქალაქეობის შესახებ სასწავლო პროცესში, საურველია, გავითვალისწინოთ შემდეგი:

გლობალური მოქალაქეობა გულისხმობს	გლობალური მოქალაქეობა არ გულისხმობს
კითხვების დასმას და კრიტიკულ აზროვნებას	მოსწავლეებისთვის იმის თქმის, თუ როგორ უნდა იფიქრონ და რა გააკეთონ
ადგილობრივი და გლობალური კავშირების, საკუთარი შეხედულების, ღირებულებებისა და ვარაუდების შესწავლას	მხოლოდ შორეული/უცხო ადგილებისა და ხალხების შესწავლას

რთული გლობალური საკითხების კვლევას მრავალმხრივი პერსპექტივით	რთული/კომლექსური საკითხების მარტივ გადაჭრას
გლობალურ და ლოკალურ დონეებზე სოციალური სამართლანობის საკითხების კვლევას/შესწავლას	კველმოქმედებით მიღებულ შემოსავლებზე ფოკუსირებას
ცოდნის გამოყენებას რეალურ ცხოვრებასა და განსხვავებულ კონტექსტებში	ზედაპირულ სწავლებას, რომელიც ვერ ქმნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენებად ცოდნას
მოსწავლეთა შესაძლებლობას, განახორციელონ ინფორმირებული და რეფლექსიური მოქმედება და დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები	გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსწავლეთა ფორმალურ მონაწილეობას
კურიკულუმის ყველა სფეროს	მხოლოდ ცალკეულ საგნებსა და თემებს
ყოველდღიურ სწავლას და მრავალმხრივ ცოდნას	მხოლოდ კონკრეტულ საკითხებსა და მოვლენებზე ფოკუსირებას
მთელ სასკოლო გარემოს	კონკრეტული კლასით შემოფარგვლას

გლობალური მოქალაქეობა მოიცავს გლობალური ურთიერთკავშირების ჯაჭვის კვლევას, მინიმუმ, ხუთი მიმართულებით:

ა) გლობალური საზოგადოება - ჩვენ გვაქვს კავშირი სხვა საზოგადოებებთან, მსგავსებებისა და საერთო მოთხოვნილებების თვალსაზრისით;

ბ) გლობალური ურთიერთდამოკიდებულება - სხვა ხალხებთან და ტერიტორიებთან კავშირები ხორციელდება ვაჭრობის, ტექნოლოგიების, მიგრაციის, პოლიტიკური სისტემებისა და ა.შ. საშუალებით;

გ) კავშირი პრობლემურ და მნიშვნელოვან საკითხებს შორის - მაგალითად, კლიმატის ცვლილება, სიღარიბე და სხვ.

დ) პარალელები - ბევრ საერთაშორისო პრობლემას აქვს მიზეზშედეგობრივი გავლენა უშუალოდ ჩვენს საცხოვრებელ/სამოქმედო გარემოზე. მაგალითად, რესურსების გაზიარება ან კონფლიქტი;

ე) კავშირები ამჟამინდელ და ადრინდელ ცოდნას, სწავლის სტილსა და კურიკულუმებს შორის.

აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ მოსწავლეებს, ალმოაჩინობ:

- კავშირები ცოდნის სხვადასხვა სფეროს შორის;
- პარალელები გლობალურ და ადგილობრივ (მათ შორის, საკლასო) საკითხებს შორის, მაგალითად, რესურსების გაზიარება, განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა, კონფლიქტები და მათი მოგვარები-

- სთვის ერთობლივი მუშაობა, ძალაუფლების გადანაწილება;
- ხალხებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, მაგალითად, ვაჭრობა, ტექნოლოგიები, მიგრაცია, პოლიტიკური სისტემები ან საერთო გარემო;
  - ძალაუფლების საკითხი, უთანასწორობა და სოციალური უსამართლობა, როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ დონეებზე.

### 5.1.3. ოვალსაზრისები და ღირებულებები

გარკვეული საკითხების ინტერპრეტირებას ინდივიდუალურად - საკუთარი გამოცდილების, შეხედულებებისა და ღირებულებების მიხედვით – ვახდენთ. ეს კი ნიშნავს, რომ ჩერსპექტივების რანჟირებისას, ვეურდნობით ჩვენთვის ჩვეულ ან მისაღებ პრაქტიკას, რაც, ხშირად, ხელს გვიშლის პრობლემის ობიექტურ გააზრებასა და გაცნობიერებაში. იმისთვის, რომ პრობლემა სხვადასხვა რაკურსით დავინახოთ და უფრო სილრმისეულად შევისწავლოთ, საჭიროა:

- ვაცნობიერებდეთ, რომ ჩვენი „ცოდნა“ ხშირად მონოპერსპექტიულია და არ ასახავს საკითხის შესახებ არსებულ განსხვავებულ თვალსაზრისებს;
- გვქონდეს პირადი ღირებულებები და პასუხისმგებლობა;
- ვაფასებდეთ და ვაღიარებდეთ მრავალფეროვნებას;
- შევძლოთ ეფექტური კომუნიკაცია და დისკუსიის დროს შევინარჩუნოთ განსხვავებული აზრის მიმართ პატივისცემა.

ფორმალური და არაფორმალური სასწავლო გარემო ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შეხედულებებისა და ღირებულებების კრიტიკულად გააზრებასა და ეფექტური კომუნიკაციური უნარების განვითარებას, რაც მათ საშუალებას მისცემთ, იყამათონ საგნების, მოვლენებისა და საკითხების შესახებ და მოისმინონ განსხვავებული შეხედულებები. ასევე, მნიშვნელოვანია მოსწავლეებში მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და პატივისცემის განვითარებაზე ზრუნვა.

### 5.1.4. სტატისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაცილეობა

გლობალური მოქალაქეობა მოსწავლეებისგან ითხოვს მოქნილობას, შემოქმედებითობასა და აქტიურობას. მათ უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღება, კრიტიკულად აზროვნება, ეფექტური კო-

მუნიკაცია და ჯგუფებთან/ჯგუფებში მუშაობა. ეს ცოდნა და უნარები მნიშვნელოვანია XXI საუკუნის მოქალაქეებისთვის.

ზემოხსენებულის განვითარება შეუძლებელია სწავლის აქტიური მეთოდების გარეშე, რომლებიც მიმართულია კეთებით სწავლაზე და სხვებთან თანამშრომლობაზე. ამასთან, არსებობს სხვა გარემოებებიც, რომლებიც ხელს უწყობს სწავლისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეთა მონაწილეობას:

- სკოლის ცხოვრება მოსწავლეებისათვის ქცევის მოდელის ას-რულებს, ამიტომ, მოსწავლეებში სასურველი ღირებულებების განვითარების მიზნით, მათ თვალისათვის უნდა ვუჩვენოთ შესატყვისი და განმამტკიცებელი მაგალითები, მაგ. თუ გვინდა ადამიანთა თანასწორობის, სამართლიანი მოპყრობისა და პატივისცემის ღირებულებების განმტკიცება, უნდა უზრუნველვყოთ, რომ სასწავლო პროცესი და სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობა სწორედ ამ ღირებულებების ამსახველი იყოს;
- სასწავლო პროცესში ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების კონვენციით მინიჭებულ უფლებას - ბავშვს აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი გათვალისწინება, მით უმეტეს, იმ საკითხების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს მის ცხოვრებაზე;
- კვლევები აჩვენებს, რომ დემოკრატიული სკოლების მოსწავლეები უკეთ აკონტროლებენ თავიანთი სწავლის პროცესს და სწავლისა და ქცევის ხარისხიც ამ შემთხვევებში უკეთესია.<sup>4</sup>

თანამედროვე გაკვეთილზე მასწავლებელს ხელშემწყობის როლი აკისრია. მისი ამოცანაა, დაეხმაროს მოსწავლეებს, იპოვონ მტკიცებულებები, ანარმონ მოლაპარაკება, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება, გადაჭრან პრობლემები და იმუშაონ დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად. შემოქმედებით და აქტიურ საკლასო გარემოში მასწავლებლის როლი მნიშვნელოვნად შეცვლილია, რასაც წარმოაჩენს ქვემოთ მოცემული სქემა:

პასიური გაკვეთილის მახასიათებლები	აქტიური გაკვეთილის მახასიათებლები
მასწავლებელზე ორიენტირებული საკლასო გარემო	მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო გარემო

<sup>4</sup> Inspiring Schools: Impact and Outcomes: Taking up the Challenge of Pupil Participation, Research Review for Carnegie Trust, 2006.

კონკრეტულ პროდუქტზე ორიენტირებული სწავლა	შედეგზე ორიენტირებული სწავლა
მასწავლებელი - ცოდნის გადამცემი	მასწავლებელი, როგორც მოსწავლის ცოდნის ორგანიზების ხელშეწყობი
საგნის სპეციფიკაზე ფოკუსირება	ჰოლისტურ სწავლაზე ფოკუსირება

აქტიური, მონაწილობითი გაკვეთილი, ასევე, ცვლის მოსწავლის ტრადიციულ როლს:

მოსწავლის ტრადიციული როლი	აქტიური მოსწავლის როლი
ცოდნის მიმღებია	ცოდნის შექმნაში აქტიურად მონაწილეობს
პასუხობს კითხვებს	სვამს კითხვებს
მზა ცოდნასა და ინსტრუქციებს იღებს	პასუხისმგებელია საკუთარ სწავლაზე
კონკურენციას უწევს სხვებს	თანამშრომლობს სხვებთან
საკუთარი აზრის გამოხატვის სურვილი	სხვისი აზრის აქტიური მსმენელია
სწავლობს ინდივიდუალურად	ცოდნის გაზიარება და დაკავშირება

მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად და ურთიერთთანამ-შრომლობით ივითარებენ გამოცდილებას, თავდაჯერებულობასა და უნარებს. ამ პროცესის ორგანიზებისთვის საჭიროა შემდეგი გარემოებების გათვალისწინება:

- უნდა ვიცოდეთ მოსწავლეთა წინარე გამოცდილება და ცოდნა
- განვსაზღვროთ სწავლის სტრატეგიები და მათი ეფექტიანობა;
- გავითვალისწინოთ კონკრეტული კლასის შესაძლებლობები და ინტერესები;
- მუდმივად ვიზრუნოთ პროფესიულ განვითარებაზე.

სწავლისა და გადაწყვეტილების პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშესაწყობად, გთავაზობთ შემდეგ ტექნიკებს:

ა) კითხვის დასმა - საკვანძო თემები და აქტივობები:

მოსწავლეებისთვის კითხვების დასმის სტიმულირებისთვის გამოიყენეთ ფოტოები ან სხვა თვალსაჩინოება. მაგალითად, რისთვის ვიყენებთ წყალს? როგორ მოვიპოვებთ მას? რატომ არის წყლის დეფიციტი? რა შედეგი მოაქვს წყლის დაბინძურებას? მოსწავლეებმა უნდა შეძლონ განხილული საკითხის/პრობლემის სხვადასხვა ასპექტის გამოკვეთა და

მათ შორის კავშირების დამყარება:

- ყველას აქვს უფლება, ისარგებლოს სუფთა წყლით;
- კაცობრიობას საერთო წყალი გვაქვს;
- წყალის მოპოვებისა და მომხმარებლისთვის მიწოდების ციკლი არის გლობალური ურთიერთდამოკიდებულების მაგალითი;
- გვალვა და წყალდიდობა - მათი გამომწვევი მიზეზები და გავლენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა თუ ტერიტორიაზე. როგორ და რამდენად შეიძლება ისინი (გვალვა და წყალდიდობა) უკავშირდებოდნენ პლანეტის საერთო პრობლემებს (მაგ. გლობალური დათბობა);
- კავშირი წყალს, ჯანმრთელობასა და სილარიბეს შორის.

ბ) აქტიური გლობალური მოქალაქეობა - საკვანძო თემები და აქტივობები:

- წყლის, როგორც სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსის დაცვის მნიშვნელობის გაცნობიერება. წყლის კონტროლი სახლსა და სკოლაში;
- რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ წყლის გამოყენება იყოს მდგრადი და ყველასთვის ხელმისაწვდომი;
- ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების პროცესში პოლიტიკოსების ჩართვა და მათთან ერთად იმ ღონისძიებების განხილვა, რაც დაუცველ ქვეყნებს მეტ საშუალებას მისცემთ, მოერგონ კლიმატის ცვლილებას;
- სკოლისა და საცხოვრებელი გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ნაბიჯების გადადგმა - ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვა.

გ) საერთო თვალსაზრისებისა და ღირებულებების აღმოჩენა - საკვანძო თემები და აქტივობები:

- წყლის მოხმარებასთან დაკავშირებით, რა ძირითადი საჭიროებები აქვთ ადამიანებს?
- წყლის მოხმარების კულტურული და რელიგიური მხარეები/ტრადიციები;
- განსხვავებული შეხედულებები წყალზე წვდომასა და მისი „მისაკუთრების“ შესახებ (მაგ. უნდა გაეზიარებინა თუ არა უელსს თავისი წყალი ინგლისისთვის).

## 5.5. გლობალური მოქალაქეობის „დიალი იდეები“:

საჭირო არ არის, მასწავლებელი იყოს ყველა გლობალური საკითხის ექსპერტი, რომ მოსწავლეებს ასწავლოს გლობალური მოქალაქეობა. უფრო მნიშვნელოვანია, მასწავლებელს ჰქონდეს უწყვეტი მზაობა საკუთარ საკლასო პრაქტიკაში შეეჭიდოს შემდეგი „დიალი იდეების“ მნიშვნელობის გააზრებასა და მათ რეალიზაციას:

### 1. გლობალიზაცია და ურთიერთდამოკიდებულება

ჩვენ ვცხოვრობთ ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში, სადაც ერთ ადგილზე მიღებული გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს პლანეტის სხვადასხვა სივრცეში მცხოვრებ ადამიანებზე. თუმცა გლობალური ურთიერთდამოკიდებულების იდეა უფრო მასშტაბურია - შორეული, ლიკალური მოვლენები მოქმედებს მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებზეც, რომლებსაც, ერთი შეხედვით, გარკვეული რყევებისა და მოვლენათა არასასურველი განვითარებისგან თავდაცვის მეტი რესურსი აქვთ.

### კითხვები რეფლექსიისთვის:

„შენი საუზმე დამოკიდებულია ნახევარ მსოფლიოზე“ (მარტინ ლუთერ კინგი).

- ჩემთვის და ჩემი მოსწავლეებისთვის, რამდენად შეესაბამება მარტინ ლუთერ კინგის ეს გამონათქვამი სიმართლეს?
- რამდენად უწყობს ხელს ჩემი საგანი/საგნები მოსწავლეებს, გააცნობიერონ სამყაროს ერთიანობა და განსხვავებული კულტურების თანაარსებობის მნიშვნელობა?

### 2. სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა

გლობალური მოქალაქეობის ქვაკუთხედია, რომ ყველა ადამიანი ეკუთვნის კონკრეტულ რასას, აქვთ საერთო ადამიანური ღირებულებები და არიან თანაბარად ღირებულნი. ამდენად, ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ერთნაირი უფლებები და მათ უნდა ეპყრობოდნენ როგორც თანასწორებს. ასეთი მიდგომა უნდა გამორიცხავდეს კონკრეტული კულტურული ჯგუფის უპირატესობის აღიარებას. ეს იდეა განმტკიცებული უნდა იყოს, როგორც სწავლის პროცესით, სასკოლო კურიკულურით, საგანთა შინაარსით, ასევე, სკოლასა თუ საზოგადოებაში დამკვიდრებული ქცევის/ურთიერთობის კულტურით.

### კითხვები რეფლექსიისთვის:

„თუ ნეიტრალური ხართ უსამართლობის მიმართ, ეს ნიშნავს, რომ დგახართ მჩაგვრელის მხარეს...“ (დესმონდ ტუტუ)

- რას ვფიქრობ დესმონდ ტუტუს გამონათქვამზე? რამდენად ობიექტურად ვთვლი მას?
- რას ვხედავ უსამართლოს: (ა) მსოფლიოში, (ბ) ჩემს საცხოვრებელ გარემოში და (გ) სკოლაში?
- რაში და როგორ ვხედავ სკოლის როლს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ?

### 3. იდენტობა და მრავალფეროვნება

ადამიანებს აქვთ მსგავსი საბაზისო საჭიროებები, თუმცა, არსებობს მათი გადაჭრის/დაკმაყოფილების განსხვავებული გზები. განსხვავებები არის სქესში, კულტურაში, ეროვნებაში, რელიგიაში, ენაში, სოციალურ და ეკონომიკურ სტატუსში და ა.შ. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, როდესაც ესაუბრობთ ადამიანის იდენტობაზე, რადგან ჩამოთვლილი გარემოებები აყალიბებენ კიდეც ჩვენს იდენტობებს. მრავალფეროვან და სწრაფად ცვალებად სამყაროში ადაპტაციისა და წარმატებისთვის მოსწავლეებს მყარი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ საკუთარ იდენტობაზე და აფასებდნენ მას. ამასთან, ისინი უნდა იყვენენ ღია, დადებითად შეაფასონ განსხვავებული იდენტობები და კულტურები, ასევე, ამოიცნონ და მართონ სტერეოტიპები.

### კითხვები რეფლექსიისთვის:

„ჩვენ ყველანი ცხოვრობთ იმ სურვილით, რომ ვიყოთ ბედნიერი. ჩვენი ცხოვრება არის სრულიად განსხვავებულიც და ამავდროულად მსგავსი“ (ანა ფრანკი).

- რა არის ინკლუზიური საკლასო გარემოს მახასიათებლები?
- რამდენად უკავშირდება ჩემი სასკოლო გამოცდილება კულტურების/ ადამიანების სხვადასხვაობისა და მსგავსების გაცნობიერებას?

### 4. მშვიდობა და კონფლიქტი

ყველა საზოგადოებაში, ყველა დონეზე, დაწყებული სკოლიდან, დასრულებული საერთაშორისო კონტექსტით, არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. მშვიდობის და კონფლიქტის საკითხები მუდმივად არის დაკავშირებული სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და უფლებების საკითხებთან.

### კითხვები რეფლექსიისთვის:

„მშვიდობა არ ნიშნავს მხოლოდ სისასტიკის ან ომის არარსებობას ან მის დასრულებას, არამედ გულისხმობს ყველა იმ სხვა ფაქტორსაც (დისკრიმინაცია, უთანასწორობა, ძალმომრეობა), რომლებიც

ემუქრება მშვიდობას“ (Aung San Suu Kyi).

- ყველა სახის კონფლიქტი უპირობოდ ცუდია თუ არა?
- ყოველთვის აუცილებელია თუ არა ნებისმიერი კონფლიქტის გადაჭრა? რატომ?
- როგორ ვართმევ თავს კლასში წარმოქმნილ კონფლიქტს?

#### 5.1.6. საკლასო აქტივობები/სტრატეგიები გლობალური მოქალაქეობის განვითარების ხელშესახურის

ქვემოთ მოცემულია თქვენთვის კარგად ნაცნობი რამდენიმე საკლასო აქტივობა/სტრატეგია, რომელიც, სხვა აკადემიური მიზნების მიღწევასთან ერთად, წარმატებით შეგიძლიათ გამოიყენოთ გლობალური მოქალაქეობის მიმართულებით მუშაობის პროცესში:

**1. კითხვის დასმა.** ეფექტური მონაწილეობითი სწავლა დამოკიდებულია, თუ რამდენად თავისუფლად სვამენ მოსწავლეები კითხვებს, რადგან ეს პირველი ნაბიჯია სხვა მნიშვნელოვანი გონიერივი ოპერაციებისთვისაც.

გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

- კითხვის ჩამოყალიბებით და დასმით მოსწავლეები აქტიურად და გააზრებულად მონაწილეობენ სასწავლო პროცესში;
- საკვანძო კითხვების იდენტიფიცირება ხელს უწყობს საძიებო საკითხის სტრუქტურის გაგებას;
- კითხვების დასმით მოსწავლეები იწყებენ ცვლილების პროცესს. შესაბამისად, ისინი ცდილობენ, იპოვონ პრობლემურ საკითხთა შორის განსხვავებები და იფიქრონ მათი გადაწყვეტის პერსპექტივზე.

არსებითად მნიშვნელოვანია, მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეებს, რათა მათ შეძლონ იმ კითხვების განსაზღვრა/ჩამოყალიბება, რომელიც მათ დაეხმარება საკვლევი/შესასწავლი საკითხის სტრუქტურის გაგებაში. ასევე, მოსწავლეებს უნდა დავუსვათ კითხვები, რომლითაც დაინახავენ მიღებული ცოდნის კავშირს რეალურ ცხოვრებასთან და ხელს შეუწყობს კრიტიკულ ანალიზს, მიუკერძოებელ მსჯელობასა და არგუმენტირებულ შეფასებას.

პრაქტიკული რჩევები მასწავლებლებს:

- დაეხმარეთ მოსწავლეებს, აღიარონ/გააცნობიერონ, რომ ნებისმიერი შეკითხვა მნიშვნელოვანი და ღირებულია;
- მხარი დაუჭირეთ მოსწავლეებს, წაახალისეთ, თამამად გაამხილონ და გამოსცადონ საკუთარი ვარაუდები. ამ მიზნით, ხშირად დაუსვით კითხვები - რატომ? რას გულისხმობა? და ა.შ.

- დაეხმარეთ მოსწავლეებს, განასხვაონ ფაქტობრივი კითხვები და კითხვები, რომლებზე პასუხიც გულისხმობს საკუთარი აზრის, შეხედულების, მრნამსის გამოხატვას. ამ მხრივ, ილუსტრაციები და ხელოვნების ნიმუშები შესაძლოა განსაკუთრებით სასარგებლო რესურსად გამოგადგეთ.

### **„რატომ-რატომ-რატომ ჯაჭვი“**

ეს სტრატეგია მოსწავლეებს უბიძგებს, იფიქრონ სიღრმისეულად და გადმოსცენ საკუთარი არგუმენტირებული მოსაზრებები, გაიაზრონ ნებისმიერი საკითხის გამომწვევი მიზეზი/მიზეზები. სტრატეგია - „რატომ-რატომ-რატომ ჯაჭვი“ შეიძლება გახდეს ფიქრის ეფექტური გზა, როდესაც მოსწავლეები ერთმანეთს დაუკავშირებენ ლოკალურ და გლობალურ პრობლემებს. იგი განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყენება წყვილებში ან მცირე ჯგუფებში მუშაობისას, ასევე, საერთო საკლასო დისკუსიის დროს.


სტრატეგიის გამოყენების რეკომენდაციები:

ა) დაწერეთ რაიმე აქტუალური საკითხი ფურცლის მარცხენა კუთხეში მოთავსებულ ჩარჩოში. შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, იფიქრონ მის გამომწვევ ყველა პირველად მიზეზზე. დასახელებული მიზეზები უნდა ჩამოიწეროს მეზობელ ჩარჩოებში ისე, რომ ჩანდეს მათი კავშირი იმ ჩარჩოსთან, რომელშიც მითითებულია საკვანძო/პრობლემური საკითხი.

ბ) სთხოვეთ მოსწავლეებს, იფიქრონ პირველადი მიზეზების გამომწვევ შესაძლო ფაქტორებზე/მიზეზებზე. გაიმეორეთ პროცესი იმდენჯერ, რამდენის საშუალებასაც მოგცემთ საკვანძო საკითხი. ყოველ ჯერზე დაინტერ ახალი ჩარჩოს შევსება წინა ჩარჩოს მარჯვნივ. აქტივობის საბოლოო შედეგი არის სქემის შექმნა, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს პრობლემისა და მისი გამომწვევი მიზეზების კომპლექსურობას. სთხოვეთ მოსწავლეებს საკუთარი პოზიციების მტკიცებულებებით გამყარება.

გ) დააკვირდით სქემის მარჯვენა მხარეს განთავსებულ ჩარჩოებს და ჰქითხეთ მოსწავლეებს: რამდენად სამართლიანია ის, რაც მოხდა? რამდენად და როგორ შეიძლებოდა შედეგის შეცვლა?

### **სქემა N1. „რატომ-რატომ-რატომ ჯაჭვი“**



**2. როლური თამაში.** როლური თამაში, რომლის სოციალური და საგანმანათლებლო ეფექტი საკმაოდ მაღალია მოსწავლეთა ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფისთვის, შეიძლება მრავალი ფორმით განვახორციელოთ. როლური თამაშისთვის აუცილებელია საკლასო ოთახის ისე ორგანიზება, რომ მარტივად შევძლოთ ჯგუფური მუშაობის წარმართვა.

კონკრეტულ ისტორიებზე დაფუძნებული როლური თამაში ერთგვარი საშუალებაა, რომლითაც მოსწავლეები სამყაროს სხვისი თვალით ხედავენ. ქვემოთ მოცემულია როლური თამაშის ორი შესაძლო ვარიანტი:

ა) „**ყინვის ჩარჩო და აზროვნებაზე დაკვირვება**“ - მოსწავლეები უსმენენ მოთხრობის ნაწილს და მოქმედებენ განვითარებული სიუჟეტის მიხედვით. ისინი გარკვეულ მომენტებში „ყინავენ“ მოქმედებას და განიხილავენ საკუთარ შეგრძნებებს. შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ სიუჟეტის შესაძლო განვითარებაზე. მათ შეუძლიათ, გაითამაშონ თავიანთი ვარაუდები და შეუსატყვისონ ისინი მოთხრობის რეალურ სიუჟეტს. ეს მიდგომა განსაკუთრებით ეფექტურია, როდესაც ვეცნობით რეალურ ისტორიებს და, ასევე, თანამედროვე პროცესებს.

ბ) „**ცხელი სკამი**“ - ხელს გვიწყობს, მოსწავლეებს განვუვითაროთ კითხვის დასმის, ღირებულებების აღმოჩენისა და პრობლემური საკითხების მიმართ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარი. კერძოდ, მოსწავლეები პასუხობენ იმ შეკითხვებს, რომლებიც მათვის უფრო მისაღებია მოსმენილი ისტორიის გათვალისწინებით. შემდეგ ერთი მოსწავლე ჯდება „ცხელ სკამზე“ და განასახიერებს მოსმენილი ისტორიის პერსონაჟს, სხვები რიგ-რიგობით უსვამენ კითხვებს, მოსწავლე ისტორიის/მოთხრობის პერსონაჟის ამპლუაში პასუხს სცემს კითხვებს.

როლური თამაში მოსწავლეს საშუალებას აძლევს, მოირგოს განსხვავებული ადამიანების როლი და გააცნობიეროს მათი ღირებულებები, მოვლენები შეაფასოს სხვისი თვალთახედვითა და პერსპექტივით.

**3. მედიანიგნიერება გლობალური მოქალაქეობისთვის.** ეს არის მიდგომა, რომლის მიზანია, ინტერნეტ და სხვა მედიასაშუალებების გამოყენებით, მოსწავლეებმა კრიტიკულად განიხილონ ინფორმაცია, გაითვალისწინონ, რომ ის ხშირად გამოხატავს მხოლოდ ერთ/ცალმხრივ თვალსაზრისს ან ღირებულებათა ნაკრებს. მოსწავლეთა მოქალაქეობრივი კომპეტენცია კი მოვლენათა სხვადასხვა პერსპექტივით აღქმას გულისხმობს. გასათვალისწინებელია ის, რომ თანამედროვე სამყაროში, ე.წ. ინტერნეტის ეპოქაში, ინფორმაციის გავრცელება და მასზე წვდომა უკიდურესად გაადვილდა, რამაც გააჩინა ახალი გამოწვევები საგანმანათლებლო სფეროში.


მაგალითად, ინტერნეტინფორმაციაზე მუშაობის პროცესში, მოსწავლეებისთვის შეგიძლიათ შეადგინოთ მარტივი შაბლონი, რომელსაც ისინი გამოიყენებენ ვებგვერდზე მუშაობისას, ან შეგიძლიათ სთხოვოთ უფროსი ასაკის მოსწავლეებს, მოიფიქრონ კითხვები, რომლითაც ისინი იხელმძღვანელებენ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაციის შესაფასებლად. სავარაუდო კითხვებია:

- ვინ მართავს ვებგვერდს?
- რა არის მისი მიზანი?
- რა შთაბეჭდილებას გვიქმნის ვებგვერდი მის შემქმნელზე? რას ემყარება შენი შთაბეჭდილება?
- რა არის ვებგვერდის ძირითადი სათქმელი?
- განხილულია თუ არა ვებგვერდზე ბევრი განსხვავებული ფაქტი და შეხედულება?
- რა ემოციას გრძნობ ვებგვერდის მიმართ? რატომ?
- ვინ აწვდის ვებგვერდს ინფორმაციას?

**4. მომავლის იდეალი.** ეს სტრატეგია დამატებით სტიმულს უქმნის მოსწავლეებს, გამოთქვან იდეები და მომავლის მიმართ ნეგატიური და/ან პოზიტიური მოლოდინები. მისი გამოყენება შეიძლება წარმოსახვითი მომავლის გამოსაკვლევად პერსონალურ, ლოკალურ და გლობალურ დონეებზე (იმის გათვალისწინებით, რომ ეს პერსპექტივები ურთიერთდაკავშირებულია). სტრატეგია „მომავლის იდეალი“, ასევე, შეიძლება გამოვიყენოთ სპეციფიკური საკითხების შესასწავლად ან მათზე დასაკვირვებლად, მაგ. ბიოსანვავის გამოყენება, გლობალური უთანასწორობა და ა.შ.

აღნიშნული აქტივობა შესაფერისია მოსწავლეთა ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფისთვის. როგორ განვახორციელოთ ეს? - მოსწავლეები ავლებენ დროის ხაზს წარსულიდან დღევანდელობისკენ. დროის ხაზზე ისინი აღნიშნავენ იმ მოვლენებს, რაც შეიძლება მოხდეს საკითხის გადატრის/პრობლემის განვითარების პროცესში. მოსწავლეებმა თავიანთი მოლოდინები შეიძლება გამოსახონ სხვადასხვა გზით: სიტყვიერად, ფოტოებით, ნახატით.

## სქემა N2. დროის ხაზი



საკითხის განხილვისას, იმსჯელეთ შემდეგ კითხვებზე:

- ჩამოთვლილთაგან, რომელი ცვლილებაა ყველაზე მოსალოდნელი?
- შენ როგორ მომავალს ისურვებდი?
- კიდევ ვის აქვს მომავლის ასეთი ხედვა?
- რისი შეცვლაა საჭირო, რომ სასურველი მომავალი იქცეს რეალობად? რა წვლილის შეტანა შეგვიძლია სასურველი მომავლის შესაქმნელად?

## 5.2. ადამიანის უფლებები<sup>5</sup>

### 5.2.1. მოქალაქეობრივი განათლების პრიორიტეტს წარმოადგენს დემოკრატიული უფლებები და პასუხისმგებლობები, ისევე, როგორც, საზოგადოების სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და კულტურულ პროცესებში აქტიური მონაწილეობა. მოქალაქეობის სწავლისას, ყურადღება მახვილდება მასზედ, რომ მოსწავლეები უნდა იცნობდნენ ადამიანის უფლებებს და, სასკოლო ცხოვრებაში მიღებული გამოცდილებით, თავდაჯერებულად სარგებლობდნენ აღნიშნული უფლებებით.

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით, მოსწავლებმა საჭიროა ისწავლონ, თუ როგორ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში და როგორ ისარგებლონ მათვები მინიჭებული უფლებებით: „დემოკრატიული ღირებულებები და ჩვევები მუდმივი სწავლის პროცესს გულისხმობს, რათა მათი საშუალებით შესაძლებელი იყოს ყოველი ახალი თაობის წინაშე მდგარ გამოწვევებთან გამკლავება. საზოგადოების სრულფასოვან და აქტიურ წევრად ჩამოყალიბებისათვის მოქალაქეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, ერთად იღვანონ საერთო კეთილდღეობის მისაღწევად; პატივი სცენ ყველა ხმას, მათ შორის, ყველაზე განსხვავებულსაც კი; მონაწილეობა მიიღონ ფორმალურ პოლიტიკურ პროცესებში; დემოკრატიასა და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ჩვევები და ღირებულებები დანერგონ საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებაში და გამოიყენონ ყოველდღიურ საქმიანობაში...“ (Educating for democracy, 2010).

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სწავლა გულისხმობს ცოდნის ახალი ფორმების შეძენასა და სწავლის ახალი მეთოდების გამომუშავებას. მასწავლებელზე, სახელმძღვანელოსა და ცოდნაზე ორიენტირებულობა უნდა ჩანაცვლდეს უნარების განვითარებაზე ორი-

<sup>5</sup> Human Rights Practical activities for primary and secondary schools United Nations New York and Geneva, 2004.

ენტირებული მიდგომით, სადაც უპირატესობა ენიჭება სასწავლო პრო-  
ცესში მოსწავლის ჩართულობას.

სკოლას, როგორც მიკროსაზოგადოებას, შეუძლია დაეხმაროს მო-  
სწავლებს, რათა მათ ადრეული ასაკიდან შეითვისონ და სათანადოდ  
დააფასონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შემდეგი განზო-  
მილებები:

- აზრის გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიულ  
პროცესებში მონაწილეობის აუცილებელ პირობას და ძირითად  
სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებას. დემოკრატიული მოქალაქე-  
ობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლის პროცესში მო-  
სწავლები იძენენ ცოდნას აზრის თავისუფლების შესახებ, აფასებენ  
ამ უფლებას და იციან, როგორ არის იგი დაცული კონსტიტუციით.  
ეს წარმოადგენს სწავლის შემეცნებით განზომილებას (ცოდნა, ცნე-  
ბები და გაგება);
- მოსწავლეები სწავლობენ, როგორ გამოიყენონ ძირითადი უფლებები.  
ესმით, რომ უფლებებით აქტიურად სარგებლობა უმნიშვნელოვანე-  
სია დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩართულობისთვის; ხდება მო-  
სწავლების წახალისება, ჩამოაყალიბონ და გამოთქვან თავიანთი  
მოსაზრებები სხვადასხვა გზით, მათ შორის, საჯარო გამოსვლების  
საშუალებით (უნარებზე დაფუძნებული სწავლის განზომილება);
- აზრის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას, მოსწავლეებს  
სჭირდებათ მხნეობა, რათა საკუთარი მოსაზრება გამოხატონ მა-  
შინაც კი, როცა უმრავლესობას სანინააღმდეგო შეხედულება აქვს.  
ისინი პატივისცემის სულისკვეთებით ისმენენ სხვათა მოსაზრებებს.  
განსხვავებული შეხედულების გამო უთანხმოებისა და დაპირისპ-  
ირების მოთოვკით, შესაძლებელია კონფლიქტების არაძალადობრი-  
ვი მოგვარება (გაგების, დამოკიდებულებებსა და ლირებულებებზე  
დაფუძნებული განზომილება).

ამ სამი, ურთიერთშემავსებელი განზომილებით (ცოდნა, კონცე-  
ფციები და გაგება; უნარები; დამოკიდებულებები და ლირებულებები)  
სწავლა უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს ისეთ მოქალაქეებად ჩამოყალი-  
ბებაში, რომელმაც/რომლებსაც:

- იციან ადამიანის უფლებები და მათი დაცვისა და გამოხატვის პირო-  
ბები (რაც ხორციელდება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების  
დაცვის სწავლის „შესახებ“ საშუალებით);
- აქვთ სკოლაში. როგორც მიკროსაზოგადოებაში ყოფნის გამოცდილე-  
ბა, სადაც დაცულია მოსწავლეთა თავისუფლება და თანასწორობა;  
იციან, როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები (რაც ხორციელდება

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის „საფუძველზე“  
სწავლით);

- გააჩნიათ კომპეტენცია/უნარი და თავდაჯერებულობა, რათა და-იცვან საკუთარი უფლებები და პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ  
სხვა ადამიანებს (რაც ხორციელდება დემოკრატიისა და ადამიანის  
უფლებების დაცვის „მიზნით“ სწავლის საშუალებით).

მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლის **შემც-ნებითი განზომილება** გულისხმობს ცოდნას, რომ ყველა ადამიანს შეუძლია, ისარგებლოს აზრის გამოხატვის თავისუფლებით, ასევე, შეუძლია  
მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი მედიასაშუალებით (ადამიანის უფლე-ბათა ევროპული კონვენცია, მუხლი 10).

მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლის **მონაწ-ილეობითი განზომილება** გულისხმობს, მოსწავლეებმა ისწავლონ, თუ როგორ გამოიყენონ მინიჭებული უფლებები და თავისუფლებები (უფლე-ბა ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, აზროვნებისა და გამოხატვის  
თავისუფლება და ა.შ.). მათ, ასევე, უნდა ჰქონდეთ სხვებთან ურთ-იერობის საკუთარი გამოცდილება (თავიანთი ინტერესების გამოხატვა  
ან შეთანხმება იმის თაობაზე, თუ როგორ განიმარტება „საყოველთაო  
კეთილდღეობა“ და ა.შ.). მათ უნდა შეეძლოთ შეთანხმებების ფარგ-ლებში მოქმედება და დაწესებული შეზღუდვების დაცვა. მოსწავლეები  
პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ სხვათა და მთლიანად საზოგა-დოების კეთილდღეობას. ამ პრინციპებზე აღზრდილმა მოსწავლეებმა  
იციან, როგორ გახდნენ დემოკრატიული საზოგადოების წევრები.

მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლის **კულ-ტურული განზომილება** ადამიანს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა  
მიიღოს დემოკრატიულ პროცესებში.

მკვლევრები გამოყოფენ „დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადა-მიანის უფლებათა შესახებ“ სწავლის ცხრა ცნებას (Educating for democ-  
racy, 2010), რომელიც უკავშირდება მოსწავლეების მიერ მიკროსაზოგა-  
დოებაში მიღებულ გამოცდილებას:

- ინდივიდუალობა - თავისუფლება ადამიანს აძლევს საკუთარი  
პიროვნების განვითარების უფლებას, მათ შორის, ცხოვრების ძირითა-  
დი ასპექტების არჩევანის თავისუფლებას (ლირებულებები, პარტნიო-  
რი, პროფესია და სხვ.).
- მრავალფეროვნება და პლურალიზმი - მოსწავლეებმა უნდა ისწავ-  
ლონ, თუ როგორ მიიღონ მრავალფეროვნება და პლურალიზმი.
- პასუხისმგებლობა - ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული საზოგადოე-  
ბის მდგრადობა დამოკიდებულია მოქალაქეების მზადყოფნაზე, აიღონ  
პასუხისმგებლობა თავიანთ ქმედებებსა და სხვათა საჭიროებებზე.

- კონფლიქტი - მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, რომ პროცედურული წესების ფარგლებში, რომელსაც ზურგს უმაგრებს ურთიერთპატივ-ისცემის პოლიტიკური კულტურა, დასაშვებია უთანხმოებები, კამათი. თუმცა, დისკუსიებისა და მოლაპარაკებების დროს, ყოველი მხარე მზად უნდა იყოს დათმობაზე წასასვლელად. მოქალაქეობისათვის სა-სიცოცხლოდ აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს ურთიერთპატივ-ისცემაზე დამყარებული, კონფლიქტების არაძალადობრივი გზებით მოგვარების კულტურა.
- წესები და კანონი - მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ და აცნობიერებდნენ ადამიანის უფლებების დაცვასა და შეზღუდვას შორის არსებულ მიმართებას. ამ მიმართების არარსებობის შემთხვევაში, თავისუ-ფლება ანარქიად გადაიქცევა, ხოლო ანარქია, თავის მხრივ, ძა-ლადობის გაბატონების საფუძველს წარმოადგენს. მოსწავლეებს, ასევე, შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ სკოლაში მოქმედი იმ წე-სების/კანონების რეფორმირებაში, რომლებიც არ ეფუძნება ადამია-ნის უფლებებს.
- მმართველობა და პოლიტიკა - სკოლის დემოკრატიული მმართვ-ელობა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, ისწავლონ, თუ როგორ მოახდინონ ზემოქმედება გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და მიიღონ მასში მონაწილეობა.
- თანასწორობა და თავისუფლება - სამართლიანობის ორი ძირითადი პრინციპი, რომელსაც ადამიანის ღირსება ეყრდნობა, არის თანას-წორობა (დისკრიმინაციის დაუშვებლობა) და თავისუფლება (რო-მელიც მიიღწევა მოქალაქეების მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისას). მოსწავლეებს სჭირდებათ ისეთი კომპეტენციების განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობს აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და თანაბარ შესაძლებლობებს შორის წონასწორობის დაცვას. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ ისარგებლონ მათვის მინიჭებული თავისუფლებით (აზრის, გამოხ-ატვისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თავისუფლება), როგორ აღკვეთონ და არ დაუშვან დისკრიმინაციის ნებისმიერი გამოვლინება.
- მედია - მედიას შეუცვლელი ფუნქცია აკისრია ადამიანის უფლებე-ბით სარგებლობის, ინფორმაციის გაცვლისა და ხელმისაწვდომობის, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის, მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის უფლებების თვალსაზრისით. მედია დიდ როლს ასრუ-ლებს სასკოლო საზოგადოებაშიც. მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლისას, მედიასთან და მედიარესურსებზე მუშაობის კომპეტენცია მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს პროცესებში მო-სწავლეთა აქტიური მონაწილეობის თვალსაზრისით.

**5.2.2. მოსწავლებისთვის ადამიანის უფლებათა პონევეციების  
ნაბიჯ-ნაბიჯ გაცნობის სტრატეგია**

დონეები	მიზნები	ძირითადი კონცეფციები	პრაქტიკა	ადამიანის უფლებათა სპეციფი- კური პრობ- ლემები	ადამიანის უფლე- ბათა სტანდ- არტები, სისტემები და ინსტრუმენტები
სკოლ- ამდელი საფეხური და I-II კლასები (ასაკი 3-7 წელი)	საკუთარი თავის პატივის- ცემა მშო- ბლების, მასწავლე- ბლების და სხვათა პატივის- ცემა	• მე • საზოგა- დოება • პირადი პასუხ- ისმგე- ბლობა	• მოვალეობა • სამარ- თლიანობა • თვითგამოხ- ატვა/მოსმენა • თანამშრომ- ლობა/გაზი- არება • ჯგუფური მუშაობა • ინდივიდუალ- ური მუშაობა • მიზეზისა და შედეგის გაგება • თანაგრძობა • დემოკრატია • კონფლიქტის მოგვარება	• რასიზმი • სექსიზმი • უს- ამართ- ლობა • ადა- მიანის ტკენა (მეგ- რძნე- ბებისა და ფიზი- კური განცდის დო- ნები)	• საკლასო წე- სები • ოჯახური ცხოვრება • საზოგადოე- ბის/თემის სტანდარტები • ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია • ბავშვთა უფლებების კონვენცია
III-VI კლასები (ასაკი - 8-11 წელი)	სოციალ- ური პა- სუხისმგე- ბლობა მოქა- ლაქეობა სურ- ვილები, საჭიროე- ბები და უფლებები	• პირადი უფლებები • ჯგუფის უფლებები • თავისუ- ფლება • თანას- წორობა • სამარ- თლიანობა • წესები და კანონები • მთავრო- ბა/მმართ- ველობის ფორმა • უს- აფრთხოე- ბა	• მრავალ- ფეროვნების შეფასება • სამარ- თლიანობა • ფაქტისა და მოსაზრების გარჩევა • სკოლისთვის ან საზოგა- დოებისთვის მომსახ- ურების გაწ- ევა • სამოქალაქო მონაწილეობა	• დის- კრიმი- ნაცია/ ცრურწ- მენა • სიღა- რიბე/ შიმშილი • უს- ამართ- ლობა • ეთნო- ცენ- ტრიზმი • ეგოცენ- ტრიზმი • პასი- ურობა	• ადამიანის უფლებების ისტორია • ადგილობრივი, ეროვნული იურიდიული სისტემები • ადამიანის უფლებების ადგილობრივი და ეროვნული ისტორია • იუნესკო, იუნისეფი • არასამთავ- რობო ორგა- ნიზაციები

საბაზო საფეხური (ასაკი - 12-14 წელი)	ადამიანის უფლე- ბების სპეციფი- კის ცოდნა	<ul style="list-style-type: none"> <li>საერთა-შორისო</li> <li>სამარ-თალი</li> <li>მსოფლიო მშეიძობა</li> <li>მსოფლიო განვითა-რება</li> <li>მსოფლიო პოლიტი-კური ეკო-ნომიკა</li> <li>მსოფლიო ეკოლოგია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სხვისი თვალ-საზრისების</li> <li>და შეხედ-ულებების</li> <li>გაგბა</li> <li>მტკიცებ-ულებების</li> <li>ციტირება</li> <li>იდეების მხ-არდაჭერა</li> <li>კვლევის ჩატ-არება /</li> <li>ინფორმაციის შეგროვება</li> <li>ინფორმაციის გაზიარება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>უგულე-ბელყო-</li> <li>ფა</li> <li>აპათია</li> <li>ცინიზმი</li> <li>პოლი-ტიკური</li> <li>რეპრე-სიები</li> <li>კოლო-ნიალ-</li> <li>იზმი/ იმპრი-ალიზმი</li> <li>ეკო-ნომი-კური</li> <li>გლო-ბალ-</li> <li>იზაცია</li> <li>გარე-მოს-</li> <li>დაცვითი</li> <li>დეგრა-დაცია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>გაერთიანებ-ული ერების კონვენცია</li> <li>რასიზმის აღ-მოცხვრა</li> <li>სექსუალური მოცხვრა</li> <li>ლტოლვილების სახეროს უმაღლესიკომისარი</li> <li>ადამიანის უფლებების რეგონალური ურიკონვენციები</li> </ul>
საშუალო საფეხ- ური (ასაკი - 15-17 წელი)	ადამიანის უფლე- ბების, როგორც საყოვ- ელთაო სტანდ- არტების ცოდნა ადამიანის უფლე- ბების ინ- ტეგრაცია პირად ცნო- ბიერებასა და ქცევ- ასთან	მორალური ჩართულობა <ul style="list-style-type: none"> <li>მორალ-ური</li> <li>სასუხ-ისმგე-ბლობა</li> <li>წიგ-ნიერება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მორალური ჩართულობა</li> <li>მორალ-ური</li> <li>სასუხ-ისმგე-ბლობა</li> <li>წიგ-ნიერება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სამოქალაქო ორგა-ნიზაციების წევრობა</li> <li>სამოქალაქო პასუხისმგე-ბლობის შესრულება</li> <li>სამოქალაქო დაუმორჩილებლობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>გენო-ციდი</li> <li>ტერო-რი</li> <li>სამხ-ედრო დანა-შაული და სხვ.</li> </ul>

კვლევები გვიჩვენებს, რომ სკოლის დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეები ზოგჯერ ნაკლებად თავდაჯერებულები არიან, რაც ამცირებს მათი სოციალური ციტიდლის შესაძლებლობას. რთულია სხვის უფლებების ბებზე ზრუნვა, როდესაც საკუთარი უფლებების რეალიზება გვიჭირს. ამ შემთხვევაში, ადამიანის უფლებების სწავლის საბაზისო მოთხოვნად

მოსწავლეების თავდაჯერებულობის ამაღლება იქცევა.

ადამიანის უფლებების სწავლის ყოველ ეტაპს აქვს თავისი უნიკალური ამოცანა და მისაღწევი შედეგი. ქვემოთ წარმოდგენილი თემები და აქტივობები მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შესაძლებლობას აძლევს, შეისწავლონ ადამიანის უფლებათა საბაზო ცნებები - სიცოცხლე, სამართლიანობა, თავისუფლება, თანასწორობა და სხვ.

ადამიანის უფლებების სწავლა ფოკუსირებულია არა მხოლოდ გარე საკითხებსა და შემთხვევებზე, არამედ შინაგან პერსონალურ ღირებულებებზე, დამოკიდებულებებსა და ქცევაზე. ადამიანის უფლებების სწავლისას, გამოიყენება კომბინირებული მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებელ კვლევას, ანალიზსა და კრიტიკულ აზროვნებას.

ადამიანის უფლებების საბაზო ცნებებად შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი: „მე მაქვს უფლება. ეს არ არის მხოლოდ ის, რაც მე მინდა ან მჭირდება. ეს არის ჩემი უფლება. არსებობს პასუხისმგებლობა, რომელიც უნდა ვიკისრო და ვაღდებულება, რომელიც უნდა შევასრულონ“. თუ მოსწავლეები გარიყულნი არიან პროცესებიდან, ისინი ვერ გაიაზრებენ უფლებებსა და მათი აღიარების აუცილებლობას, მით უფრო, არ განიცდიან სხვათა უფლებების უგულებელყოფის შემთხვევებს. პირველ რიგში, კარგად უნდა ვაცნობიერებდეთ უფლებების მნიშვნელობას ჩვენთვის, რაც, თავის მხრივ, ზრდის პერსონალურ პასუხისმგებლობას, უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და დაფასების თვალსაზრისით.

საჭიროა ადამიანის უფლებების სწავლა საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების მიმართ პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობის გალრმავების კუთხით. მასწავლებელმა უნდა შექმნას შესაძლებლობები, რომ მოსწავლეებს შეაძლებინოს სოციალური პასუხისმგებლობების გააზრება და მათ შესასრულებლად დაყოლიება. მასწავლებლები და მოსწავლეები უნდა ფლობდნენ იმ უნარებს, რომლებიც საჭიროა პასუხისმგებლობებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული გარდაუვალი კონფლიქტების გადაჭრისთვის, რაც სულ უფრო მზარდია სხვისი უფლებების დაცვის ვაღდებულების გაცნობიერების ფონზე.

### 5.2.3. საკლასო აძლიერები/სტრატეგიები ადამიანის უფლებების სწავლების ხელშესაცყობად

ქვემოთ მოცემულია თქვენთვის კარგად ნაცნობი რამდენიმე საკლასო აქტივობა/სტრატეგია, რომელიც, სხვა აკადემიური მიზნების მიღწევასთან ერთად, წარმატებით შეგიძლიათ გამოიყენოთ ადამიანის უფლებების სწავლების პროცესში:

მოცემული სტრატეგიები და აქტივობები ემსახურება მოსწავლეებში თანაზიარობისა და მორალური წარმოდგენების განვითარებას, მათი ვარაუდების ეჭვქვეშ დაყენებას/ცვლილებას და ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის კონცეპტების ერთმანეთთან დაკავშირებას; მისადაგებულია ადამიანის უფლებების სწავლის ამოცანებთან და ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას, თანამშრომლობის გაძლიერებას, განსხვავებული გამოცდილებისა და შეხედულებების დაფასებას და სწავლის პროცესში მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას.

## 1. გონიერობი იერიში

ეს სტრატეგია შეიძლება გამოვიყენოთ პრობლემების გადაჭრის გზების ძიების დროს. გონიერობი იერიში მოითხოვს პრობლემის გაანალიზებას და გარკვეული გადაწყვეტილების მიღებას. ის ხელს უწყობს მონაწილეობის მაღალ ხარისხს და ზრდის სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების შემოქმედებითობას. პრობლემის წარდგენის შემდეგ, ყველა იდეა/პასუხი ფიქსირდება დაფაზე ან საპრეზენტაციო ქაღალდზე. მასწავლებელი პასიურია, არაფერს განმარტავს, არ უარყოფს/ეთანხმება მოსწავლეთა შეთავაზებებს/წინადადებებს. მეორე ეტაპზე, მასწავლებელი ახდენს პასუხების კატეგორიზაციასა და ანალიზს. ამ დროს შესაძლებელია ზოგიერთი პასუხის ადაპტირება ან უარყოფა. საბოლოოდ, მოსწავლეთა ჯგუფები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს და წარმართავენ პრობლემის გარშემო დისკუსიას.

სტრატეგიის გამოყენების მაგალითები:

### ა. „წერილი პოთლში“

სთხოვეთ მოსწავლეებს, წარმოიდგინონ, რომ ჩვენამდე მოაღწია არამინიერი ცივილიზაციის სიგნალმა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უცხო ცივილიზაციასთან კავშირის დამყარება გადაწყვიტა და მიზნად დაისახა მათთვის კაცობრიობის შესახებ გარკვეული ინფორმაციის გაგზავნა. მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ ის, რის გაგზავნასაც უმნიშვნელოვანესად ჩათვლიან (მაგ. მუსიკა, ადამიანის მოდელი, ტანსაცმელი, ლიტერატურა, რელიგიური დანიშნულების ნივთები და სხვ.). ამ აქტივობისას, ვიყენებთ ინდივიდუალურ, ჯგუფურ ან საერთო საკლასო მუშაობას, ხოლო მოსწავლეთა გააქტიურებისა და საკითხზე კონცენტრირების მიზნით, შესაძლოა დავუსვათ შემდეგი კითხვები: ვინ ვარ მე? ვინ ვართ ჩვენ?

ზემოთ მოცემული აქტივობით, მოსწავლეებმა უნდა აღმოაჩნონ საკუთარი თავი, როგორც კაცობრიობის ნაწილი, გაიგონ და დააფასონ ადამიანური ღირსება; გააცნობიერონ საკუთარი პასუხისმგებლობა ერთმანეთისა და მთელი საზოგადოების წინაშე (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 1; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 1).

### ბ) ენერგია

ნებისმიერი საქმიანობა მოითხოვს ენერგიას. რაც მეტს აკეთებ, მით მეტი ენერგიაა საჭირო. კლასთან გონიერივი იერიშის დროს, განიხილეთ ენერგიის ყველა შესაძლო წყარო და ფორმა: მზე, საკვები, ქვანახშირი, გაზი, ელექტრონია, ქარი და ა.შ.

სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩამოწერონ ენერგიის ყველა სახე, რომელსაც ისინი ყოველდღიურად იყენებენ და დაადგინონ, როგორ ხდება მათი მოპოვება, გამოყენება და მომხმარებლამდე მიწოდება. მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს შემდეგი:

- არის თუ არა ენერგიის ჩამოთვლილი წყაროები განახლებადი?
- რა გავლენას ახდენს ენერგიის სხვადასხვა ფორმის გამოყენება გარემოზე?
- შეიძლება თუ არა სკოლაში ენერგიის უფრო მეტად დაზოგვა? როგორ?
- შეიძლება თუ არა ამოინუროს ენერგიის რომელიმე წყარო? როგორ დავზოგოთ ენერგია?

გონიერივი იერიშისა და დისკუსიის შემდეგ მოსწავლეებს მიეცით პროექტული დავალება - „შექმნით ენერგოეფექტური მოწყობილობები/ნაგებობები, იფიქრეთ, როგორ შეიძლება საზოგადოებას/თემს მიეწოდოს ენერგია და რომელი ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით (მაგ. ქარის, წყლის, მზის, სასარგებლო წიალისეულის და ა.შ.) (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 25; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 27).

## 2. სიტუაციური სავარჯიშო

მოსწავლეთა მცირე ჯგუფები მუშაობენ რეალურ ან გამოგონილ შემთხვევებზე, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებების სტანტდარტების გამოყენებას. ეს სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს რეალური და სანდო შემთხვევების სცენარებს, ე.წ. სიტუაციურ სავარჯიშოებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემთხვევებით სწავლა ხელს უწყობს ანალიზის, პრობლემის გადაჭრისა და დაგეგმვის უნარების განვითარე-

ბას, ასევე, თანამშროლობით სწავლასა და გუნდურობას. შემთხვევებით სწავლა ხშირად გამოიყენება დებატებისა და დისკუსიისთვის ან კვლევით პროექტებზე მოსწავლეთა მუშაობის წასახალისებლად. მოცემულ შემთხვევაში, გთავაზობთ შემთხვევით/ქეისით სწავლა-სწავლების სავარჯიშოს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით.

სავარჯიშოს გამოყენების მაგალითები:

ა) „ურნალისტი გაუჩინარდა!“

კლასში განიხილეთ შემდეგი შემთხვევა: ურნალისტმა გაზეთში გამოაქვეყნა კრიტიკული სტატია, რამაც გააღიზიანა მაღალი თანამდებობის პირები. მომდევნო დღეს აღნიშნულმა პირებმა ურნალისტი გაიტაცეს, სცემეს და უკაცრიელ ადგილზე მდებარე სახლში გამოკეტეს. ამ მოქმედებით შეიზღუდა ურნალისტის უფლებები. სთხოვეთ კლასს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე დაყრდნობით, განსაზღვრონ, ურნალისტის რომელი სპეციფიკური უფლებები შეიზღუდა. შემდეგ დაავალეთ მოსწავლეებს, მოამზადონ წერილი იუსტიციის მინისტრის სახელზე, სადაც იმსჯელებენ ურნალისტის მიმართ განხორციელებულ ძალმომრეობით აქტზე და აღნიშნულ ფაქტს მისცემენ სამართლებრივ შეფასებას. ასევე, შეიძლება მოსწავლეებმა ღია წერილით მიმართონ საზოგადოებას ან ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს (სასურველია, მოსწავლეებმა დამოუკიდებლად შეძლონ მსგავსი ორგანიზაციების იდენტიფიცირება) (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 3, 5, 8, 9, 11, 12).

ბ) „ჩაალაგე ჩემოდანი“

ომის შედეგად ჩნდებიან ლტოლვილები, ანუ ადამიანები, რომლებიც იძულებით ტოვებენ საკუთარ სახლებს, ზოგჯერ ქვეყნებსაც, რადგან განიცდიან დევნას რასის, რელიგიის, ეროვნების ან პოლიტიკური შეხედულების გამო.

კლასის წინაშე წაიკითხეთ ეს სცენარი:

„შენ ხარ მასწავლებელი \_\_\_\_\_. შენი კოლეგა გაუჩინარდა და მოგვიანებით გარდაცვლილი იპოვეს. შენი სახელი, როგორც დივერსიის მოწყობაში ეჭვმიტანილისა, გაუდერდა საგაზეთო სტატიაში. მოგვიანებით მიიღე მუქარის წერილი პოლიტიკური აქტიურობის გამო. გადაწყვიტე გაქცევა. შეგიძლია, წაიღო მხოლოდ ხუთი კატეგორიის ნივთი (მაგ. ჰიგიენის ნივთები, ტანსაცმელი, ფოტოები და სხვ.). ჩემოდანის ჩასალაგებლად გაქვს ხუთი წუთი. გაითვალისწინე, რომ შეიძლება ვეღარ დაბრუნდე სახლში“.

სთხოვეთ რამდენიმე მოსწავლეს, წაიკითხოს შერჩეული საგნების სია. რამდენიმე ასეთი მაგალითის შემდეგ, აუხსენით მოსწავლეებს ლტოლვილის განმარტება და დევნის მტკიცებულების მნიშვნელობა უსაფრთხო და ლეგალური თავმესაფრის მიღებისთვის. დისკუსიის რეზიმში განიხილეთ ემოციურ ფონზე გადაწყვეტილების მიღების გამოცდილება და შეაფასეთ შფოთვის როლი მყისიერი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პროექტის ფარგლებში სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოიკვლიონ ლტოლვილების მდგომარეობა არა მხოლოდ მათთვის ნაცნობ გარემოში, არამედ მსოფლიოში. პროექტზე მუშაობისას გამოიყენეთ საკვანძო კითხვები:

- სად არის ლტოლვილთა ყველაზე დიდი კონცენტრაცია?
- საიდან გამოიქცნენ ისინი და რატომ?
- ვინ არის მათ უსაფრთხოებასა და ზრუნვაზე პასუხისმგებელი?  
(ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 14; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 22).

### 3. შემოქმედებითი თვითგამოხატვა

ხელოვნების ნიმუშები გვეხმარება ცნებების ან საკითხის შინაარსის დაკონკრეტებაში, მათზე გამოსახული გმირების პერსონალიზება გავლენას ახდენს მოსწავლეთა დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას სახებ. ხელოვნების ნიმუშები მოიცავს მოთხოვნებსა და ლექსებს, გრაფიკას, სკულპტურას, დრამას, სიმღერასა და ცეკვას. არ არის საჭირო, მასწავლებელს ჰქონდეს სპეციფიკური საგნობრივი ცოდნა იმისთვის, რომ ჩამოთვლილი რესურსები გამოიყენოს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების გასავითარებლად.

სტრატეგიის გამოყენების მაგალითებია:

ა) წიგნი „ვინ ვარ მე?“

ბავშვები წერენ ავტობიოგრაფიულ წიგნს. ყდაზე ათავსებენ საკუთარ ფოტოს ან ავტოპორტრეტს. მათ შეუძლიათ წიგნის სხვადასხვა გვერდზე განათავსონ პირადი ფოტოები, მათთვის საყვარელი მოთხოვნები, ლექსები. კარგი იქნება თუ ცხოვრების საინტერესო დეტალების ჩართვითაც გაამრავალფეროვნებენ წიგნს. ამავე პრინციპით შეიძლება მოვამზადოთ მთელი კალსისთვის საერთო წიგნი „ვინ ვართ ჩვენ?“ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 3, 19; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 6, 7, 8, 12, 13, 30).

### ბ) „მე“ კედელზე /მიწაზე

მოხაზეთ ყოველი მოსწავლის კონტური ქალალდის დიდ ფურცელზე ან მიწაზე. სთხოვეთ მოსწავლეებს, დახატონ, გააფერადონ სხეულის დეტალები და დააწერონ პერსონალური და ფიზიკური მახასიათებლები (მაგ. სახელი, სიმაღლე, წონა, რისი ცოდნა სურს ყველაზე მეტად, რისი გაკეთება უნდა სკოლაში ან ზრდასრულობისას და ა.შ.). ქალალზე შექმნილი კონტურები მიამაგრეთ კედელზე. მიეცით საშუალება თითოეულ მოსწავლეს, ისწავლოს ერთმანეთის და საკუთარი თავის შესახებ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 3, 19, 24; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 6, 7, 8, 12, 13, 28, 29, 31).

### გ) სურვილები და საჭიროებები

დაყავით მოსწავლეები მცირე ჯგუფებად და სთხოვეთ, შექმნან ათი ბარათი იმ საგნების გამოსახვით, რომლებიც პირადი ბედნიერებისთვის სჭირდებათ. ბარათებზე მუშაობისას, მოსწავლეებს შეუძლიათ, ამოქრან ილუსტრაციები ძველი უურნალებიდან ან დახატონ მათთვის სასურველი ნივთები.

ყოველი ჯგუფი განმარტავს მათ მიერ შერჩეულ საგნებს/ნივთებს და ალაგებს „საჭიროებების“ განყოფილებაში. შემდეგ უთხარით მოსწავლეებს, რომ მთავრობის განკარგულებით, მათ არ შეუძლიათ ყველა საჭიროების დაკმაყოფილება და ამიტომ უნდა შეამცირონ შერჩეული საგნების ნუსხა. იმ საგნებს, რომლებსაც მოსწავლეები შეელევიან, ცალკე „სასურველ“ განყოფილებაში ათვსებენ.

კვლავ გაიმეორეთ ეს აქტივობა და მოსწავლეებს კიდევ უფრო შეამცირებინეთ საჭირო საგნების ნუსხა.

აქტივობის განხილვისას, იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

პირველ ჯერზე რომელი საგნები შეამცირეთ? რატომ?

რა განსხვავებაა სასურველსა და საჭიროს შორის?

ყველა ადამიანს ერთნაირი სურვილები და საჭიროებები აქვს?

შეიძლებოდა თუ არა საჭირო ნივთების კიდევ უფრო შემცირება? რატომ? რა შედეგს მივიღებდით?

მსჯელობისა და განმარტების შედეგად, სასურველია, იმ დასკვნამდე მისვლა, რომ ბავშვთა უფლებები ეფუძნება ყველა ბავშვის ცხოვრებისთვის აუცილებელ საჭიროებას, რაც უზრუნველყოფს მათ ჯანმრთელობას, ბედნიერ ცხოვრებას და პასუხისმგებლობის მქონე მქალაქეებად ჩამოყალიბებას.<sup>6</sup>

<sup>6</sup> ადაპტირებულია წიგნიდან It's Only Right! A Practical Guide to Learning about the Convention on the Rights of the Child by Susan Fountain.UNICEF, 1993.

დ) რა სჭირდება ბავშვს?

მცირე ჯვუფებში მუშაობისას, მოსწავლეები ხატავენ ბავშვის ფიგურას და არქმევენ სახელს. შემდეგ ფიქრობენ, თუ როგორი გონიერივი, ფიზიკური და პიროვნული ნიშნები მოუფიქრონ მას - მომავალ კარგ მოქალაქეს (მაგ. კარგი ჯანმრთელობა, იუმორის გრძნობა, სიკეთე). იდეალური თვისებების გამოხატვისთვის მათ შეუძლიათ შექმნან სიმბოლოები (მაგ. წიგნი გამოხატავს განათლებას).

დახატული ფიგურის შიგნით მოსწავლეები ჩამოწერენ ბავშვის პიროვნულ თვისებებს/მახასიათებლებს, ხოლო ფიგურის გარეთ - იმ ადამიანური და მატერიალური რესურსების ნუსხას, რომელიც დასტირდება (მაგ. ჯანმრთელი რომ იყოს, სჭირდება საკვები და ა.შ.).

აქტივობის შემდეგ გააცანით მოსწავლეებს ბავშვთა უფლებების კონვენციის ის მუხლები, რომლებიც განსაზღვრავენ მათი ჯანსაღი განვითარებისათვის დადგენილ საჭიროებებს (მაგ. განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, ხარისხიანი საკვებით უზრუნველყოფა და ა.შ.). სთხოვეთ მოსწავლეებს, შეადარონ ერთმანეთს მათ მიერ და კონვენციით განსაზღვრული საჭიროებები და შეადგინონ „ბავშვის საჭიროებათა“ საკუთარი კონვენცია. განხილული აქტივობის შედეგად მოსწავლეები აცნობიერებენ ბავშვთა უფლებების კონვენციის შესაბამისი პუნქტების არსა და მნიშვნელობას.

ე) ისინი ყველანი მსგავსნი არიან

მიეცით თითოეულ მოსწავლეს პატარა ქვა ან რაიმე სხვა ნივთი (მაგ., კარტოფილი) და სთხოვეთ კარგად შეისწავლოს ის. შემდეგ სასურველი ფორმით (მაგ. შეუძლიათ დაწერონ პატარა მოთხრობა, სადაც ყურადღებას გაამახვილებენ ნივთის ასაკზე, მის ხასიათზე - მოწყენილია თუ მხიარული, ფორმაზე, შესაძლებლობებზე და ა.შ.) წარადგინონ საკუთარი ნივთები კლასის ნინაშე. შემდეგ ყველა ნივთი ერთად ჩაალაგეთ ყუთში/ჩანთაში და სთხოვეთ მოსწავლეებს, იპოვონ „საკუთარი“ ნივთები.

აქტივობის შეჯამებისას, მიუთითეთ, რომ გაცნობის შემდეგ ადამიანები უკეთ ვამჩნევთ ერთმანეთის განსაკუთრებულ ნიშნებს. ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი, უნიკალური ისტორია და ყველანი პოტენციური მეგობრები არიან. ეს ნიშნავს, რომ გარკვეული სტერეოტიპები (მაგ. როკი ცივი, მძიმე და ინდიფირენტულია) არსებობას განაპირობებს ცოდნის დეფიციტი და სასურველია, თავი უნდა შევიკავოთ წინასწარი განსჯისგან (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლები 1, 2; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 2).

#### 4. დისკუსია

მოსწავლეთა წყვილებში, მცირე ჯგუფებსა თუ მთელ კლასში დისკუსიის წამოსაწყებად მრავალი გზა არსებობს. ნდობისა და პატივისცემის განწყობის შესაქმნელად, სასურველია, მოსწავლეებმა შეიმუშაონ „დისკუსიის წესები“.

საკითხის განხილვაში მთელი კლასის ჩართვისთვის მასწავლებელმა შესაძლოა გამოიყენოს ისეთი ტექნიკა, როგორიცაა „ვისაუბროთ“ (მასწავლებელი სვამს ღია კითხვას, მაგ. რას ნიშნავს ღირსება შენთვის? ან „ბედნიერი ვარ, როცა...“ და ყველა მოსწავლე პასუხობს რიგრიგობით). პირადი ან ფაქტზე საკითხები უმჯობესია განვიხილოთ მცირე ჯგუფებში.

სტრატეგიის გამოყენების მაგალითები:

ა) კანონის წინაშე თანასწორობა

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლი ასე იწყება: „კანონის წინაშე ყველა თანასწორია“. თუმცა კანონის ეს მოთხოვნა რეალურ ცხოვრებასა და პრაქტიკაში ყოველთვის როდი ხორციელდება.

საკითხის შესახებ დისკუსიისთვის გამოიყენეთ შემდეგი კითხვები:

- არის თუ არა შენს თემში ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორი? ხომ არ სარგებლობს ვინმე ფარული ან ღია უპირატესობით?
- რა ფაქტორები შეიძლება განაპირობებდეს ერთი ადამიანის სხვებზე უპირატესობას?
- რატომ არის კანონის წინაშე ყველას თანასწორობა აუცილებელი პირობა ადამიანის უფლებების გარანტირებულად დაცვისთვის? (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 7; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 2)

ბ) უფლება, ისწავლო საკუთარი უფლებები

აუქსენით მოსწავლეებს, რომ განათლების უფლება არის ადამიანის უფლებათა დეკლარაციის ერთ-ერთი ფუნდამენტური მოთხოვნა. სთხოვეთ, იმსჯელონ შემდეგ საკითხებზე:

- რა არის საჭირო იმისთვის, რომ ადამიანებმა იცოდნენ საკუთარი უფლებების შესახებ?
- რატომ არის მნიშვნელოვანი, ვისწავლოთ და ვიცოდეთ ადამიანის უფლებები?
- ყველას თანაბრად გვჭირდება უფლებების ცოდნა? რატომ?
- როგორ უნდა ისწავლებოდეს ადამიანის უფლებები?

- ყველა სასკოლო საგანი უნდა ისახავდეს მიზნად ადამიანის უფლებათა სწავლას? რატომ? როგორ შეიძლება ამის განხორციელება?
- რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს, დამოუკიდებლად ისწავლონ ადამიანის უფლებები? (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 26; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 17, 29)

## 5. გასვლითი ვიზიტები/სათემო ვიზიტები

მოქალაქეობრივი განათლების მხარდაჭერისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში საზოგადოებრივი დაწესებულებების ჩართვით სკოლის სივრცის გაფართოება. კერძოდ, მოსწავლეებისთვის იმ სამთავრობო ორგანიზაციების გაცნობა, სადაც ადამიანის უფლებების საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს (მაგ. სასამართლოები, ციხეები და სხვ.); ასევე, ისეთი ადგილების მონახულება/შესწავლა, სადაც ადამიანები სხვათა უფლებების დასაცავად ან უმწეოთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად მუშაობენ (მაგ. არაკომერციული ორგანიზაციები, რომელთა მიზანია შემწეობების შეგროვება, მიუსაფარ ადამიანთა გამოკვება, მათი ტანსაცმლით უზრუნველყოფა და/ან თავშესაფრები და კლინიკები). მოსწავლეებს წინასწარ უნდა ავუხსნათ ვიზიტის მიზანი და ვთხოვოთ, შემდგომი განხილვისთვის ჩაიწერონ დაკვირვების შედეგები.

სტრატეგიის გამოყენების მაგალითები:

### ა) განთლების უფლება

სთხოვეთ მოსწავლეებს, ქვემოთ მოცემული ჩამონათვალიდან შეარჩიონ ის მოსწავლეები, რომელთაც მათი აზრით, განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდებათ:

- გონივრი განვითარების შეფერხების მქონე
- ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე
- ობოლი
- მიუსაფარი
- ნაადრევ ქორწინებაში მყოფი
- მიგრანტი/ლტოლვილი
- უმცირესობის წარმომადგენელი
- სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი

დისკუსიის გასაღრმავებლად, მიმართეთ მოსწავლეებს შემდეგი შეკითხვით:

- თქვენი აზრით, რა არის საჭირო მათი სრულფასოვანი განათლები-სთვის?

თუ რომელიმე მოსწავლემ აღნიშნა, რომ ბავშვების ნაწილი განსხვავებულ სკოლაში დადის, ჰქითხეთ მას:

- რატომ შეიძლება სწავლობდნენ ეს მოსწავლეები განსხვავებულ სკოლებში?
- თქვენი აზრით, განსხვავებულ სკოლებში ბავშვები კარგ განათლებას მიიღებენ?

კითხვა-პასუხის ეტაპის დასრულების შემდეგ გამართეთ საკლასო დისკუსია თემაზე - მსგავს შემთხვევებში ირღვევა თუ არა ბავშვის უფლება, მიიღოს სრულფასოვანი განათლება და ვინ არის პასუხისმგებელი მათ განათლებაზე?

სასურველია, მოსწავლეები ესტუმრონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების სკოლას. მოაწყონ დისკუსია, თუ რამდენად დაცულია ყველა ბავშვის უფლება განათლებაზე, რა უნდა გაკეთდეს ამ უფლების უზრუნველსაყოფად; გაუწიონ ადვოკატირება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს, რათა მათ ჰქონდეთ განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 26; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 28, 29).

### ბ) საკვები

სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩაინიშნონ მათი ყოველდღიური საკვები და სასმელი. გააანალიზონ თავიანთი ცოდნა იმის შესახებ, თუ რა სჭირდება სხეულს არსებობისა და განვითარებისთვის (კარბონატები, პროტეინები, მინერალები, ვიტამინები, ნიჟალი). დაავალეთ მოსწავლეებს, შეარჩიონ ერთი კონკრეტული საკვები და გამოიკვლიონ მისი შემადგენლობა, ინფორმაცია მწარმოებელზე, უშუალოდ წარმოების პროცესი და ტრანსპორტირება. ეს კვლევა შეიძლება ჩატარდეს მაღაზიაში, სანარმოსა და მეურნეობაში. კვლევისთვის დღიური რაციონიდან შეარჩიეთ რომელიმე პროდუქტი, რომელიც ხარობს ახლომახლო (ხილი, ბოსტნეული). დაყავით მოსწავლეები წყვილებად/მცირე ჯგუფებად და სთხოვეთ, მოიძიონ ინფორმაცია შერჩეული პროდუქტის შესახებ, ადგილზე გაეცნონ მათი დარგვისა და მოვლის პროცედურებს და სეზონზე დარგონ სკოლის ეზოში. შემდეგ მოინვიეთ აგრონომი და იმსჯელეთ მცენარეთა დარგვისა და მოვლის წესებზე. სკოლის ბაღში სამუშაო და მოწეული მოსავალი გაუნაწილეთ კლასის ყველა მოსწავლეს. გამართეთ საკლასო/სასკოლო

დისკუსიები მცენარეთა მოვლის გამოცდილების შესახებ: არის კულტივირების ეს მეთოდი ყველაზე ეფექტური? არსებობს თუ არა მავნებლებთან ბრძოლის სხვა გზა? რამდენად ეფექტურად გაინაწილეს მოსწავლეებმა სამუშაოები და სამომავლოდ რაიმეს ხომ არ შეცვლილნენ? (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 25; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 24, 27)

## 6. ინტერვიუები

ინტერვიუ სწავლისა და კონკრეტული საკითხის პერსონალიზების კარგი საშუალებაა. შეიძლება გამოვკითხოთ ოჯახი და საზოგადოების წევრი, პოლიტიკური ლიდერი ან ადამიანის უფლებებზე მომუშავე პირი. ზეპირი ისტორიების მოსმენა და მათი ანალიზი ხელს უწყობს საზოგადოებაში/თემში ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის გააზრებას.

სტრატეგიის გამოყენების მაგალითი:

ა) საბჭოები და სასამართლოები

მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ კანონის შექმნისა და მიღების პროცედურები იმისთვის, რომ უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- რა არის კანონი?
- ვინ ქმნის მას?
- რატომ/რისთვის არსებობს კანონი?

დაგეგმეთ კლასის ვიზიტი ადგილობრივ ან ცენტრალურ საკანონმდებლო ორგანოში. დაასწარით ისინი სესიის მუშაობას. იმსჯელეთ ზემოთ მოყვანილ კითხვებზე. ასევე, მოაწყვეთ ვიზიტი სასამართლოში, რათა მოსწავლეები არა მხოლოდ კანონის მიღების პროცედურას დააკვირდნენ, არამედ, კანონის აღსრულების კონკრეტული და პრაქტიკული მაგალითებიც იხილონ. ამ შემთხვევაშიც იმსჯელეთ ზემოთ დასმულ კითხვებზე.

თუ მსგავსი ვიზიტის განხორციელება ვერ ხერხდება, მაშინ კლასშივე გაითამაშეთ პარლამენტის ან სასამართლოს სხდომა. ამისთვის კარგად მოემზადეთ, გამოკვეთეთ საკანონმდებლო პრობლემა, იფიქრეთ მისი გადაჭრის გზებზე, გაითამაშეთ კანონის მიღების პროცედურები. არანაკლებ ეფექტურია ადგილობრივი პოლიტიკოსის, კანონმდებლის მოწვევა და მასთან ინტერვიუს ჩაწერა შემდეგ თემებზე:

- რას ნიშნავს კანონმორჩილება?
- რატომ უნდა დავიცვათ კანონი?

- როგორ ხორციელდება სამართალი?
- რამდენად სამართლიანია არსებული კანონები?
- რამდენად უზრუნველყოფილია კანონშემოქმედებით საქმიანობაში ფართო საზოგადოების მონაწილეობა?

მოსწავლებთან ერთად განიხილეთ ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-12 მუხლი, რომლითაც ბავშვს აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთარი შეხედულება. იმსჯელეთ, რამდენად და როგორ ითვალისწინებს ამ უფლებას ქვეყნის სასამართლო სისტემა.

მოწვეულ სტუმართან ერთად მოაწყვეთ საკლასო დისკუსია შემდეგ თემებზე:

- რეალურ ცხოვრებაში ხორციელდება თუ არა ქალებისა და მამაკაცებისთვის კანონით მინიჭებული თანასწორი უფლება?
- რამდენი ქალია მოსამართლე/კანონმდებელი ჩვენს ქვეყანაში?
- რა უშლის ხელს ქალებს, იყვენენ უფრო აქტიურნი საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და კომერციულ საქმიანობაში?

დისკუსიის პროცესში, სასურველია, მოსწავლეებმა ზემოთ მითითებული კითხვების პასუხად მიღებული ციფრების და/ან პროცენტული მონაცემების საფუძველზე იმსჯელონ, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რით უნდა აიხსნას მიღებული ბალანსი ან დისბალანსი (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 7, 8, 10, 12, 21, 40; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 12, 40).

### ბ) მომხსენებელი ბიზნესექტორიდან

მოიწვიეთ ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელი, როგორც საზოგადოების აქტიური, ავტორიტეტული პირი და იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წევრი/ები, რომლებიც მუშაობენ სამართლიანი და ეთიკური ვაჭრობის საკითხებზე. მათთან შეხვედრის დროს შესაძლოა გაიმართოს დისკუსია, თუ რა გავლენას ახდენს ადგილობრივ ვაჭრობაზე გლობალური ეკონომიკა, ასევე, გაუზიარონ თავიანთი ხედვა ადამიანის უფლებების დაცვისთვის კორპორატიული ანგარიშვალდებულების მნიშვნელობის შესახებ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 19, 23, 25; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 3, 6, 17, 27).

## 7. კვლევითი პროექტები

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული თემები მოსწავლეებს და-მოუკიდებელი ძიების ფართო შესაძლებლობას იძლევა. ეს შეიძლება

იყოს ფორმალური კვლევა, როდესაც გამოიყენება ბიბლიოთეკა და ინტერნეტ რესურსები, ასევე, არაფორმალური კვლევა რესპონდენტებთან ინტერვიუს გზით, მედიაში გამოქვეყნებული მასალების ანალიზით და მონაცემთა შეკრების სხვა ტექნიკების გამოყენებით. პროექტი, ინდივიდუალურია ის თუ ჯგუფური, ავითარებს დამოუკიდებელი აზროვნების, მონაცემთა ანალიზის, ადამიანის უფლებების რთული, კომპლექსური საკითხების საფუძვლიანი და სილრმისეული გაგების შესაძლებლობას.

სტრატეგიის გამოყენების მაგალითი:

„ჯარისკაცი“ ბავშვები

შეიარაღებულ კონფლიქტებში ხშირად არასრულწლოვნები მონაწილეობენ, რომელთა უმრავლესობა იძულებითაა ჩართული საომარ მოქმედებებში, რასაც შეიძლება მოჰყვეს მათი სიკვდილი, დასახიჩრება და საზოგადოებისგან გაუცხოება. საერთაშორისო კანონმდებლობა კრძალავს ბავშვთა მონაწილეობას სამხედრო სამსახურსა და საბრძოლო ოპერაციებში.

მოსწავლეთა კვლევის საგნად შესაძლოა იქცეს შემდეგი საკითხები:

- რატომ უნდათ შეიარაღებულ ძალებს ბავშვების გამოყენება ომში?
- სამხედრო ოპერაციებში ჩართვით ბავშვთა რომელი უფლება ირღვევა? მოიყვანეთ ბავშვთა უფლებების კონვენციიდან კონკრეტული მუხლები.
- როგორ შეიძლება იმოქმედოს ომში მონაწილეობამ ბავშვზე? რა საფრთხეებს ხდავთ?
- რა სირთულეების გადალახვა მოუწევს ომგამოვლილ ბავშვს საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის? რამდენად არის მზად საზოგადოება, დაეხმაროს მას? თქვენი აზრით, რა სახის დახმარება სჭირდებათ?

ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება მოსწავლეებს დაეხმარება პრობლემის შესწავლაში:

- მოიძეთ მეტი ინფორმაცია ჯარისკაცი ბავშვების შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში;
- გაარკვით, რომელი ორგანიზაციები მუშაობენ ჯარისკაცი ბავშვების რეაბილიტაციის საკითხებზე ;
- დაწერეთ წერილი/მიმართვა, რომლითაც წაახალისებთ მთავრობებს გაატარონ ეფექტური საკანონმდებლო ღონისძიებები და აკრძალონ შეიარაღებულ ძალებსა და კონფლიქტებში ბავშვების (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 3, 4, 5; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 3, 6, 9, 11, 32, 34, 36, 37, 38, 39).

## 8. როლური თამაშები/სიმულაციები

როლურ თამაშებს აქვს კონკრეტული დანიშნულება - გაზარდოს მოსწავლეთა მგძნობელობა და პერსპექტივის განცდა ცალკეული ჯგუფებისა და პრობლემური საკითხების მიმართ. როლური თამაშის დასრულების შემდეგ საკმარი დრო უნდა დავუთმოთ დისკუსიას, რათა მოსწავლეებმა გამოთქვან საკუთარი განცდები, შიშები, მოლოდინები; გააანალიზონ აქტივობის შინაარსი და გაიაზრონ მისი სარგებელი. მონაწილეებმა უნდა შეძლონ აღწერონ თავიანთი მოქმედება, გამოთქვან მოსაზრება და დასვან კითხვები.

სტრატეგიის გამოყენების მაგალითი:

### ა) ჩემი თოჯინების ოჯახი

თოჯინებით თამაშისას, ბავშვები ხშირად განასახიერებენ საკუთარ ოჯახს. თოჯინებს არქმევენ სახელებს და საზღვრავენ ერთმანეთის მიმართ ნათესაურ კავშირებს (მე, დედა, მამა, და, ძმა). თოჯინების ოჯახი შეიძლება გაფართოვდეს სხვა ადამიანებით, რომლებიც იქვე ახლოს/მეზობლად ცხოვრობენ. მოსწავლეებს შეუძლიათ, გაითამაშონ ყოველდღიური ცხოვრების/ურთიერთობების სცენა, მოახდინონ მათთვის მნიშვნელოვანი და პრობლემური თემების დრამატიზება (ადამიანის უფლებათა საყველთაო დეკლარაცია, მუხლი 16, 20, 27; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 9, 10, 15, 31).

### ბ) სამიტი

კლასში შეგვიძლია მოვაწყოთ პოლიტიკური ლიდერების სამიტის გათამაშება, სადაც გლობალური პრობლემა განიხილება - მაგალითად, ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმების გამოყენებისა და ბავშვებისთვის საფრთხის შემცველი შრომითი საქმიანობის შემცირება. როლურ თამაშს უნდა მოჰყვეს საკლასო დებატები პრობლემად შერჩეულ საკითხზე. ჯგუფური მუშაობისას, მოსწავლეები განასახიერებენ კონკრეტულ სახელმწიფოს და ცდილობენ მისი პოზიციის დემონსტრირებას: ზოგიერთი ჯგუფი ცდილობს, აკრძალოს ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმების გამოყენება, სხვები ეწინააღმდეგებიან მსგავს აკრძალვებს და ა.შ.

აქტივობის ბოლოს შეაჯამეთ ჯგუფების პოზიციები და შეადარეთ გამოვლენილი თვალსაზრისები ნაღმების გამოყენების აკრძალვისა (1997) და ბავშვებისთვის მძიმე/საფრთხის შემცველი შრომის აკრძალვის (1999) კონვენციების მოთხოვნებს. შეჯამებისას, ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ სხვადასხვა ქვეყანა და საზოგადოება შეიძლება ერთობლივად მუშაობდეს აღნიშნული პრობლემების მოგვარებისთვის

(ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 28; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 3, 4, 6).

### გ) პროფესიული ცხოვრება

აღნერეთ სამუშაო გარემო (მაგ. ქარხანა, ფერმა), სადაც ადამიანები ასრულებენ მთლიანებების ან მენეჯერების მითითებებს. მუშაკებს აქვთ ინიციატივა, თუ როგორ გაუმჯობესდეს სამუშაო სივრცე. მათ, ასევე, სურთ უკეთესი ანაზღაურება, სამედიცინო დაზღვევა, მეტი თავისუფალი დრო განათლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, უფრო უსაფრთხო გარემო, ხანგრძლივი შევებულება და ა.შ.

დაყავით კლასი ორ ჯგუფად: მუშებად და დამქირავებლებად. დაავალეთ ჯგუფებს, შეიმუშაონ მოთხოვნები და პოზიციები. პოზიციების შესაჯერებლად, ჯგუფებმა უნდა გამოყონ დელეგაციები და გამართონ ერთმანეთთან მოლაპარაკება. ურჩიეთ მოსწავლეებს, იხელმძღვანელონ მშრომელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო რეკომენდაციებით. შემდეგ გაიმეორეთ აქტივობა, მაგრამ შეცვალეთ როლები (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 23; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 32).

### დ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სიმულაციური მოდელი

შეარჩიეთ რამდენიმე გლობალური მნიშვნელობის საკითხი და განსაზღვრეთ მოსწავლეთა მუშაობის ფორმა (ინდივიდუალური ან ჯგუფური), რათა მათ წარმოადგინონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებული ქვეყნების მრავალფეროვნება. აუხსენით მოსწავლეებს აქტივობის მიზანი - შეისწავლონ შერჩეული ქვეყანის მდგომარეობა და პოზიციები პრობლემად განსაზღვრული საკითხის მიმართ.

როდესაც მოსწავლეები დაასრულებენ კვლევას, სთხოვეთ, შეადგინონ რეზოლუცია გენერალურ ასამბლეაზე განსახილველად. რეზოლუცია უნდა შეიცავდეს პრობლემის დეტალურ აღნერას და მისი გადაჭრის გეგმას, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გასატარებელი ლონისძიებების ჩამონათვალს. მასში უნდა ჩანდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლიც. პრეზენტაციისას, მოსწავლეებმა უნდა დაარწმუნონ მსმენელები, რომ მათი რეზოლუცია სარგებელს მოუტანს ყველას და ამიტომ იმსახურებს განხილვასა და მხარდაჭერას.

პოზიციის პრეზენტირების შემდეგ მოსწავლეები ერთობლივად იწყებენ გამოსავლის ძიებას და ცდილობენ, კონსენსუსის გზით გადაჭრან პრობლემა.

ბოლოს გამართეთ გაეროს იმიტირებული ფორუმი. დაადგინეთ

ფორუმის მუშაობის წესები და რეგლამენტი (მაგ. მიმართვის ფორმა, გენერალური მდივნის მიერ ქვეყნების წარმომადგენლებისთვის სიტყვის მიცემის პროცედურა და ა.შ.). დისკუსიის შემდეგ მოაწყვეთ რეზოლუციის კენჭისყრა - წინასწარ განსაზღვრეთ ხმის მიცემის პროცედურა, დაადგინეთ ქვორუმი. დასკვნით ეტაპზე შეაჯამეთ სიმულაცია, გამოიყენეთ წერილობითი ან სიტყვიერი შეფასება, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სტრატეგიები. ერთობლივად იმსჯელეთ, თუ როგორ შეიძლება მსგავსი აქტივობის უკეთ დაგეგმვა და განხორციელება (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 1, 28, 30; ბავშვთა უფლებების კონვენცია, მუხლი 3).

### 5.3. ინტერკულტურული განათლება<sup>7</sup>

#### 5.3.1. ინტერკულტურული მოქალაქეობა

მოქალაქეობის, დემოკრატიის და მულტიკულტურალიზმის თეორიები განსაზღვრავენ არა მხოლოდ იდენტობის მნიშვნელობას, არამედ იმ საზოგადოებრივ შეზღუდვებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც ადამიანს მისგან განსხვავებულ ჯგუფებთან ერთობლივი მუშაობისთვის და მათდამი ტოლერანტული დამოკიდებულებისათვის საჭირო უნარის გამომუშავებაში ეხმარება. ინტერკულტურული განათლების თეორიები სილრმისეულად წარმოაჩენენ განსხვავებული იდენტობების რთულ, წინააღმდეგობრივ ბუნებას და ავლენენ განათლების სფეროში საზღვრების გადალახვის საჭიროებას. მულტიკულტურული მოქალაქეობის თეორია ხელს უწყობს სოციალური კონტრასტებით, არათანასწორუფლებიანობითა და უსამართლობით გამოწვეული პრობლემების მოგვარებას.

მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად რელევანტურია დემოკრატიისა და მოქალაქეობის ცნებების გამოყენება სახელმწიფოსა და განათლებას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების კონტექსტში. დემოკრატიის ცნებას მოსდევს დემოკრატიული მოქალაქეობის კონცეფცია, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ინდივიდებს აკისრიათ პასუხისმგებლობა, შესწევთ მონაწილეობის უნარი, ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს და ახდენენ საკუთარი და სხვების საქმიანობის მონიტორინგს. თანამედროვე გადმოსახედიდან ეს არის არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ პედაგოგიური პრაქტიკაც, რამდენადაც მოქალაქის ჩამოყალიბება პედაგოგიკის სუბიექტის ფორმირებასაც გულისხმობს. ინდივიდები, თავიანთი ბუნებით, არ არიან მზად პოლიტი-

<sup>7</sup> Developing intercultural competence through education. Series editor Josef Huber. Council of Europe Pestalozzi Series, No. 3 © Council of Europe, January 2014

კაში მონაწილეობის მისაღებად. მათ სხვადასხვა გზით უნდა მიიღონ განათლება დემოკრატიული პოლიტიკის სფეროში, სტანდარტული მომზადების კურსის გავლის, ეთიკური ქცევის შეთვისების, დემოკრატიულ პროცესზე ცოდნის შეძენისა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების ჩათვლით. დემოკრატია გულისხმობს თანამონაწილეობის ისეთ პროცესს, რომლის ყველა მონაწილე თანასწორუფლებიანად არის მიჩნეული. თუმცა განათლება თავის თავში მოიცავს პროცესს, რომლის დროსაც „მოუმწიფებელი“ იძულებული ხდება გაიგივდეს ცხოვრების იმ პრინციპებთან და სტილთან, რომელიც საზოგადოების „მომწიფებული“ წევრებისათვის არის დამახასიათებელი. ამრიგად, პედაგოგიკის საგნის დემოკრატიულად ფორმირება არის ინტერკულტურული აღზრდის პროცესი.

ზრუნვა, სამართლიანობა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს მორალური ქმედების ძირითად პრინციპებს, რომლებიც უნდა ავსებდნენ ერთმანეთს. ზრუნვის ხელშემწყობი პრინციპები სწავლის ინტერაქტიული პროცესის საფუძველშია, რომლის ფუნდამენტს სხვათა ღირსების პატივისცემა წარმოადგენს. სკოლებმა სერიოზულად უნდა მიიღონ „განსხვავებულობის“ კულტურა, რაც გააფართოვებს მოქალაქეობრივი განათლების პერსპექტივებს და მოიცავს პასუხისმგებლობას და ურთიერთპატივისცემის გამომხატველ ქცევას ოჯახში და ინტერპერსონალურ ურთიერთობებს საზოგადოებაში. დაბოლოს, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა უმთავრესია მორალური და ეთიკური განათლებისთვის.

### 5.3.2. თანამშრომლობითი მიზანება

კვლევები აჩვენებს, რომ სწავლა გაცილებით ეფექტურია, თუ არ ხდება ცოდნის პასიური მიღება. გაკვეთილის ლექციური/ფრონტალური სტილი არ არის ინტერკულტურული დამოკიდებულებების, ცოდნისა და უნარების განვითარების საშუალება. მაგალითად, ლექცია დემოკრატიის ან სხვათა პატივისცემისა და ინტერკულტურული კომპეტენციების მნიშვნელობის შესახებ ვერ იქნება სარწმუნო და ეფექტიანი, თუ მასწავლებელი კლასთან კომუნიკაციისას არ იყენებს მსგავს პრინციპებსა და მოდელებს. მეორე მხრივ, ცდასა და პრაქტიკაზე დაფუძნებული, ანუ „კეთებით“ სწავლა ითვალისწინებს და ეფუძნება გამოცდილებას, შედარებას, ანალიზს, რეფლექსიას და თანამშრომლობით მოქმედებას, რაც მაღალი შედეგიანობით გამოიჩინება.

ბოლო ათეული წლების განმავლობაში შეიცვალა განათლების ორინტირი და მისი მიზანი გახდა მოსწავლეებში მრავალმხრივი კომპეტენ-

ციის განვითარება. დღეს, ფორმალური და არაფორმალური სწავლის პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად, სწავლის ინოვაციური ტექნიკები და მუშაობის ფორმები გამოიყენება. სულ უფრო მეტი მასწავლებელი იყენებს პროექტულ მუშაობას, რომელიც მოიცავს საკვანძო თემას, დავალებებს/ამოცანებს მოსწავლეთა ცოდნის განსხვავებული დონეებისა და მათი ასაკის მიხედვით. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ პროექტის მიზნები და შინაარსი უზრუნველყოფდეს ყველა მოსწავლის მონაწილეობას. პროექტზე მუშაობისას, მოსწავლეები ქმნიან საკუთარ სასწავლო მასალებს, რომლის პრეზენტაციასა და შეფასებას ახდენენ ერთობლივად. სწავლის ახლებური მიდგომების გამოყენებისას იცვლება მასწავლებლებისა და მოსწავლეების როლები/ფუნქციები, რაც მოსწავლეთა კომპეტენციის სრულყოფა-განვითარების დამატებითი სტიმულია.

ისეთი პედაგოგიური მიდგომების გამოყენებისას, რომლითაც მოსწავლეები, ერთმანეთთან თანამშრომლობით, იძენენ გამოცდილებას, შეუძლიათ აღმოჩინონ/მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, განახორციელონ ცვლილებები, გააანალიზონ, შეადარონ და შეაფასონ გარკვეული პროცესები, სასწავლო აქტივობები ხდება უაღრესად ეფექტური მოსწავლეთა მრავალმხრივი პიროვნული განვითარებისთვის, რაც პირდაპირ უკავშირდება მათი ინტერკულტურული კომპეტენციების ამაღლებას.

ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც მიმართულია მოსწავლეებში ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებაზე, არის თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლა. თანამშრომლობითი სწავლისას, მოსწავლეები ხშირად ურთიერთობენ, მუშაობენ ჯგუფებში და ერთობლივად ასრულებენ საკმაოდ რთულ, მრავალკომპონენტიან დავალებებს, ხდებიან პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი საკუთარი და ჯგუფის წევრების სწავლასა და მოქმედებაზე. ამ დროს ჯგუფის ყველა წევრი ცდილობს საკუთარი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში, რაც ასევე აძლიერებს ინკლუზიურ მიდგომას და ინტერაქციას. საბოლოო ჯამში, გუნდური მუშაობა უზრუნველყოფს კონსტრუქციულ, ინკლუზიურ და წამახალისებელ გარემოს მოსწავლეთა სოციალური უნარებისა და კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიების განვითარებისთვის.

თანამშრომლობითი სწავლა ხელსაყრელ გარემოს ქმნის იმისთვის, რომ მოსწავლეებმა თავი უსაფრთხოდ და კომფორტულად იგრძნონ. ამასთან, ერთობლივი მუშაობისთვის დასახული ამოცანა და მიზნები ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რათა მოსწავლეებმა შედეგიანად იმუშაონ. თანამშრომლობითი მიდგომის დროს მოსწავლეები სწრაფად იაზრებენ, რომ პრობლემის ეფექტურად გადაწყვეტისთვის ისინი უნდა იყვნენ ყურადღებიანნი, გულახდილნი და ემპათიურები. როდესაც

ჯგუფები ხელმძღვანელობენ მკაფიო მიზნებით და ამოცანა მოითხოვს პოზიტიურ ურთიერთდამოკიდებულებას, ჯგუფის წევრები ერთობლივად და ხალისით ახორციელებენ მრავალფეროვან აქტივობებს, რაც ზრდის ურთიერთპატივისცემას, აფართოებს მონაწილეთა თვალსაწინერს და ავითარებს მათ სოციალურ უნარებს.

### 5.3.3. საკლასო აძლიერები/სტრატეგიები ინტერკულტურული განათლების ხელშესაცყობად

ქვემოთ მოცემულია თქვენთვის კარგად ნაცნობი რამდენიმე საკლასო აქტივობა/სტრატეგია, რომელიც, სხვა აკადემიური მიზნების მიღწევასთან ერთად, დაგეხმარებათ ინტერკულტურული განათლების საკითხებზე მუშაობის პროცესში:

**1. მულტიპერსპექტიული შინაარსის აქტივობები** ხელს უწყობს მოსაწავლებები განსხვავებული პერსპექტივების შესახებ ცოდნას და მათი არსებობის საფუძვლების გაცნობიერებას.

მაგალითად, შეიძლება განვიხილოთ ერთი და იგივე ღონისძიების შესახებ სამი მოსწავლის ჩანაწერი ან ნაამბობი, სადაც მკაფიოდ ჩანს მონაწილეთა განსხვავებული გამოცდილება, აღქმა, დამოკიდებულება და ა.შ. ეს განსხვავებები კიდევ უფრო მკაფიო შეიძლება იყოს, თუ მოსაწავლებები სხვადასხვა ეთნო-კულტურული ჯგუფის წარმომადგენლები არიან.

აქტივობების განხილვა მნიშვნელოვანია მიღებული გამოცდილების გაზრებისა და იმის საჩვენებლად, თუ როგორ მოქმედებს ღონისძიების სტილი და შინაარსი სხვათა ან პირადი გამოცდილების გაგებაზე. მასწავლებელმა კლასთან ერთად უნდა განიხილოს არაერთგვაროვანი შეხედულებებისა და შეფასებების მიზეზები, რითაც მოსწავლეებს აჩვენებს, რომ ზოგჯერ განსხვავებული პოზიციის მიმართ ჩვენი პირველადი შეფასებები ეყრდნობა წინასწარ შექმნილ ვარაუდებსა და შთაბეჭდილებებს და იცვლება საკითხის არსები წვდომის შემდეგ.

აქტივობები, რომლებშიც გაანალიზებულია მულტიპერსპექტიულობა, გვეხმარება, განვავითაროთ მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციები. მაგალითად, ესა თუ ის ისტორიული მოვლენა, ხშირად, ისტორიკოსების მიერ გადმოცემულია განსხვავებულად. მათ პოზიციებზე გავლენას ახდენს კულტურული, ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილება. მხატვრებმაც ერთი და იგივე პიროვნების პორტრეტი შეიძლება განსხვავებულად დახატონ. მეტიც, მოსწავლეები, რომლებიც საკლასო ოთახის სხვადასხვა კუთხეში სხედან, არაერთგვაროვნად აღიქვამენ მას.

იგივე შეიძლება ითქვას ბუნებრივი მოვლენების შესახებაც. სხვადასხვა პერსპექტივიდან მათი შესწავლა ხელს უწყობს ბუნებრივი პროცესების კრიტიკულ ანალიზს, აძლიერებს ემპათიას და მიმღებლურ განწყობას, არცთუ იშვიათად წარმოაჩენს ჩვენს პირველად მცდარ შთაბეჭდილებებსა და სტერეოტიპებს.

მულტიპერსპექტიულობის გაღრმავებას ხელს უწყობს მხატვრული ლიტერატურის გაცნობა. მოთხრობები, იმის მიუხედავად, რეალური ამბავია მათში გადმოცემული თუ გამოგონილი, მოსწავლეებს აცნობს განსხვავებულ კულტურებს, ტრადიციებსა და შეხედულებებს. ყოველივე ეხმარება მათ, გადახედონ საკუთარ ლირებულებებს, ნორმებს და საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებებს. ამ მიზნით, შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეთა ბიოგრაფიები, ასევე, ერთობლივი ბიოგრაფიული ჩანაწერები (მაგალითად, მოსწავლეთა მცირე ჯგუფები წერენ საკუთარ ისტორიებს ერთ კონკრეტულ საკითხთან ან პერიოდთან დაკავშირებით). მათ ნაწერებში შეიძლება გამოიკვეთოს განსხვავებული განცდები, შეხედულებები, დამოკიდებულებები და ა.შ. მსგავსი აქტივობები გვეხმარება მოსწავლეთა მრავალფეროვნების წარმოჩენაში და მასზე მსჯელობაში.

**2. როლური თამაშები და სიმულაცია, რომელიც ერთანაირი წარმატებით ხორციელდება ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში, გვეხმარება მოსწავლეთა ინტერაქულტურული კომპეტენციების განვითარებაში იმით, რომ მონაწილეები ხშირად მოირგებენ ხოლმე მათგან განსხვავებული ნორმებისა და ქცევის მქონე ადამიანების როლებს. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეების მიერ შეძენილი ახალი გამოცდილება, რომლის საფუძველია ისეთი ადამიანის განსახიერება, რომელიც აზროვნებს, იქცევა, მსჯელობს, გამოიყურება მისგან განსხვავებულად. ისინი, ვის როლებსაც მოსწავლეები ირგებენ, განსხვავდებიან ენით, რასით, რწმენით და ლირებულებებით და, ამასთან, აცნობიერებენ, რომ ეს განსხვავებები მათ არ ხდის ნაკლებლირებულს დანარჩენი კაცობრიობისათვის. კლასთან ან ჯგუფთან ყოველი როლური თამაშის ან სიმულაციის განხილვა მნიშვნელოვანია მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლების მიზნით და იმის გასააზრებლად, თუ რა ხდებოდა თამაშის მსვლელობისას, რას გრძნობდნენ, რამ მიიქცია მათი ყურადღება, რის შეცვლას ისურვებდნენ და ა.შ. მოსწავლეების მხრიდან იმის გამოვლენა, თუ რა აღმოაჩინეს რულური თამაშის დროს, რა იყო მათთვის შედარებით იოლი და/ან რთული, უცხო, უცნაური ან მსგავსი, როგორ წარმოადგინეს და გაითავისეს სხვა იდენტობის ადამიანის ნორმები და ხასიათი, მოსწავლეებს დაეხმარება მიღებული**

გამოცდილების ადეკვატურ შეფასებაში. ამდენად, როლური თამაშით მოსწავლეებს უყალიბდებათ მიმღებლობა, ცნობისმოყვარეობა და პატივისცემა, მზაობა და თანაგრძნობა. ხდება მოსწავლეებში დაკვირვებისა და ინტერპრეტაციის, სხვების კულტურული თავისებურებების აღმოჩენისა და მისი შესწავლის, ასევე, ადაპტაციისა და ემპათიის უნარების განვითარება.

### **3. თეატრი, პოეზია და შემოქმედებითი წერა ხელს უწყობს ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებას, არის თეატრი, პოეზია და შემოქმედებითი წერა.**

თეატრის ყურებისას ან პიესების კითხვისას, მოსწავლეები ეცნობან განსხვავებული კულტურული იდენტობის ადამიანებს, მათი ცხოვრების სტილსა და შეხედულებებს. ეს შედეგი კიდევ უფრო თვალსაჩინოა, როდესაც მოსწავლეები უშუალოდ განასახიერებენ თეატრალურ წარმოდგენებს. ამ დროს ისინი ეცნობან და განიცდიან მათგან განსხვავებული ადამიანების ბედს, მათ სიხარულსა თუ საფიქრალს, თვალნათლივ შეიგრძნობენ მათ ყოფას, მიდრეკილებებსა და სურვილებს.

მოთხოვობებისა და ლექსების წაკითხვას თან უნდა სდევდეს მათი საკლასო განხილვა. ეფექტურია, როდესაც მოსწავლეები, საკუთარი წარმოდგენებისა და ფანტაზიის საფუძველზე, ლიტერატურულ წარმოებებს გარკვეულ გაგრძელებას უძებნიან. ამ დროს მოსწავლე მოვლენათა განვითარების შესაძლებლობას ჭვრეტს საკუთარი პერსპექტივით.

ეს სასწავლო აქტივობები შეიძლება განხორციელდეს არამხოლოდ ლიტერატურისა და ენების გაკვეთილებზე, არამედ სასურველია მათი ადაპტირება სხვა საგნების შინაარსშიც. საბოლოო ჯამში, ამ გზით მოსწავლეები ეცნობან, უახლოვდებიან და განიცდიან იმ ადამიანთა ცხოვრებას, რომებსაც არასდროს იცნობდნენ. ამასთან, იზრდება მათი გამბედაობა, დასვან კითხვები საკუთარი იდენტობის შესახებაც - რამდენად უწყობს ხელს მათ სოციუმსა და კულტურაში დამკვიდრებული წესები, ტრადიციები და შეხედულებები ყველა ადმიანის ლირსებისა და უფლების დაცვას? რა არის ამ მხრივ შესაცვლელი?

### **4. ეთნოგრაფიული კვლევა ითვალისწინებს მოსწავლეების სკოლის გარე საქმიანობას, რათა გაიცნონ რეალური ცხოვრება, შექმნან გამოცდილება და ცოდნა, რომელსაც ისინი გააანალიზებენ და შეაფასებენ. ეთნოგრაფიული კვლევის პროცესი შეიძლება გახდეს თვითაღმოჩენის და თვითშეფასების განმაპირობებელიც. ამ დროს მოსწავლეები ახორციელებენ დამოუკიდებელ კვლევას, რომლის მიზანია, აღმოაჩინონ: რო-**

გორ ესალმებიან ადამიანები ერთმანეთს, რა ვერპალურ და არავერ-ბალურ საშუალებებს იყენებენ პატივისცემის, მადლიერების, სიბრაზის ან სხვა ემოციის გამოსახატად.

ეთნოგრაფიული კვლევა შეიძლება ითვალისწინებდეს რესპონდენ-ტებთან ინტერვიუს. ამ გზით მოსწავლეები არკვევენ, როგორ ცხოვ-რობენ ადამიანები სამეზობლოში, რა არის მათი მთავარი საზრუნავი და ა.შ. ამისთვის საჭიროა შესაბამისი კითხვების მომზადება, ხოლო კვ-ლევის შედეგი კლასში უნდა იყოს წარმოდგენილი, გაანალიზებული და შეფასებული იმისთვის, რომ მოსწავლეებს შეექმნათ და განუვითარდეთ ინტერესულტურული დამოკიდებულებები, ცოდნა და უნარები.

ეთნოგრაფიული გამოცდილების შესახებ დისკუსია მოსწავლეე-ბს ეხმარება, ჩაულრმავდნენ და იფიქრონ საკუთარ განწყობებსა და რეაქციებზე იმის შესახებ, რაც ნახეს, გაიგეს, მიმოიხილეს. ამ შემთხ-ვევაში დისკუსიის მონაწილეებმა უნდა იმსჯელონ საკუთარ რეაქციებზე. ეს პროცესი აუცილებელია თვითშეფასებისა და საკუთარი ემოციების მართვის უნარების გასავითარებლად.

ოჯახური ღონისძიებები (ექსკურსიები, პიკნიკები) მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ გარემოს ქმნის. მოსწავლეს შეუძლია, დაკვირდეს, შეისწავლოს საკუთარი ოჯახის წევრების ქცევები და სოციალური გამოცდილება. უფრო რთული, მაგრამ მნიშვნელოვნად ეფექტურია, როდესაც მოსწავლეები აკვირდებიან განსხვავებული კულტურის, ეთ-ნოსის, რელიგიის, სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი ოჯახების ცხოვრებას. მსგავსი დაკვირვება შეიძლება განხორციელდეს საკლასო ექსკურსიაზე, დღესასწაულებზე, რიტუალურ ღონისძიებებზე და ა.შ.

ეთნოგრაფიული კვლევისას მიღებული შედეგების შედარება სა-შუალებას გვაძლევს, წარმოვაჩინოთ და უკეთ გავეცნოთ ოჯახურ ტრადიციებს, რომელთა ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს მრავალ-ფეროვანი კულტურული ბაზისები, რისი ცოდნაც გვეხმარება განსხ-ვავებული გამოცდილებისა და ტრადიციების მიმართ სტერეოტიპების დაძლევაში.

ეთნოგრაფიული მიღებომების ერთ-ერთი ფორმაა ზეპირსიტყვიერი ისტორია, რომელიც მოსწავლეებს განაცდევინებს წარსულის ყოფით და კულტურულ ასპექტებს. უფროსი თაობის წარმომადგენლებთან ინტერ-ვიუებით, მოსწავლეები ეცნობიან ახლო წარსულში არსებულ სოციალურ გარემოს, შეხედულებებს, დამოკიდებულებებს, ქცევებს და აცნობიერე-ბებს, თუ როგორ და რა შინაარსით მოხდა მათი ტრანსფორმაცია.

ინტერვიუს ასალებად მოსწავლეებს გამომუშავებული უნდა ჰქონ-დეთ აქტიური მსმენელის გამოცდილება, განსხვავებული შეხედულე-ბების პატივისცემა და მსმენელისთვის ანგარიშის განევის უნარი.

მათ უნდა შეძლონ პროცესის ხელშეწყობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ეთანხმებიან მთხოვნელის აზრსა და პოზიციას. ეს პროცესი არის მულტიპერსპექტიულობის გამოცდის კარგი საშუალება - ისინი ეცნობიან ძველი თაობის წარმოდგენებს და ამჩნევენ დროში ცვლილების დიაპაზონს. კერძოდ, ზეპირსიტყვიერი ისტორიების მოწმეები ხშირად საუბრობენ მათ ბავშვობასა და სკოლაზე. ახალი თაობა ამჩნევს იმ განსხვავებებს, რაც არსებობს ძველი და ახალი თაობის ინტერესებსა და შესაძლებლობებში. მოსწავლეები ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ცვლილებებს, არამედ განსხვავებებს სხვადასხვა თაობის ინტერესებს, ნორმებს, წესებსა და ქცევებს შორის.

**5. ფილმებისა და ტექსტების გამოყენება** ფილმის ან ტექსტის შერჩევამდე, მის ნახვამდე ან ნაკითხვამდე და შემდგომ მასწავლებლის (ფორმალურ გარემოში) და მშობლების (არაფორმალურ გარემოში) მიერ მოსწავლეებთან აქტიურ ინტერაქციასა და განხილვებზეა დამოკიდებული ამ აქტივობის ინტერაქულტურული ეფექტი. ფილმები და ტექსტები, ასევე შეიძლება გახდეს მოსწავლეთა თვითშეფასების შესაძლებლობა და გაზარდოს მათი მზაობა, აღმოაჩნონ აქამდე უცნობი ადგილები, მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული კონფლიქტები და დაძაბულობები, საინტერესო ფაქტები და რეალობები.

მასწავლებელს შეუძლია, მიზნობრივად შეარჩიოს ფრაგმენტები ფილმებიდან ან მოთხოვნებიდან, რათა მოსწავლეებთან ერთად განიხილოს შემთხვევები, როდესაც მრავალფეროვნება ხდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, მიზიდველი ან პრობლემური. ამ შემთხვევაშიც სასურველია, შეიქმნას სადისკუსიო გარემო, როდესაც მოსწავლეები მსჯელობენ მოვლენათა შესაძლო განვითარებაზე ან პრობლემის მოგვარების მათეულ პერსპექტივაზე. დისკუსია შეიძლება ფოკუსირებული იყოს იმაზე, თუ რატომ ვერ ახერხებენ კონფლიქტის მონაწილეონი ერთმანეთთან კომუნიკაციას და რატომ იწვევს კულტურული მრავალფეროვნება დაძაბულობასა და კონფლიქტებს.

მოსწავლეებს შეუძლიათ, ჩაერთონ ისეთ აქტივობებშიც, როდესაც ისინი ასახიერებენ კონფლიქტის მონაწილეთა როლებს და „სხვების“ პერსპექტივით აფასებენ პროცესებს. ამ დროს მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა მათ მიერ განსახიერებული პირის პოზიციებიდან შეაფასონ ფილმის/ტექსტის შინაარსი, სათქმელი, იმსჯელონ ძირითად გზავნილებსა და იდეებზე, ავტორის ჩანაფიქრებზე. განხილვის ამ ეტაპზე საჭიროა, მასწავლებელმა მსჯელობის პროცესი დაუკავშიროს ინტერაქულტურული განათლების პრობლემებს და იმ კომპეტენციებს, რომელთა განვითარებას სასურველად თვლის მოსწავლეებში.

მსგავსი აქტივობები ზრდის მულტიპერსპექტიულობის აღქმას მო-  
სწავლეებში და ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებითო-  
ბასა და წარმოსახვის უნარს.

## 7. სოციალური მედია და სხვა ონლაინ ინსტრუმენტები

ინტერნეტით ურთიერთობა თავისთავად მოიცავს ინტერკულ-  
ტურული კომუნიკაციის ელემენტებს. ინტერნეტის საშუალებით ხდება  
ადამიანთა დიდ და მრავალფეროვან ჯგუფებს შორის შეხედულებები-  
სა და მოსაზრებების გაცვლა. ამ ასპექტით სოციალური მედია განსა-  
კუთრებით უწყობს ხელს განსხვავებული კულტურის მატარებელი ადა-  
მიანების ურთიერთქმედებას.

შესაძლო უარყოფითი გავლენისა და რისკების მიუხედავად, სო-  
ციალური მედია და სხვა ონლაინინსტრუმენტები მოსწავლეთა ინტერ-  
კულტურული განათლების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს.  
სოციალური მედიის (პლატფორმები, ჩატი, საზოგადოებრივი ფორუმე-  
ბი და სხვ.) საშუალებით, მოსწავლეები ეცნობიან რელიგიურ, ეთნი-  
კურ, გენდერულ და სხვ. აქტუალურ საკითხებს, ფაქტებს და ხდებიან  
კულტურულად კომპეტენტურნი და, სოციალური მედიის გამოყენებით,  
იზრდება „სხვებთან“ ურთიერთობისა და „კულტურათა შესვედროების“  
შესაძლებლობა და გამოცდილება.

ინტერნეტი საშუალებას იძლევა, მოსწავლეები მონაწილეობდნენ  
გლობალური ვებთანამშრომლობის პროექტებში. ასეთ პროექტებში მო-  
სწავლეები ესაუბრებიან ერთმანეთს, განიხილავენ პრობლემებსა და  
შესრულებულ დავალებებს. ბევრისთვის ეს გამოცდილება შეიძლება  
იყოს პირველი ურთიერთობა განსხვავებული კულტურის ადამიანებთან.

ონლაინ სოციალური ქსელები განსაკუთრებით მაშინ უწყობს ხელს  
ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებას, როდესაც ისინი  
ორიენტირებულია შემდეგ თემებზე: გლობალური მოქალაქეობა ან  
კულტურათშორისი დიალოგის ბარიერები, მშვიდობა, ადგილობრივი და  
საერთაშორისო კონფლიქტები და მათი გადაჭრის პერსპექტივები. მაგ-  
ალითად, კონფლიქტის წარმოქმნისა და მოგვარების სხვადასხვა ფაქ-  
ტორების განხილვა არა მხოლოდ საჭიროებს ინტერკულტურულ კომპე-  
ტენციას, არამედ კიდევ უფრო ავითარებს მას.

ონლაინკომუნიკაცია ასევე გვეხმარება საკუთარი შეხედულების  
გაცნობიერებაში. ამ გზით მოსწავლეები იმდიდრებენ გამოცდილებას  
იმის შესახებ, თუ როგორ გადმოგვცემენ ისინი და სხვა ადამიანები სა-  
კუთარ აზრებს პირისპირ (face to face) და ირიბად (სტრიქონებს შორის)  
და აცნობიერებენ, რომ ჩვენი ლექსიკა მდიდარია პარალინგვისტური  
მახასიათებლებით.

ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებას ხელს უწყობს სა-განმანათლებლო ინტერნეტრესურსების მრავალფეროვნება, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას ინფორმაციის გააზ-რებასა და ინტერპრეტაციაზე მიმართულ აქტივობებში. თანამედროვე ონლაინსაზოგადოების გამოცდილება მოიცავს იდეების გაცვლას ისეთ საკითხებზე, თუ როგორ შეუძლია განათლებას, ხელი შეუწყოს ინტერ-კულტურული ცნობიერებისა და კომპეტენციის განვითარებას.

არასწორი ან რთული ონლაინკომუნიკაციის შემთხვევები შეიძლე-ბა განვიხილოთ, როგორც პედაგოგიური გამოწვევები, რომლებიც საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას. საჭიროა მუდმივი განხილვა იმი-სა, თუ რა იყო არასწორი, რომელი შეტყუბინება აღმოჩნდა საზიანო და როგორ შეიძლება უფრო ეფექტური გავხადოთ ონლაინკომუნიკაცია.

დაბოლოს, სოციალური მედიით განხორციელებული აქტივობები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გამოიმუშაონ ისეთი უნარები, რომ-ლებიც დაეხმარებათ, გაუმკლავდნენ გაურკვევლობით გამოწვეულ ემოციებს, რადგან ამ პროცესში იზრდება და ფართოვდება სხვა კულ-ტურულ ჯგუფებთან თანამშრომლობის ტენდენცია, მოსწავლეები გამოიმუშავებენ აქტიური მოსმენის უნარ-ჩვევებს, უკეთ სწვდებიან სხ-ვათა განზრახვებს და ივითარებენ კომუნიკაციურ ცნობიერებას.

### 3.4. ფერადი სტიპერების აძლივობა

ქვემოთ აღნიერილია კონკრეტული აქტივობა, რომლის მიზანია მო-სწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება. აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ ინკლუზიის, გარიყულობის, თანამ-შრომლობის, კონკურენციის, დისკრიმინაციისა და ცრურწმენების შეს-ახებ წარმოდგენების გაფართოებას. ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოსწავლეების მიერ საკუთარი დამოკიდებულების, რწმენისა და ღირე-ბულებების შესახებ მოსაზრებების შემუშავების მიზნით და დაეხმაროს მათ, შეიძინონ ახალი უნარები, სრულყონ ინტერკულტურული კონცე-ფციების (იდენტობა, დისკრიმინაცია, სხვაობა, თანაგრძნობა, მრავალ-ფეროვნება, თანამშრომლობა და ურთიერთდამოკიდებულება) შესახებ ცოდნა.

აქტივობისთვის საჭირო რესურსები: ფართო უწესრიგო სივრცე, ოთხი ფერის სტიკერი

დრო: აქტივობა - 15 წუთი; განხილვა - 30 წუთი

პროცედურა:

1. მოსწავლეები დგებიან წრეზე. მასწავლებელი აცნობს ინსტრუქ-

ციას: а) აქტივობის დროს არ საუბრობთ; ბ) თავდაპირველად ხუჭავთ თვალებს. თვალების გახელის შემდეგ ცდილობთ, იმოქმედოთ მხოლოდ მიმიკისა და ჟესტების ენით.

2. მასწავლებელი ჩუმად აკრავს მონაწილეებს შუბლზე პატარა ფერად სტიკერებს. 20 მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფში ფერადი სტიკერები შეიძლება ასე განაწილდეს:

- უმრავლესობა - ლურჯი სტიკერები 8 მონაწილის შუბლზე
- მეორე უმრავლესობა - მწვანე სტიკერები 6 მონაწილის შუბლზე
- პირველი უმცირესობა - ყვითელი სტიკერები 3 მონაწილის შუბლზე
- მეორე უმცირესობა - წითელი სტიკერები 2 მონაწილის შუბლზე
- ერთი მონაწილე სტიკერის გარეშე რჩება

შენიშვნა: სხვადასხვა ფერის სტიკერების განსხვავებული რაოდენობა განკუთვნილია სოციალური უთანასწორობის მოდელირებისთვის. სავარაუდოდ, უმრავლესობის ჯგუფის წევრები უფრო თავდაჯერებულად და აქტივობის ლიდერებად იგრძნობენ თავს.

3. მასწავლებლი მოსწავლეებს სთხოვს, დაჯგუფდნენ. ამასთან, მოსწავლეებს არ ვეუბნებით, რომ დაჯგუფდნენ მათი სტიკერის ფერის მიხედვით. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მსგავს შემთხვევებში მოსწავლეები დაჯგუფების სწორედ ამ სტრატეგიას მიმართავენ. ამ შემთხვევაში, მთავარია, მათ შეარჩიონ სხვებთან გაერთიანების გზა და საშუალება. საბოლოო ჯამში, იქმნება ლურჯების, მწვანეების, ყვითლების და წითლების ჯგუფები და ცალკე გამოიყოფა სტიკერის გარეშე დარჩენილი მონაწილე.

4. მასწავლებელი აკვირდება მონაწილეთა ქცევას და აკეთებს ჩანაწერებს, რასაც იყენებს აქტივობის განხილვის დროს.

მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ ამოცანის შესასრულებლად ერთ-მანეთს უნდა დაეყრდნონ. მხოლოდ სხვებს შეუძლიათ დაინახონ, თუ რა ფერის სტიკერი უკეთიათ მათ შუბლზე. დაკისრებული ამოცანის შესარულებლად საჭიროა ნდობა, თანამშრომლობა და შემოქმედებითობა.

5. აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი უსვამს შემდეგ კითხვებს:

ა) „როგორ გრძნობდით თავს, როცა თვალები დახუჭული გქონდათ?“. პასუხად მოსწავლეები იხსენებენ საკუთარ გამოცდილებას - იყვნენ ჩუმად, იდგნენ ისე, რომ ვერ ხედავდნენ სხვებს და ა.შ. უმრავლეს შემთხვევაში, განხილვის საგნად იქცევა განცდა, რასაც იწვევს შეზღუდული შესაძლებლობა და რაც დისკუსიისას შეიძლება განზოგადეს რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე.

ბ) „რა იყო თქვენი პირველი რეაქცია, როდესაც თვალები გაახილეთ?“. ჩვენი გრძნობების განხილვა ინტერკულტურული კომპეტენციის

განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამ ეტაპზე მოსწავლეებმა შეიძლება მრავალ გრძნობაზე ისაუბრონ: მარტოობა, გაუცხოება, გაურკვევლობა. საუბრისას მოსწავლეები აქცენტს აკეთებენ, თუ როგორ გრძნობდნენ თავს მათთვის უცხო და უჩვეულო გარემოში მოხვედრისას. მათ მიერ საკუთარი ემოციის გამოხატვისას, მასწავლებელს შეუძლია აქცენტი გააკეთოს შემდეგ ცნებებზე: იდენტობა, დისკრიმინაცია, განსხვავებულობა და საკუთარი თავის აღქმა.

გ) „რას გრძნობდით, როცა ვერ ლაპარაკობდით?”. მოსწავლეები ავლებენ პარალელებს აქტივობასა და რეალურ ცხოვრებაში არსებულ სიტუაციებს შორის. მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებელ უმწეობის განცდაზეც, რასაც იწვევეს კომუნიკაციური ბარიერები.

დ) „რომელ სტრატეგიებზე ფიქრობდით დავალების შესასრულებლად?”. ინსტრუქციების განხილვის საფუძველზე, მოსწავლეები თანდათან აცნობიერებენ, თუ რა ტიპის ქცევა გამოავლინეს ჯგუფში. განხილვის დროს მოსწავლეებმა უნდა გაიგონ, რომ მათ შეეძლოთ, აერჩიათ დაჯგუფების ალტერნატიული მეთოდები, რადგან მასწავლებლის მითითებებში არ იყო ხასგასმული, რომ ისინი ფერების მიხედვით უნდა დაჯგუფებულიყვნენ.

მოსწავლეებს შეეძლოთ, შეექმნათ რაც შეიძლება მეტი ქვეჯგუფი, რომელიც შედგებოდა ყველა არსებული ფერისგან (მაგ. ცისარტყელას ჯგუფი) ან გადაწყვიტათ, რომ არავის დატოვებდნენ იზოლირებულად. ამ საკითხის განხილვა მოსწავლეებს საშუალებას მისცემთ, გააცნობიერონ, თუ როგორ (რა გზით) გამოიტანეს დასკვნები, ან კრიტიკულად გაანალიზონ საკუთარი მიდრეკილება დანაწევრებისკენ, ასახონ გადაწყვეტილების პროცესი და დაასაბუთონ ან უარყონ მათ მიერ შერჩეული სტრატეგიის უპირატესობა.

ე) „რაზე დაგაფიქრათ ამ აქტივობამ? შეიძლება თუ არა მსგავსი სიტუაცია შეიქმნას რეალურ ცხოვრებაში?”. მოსწავლეები პრობლემას განაზოგადებენ სხვადასხვა კონტექსტში. დისკუსიის შედეგად, ისინი აცნობიერებენ აშკარა და ფარული დისკრიმინაციული ქცევის შედეგებს მცირე ჯგუფების მიმართ.

## 6. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლა

სახელმძღვანელოს ამ თავში წარმოდგენილია საზოგადოებრივი საქმიანობის სახეები, მათი განხორციელების ეტაპები, ინსტრუმენტები და რესურსები, რომლებიც დაგეხმარებათ შინაარსიანი და სასარგებლო პროექტის განხორციელებაში.

### 6.1. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის მიზანი და მიზვნებით მოქალაქეობრივი განათლებისთვის

#### 6.1.1. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის აღგილი მოქალაქეობრივ განათლებაში

მოქალაქეობრივი განათლება ინდივიდებს პასუხისმგებლობით მოქმედების სურვილს აღუძრავს. მისი მიზანია, მოსწავლეებში გააღვიძოს და წაახალისოს საზოგადოებრივ პროცესებში აქტიური მონაწილეობის სურვილი. მოსწავლეები მზად უნდა იყვნენ, საკუთარი შეფასებითი მსჯელობით მიღებული გადაწყვეტილებები პასუხისმგებლიან ქმედებად აქციონ მაშინაც კი, როცა ზეწოლას განიცდიან ან საკუთარი ინტერესების უგულებელყოფა უწევთ. მოქალაქეობრივი განათლება ნიშნავს მოსწავლეთა (ა) საზოგადოებრივ წიგნიერებას, (ბ) კრიტიკულ აზროვნებას და განსაზღვრული დამოკიდებულებებისა და ღირებულებების განვითარებას და (გ) აქტიურ მონაწილეობას (Euridyce, 2005). მოქალაქეობრივი განათლების სწორედ ამ სამი მიმართულების მიხედვით განისაზღვრა ძირითადი/საკვანძო მოქალაქეობრივი კომპეტენციები.

საკვანძო კომპეტენცია	დემოკრატიული მოქალაქეობის ასპექტები
ცოდნა და ხედვა	<ul style="list-style-type: none"><li>დემოკრატიის კონცეფციები</li><li>დემოკრატიული მოქალაქეობის კონცეფციები</li><li>დემოკრატიის ფუნქციონირება (მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების)</li><li>კანონმდებლობა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება</li><li>მოქალაქეთა უფლებები და პასუხისმგებლობები</li><li>პოლიტიკური პარტიებისა და ინტერესთა ჯგუფების როლი</li><li>გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის გზები</li><li>პოლიტიკის შექმნაზე გავლენა</li><li>მიმდინარე პოლიტიკური პრობლემები</li></ul>

<b>დამოკიდებულებები და შეხედულებები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>სოციალური და პოლიტიკური საკითხებისადმი ინტერესი</li> <li>ეროვნული იდენტობის მიმართება დემოკრატიასთან/დემოკრატიულ მოქალაქეობასთან</li> <li>პოლიტიკური ნდობა (სიცხადე)</li> <li>პოლიტიკური ეფექტურობა</li> <li>თვითდისციპლინა</li> <li>ერთგულება</li> <li>ტოლერანტობა და საკუთარი მიკერძოებების აღიარება</li> <li>სხვების პატივისცემა</li> <li>მსოფლიო ღირებულებების დაფასება (დემოკრატია/ სოციალური სამართლიანობა/ ადამიანის უფლებები)</li> </ul>
<b>ინტელექტუალური უნარები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>სხვადასხვა მედიდან პოლიტიკური ინფორმაციის თავმოყრა და ანალიზი</li> <li>კრიტიკული დამოკიდებულება ინფორმაციისადმი, პოლიტიკისადმი, შეხედულებებისადმი</li> <li>კომუნიკაციის უნარები (მსჯელობა, დისკუსია, საკუთარი მოსაზრების გამოთქმა)</li> <li>პროცესების, ინსტიტუციების, ფუნქციების და ა.შ. აღწერა</li> <li>არაძალადობრივი კონფლიქტების გამოყენება</li> <li>პასუხისმგებლობის აღება</li> <li>განსჯის უნარი</li> <li>არჩევანის გაკეთება / საკუთარი პოზიციის განსაზღვრა</li> </ul>
<b>მონაწილეობის უნარები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებზე გავლენა (შუამდგომლობა და ლობირება)</li> <li>კოალიციების შექმნა და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა</li> <li>პოლიტიკურ დისკუსიებში მონაწილეობა</li> <li>საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა (პოლიტიკური პარტიის, ინტერესთა ჯგუფის წევრობა, ხმის მიცემა, წერილი დაწერა, დემონსტრაციაში მონაწილეობა და სხვ.)</li> </ul>

მოქალაქეობრივი განათლების წარმატებული გამოცდილება, რომელსაც შედეგად მოსწავლეებში ზემოხსენებული კომპეტენციების განვითარება და ეფექტური მოქალაქეების აღზრდა მოსდევს, ძირითადად ექვსი მიმართულებით ვლინდება (Schmitz , 2012):

1. ფორმალურ სწავლებაში ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება, რომელიც „რეალურ ცხოვრებისეულ“ სიტუაციებს სთავაზობს მოსწავლეებს. ამ მიმართულებით სკოლას მუდმივი და თანმიმდევრული ძალ-

ისხმევა სჭირდება, რომ ფორმალური სწავლება მოსწავლეების ცხოვრებას დაუკავშიროს.

2. დისკუსია მიმდინარე ადგილობრივ, ეროვნულ თუ საერთაშორისო მოვლენებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია მოსწავლეთა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საკლასო დისკუსიისას, წონასწორობა დაცულია, შესატყვისი ინფორმაცია პოზიციების მხარდასაჭერად ლოგიკურად გამოიყენება, ყოველი მოსწავლის ხმა/მოსაზრება მნიშვნელოვანია და კითხვები ღიაა.

3. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლა უკავშირდება ფორმალურ კურიკულუმსა და საკლასო სწავლას. ეს არის პედაგოგიური მიღომა, რომელიც აკავშირებს: (1) მოსწავლეზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ საქმიანობასა და (2) ინტელექტუალურ ძიებასა და რეფლექსიას. ის, ერთი მხრივ, ამდიდრებს სწავლის გამოცდილებას, ასწავლის სამოქალაქო პასუხისმგებლობას და, მეორე მხრივ, აძლიერებს საზოგადოებას. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის მაგალითებია არაკომერციულ ორგანიზაციაში მუშაობა, საზოგადოების ლიდერების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში მონაწილეობა, არჩევნების შეფასება და ანგარიშის მომზადება და სხვ.

4. არაფორმალური განათლების აქტივობები ხელს უწყობს სკოლისა და თემის ჩართულობისა და ურთიერთკავშირის გაძლიერებას. მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ სკოლის კლუბი, სკოლის გაზეთი, სკოლის თვითმმართველობა და სხვ.

5. ავთენტური ხმა სკოლის თვითმმართველობაში წაახალისებს მოსწავლეებს, გამოხატონ საკუთარი მოსაზრება და პატივი სცენ სხვის აზრს, რასაც, საბოლოო შედეგად, სკოლის განვითარება მოჰყვება. მაგალითებად შეიძლება დასახელდეს სასკოლო ორგანიზაციები, თანატოლთა მედიაცია, სასკოლო თვითმმართველობა და სხვ.

6. მონაწილეობა დემოკრატიული სტრუქტურისა და პროცესების სიმულაციებში, რაც ხელს უწყობს კურიკულუმის განვითარებას. მაგალითები: საკლასო სიმულაციები, არაფორმალური განათლების აქტივობები, ხელისუფლების საქმიანობის, გაერთიანებული ერების სიმულაცია და სხვ.

წარმატებული გამოცდილების სტრატეგიებიდან ამჯერად ვრცლად მხოლოდ საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლას (სსს) შევეხებით. ის სწავლის გამორჩეული სტრატეგიაა, რომელიც მოსწავლეებს წაახალისებს, აკადემიური ცოდნა და უნარები თემის რეალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად გამოიყენონ. სსს გამოცდილებაზე დაფუძნებული მიღვომაა, რომელიც მოსწავლეებს „შეუმჩნევლად“ რთავს სწავლის პროცესში, საშუალებას აძლევს, განსაზღვრონ და გადაჭრან ის

საკითხები, რომლებიც რეალურად მნიშვნელოვანია მათი სკოლისა და თემისათვის (Guilfoile & Delander, 2014).

### 6.1.2. რა არის საზოგადოეპრივი საქმიანობით სცავლა - სსს?

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლას, როგორც საგანმანათლებლო მიღებომას, ხანგრძლივი ისტორია აქვს. ბევრი მის ფესვებს ჯონ დიუისა და უან პიაჟეს ნაშრომებში პოულობს, ზოგი კი უფრო შორს, ალექსის დე ტოკვილამდე მიდის. ამ ფილოსოფობსებს სჯეროდათ, რომ სწავლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სწავლის პროცესში და როდესაც სწავლას კონკრეტული მიზანი აქვს. მიუხედავად ხანგრძლივი ისტორიისა, სსს-ს მრავალ განმარტებას შევხვდებით და მისი განმარტების შესახებ დისკუსია ხშირად მხარეთა შორის უთანხმოების საფუძველი ხდება.

უთანხმოება განსაკუთრებით მაშინ მწვავდება, როცა ცდილობენ სსს-ს გამიჯვნას სხვა, გამოცდილებაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო მიღებისგან, როგორებიცაა მოხალისეობა, საზოგადოებრივი საქმიანობა, სტაჟირება, საკელე სწავლა ან სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელ მოსწავლეთა ურთიერთსწავლა.

ერთ-ერთი განმარტებით, სსს ნებისმიერი საქმიანობის ისეთი გამოცდილებაა, რომელსაც ყურადღებით ვაკვირდებით, რომელშიც მოსწავლეს განსაზღვრული სასწავლო მიზნები აქვს და აქტიურად ფიქრობს იმაზე, თუ რა ისწავლა ამ გამოცდილებით.

ტერმინი საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლა გულისხმობს მეთოდს, რომლის დროსაც, მოსწავლეები ან მონაწილეები სწავლობენ გააზრებულად, ორგანიზებულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით. სსს რამდენიმე თავისებურებით ხასიათდება:

- ეხმიანება საზოგადოების საჭიროებებს;
- შესაძლებელია დაიგეგმოს სწავლის ნებისმიერ საფეხურზე (დაწყებითი, საპაზო, საშუალო, უმაღლესი);
- ხელს უწყობს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებას;
- ინტეგრირებულია, აძლიერებს და აფართოებს (ძირითად) აკადემიურ კურიკულუმს ან საზოგადოებრივი საქმიანობის პროგრამების საგანმანათლებლო კომპონენტებს, რომელშიც მოსწავლეები მონაწილეობენ;
- მოსწავლეებს სთავაზობს სტრუქტურირებულ დროს მიღებულ გამოცდილებაზე ფიქრისთვის.

სსს არის „საზოგადოების განვითარების ფილოსოფია, პედაგოგი-

კა და მოდელი, რომელიც გამოიყენება, როგორც სწავლის სტრატეგია სასწავლო მიზნებისა და/ან შინაარსობრივი სტანდარტის შესაბამისად” (National Youth Leadership Council, 2019).

სსს სწავლის მეთოდი აერთიანებს აკადემიურ მიზნებსა და საზოგადოებრივი საქმიანობის პროექტებს. მოსწავლეები საკუთარი პრაქტიკული საქმიანობის საფუძველზე ახორციელებენ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პროექტებს და დადებითი ცვლილების ხელშემწყობები არიან.


სსს-ს ყველაზე დიდი ხიბლი ის გახლავთ, რომ რაღაც რეალური და კონკრეტული კეთდება. სწავლა სხვა განზომილებაში გადადის. როცა მოსწავლეები ინტელექტუალურად და ემოციურად ჩართულები არიან საკითხში, რაღაც ახალს აღმოაჩენენ ან ცალკეულ იდეებს შორის კავშირებს დაამყარებენ. ის, რაც სკოლაში ისწავლეს, უცებ მნიშვნელოვანი ხდება და მათ გონიერას და გულს ითრევს (Kaye, 2004).

სსს საზოგადოების კეთილდღეობაზე მიმართული მიდგომებიდან (მაგ. მოხალისეობა) ყველაზე მეტად არის მოსწავლეზე ორიენტირებული. ძირითადი ყურადღება მოსწავლის გამოცდილებას ექცევა და მთელი პროცესი იმაზეა მიმართული, რომ მოსწავლემ შეძლებისდაგვარად მეტი ისწავლოს. კიდევ ერთი გამორჩეული თავისებურება ის არის, რომ სსს-ით თანაბრად მოგებულია, როგორც მოსწავლე, ისე საზოგადოება.

განმარტებათა სიუხვის მიუხედავად, არსებობს სსს-ს ძირითადი კომპონენტები, როგორებიცაა აქტიური მონაბილეობა, კარგად ორგანიზებული გამოცდილება, თემის საჭიროებებზე ორიენტირება და სკოლისა და თემის კოორდინირება, აკადემიური კურიკულურის ინტეგრაცია, ფიქრისთვის სტრუქტურირებული დრო, უნარებისა და ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა, სწავლის გაფართოებული შესაძლებლობა და სხვებზე ზრუნვის გრძნობის განვითარება.

ენდრიუ ფურკო აზუსტებს განმარტებას იმის მითითებით, რომ სსს გამიზნულად ორგანიზებულია, რომ „თანაბარი სარგებელი მოუტანოს საქმიანობის მიმწოდებელსაც და მიმღებსაც და უზრუნველყოს თანაბარი ყურადღება როგორც განხორციელებულ საქმიანობაზე, ასევე, სწავლაზე“.

ამრიგად, სსს სწავლის სტრუქტურირებული გამოცდილებაა, რომელიც მოიცავს თემისთვის საქმიანობას, მის სამსახურს ზუსტი სასწავლო მიზნებით, მომზადებითა და რეფლექსით.



სსს—ს საზოგადოების/თემის ჩართულობით სწავლასაც უწოდებენ, რადგან ის სასწავლო მიზნებსა და საზოგადოების სამსახურს აერთიანებს ისე, რომ ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებასაც და საზოგადოების კეთილდღეობასაც. ის სწავლის სტრატეგიაა, რომელიც აერთიანებს მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობას სწავლასთან და აზროვნებასთან, როთიც ხელს უწყობს სწავლის გამოცდილებას, ას-წავლის სამოქალაქო პასუხისმგებლობას და აძლიერებს თემს (National Service Learning Clearinghouse).

სსს პროცესში მოსწავლეები პიროვნულ და საზოგადოების განვითარებას აკადემიურ და კოგნიტურ განვითარებას უკავშირებენ. გამოცდილება ხელს უწყობს გაგებას, ხოლო გაგებას უფრო ეფექტური ქმედება მოჰყვება (Eyler & Giles, 2003).

სსს გამოცდილების საფუძველზე სწავლის ფორმაა, რომელიც:

- მუშავდება, ხორციელდება და ფასდება **საზოგადოებასთან თანამშრომლობით;**
- პასუხობს საზოგადოების მიერ განსაზღვრულ **საჭიროებებს;**
- ცდილობს, დაიცვას **წონასწორობა** მიწოდებულ **მომსახურებასა** და **სწავლას** შორის;
- აძლიერებს **კურიკულუმს** სწავლის **გაფართოებით** კლასის ფარგლებს გარეთ და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ნასწავლი **გამოიყენონ ცხოვრებისეულ სიტუაციებში;**
- იძლევა **კრიტიკული აზროვნების** შესაძლებლობებს.

როგორც წესი, საზოგადოების ჩართულობას კურიკულუმი სხვადასხვა პროექტის საშუალებით ითვალისწინებს, რომელთა მიზანი სწავლა და საზოგადოებრივი საქმიანობაა. პროექტი იგეგმება მასწავლებლებისა და სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების პარტნიორობის საფუძველზე. იგულისხმება, რომ პროექტის ფარგლებ-

ში მოსწავლეებმა სასწავლო კურსის შინაარსი საზოგადოებრივი საქმიანობის შესასრულებლად უნდა გამოიყენონ. ეს მოსწავლეებს რეალურ პირობებში გამოცდილებით სწავლის შესაძლებლობას აძლევს და მნიშვნელოვანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის უნარებს უვითარებს.

აკადემიურ დისციპლინებსა და სსს-ს შორის კავშირი ორგვარად შეიძლება დამყარდეს:

1) დავინტერ საზოგადოებრივი საქმიანობის პროექტით და განვსაზღვროთ პროექტის შესატყვისი კურიკულუმის მიზნები;

ან

2) განვსაზღვროთ სპეციფიკური სასწავლო მიზნები და ვიმუშაოთ მოსწავლეებთან ერთად იმისთვის, რომ მოვიძიოთ შესატყვისი საზოგადოებრივი საქმიანობის პროექტი ამ მიზნების მიღწევისთვის. სსს-ს პროექტებისთვის საკითხები მოიცავს საკვების მდგრადობას, შიმშილსა და უსახლკარობას, ბულინგს, რასობრივ დაპირისპირებას, სტიქიური საფრთხეებისთვის მომზადებას და სხვ. მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ ინტერნეტი ან თემის წევრთა გამოკითხვა იმისთვის, რომ ზუსტად განსაზღვრონ იდეები თემის/საზოგადოებისთვის შესაბამისი სამსახურის გასაწევად.

#### 6.1.3. რა სარგებლობა მოაქვს სსს-ს?

კვლევები ადასტურებს (Billing, 2000; McMahon, 2012), რომ მოსწავლეთა 80% სსს-ს ძალიან სასარგებლოდ მიიჩნევს. თვით მოსწავლეები აღიარებენ, რომ განუვითარდათ კომუნიკაციის, თვითშეფასებისა და სხვა უნარები და უფრო მეტი შეიტყვეს საზოგადოების საჭიროებების შესახებ. მოსწავლეთა 76%-ის საშუალო აკადემიური მაჩვენებელი გაუმჯობესდა. ისინი მეტად ინტერესდებოდნენ სასწავლო პროცესით, უფრო პუნქტუალურები გახდნენ და სიღრმისეულად სწავლობდნენ. ამას გარდა, საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება დაადასტურა:

- ის ეხმარება მოსწავლეებს, დაამყარონ კავშირები სხვადასხვა აკადემიურ დისციპლინას შორის, ინტერდისციპლინური სწავლის მიდგომის საშუალებით;
- წაახალისებს მათ, პოზიტიური წვლილი შეიტანონ თემის ცხოვრებაში და, იმავდროულად, ხელს უწყობს კურიკულუმის მიზნების მიღწევას;
- ხელს უწყობს პრაქტიკულ სწავლას და სწავლის პრაქტიკული მხარის გააზრებას;

- აუმჯობესებს აკადემიურ მოსწრებას, დასწრების მაჩვენებლებსა და საკლასო ჩართულობას;
- ხელს უწყობს ურთიერთპატივისცემას და დადებით კლიმატს;
- ამაღლებს თვითშეფასებას, თანაზიარობასა და პასუხისმგებლობას;
- ამაღლებს ცნობიერებას საზოგადოების საჭიროებებისა და პრობლემების შესახებ ლოკალურ და გლობალურ დონეებზე;
- აუმჯობესებს საკლასო ურთიერთობებს.

სსს—ს უდიდესი უპირატესობა ის არის, რომ შესაძლებელია მისი მოქნილად გამოყენება სხვადასხვა ასაკის, სასწავლო გარემოს, კურიკულუმის მოთხოვნებისა და ვადების შესატყვისად და მოსწავლეებს საკუთარი სასწავლო გამოცდილების თანაშემოქმედებად აქცევს.

წარმატებული სსს—ს შემთხვევაში, სარგებელს ნახულობენ მოსწავლეები, მასწავლებლები, თემის/საზოგადოება. სსს—ს სარგებელი რამდენიმე მიმართულებით და დონეზე შეიძლება წარმოვადგინოთ: სწავლის სარგებელი, პიროვნული სარგებელი, სარგებელი თემის/ საზოგადოებისთვის, პროფესიული წინსვლა, სხვადასხვა ინსტიტუციებთან ურთიერთობა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

### **1. სწავლის სარგებელი:**

- დადებითი გავლენა აქვს მოსწავლეთა აკადემიურ მაჩვენებლებზე;
- ავითარებს მოსწავლეთა უნარს, ნასწავლი გამოიყენონ რეალურ ცხოვრებაში;
- დადებითი გავლენა აქვს ისეთ ზოგად უნარებზე, როგორებიცაა, გააზრება, პრობლემის ანალიზი, პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება და შემეცნება;
- ვითარდება სირთულესთან და ბუნდოვანებასთან გამკლავების უნარი.

### **2. პიროვნული სარგებელი:**

- პიროვნული ეფექტურობის ზრდა, იდენტობის ჩამოყალიბება, სულიერი და მორალური განვითარება;
- პიროვნებათაშორისის ურთიერთობების, განსაკუთრებით, სხვებთან შეწყობილად მუშაობის, განვითარება, ლიდერობისა და კომუნიკაციის უნარების სრულყოფა.

### **3. თემის/საზოგადოების სარგებელი:**

- სტერეოტიპული დამოკიდებულებების შემცირება და ინტერკულტურული ურთიერთობების განვითარება;
- საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისა და მოქალაქეობრივი უნარების სრულყოფა;
- სკოლის დასრულების შემდგომ უფრო აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა.

#### **4. პროფესიული წინსვლა:**

- კავშირები პროფესიონალებთან და, ზოგადად, საზოგადოების წევრებთან, სწავლისა და პროფესიული წინსვლის შესაძლებლობების სთვის;
- აკადემიური წარმატება, ლიდერობის უნარები და პიროვნული ეფექტურობა აფართოებს პროფესიული ზრდის შესაძლებლობებს.

#### **5. ინსტიტუციებთან ურთიერთობა:**

- აკადემიურ პერსონალთან მჯიდრო ურთიერთობა;
- კმაყოფილების ზრდა სკოლის ფარგლებში და მის მიღმა ინსტიტუციებში;
- კურსდამთავრებულთა მაღალი აკადემიური მაჩვენებლები.

**საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის ინტეგრირება კურიკულუმში**

სსს—ს არსებულ კურსებში ან ზოგადად კურიკულუმში ინტეგრირების მრავალი გზა არსებობს, რაც დამოკიდებულია სასწავლო მიზნებზე, კლასში მოსწავლეთა რაოდენობაზე, მათ აკადემიურ მაჩვენებლებზე და საზოგადოებასთან თანამშრომლობაზე. გთავაზობთ რამდენიმე გავრცელებულ ფორმას:

**ერთვერადი საქმიანობის/მომსახურების პროექტი:** ზოგიერთი დისციპლინის მიზნების მიღწევას ამგვარი პროექტი ძალზე აადვილებს. ამ შემთხვევაში, საქმიანობა სემესტრის დაწყებამდე იგეგმება და სასწავლო გეგმის ნაწილი ხდება. ეს ფორმა აკადემიური პერსონალისა და მოსწავლეთა ინტერაქციას აუმჯობესებს საქმიანობის დაგეგმვისა და გამოცდილების გაზიარების გზით.

**საპილოტე საგნობრივი პროექტი:** ბევრი მასწავლებელი თემის/საზოგადოების ჩართვას საპილოტე პროექტით იწყებს. საგნობრივი პროექტის ფარგლებში მოსწავლეებს შეუძლიათ, ჩაერთონ სსს პროექტში. საგნის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს ნაწილი ჩანაცვლებულია სსს—ის კომპონენტით. მაგალითად, ტრადიციული კვლევითი

ნაშრომი ან ჯგუფური პროექტი შესაძლებელია ჩანაცვლდეს ექსპერი-მენტული კვლევითი ნაშრომით ან პერსონალური უურნალით, რომელიც ცხადყოფს საქმიანობით/მომსახურებით სწავლის გამოცდილებას.

**სავალდებულო საგნობრივი პროექტი:** ამ შემთხვევაში მოსწავლეების მონაწილეობა საქმიანობაში/მომსახურებაში დისციპლინის ინტეგრირებული ასპექტია. ეს მოლოდინი ნათლად უნდა იყოს ახსნილი კურსის ფარგლებში პირველივე შეხვედრაზე, ასევე, ნარმოდგენილი უნდა იყოს სასწავლო გეგმაში, მკაფიოდ დასაბუთებით, სსს-ს კომპონენტის კურსში ინტეგრირების თაობაზე. როცა ყველა მოსწავლე ჩართულია პროექტში, გაცილებით ადვილია ისეთი საქმიანობის დაგეგმვა (მაგ. საკლასო დისკუსია, წერითი დავალება, საგამოცდო კითხვები), რომელიც საქმიანობის/მომსახურების მიზნებსა და კურსის მიზნებს გააერთიანებს. აქტივობებმა, შესაძლოა, მოიცავს კონკრეტული ორგანიზაციის პერსონალის კლასში სტუმრობაც და, პირიქით, მოსწავლეების ვიზიტი ორგანიზაციაში. გამოცდილება ადასტურებს, რომ საზოგადოებასთან თანამშრომლობითი კავშირების განვითარება ბევრად მარტივია, როცა სემესტრის განმავლობაში მოსწავლეთა ერთნაირი რაოდენობა არის ჩართული პროექტში.

**პრაქტიკის კვლევის პროექტი:** მოსწავლეები ერთვებიან ისეთ საზოგადოებრივ პროექტებში, რომელიც საზოგადოების საჭიროებებს ეხმიანება. ამგვარი პროექტის მომზადება და განხორციელება ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის დიდ დროსა და კვლევის საერთო მიზნების განსაზღვრას მოითხოვს. პრაქტიკის კვლევაში შესაძლოა ხელი შეუწყოს საგნობრივ კათედრაზე მიმდინარე კვლევას და, პირიქით. ამგვარი კვლევის საზღვრების გაფართოება სკოლის და სასწავლო დროის ფარგლებს მიღმა შესაძლოა ყველა მონაწილისთვის მომგებიანი იყოს.

**შემაჯამებელი საგნობრივი პროექტი:** თემის/საზოგადოების ჩართვა ხელს უწყობს კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში მოსწავლეთა მიერ დაგროვილი ცოდნის განვითარებას და ამ ცოდნის რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში ინტეგრაციის საუცხოო თვალსაჩინოებაა. მოსწავლეებს შეუძლიათ, თვალსაჩინოდ დაინახონ, როგორ გამოიყენება კონკრეტული საგნის ფარგლებში მათი გამოცდილება და კომპეტენცია თემის/საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.


**მულტიდისციპლინური პროექტი:** საზოგადოების ჩართულობის პროექტები, ერთი ან მრავალი პარტნიორის მონაწილეობით, შესაძლოა განივრცოს სხვადასხვა დისციპლინაზე ერთი სემესტრის განმავლობაში, ან მრავალ დისციპლინაზე ერთი ან მეტი წლის განმავლობაში. ამგვარი

პროექტები საკმარისად ფართოა, რომ მრავალი დისციპლინის სასწავლო მიზნებს შეესატყვისებოდეს. სწორედ ამის გამო მათ, შესაძლოა, კუმულაციური შედეგი ჰქონდეთ, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მაჩვენებლებზე, ასევე, თემის/საზოგადოების განვითარებაზე.

#### 6.1.4. ზოგადი რეკომენდაციები სსს-სთვის

გთავაზობთ სსს-ს საკლასო რეალობაში დანერგვის რამდენიმე ზოგად რჩევას, რომელიც დაგვეხმარება, თვალსაჩინოდ დავინახოთ მისი უპირატესობები მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში.

წარმატებულ სსს-ს გარკვეული ფორმატი აქვს, რაც მის მონაწილეებს მიზნების მიღწევაში უწყობს ხელს. ცალკეული ეტაპისთვის დეტალური გეგმის შექმნა საშუალებას გვაძლევს, მთლიანობაში წარმოვიდგინოთ საქმიანობა, დავაინტერესოთ მოსწავლეები და დავიცვათ წარმატების მიღწევისთვის აუცილებელი ძირითადი სტანდარტები. განვიხილოთ სქემის რამდენიმე ძირითადი პუნქტი, რომელიც ქვემოთ სქემის სახით არის წარმოდგენილი:



**მომზადება** – ამ საფეხურზე მასწავლებელი საკუთარ თავსაც და მოსწავლეებსაც ამზადებს სსს-ში ჩართვისთვის. შესაძლოა, დაიწყოთ იმ პროექტის შერჩევით, რომელზე მუშაობაც გსურთ; იმაზე ფიქრით, როგორ დაუკავშიროთ ეს პროექტი სასწავლო პროგრამას; მოსწავლეთა და ადგილობრივ ორგანიზაციათა შესაძლო კავშირებზე ფიქრით; საზოგადოების საჭიროებებზე საუბრითა და მოსწავლეთა ინტერესის აღძვრითა და ქმედებისთვის მომზადებით. დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ

თქვენ მიერ შერჩეული პროექტი აქტუალურია/რელევანტურია საზოგადოებისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ ამ და ყველა მომდევნო ეტაპზე მოსწავლეთა ინტერესის შენარჩუნებისთვის მათ ჰქონდეთ ხმის უფლება. მაგალითად, შესაძლოა, კლასმა კენჭი უყაროს, თუ რომელი საზოგადოებრივი საკითხის მხარდაჭერა სურთ, ან პროექტში რა ინდივიდუალური წვლილის შეტანას ისურვებდნენ.

მოსწავლეებმა გადასაჭრელი პრობლემის შესახებ შეიძლება გაიგონ შემდეგი საშუალებებით:

- საკლასო ან მცირე ჯგუფებში დისკუსიით;
- გონებრივი იერიშით;
- წიგნებით;
- ინტერნეტკვლევით;
- ახალი ამბების ანონსით;
- ინფოგრაფიკით;
- მულტიმედიარესურსებით.

**მოქმედება** – ეს პრაქტიკული კომპონენტია, რომლის დროსაც მოსწავლეებს შეუძლიათ, გამოიყენონ ნასწავლი და მიუსადაგონ ის რეალურ საზოგადოებრივ საქმიანობას. ამ ეტაპზე მოსწავლეები უშუალოდ ეხმარებიან საზოგადოების წევრებს და მათ, ვისზეც არსებულმა პრობლემამ იმოქმედა.

მოსწავლეებს შეუძლიათ, თემისთვის საქმიანობის შემდეგი გზები შეარჩიონ:

- საველე გასვლები;
- კვლევითი პროექტები;
- ღონისძიებები;
- ხელგარჯილობა/ხელოსნობა;
- ფონდების მოზიდვა;
- სწავლა;
- საინფორმაციო კამპანია;
- სხვადასხვა მომსახურება (დასუფთავება, მშენებლობა, გამწვანება და სხვ.).

**გააზრება** – ეს ეტაპი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გაიაზრონ განხორციელებული საზოგადოებრივი საქმიანობა, გააანალიზონ, რა ისწავლეს და როგორ გამოიყენებენ ნასწავლს სასწავლო პროგრამაში.

ამგვარი რეფლექსია წახალისებული უნდა იყოს ყველა ეტაპზე, თუმცა ამ საფეხურზე პროცესი უფრო სიღრმისეულია და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, დაფიქრდნენ, რა ისწავლეს და რას გრძნობენ იმ საქმი-ანობის შესახებ, რომელიც საზოგადოებისთვის განახორციელება.

მოსწავლეებს, საკუთარ გამოცდილებაზე რეფლექსისას, შეუძლიათ გამოყენონ:

- ჯგუფური დისკუსია;
- უურნალში ჩანაწერები;
- სამუშაო ფურცლები;
- ესაე;
- ბლოგი;
- ვიდეო;
- ლექსი ან სიმღერა;
- წახატი/ფოტო გამოფენა.

**დემონსტრირება** – მოსწავლეებს შეუძლიათ, კლასს, სკოლას ან საზოგადოებას აჩვენონ/გააცნონ, რა ისწავლეს პროექტის ფარგლებში პრობლემის და მისი გადაჭრის გზების შესახებ. ეს საშუალებას აძლევთ, უფრო სიღრმისეულად გაიაზრონ საზოგადოებაში არსებული პრობლემები და ის, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლიათ მის გადაჭრაში სხვა ადამიანებს.

მოსწავლეებს შეუძლიათ, თვალსაჩინოდ წარმოადგინონ ნასწავლი შემდეგი საშუალებებით:

- დასკვნითი პრეზენტაცია;
- სკეტჩი;
- სლაიდშოუ;
- ვიდეო;
- ინფოგრაფიკა;
- გრაფიკები/დიაგრამები;
- წიგნი/პორტფოლიო.

**მიღწევის აღნიშვნა** – მოსწავლეებს შეუძლიათ, მიულოცონ საკუთარ თავებსა და სხვებს საზოგადოებისთვის განეული სამსახური და პრობლემის მოგვარებაში შეტანილი წვლილი.

ამ ეტაპზე შედეგებზე მეტად მნიშვნელოვანია ძალისხმევის ხაზგასმა. ცხადია, არაჩვეულებრივია დადებითი შედეგის აღნიშვნა, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მოსწავლეთა თავდადებული შრომა და ერთგულებაა.

მოსწავლეებმა მუყაითობა და წარმატება შესაძლოა შემდეგი ფორმით აღნიშნონ:

- მადლიერების ბარათები ან მცირე საჩუქრები თანატოლებისთვის და თემის წევრებისთვის;
- აღიარებით სკოლის შეკრებაზე ან სოციალურ მედიაში;
- საკუთარი ძალისხმევის შედეგებზე მსჯელობით;
- საკლასო წვეულებით (პიცა, ტკბილეული და სხვ.).

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის გეგმის შექმნის შესაძლებლობები უსაზღვროა და ამ პროცესში, როგორც ზოგადად, სწავლებაში, მნიშვნელოვანია შემოქმედებითი მიდგომა. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სსს—ს წარმატებული გეგმა თანამშრომლობითი სწავლის ხელშეწყობის საუკეთესო საშუალებაა და წაახალისებს ჯანსაღ კომუნიკაციასა და რეფლექსიას.

შესაძლოა, გეგმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყოს საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლისთვის საკითხის/პროექტის შერჩევა. ამ პროცესში აუცილებელია საზოგადოებაში არსებულ, საზოგადოებისთვის რელევანტურ პრობლემაზე ორიენტირება. ასევე, მნიშვნელოვანია, დარწმუნდეთ, რომ შესაძლებელია სასწავლო პროგრამასთან შერჩეული საკითხის/პროექტის დაკავშირება. საორიენტაციოდ გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს, რომელიც გეგმის შექმნისას შეიძლება გამოგადგეთ:

### 1) საკითხი: წიგნიერება

მომზადება: აუხსენით მოსწავლეებს წიგნიერების მნიშვნელობა და წიგნიერების დაბალი დონის შედეგები ადამიანისა და საზოგადოებისთვის.

მოქმედება: შეაგროვეთ წიგნები და გადაეცით დაბალშემოსავლიან სკოლებს, ან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს დაავალეთ, ასწავლონ კითხვა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს. გახდით წიგნიერების ხელშეწყობი ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის პარტნიორი.

### 2) საკითხი: ცხოველებზე ზრუნვა

მომზადება: ასწავლეთ მოსწავლეებს ცხოველთა თავშესაფრის, აყვანის, რეაბილიტაციისა და ცხოველებისადმი სასტიკად მოპყრობის თავიდან აცილების შესახებ.

მოქმედება: შეაგროვეთ ცხოველების საკვები და სათამაშოები ადგილობრივი ჰუმანიტარული ორგანიზაციის დახმარებით, ხოლო შემდეგ დაგეგმეთ საველე გასვლა თავშესაფარში ცხოველების მოსანაზულებლად და მათ დასახმარებლად.

### 3) საკითხი: სილარიბე და შიმშილი

მომზადება: ასწავლეთ მოსწავლეებს მათ საზოგადოებაში არსებული სილარიბისა და შიმშილის და მათი უარყოფითი გავლენის შესახებ ბავშვის განვითარებასა და ჯანმრთელობაზე. ისაუბრეთ იმაზე, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია მოწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად.

მოქმედება: დაუკავშირდით ადგილობრივ ორგანიზაციას, რომელიც იბრძვის სილარიბის წინააღმდეგ და მათი რეკომენდაციით, მოსწავლეებთან ერთად, თავი მოუყარეთ იმ სურსათსა და საგნებს, რომლებიც აუცილებელია მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

### 4) საკითხი: გარემო

მომზადება: იმსჯელეთ აქტუალურ ეკოლოგიურ პრობლემებზე; დედამიწაზე მავნე ნარჩენების გავლენისა და მათი შემცირების გზების შესახებ. ისაუბრეთ „შეამცირე, გადაამუშავე, ხელახლა გამოიყენე“ ციკლის მნიშვნელობაზე, გარემოზე ზრუნვის თვალსაზრისით.

მოქმედება: დასახეთ სკოლაში ნარჩენების ხელახლა გამოყენების შესაძლო გზები (მაგ. მაკულატურის შეგროვება). გააცანით სკოლის პერსონალსა და მოსწავლეებს, რისი გადამუშავება შეიძლება და რისი – არა. მოამზადეთ მოკლე ინფორმაციული პლაკატები.

### 5) საკითხი: მრავალფეროვნება და ინკლუზია

მომზადება: ესაუბრეთ მოსწავლეებს უთანასწორობის შესახებ. განსაზღვრეთ და აუხსენით მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის მნიშვნელობა. იმსჯელეთ იმ გზების შესახებ, როგორ შეუძლიათ მოსწავლეებს მრავალფეროვნების მხარდაჭერა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოქმედება: მოსწავლეებთან ერთად დაგეგმეთ და უმასპინძლეთ სკოლაში „მრავალფეროვნების დღესთან“ დაკავშირებულ ღონისძიებას. მოსწავლეები გაეცნობიან თანატოლთა განსხვავებულ კულტურებსა და ჯგუფებს. გახდით მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის ხელშემწყობი ადგილობრივი ორგანიზაციის პარტნიორი.

არ აქვს მნიშვნელობა, რომელ პროექტს აირჩევთ, რადგან, ნებისმიერ შემთხვევაში, საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლა აკადემიური მიზნების მიღწევის, გუნდური მუშაობისა და ურთიერთობის ხელშემწყობის და სკოლის დადებითი კულტურის ჩამოყალიბების არაჩვეულებრივი გზაა.

## 6.2. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის პროექტის გეგმა და შეფასების ინსტრუმენტები

### 6.2.1. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის ფორმები და უპირატესობები

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლა არის სწავლის ინოვაციური მიდგომა, რომელიც აერთიანებს საზოგადოებრივ მუშაობას, საკულასო ოთახში სწავლასა და რეფლექსიას. კოორდინირებული და გააზრებული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებს, გამოიყენონ აკადემიური უნარები საზოგადოებისთვის ეფექტური მომსახურების განევისთვის. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის პროცესში მოსწავლე ინფორმაციის პასიური მიმღებიდან საზოგადოების აქტიურ წევრად იქცევა. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლა არამარტო სწავლების წესს ცვლის, არამედ საზოგადოების შეხედულებასაც განათლებისა და მომსახურების შესახებ.

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის პრობირებული ფორმებია:

ა) პირდაპირი მომსახურება - მოიცავს მოსწავლეთა ჩართულობას ინტერპერსონალურ დონეზე. ჩართულობა ხორციელდება მომსახურების ადგილზე. პირდაპირი სერვისის მაგალითებია: რეპეტიტორობა, მოხუცებისთვის ლიტერატურის გაცნობა/კითხვა, ახალგაზრდული აქტივობის ხელმძღვანელობა დაბალშემოსავლიან რეგიონებში.

ბ) არაპირდაპირი მომსახურება - მოსწავლეები ასრულებენ საზოგადოებრივ საქმიანობას, თემის წარმომადგენლებთან პირდაპირი ურთიერთობის გარეშე. არაპირდაპირი მომსახურების მაგალითებია: ქველმოქმედებისთვის სახსრების მოძიების მიზნით, ღონისძიების დაგეგმვა, სოციალური მედიის განვითარება, ადგილობრივი არაკომერციული ორგანიზაციებისათვის პლაკატების ან ფლაერების დამზადება, პარკის დასუფთავება და სხვა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ტოკვილმა შენიშნა, რომ ამერიკელებში სამსახურებრივი ეთიკა აღძრავდა სურვილს, თავიანთი დროის და ქონების ნაწილი საზოგადოების კეთილდღეობისთვის მიეძღვნათ. ამ ეთიკის საშუალებით, ამერიკელებმა გამოხატეს რწმენა ერთმანეთის დახმარების მნიშვნელობის შესახებ. ერთ-ერთი გზა, რომლითაც ეს ლირებულება შეიძლება გადაეცეს ახალგაზრდა თაობებს, არის მათი ჩართვა საზოგადოებრივ საქმიანობაში - როდესაც ახალგაზრდა ირგებს საზოგადოების აქტიური წევრის როლს და აკმაყოფილებს სხვათა საჭიროებებს. ჯონ დიუიმ დაადგინა, რომ დემოკრატიული ჩვევები ყველაზე ეფექტურად მაშინ მიიღწევა, როდესაც მოსწავლეები, პედა-

გოგები და თემი აქტიურად მუშაობს საზოგადოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

საზოგადოებრივი მომსახურებით სწავლასთან დაკავშირებული პროექტი სამ ეტაპად მიმდინარეობს: 1. დაგეგმვა და მომზადება; 2. მოქმედება და 3. შეფასება,

საზოგადოებრივი მომსახურებით სწავლისას, **მოსწავლეები:**

- ქმნიან ან აძლიერებენ კავშირებს თემთან;
- სწავლობენ თანაგრძობას სხვადასხვა ადამიანთან, ორგანიზაციას-თან მუშაობით;
- ითვისებენ გუნდური მუშაობის სტილს საზოგადოებაზე პოზიტიური გავლენის მოსახდენად;
- პრაქტიკაში გამოყენებით, ივითარებენ აკადემიურ ცოდნასა და უნარებს.

პროექტზე სამუშაოდ მთელი კლასის ჩართვა აძლიერებს გუნდურობის განცდას და ზრდის ვალდებულებებს. ასეთი პრაქტიკა, ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში განსახორციელებელი პროექტებისგან განსხვავებით, ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ურთიერთქმედებას და ინტეგრირებას, რადგან, არც ერთი მათგანი არ გრძნობს თავს გარიყულად.

საზოგადოებრივი მომსახურებით სწავლისას, **თემი:**

- ამყარებს პოზიტიურ ურთიერთქმედებას მოსწავლეებთან;
- ხედავს, რომ სკოლა რესურსებს ეფექტურად იყენებს;

საზოგადოებრივი მომსახურებით სწავლისას, **სკოლა:**

- აფართოებს და აღრმავებს საზოგადოებასთან/თემთან ურთიერთობის გამოცდილებას;
- ავითარებს მოსწავლეების შესაძლებლობებსა და მოტივაციას, რაც დადებით გავლენას ახდენს სკოლის კულტურაზე.

მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ მცირე ჯგუფური პროექტები არ წარმოშობს გუნდური მუშაობის განცდას მთელ კლასში. მეორე მხრივ, საფუძვლიანმა მომზადებამ შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფებში ერთობლივი მუშაობა, რითაც მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან პრობლემების მოგვარებაში. ინდივიდუალური პროექტი განსაკუთრებით სასარგებლო შეიძლება იყოს იმ მოსწავლეებისთვის, რომ-

ლებსაც აქვთ დაბალი თვითშეფასება და იმის შეგრძნება, რომ ერთი ადამიანი ვერაფერს შეცვლის. ინდივიდუალურ მუშაობას შეუძლია, გაზარდოს ასეთი მოსწავლეების პასუხისმგებლობის გრძნობა და მიზნის მიღწევის ვალდებულება.

### 6.2.2. დროის და რესურსების მენეჯმენტი

პროექტში მოსწავლეების მონაწილეობის წერილობითი ხელშეკრულება არის პროექტში მათი ჩართვის ერთგვარი საშუალება. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის პროექტი თრმსრივია, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება/თემი ელის, მოსწავლეებმა შეასრულონ ის საქმე, რომელიც მათი შეთანხმების ობიექტია. მხარეები ამ დროს ხელშეკრულებას აფორმებენ წერილობითი კონტრაქტის ფორმით. მასწავლებელმა უნდა ასწავლოს მოსწავლეებს საკუთარი კონტრაქტის შედგენა. რაც მთავარია, ხელშეკრულება უნდა ასახავდეს მოსწავლეების შეთანხმებას, რომ სერიოზულად იმუშავებენ პროექტზე და შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

დაკვირვების ფურცელი მასწავლებელს და მოსწავლეებს ეხმარება, იყვნენ თრგანიზებულნი, თვალყური ადევნონ მიმდინარე და შესასრულებელ სამუშაოებს და დაიცვან გრაფიკი. გარდა ამისა, დაკვირვების ფურცელი დახმარება მოსწავლეებს, პრაქტიკაში გამოიყენონ დროის მართვის მნიშვნელოვანი უნარები - პირადი გრაფიკის დაცვა და მუშაობის აღრიცხვა. ამ გზით მასწავლებელი მარტივად ახერხებს მოსწავლეების საქმიანობის შეფასებას პროექტზე მუშაობის მთელი პროცესის განმავლობაში, ნაცვლად იმისა, რომ შეაფასოს ისინი მხოლოდ პროექტის დასრულების შემდეგ. საბოლოოდ, საზოგადოებრივი საქმიანობის პროექტის განხორციელების პროცესი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შედეგი.

მოსწავლეების პროგრესზე დაკვირვება სხვადასხვა ფორმით ხდება. მაგალითად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროექტის უურნალები, ასევე, პროგრესის ყოველგვირეული ანგარიშები, დაკვირვების ფურცლები და სხვ.

### 6.2.3. პროექტის დაგეგმვა

პროექტის დაგეგმვის ეტაპი მოიცავს რამდენიმე ნაბიჯს. მათ შორის, გაკვეთილებს, როდესაც მოსწავლეები ეცნობიან პროექტის მიზანს, სტრუქტურას, მონიტორინგის, თვითშეფასების მექნიზმებს, შედეგის წარმოჩენის საშუალებებს და ა.შ.

**ნაბიჯი 1.** თემის არჩევა - მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ პროექტის მნიშვნელობა, იგრძნონ, რომ პროექტზე მუშაობა მათვის საინტერესო იქნება. ეს ფაქტორი აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული პროექტის თემის შერჩევისას. ქვემოთ აღნიშვნით პროექტის თემის არჩევის მეთოდები.

ა) მასწავლებლის მიერ საპროექტო თემატიკის განსაზღვრა

თუ იცით, რომ განსაკუთრებით მკაცრი შეზღუდვები გექნებათ დროში და/ან რესურსების მხრივ, წინასწარ დამტკიცებული თემების ჩამონათვალის შექმნა ერთ-ერთი გზაა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოსწავლეებმა შეძლონ პროექტის სრულფასოვნად შესრულება. სავარაოდო თემების შეთავაზება, ასევე, შეიძლიათ გამოიყენოთ მოსწავლეების შთაგონებისთვის - შექმნან საკუთარი ჩამონათვალი.

თუ საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის პროექტი აირჩევა თქვენ მიერ შეთავაზებული თემებიდან, აუცილებელია, წინასწარი მოკვლევის ჩატარება - ესაუბრეთ კოლეგებს ან დაუკავშირდით ადგილობრივ მოხალისე ორგანიზაციებს და მიიღეთ პროექტთან დაკავაშირებული დამატებითი ინფორმაცია ან გაეცანით უკვე არსებულ გამოცდილებას. თემის შერჩევისას, გაითვალისწინეთ დროისთან და რესურსებთან დაკავშირებული შეზღუდვები.

ბ) ადგილობრივი საზოგადოების მიერ წამოყენებული თემები

ზოგიერთ სკოლაში საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლა სასწავლო გეგმის ნაწილია. ეს ნიშნავს, რომ გეგმები, რესურსები და მხარდაჭერა უკვე არსებობს. ასევე, შეიძლება არსებობდეს პოტენციური პროექტების ჩამონათვალი, რომელიც დამკვიდრებულია და დამტკიცებულია თემის დონეზე. არსებობს წინასწარ დამტკიცებული პროექტის შემოქმედებითად წარმოდგენის გზები, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გაზარდონ პროცესისადმი ინტერესი (მაგ. შექმნან ვიდეოეფი, რომელიც გამოხატავს პროექტის მნიშვნელობას გარკვეული პრობლემების გადასაჭრელად). ასევე, მნიშვნელოვანია თემის წარმომადგენლების შეხვედრა მოსწავლეებთან და პროექტის მნიშვნელობაზე ერთობლივი მსჯელობა.

გ) მოსწავლეების მიერ განსაზღვრული თემები

როდესაც მოსწავლეები დამოუკიდებლად ირჩევენ პროექტის თემას, მათ უყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულება და შინაგანი პასუხისმგებლობა დაგეგმილი საქმიანობის მიმართ.

პროექტის თემის შერჩევისას, შეიძლება გამოიყენოთ პოტენციური პროექტების შემდეგი სია, რათა მოახდინოთ მოსწავლეების მოქმედების სტიმულირება:

1. მოსწავლეები აგროვებენ ტანსაცმელს და უნანილებენ მოწყვლად ჯგუფებს.
2. მოსწავლეები აგროვებენ სათამაშოებს ბავშვთა სახლებისთვის.
3. მოსწავლეები ასუფთავებენ პარკებს.
4. მოსწავლეები ქმნიან მისალოც ბარათებს საავადმყოფოში მყოფი ბავშვებისთვის.
5. მოსწავლეები დგამენ სპექტაკლს ხანდაზმულთათვის.
6. მოსწავლეები ქმნიან საზოგადოებრივ პარკს თავისუფალ ადგილას.
7. მოსწავლეები მიუსაფარი ბავშვებისთვის გეგმავენ სადღესასწაულო წვეულებას და სხვა.

იმისათვის, რომ მოსწავლეები გაეცნონ საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის პოტენციურ პროექტებს, გამოიყენეთ უკვე განხორციელებული პროექტები, სტატიები, ვიდეოები და სტუმრები, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი გამოცდილების გაზიარება. აჩვენეთ მოსწავლეებს, თუ რას მიაღწიეს სხვებმა, რამაც შეიძლება მათ გაუჩინოს ინტერესი და მისცეს საშუალება, შეიმუშაონ პროექტის იდეა, რომლითაც ისინი დაინტერესდებიან.

**ნაბიჯი 2.** რთული საკითხების მოგვარება - მოსწავლეთა ნაწილისთვის შეიძლება არასდროს უკითხავთ აზრი სკოლის, თემის/საზოგადოების ან პოპულარულ მედიაში ახალგაზრდების წარმოჩენის შესახებ. შეკითხვების დასმით მოახდინეთ ამ საკითხებზე მოსწავლეთა დისკუსიის პროვოცირება:

- თქვენი აზრით, რა არის დაშვებული და შეზღუდული საზოგადოებაში? სკოლაში?
- რას შეცვლიდით საზოგადოებასა და სკოლაში?
- როგორ გსურთ ხალხმა აღიქვას თქვენი საზოგადოება და სკოლა?
- როგორ აღიქვამს საზოგადოების უმეტესობა მოზარდებს? როგორ ფიქრობთ, მათი აღქმა ზუსტია?
- რას შეცვლიდით ახალგაზრდების შესახებ აღქმაში და როგორ?

ამ დისკუსიის დროს ყურადღება გაამახვილეთ პრობლემებზე, ნაცვლად იმისა, რომ პირდაპირ გადახვიდეთ პროექტის თემის იდენტიფიცირებაზე. მიეცით მოსწავლეებს დრო, განიხილონ თავიანთ ქალაქში/სოფელში, ქვეყანასა თუ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები. ეს ხელს შეუწყობს მათ დაინტერესებას ახალი პროექტით.

ქვემოთ მოცემულია კლასში დისკუსიის ჩატარების მაგალითი:

- დაასახელეთ „პრობლემური“ საკითხები თქვენს საზოგადოებაში (მოსწავლემ შეიძლება უპასუხოს: ხალხი ვერ ეწყობა ერთმანეთს ან არ მოსწონს ჩვენს ქალაქში/სოფელში ყოვნა).
- უფრო კონკრეტულად, ვინ ვერ ეწყობა ერთმანეთს (მოსწავლემ შეიძლება ახსენოს სხვადასხვა თაობის ან ეთნიკური ჯგუფის ადამიანები)?
- როგორ შეგვიძლია ამის მოგვარება (მოსწავლემ შეიძლება უპასუხოს: დავძლიოთ სტერეოტიპები, გავაუმჯობესოთ კომუნიკაცია)?
- როგორ შეგვიძლია სტერეოტიპების დაძლევა (მოსწავლემ შეიძლება უპასუხოს: ვეწვიოთ ადგილობრივ მოხუცთა თავშესაფარს, მოვაწყოთ ინტერკულტურული ღონისძიება)?

ამ დისკუსიის შედეგი არსებითად იქნება იმ საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც აღელვებთ მოსწავლეებს. პრობლემების იდენტიფიცირების შემდეგ განიხილეთ თითოეული საკითხი, არსებული ვარიანტები/შემოთავაზებები და სთხოვეთ მოსწავლეებს მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია. პროცესის დასასრულს, თქვენ გექნებათ საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების პროექტის ვარიანტების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც გენერირდება გონიერივი იერიშის ან სხვების მიერ შესრულებული საქმიანობის შესწავლით.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი შეუფერხებლად წარიმართება, თუ დაადგენთ რამდენიმე წესს. მაგალითად, მიღება თუ არა გადაწყვეტილება კონსენსუსის საფუძველზე, თუ უმრავლესობის მხარდაჭერით? თქვენ, ასევე, შეგიძლიათ გამოიყენოთ უმრავლესობის წესისა და კონსენსუსის მეთოდების კომბინაცია: ჯერ შეაჯერეთ პროექტის თემები, შემდეგ კი, ხმათა უმრავლესობით შეარჩიეთ რომელიმე მათგანი. თუ ჩანს, რომ ერთი პროექტის არჩევა იწვევს აზრთა მკვეთრ სხვადასხვაობას, შეიძლება განიხილოთ მოსწავლეების ჯგუფებად დაყოფის ვარიანტიც.

**ნაბიჯი 3.** ჯგუფების შექმნა - თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესი გყარნახობთ, მოახდინოთ საპროექტო ჯგუფების ან ცალკეული პროექტების ფორმირება, გადადით ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე. იმ შემთხვევაში, თუ მთელი კლასი იმუშავებს ერთ პროექტზე, მის ფარგლებში შექმნით მოსწავლეების მცირე ჯგუფები, რომლებიც კონცენტრირებულნი იქნებიან პროექტის სხვადასხვა ასპექტის დაგეგმვაზე.

ჯგუფების ფორმირება შესაძლებელია სხვადასხვა გზით:

**შემთხვევითი:** გადაანაწილეთ მოსწავლეები დაბადების თვის, ანბანის ან სხვა ნიშნის მიხედვით. იმის მიუხედავად, რომ მოსწავლეებს შეიძლება გაუჭირდეთ მეგობრებისგან განცალევება, ეს მეთოდი უზრუნველყოფს იმ მოსწავლეების ერთად მუშაობას, რომლებსაც სხვა დროს ერთმანეთთან ნაკლები ურთიერთობა აქვთ.

**განსაზღვრული:** ამ დროს შეგიძლიათ გაითვალისწინოთ მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეები და დააჯგუფოთ ისინი ისე, რომ შეძლონ შეთანხმებული მუშაობა და ერთმანეთისგან სწავლა. თუმცა, ჯგუფების განსაზღვრული წესით დაკომპლექტებამ შეიძლება გამოიწვიოს უსამართლობის გრძნობა იმ მოსწავლეებში, რომელთაც სურთ კონკრეტულ მეგობრებთან მუშაობა.

**თვითრეგულირება:** მიეცით მოსწავლეებს საშუალება, შექმნან საკუთარი ჯგუფები. აღნიშნულ მეთოდი ამსუბუქებს დისკომფორტის გრძნობას, რასაც ზოგიერთი მოსწავლე გრძნობს იმ თანაკლასელებთან მუშაობისას, რომლებსაც კარგად არ იცნობს. ჯგუფების დაკომპლექტების ეს ვარიანტი აძლიერებს ვალდებულების გრძნობას იმ მოსწავლეებში, რომლებსაც ნაკლები მეგობრები ჰყავთ.

დაჯგუფების მეთოდის შერჩევისას, გაითვალისწინეთ თქვენი მოსწავლეების ემოციური მდგომარეობა და შესაბამისი გამოცდილება. ნებისმიერ შემთხვევაში, წაახალისეთ თითოეულ ჯგუფი, შექმნას მუშაობის წესები და განიხილოს წევრების ვალდებულებები.

**ნაბიჯი 4. გეგმის შემუშავება -** სამოქმედო გეგმის შექმნა საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის პროექტის გადამწყვეტი ეტაპია. გეგმას რამდენიმე მიზანი აქვს:

- ზუსტად აღწერეთ, რომელი რესურსია ხელმისაწვდომი და რის შეძენა/მოძიება არის აუცილებელი;
- მიუთითეთ სამუშაოს განაწილება და დროის გრაფიკი.

მოსწავლეების მიერ სამოქმედო გეგმის შედგენა, პირველ რიგში, არის ვარჯიში მიზანს დასახვაში, გადაწყვეტილების მიღებაში, პრობლემის გადაჭრისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვეულების განვითარებაში. სამოქმედო გეგმა წარმოადგენს პროექტის ჩარჩოს, სამოქმედო რუკას. მასში ნათლად უნდა იყოს აღწერილი რესურსები, მონაწილე მხარეები, ამოცანები და მათი განხორციელების ეტაპები.

კარგად შემუშავებული გეგმა უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს: რა არის პროექტის მიზანი? რა მოხდება პროექტის განმავლობაში? რა

ნაბიჯით დასრულდება პროექტი? რა საფეხურებია საჭირო მიზნის მისაღწევად?

პროექტის დაგეგმვის პროცესში საჭიროა განისაზღვროს შემდეგი: ვინ მონაწილეობს? რას აკეთებენ? რა რესურსები არსებობს პროექტის წარმატებით შესრულებისთვის? რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს არსებული რესურსების გამოყენება?

ყველა პროექტი მოითხოვს რესურსებს. მოსწავლეებმა, რომლებიც გადაწყვეტინ ადგილობრივი პარკის დასუფთავებას, უნდა მოიძიონ და შეაგროვონ დასუფთავებისათვის საჭირო ხელსაწყოები. მნიშვნელოვანია, შეიქმნას ზუსტი სია, რომელიც მოიცავს ყველა შესაძლო საჭიროებას. წაახალისეთ მოსწავლეები, გადახედონ გადადგმულ ნაბიჯებს და გადაამონმონ რესურსების სია თითოეული საფეხურისთვის.

თუ თქვენს სკოლას აქვთ ვებგვერდი, ესაუბრეთ ადმინისტრატორს ვებგვერდზე თქვენი პროექტის გამოქვეყნების შესახებ და მოითხოვთ დახმარება. თუ ეს შესაძლებელია, დაავალეთ მოსწავლეებს, შეადგინონ პროექტის ვებრეკლამა. მოსწავლეები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ტექნოლოგიებით, სიამოვნებით მოამზადებენ პროექტებისთვის რეკლამასა და ვებგვერდს. ეს მათ საშუალებას მისცემთ, შექმნან საკუთარი ვებდიზაინის პორტფოლიოები.

იმის გამო, რომ პროექტის განხორციელებას დასჭირდება გარკვეული დრო, რესურსი და საქმიანობა, რომელიც არ არის ჩვეულებრივი სასწავლო პროცესის ნაწილი, მნიშვნელოვანია პასუხისმგებელი პირების ინფორმირება. მოსწავლეებმა უნდა წარადგინონ თავიანთი გეგმები და მიიღონ ოფიციალური ნებართვა პროექტის განხორციელებაზე. ამ დროს გასათვალისწინებელია შემდეგი:

- ვინ უნდა იცოდეს, რომ თქვენი მოსწავლეები აკეთებენ საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის პროექტს? როგორ უნდა აცნობოთ მათ? საჭიროა თუ არა სპეციალური ფორმის შევსება? ვისი ხელმოწერაა საჭირო?
- საჭიროა თუ არა პროექტის დამტკიცება დირექტორის, ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის რომელიმე უწყების მიერ?
- საჭიროა თუ არა მშობლებისთვის შეტყობინების გაგზავნა? თუ ასეა, როგორ და როდის?

წაახალისეთ მოსწავლეები, გადახედონ მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რესურსების ჩამონათვალს და ცალკე გამოყონ ისეთი ელემენტები, როგორებიცაა ექსკურსიები ან საკომუნიკაციო საშუალებებზე წვდომა, რასაც შეიძლება დასჭირდეს კონკრეტული ნებართვები.

პროექტზე დახარჯული დრო და აქტივობებში ჩართული ადამიანე-

ბი წარმოადგენენ ყველაზე ფასეულ რესურსს. აღნიშნული რესურსების მართვის ეფექტურობას შესაძლებელია ხელი შეუწყოს შემდეგ კითხვებზე დაფიქრებამ:

- ვისი მონაწილეობა იქნება საჭირო შედეგების მისაღწევად? როდის ჩავრთოთ სკოლის/თემის წარმომადგენლები? რამდენი ხნით?
- დროის რომელ მონაკვეთშია ხელმისაწვდომი გარკვეული რესურსები? მაგალითად, როდისაა შესაძლებელი სატელეფონო ან ელექტრონული კომუნიკაცია და კონკრეტულად, რომელი მოწყობილობიდან?
- შეძლებს თუ არა ყველა მოსწავლე, გამოყოს პროექტისთვის საჭირო დრო?
- რამდენი ადამიანი უნდა მონაწილეობდეს პროექტის განხორციელებაში? აუცილებელია კლასის ყველა მოსწავლის ჩართვა? საჭიროა თუ არა სხვა ადამიანების მონაწილეობა?
- ვის შეუძლია, ასწავლოს მოსწავლეებს წესები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს პროექტზე მუშაობისას (მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვა პარკის დასუფთავებისას)?
- იმუშავებენ თუ არა მოსწავლეები გარე ჯგუფთან ან ორგანიზაციასთან? რა შეზღუდვები აქვს შერჩეულ ორგანიზაციას დროის და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით?

წაახალისეთ თანამშრომლობა სხვა ჯგუფებთან ან სააგენტოებთან, რომელთა გამოცდილება და რესურსები დაეხმარება მოსწავლეებს პროექტის უკეთ განხორციელებაში. გარდა იმისა, რომ მოსწავლეებს ექნებათ პრაქტიკული გამოცდილების მიღების, გუნდური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარების შესაძლებლობა, სხვა ჯგუფებთან მუშაობა გულისხმობს სკოლის მიღმა არსებული სამყაროს შეცნობას, პროფესიების გაცნობას და სხვა სიახლეებს. თუ მოსწავლეები გადაწყვეტინ, დაასრულონ პროექტი სხვა ჯგუფთან თანამშრომლობით, მოუწოდეთ მათ, განიხილონ თანამშრომლობის დეტალები:

- რომელ ორგანიზაციას დაუკავშირდება ჯგუფი?
- ვინ დაუკავშირდება ორგანიზაციას?
- როდის არის საჭირო ორგანიზაციასთან დაკავშირება?
- როგორ უნდა დავუკავშირდეთ ამ ორგანიზაციას? რა წინადადებით უნდა მივმართოთ?
- კონკრეტულად, რა როლი ექნება პროექტში ამ ორგანიზაციას?

გაითვალისწინეთ ნებისმიერ გარე ორგანიზაციასთან კონტრაქტის დადების საკითხი, რათა მოახდინოთ მათი ვალდებულებების ფორმალიზება და აჩვენოთ, თუ რამდენად სერიოზულად ეკიდებიან მოსწავლეები ერთობლივ მუშაობას.

#### 6.2.4. მოსწავლეთა საჭიროებების შეფასება

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის პროექტი, პირველ რიგში, თქვენი მოსწავლეებისთვის პრაქტიკული უნარების განივთარების შესაძლებლობაა. კერძოდ, პროექტის დაგეგმვის პროცესში შეიძლება საჭირო გახდეს სამუშაოსა და კომუნიკაციის უნარ-ჩვეულების გადახედვა. თქვენ შეიძლება ურჩიოთ მოსწავლეებს, გაიუმჯობესონ ეს უნარები მათ გამოყენებამდე. გასათვალისწინებელი კითხვები მოიცავს შემდეგს:

- დასჭირდება თუ არა მოსწავლეებს სატელეფონო ზარი ან საქმიანი წერილის მიწერა კომპანიებთან/სააგენტოსთან?
- არსებობს თუ არა რაიმე სპეციული ფიზიკური ან აკადემიური უნარები, რომლებიც თქვენს მოსწავლეებს უნდა ჩამოუყალიბდეთ/ განუვითარდეთ პროექტის დასრულებისთვის? მაგალითად, თუ მათ აირჩიეს წიგნების გაცნობა უსინათლოებისათვის, მნიშვნელოვანია, რომ მათ კარგად შეძლონ ხმამაღლა კითხვა;
- თუ თქვენი მოსწავლეები არ ფლობენ საჭირო უნარებს, როგორ შეგიძლიათ მათი განვითარება?

საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის კონტექსტში კვლევის მიზანი ორგვარია. პირველ რიგში, მოსწავლეები აგროვებენ ინფორმაციას პროექტის მნიშვნელობისა და აქტიუალობის დასადგენად. ამ სახის ინფორმაციის შეგროვება საკმაოდ იოლი იქნება, რადგან მასწავლებელი და მოსწავლეები საკმარის დროს დაუთმობენ პროექტის საჭიროების შეფასებას. ინფორმაციის შეგროვება აუცილებელია სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. ეს კარგი შესაძლებლობაა მოსწავლეებში ინფორმაციის მოძიების, კლასიფიკაციისა და შეფასების უნარ-ჩვეულების გასაუმჯობესებლად.

დაეხმარეთ მოსწავლეებს, ორგანიზება გაუწიონ კვლევით საქმიანობას, რათა სამუშაოების დუბლირება არ მოხდეს მოსწავლეთა ჯგუფებში. ქვემოთ მოცემულია კვლევითი საქმიანობის ორგანიზების სტრატეგიები:

- დაყავით კლასი მცირე ჯგუფებად. თითოეულს დაავალეთ დასმულ კითხვებზე პასუხის პოვნა განსხვავებული წყაროებიდან;
- შესთავაზეთ მოსწავლეებს, აირჩიონ კვლევის მეთოდი, რომლის გამოყენებითაც დაინტერესებულნი არიან (მაგალითად, პირადი ინტერვიუები, ანკეტირება).

გზა, რომელსაც აირჩივთ კვლევითი საქმიანობის ორგანიზებისთვის, უნდა ასახავდეს მოსწავლეების ვალდებულებას პროექტის მიმართ. თქვენ შეგიძლიათ, შეაფასოთ ვალდებულების ეს დონე კითხვების დასმით:

- ჩანს თუ არა, რომ პროექტის ყველა ასპექტი ორიენტირებულია ჯგუფურ მუშაობაზე? შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს, ინდივიდუალურად ჩაატარონ კვლევები?
- არის თუ არა მცირე ჯგუფებში პიროვნული კონფლიქტი? შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს სხვა ჯგუფებში მუშაობა?
- შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს, გააერთიანონ თავიანთი კვლევითი ძალისხმევა რაიმე საკითხის გარშემო? (მაგალითად, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებზე ორიენტირებულ პროექტებზე მომუშავე ორ ჯგუფს სურს, დაუკავშიროს საკუთარი კვლევები ბავშვის განვითარების ეტაპებს).

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მეთოდი, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს თქვენი მოსწავლეებისათვის.

პირველად წყაროზე წვდომა ინფორმაციის მიღების საუკეთესო გზაა. პირველადი წყაროებია ადამიანები, რომლებიც პირადად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლის პროექტებში, ორგანიზაციის თანამშრომლები, რომლებსაც მოსწავლეები სთავაზობენ მომსახურებას, ან ადამიანები, რომლებსაც მსგავსი გამოცდილება აქვთ. სხვების გამოცდილების გაცნობა ძალიან სასარგებლო იქნება მოსწავლეებისთვის. ჰკითხეთ მოსწავლეებს, იციან თუ არა მათ სკოლაში განხორციელებული პროექტების შესახებ. წაახალისეთ ისინი, გამოიკვლიონ სკოლის გამოცდილება, გაესაუბრონ შესაბამისი გამოცდილების მქონე ადამიანებს (მოსწავლეებს, ჰედაგოგებს, ადმინისტრაციის წევრებს). სთხოვეთ მოსწავლეებს, შეისწავლონ, თუ რა ნაბიჯები გადადგეს მათ და როგორ დაძლიეს სირთულეები, რამდენად და რაში გამოადგათ პროექტის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება. დაეხმარეთ მოსწავლეებს, მოიწვიონ სტუმრები, რომლებსაც შეუძლიათ ისაუბრონ მათ გამოცდილებასა და იმ რესურსებზე, რაც საჭიროა პროექტისთვის. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ საჭირო ინფორმაციის მიღების საუკეთესო გზა არის კითხვების მომზადება ინტერვიუს დაწყებამდე და ა.შ.

სტუმრის მოსვლამდე, მოსწავლეებთან ერთად იმსჯელეთ დაგეგმილი პროექტის პრეზენტაციის პროცედურებსა და მოლოდინებზე (მაგ. მოსწავლეებმა თავი უნდა აარიდონ ერთმანეთთან საუბარს, მოამზადონ კითხვები). წაახალისეთ მოსწავლეები, ჩაინიშნონ პრეზენტაციასთან დაკავშირებული შენიშვნები და რეკომენდაციები.

თუ მოსწავლეები აპირებენ, დაუკავშირდნენ სააგენტოებს ტელეფონით, შესთავაზეთ, რომ ზარის განხორციელებამდე ზუსტად განსაზღვრონ ის, რისი თქმაც სურთ. აუხსენით, რომ სატელეფონო საუბარს შეიძლება მოჰყვეს ნერვიულობა, რაც ართულებს აზრის ლაკონურად

და გასაგებად ჩამოყალიბებას.

აუხსენით მოსწავლეებს, რომ ბიბლიოთეკის კვლევა გულისხმობს მეორადი რესურსების: უურნალების, გაზეთებისა და სატელევიზიო გა-დაცემების შესწავლას, რომლებიც შეიცავენ მოვლენის ან იდეის შესახებ მეორად ინფორმაციას. თუ მოსწავლეებს არ აქვთ ბიბლიოთეკაში მუშ-აობის გამოცდილება (მაგ. როგორ ხდება ინფორმაციის მოძიება კატა-ლოგებში, როგორ უნდა გამოიყენონ ელექტრონული ბაზები), დაგეგმეთ ვიზიტი სკოლის ან ახლომდებარე ბიბლიოთეკაში და სთხოვეთ თანამ-შრომლებს, მოსწავლეებს გააცნონ ბიბლიოთეკის მუშაობის სისტემა და სტილი. საჯარო ბიბლიოთეკების უმეტესობას აქვთ პროგრამები, რომლებიც მოსწავლეებს ბიბლიოთეკის ეფექტურად გამოყენებაში ეხ-მარება. სატელევიზიო შოუების ან ვიდეორგოლების მოსახებნად, გარდა ბიბლიოთეკისა, შეიძლება გამოიყენოთ ელექტრონული საძიებო სისტე-მები.

#### 6.2.5. სამოქმედო გეგმის დასრულება და დამტკიცება

სამოქმედო გეგმა წარმოადგენს პროექტის სრულ აღწერას. ამ-რიგად, იგი დაწერილი უნდა იყოს ნათლად და თანმიმდევრულად. სრუ-ლი სამოქმედო გეგმა შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

შესავალი - გეგმის ამ ნაწილში დასაბუთებულია პროექტის მნიშვნ-ელობა და გადმოცემულია მოსწავლეთა მოტივაცია. შესავალი უნდა შეიცავდეს ყველა საცნობარო ინფორმაციას, რათა მკითხველს ჰქონდეს პროექტის შესახებ სრული წარმოდგენა, მათ შორის, ვინ არის ჩარ-თული, რა მოხდება პროექტის განმავლობაში, რა აქტივობები განხორ-ციელდება და როდის? მაგალითად, მასწავლებელმა მეშვიდე კლასის რვა მოსწავლე შეარჩია ადგილობრივი პარკის ეკოსისტემის შესახებ სპექტაკლის მომზადებისთვის. სპექტაკლის სიუჟეტის დასაწერად მო-სწავლეები ეწვევიან და შეისწავლიან ადგილობრივ პარკს. აიღებენ ინ-ტერვიუს პასუხისმგებელი პირებისგან, გაეცნობიან ეკოსისტემასთან დაკავშირებულ კვლევებს და ა.შ.

რესურსების განსაზღვრა - წაახალისეთ მოსწავლეები, შექმნან შეს-ასრულებელი ამოცანების უფრო დეტალური ჩამონათვალი და დავა-ლებისთვის საჭირო რესურსების სია. თითოეული რესურსის გვერდით უნდა მიეთითოს, არის თუ არა ის ხელმისაწვდომი, ან რა გზით შეიძლე-ბა მისი მოპოვება. სამოქმედო გეგმის ამ ნაწილში უნდა განისაზღვროს ის ადამიანები, რომლებიც საჭიროა პროექტის შესასრულებლად, მათი ვალდებულებების ჩვენებით. ადამიანური რესურსების ჩამონათვალი შეიძლება ორგანიზებული იყოს საქმიანობის ან ამოცანის მიხედვით.

საჭიროა, აღინეროს თითოეული მონაწილის პასუხისმგებლობა, ფუნქციები და სამუშაოს აღწერა. თუ მოსწავლეები მუშაობენ გარე ორგანიზაციასთან ან სააგენტოსთან, სამოქმედო გეგმაში ნათლად უნდა აისახოს თანამშრომლობის ხასიათი და ორგანიზაციის როლი.

